


# ჩვენი ქართველი

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

16 აპრილი 2010 №8(112)

ბაჩანა ბრეგვაძის ბორხესი  
ბიბლიური ნოეს კოლექცია  
ლუბა ელიაშვილის ლექსები  
ბესიკ ხარანაულის ლექსის სივრცე  
რა არის საწირო „საბას“ ლაურეატობისათვის  
ბრედბერის სპორტული ფეხსაცმელი  
იოსებ ჭუმბურიძე მედეა კახიძეზე  
ნანა ტონია მანანა ღარიბაშვილზე  
ლევან ლორიას ნოველა



## შირვანისი

<b>ერთი ლექსის სიცრცე</b>	<b>2</b>	<b>ბესიკ ხარანაული სად არიან შვილები, შვილები სად არიან</b>
	<b>2</b>	<b>თემურაზ დოიაშვილი საქართველო ქარია</b>
	<b>5</b>	<b>ლევან ბრეგაძე შეშვილთა გილიან სასოწარივი თილიამდე</b>
	<b>6</b>	<b>გია მურლულია ანტისულიკო</b>
	<b>7</b>	<b>თამაზ ვასაძე საქართველოს გაერობის შიში</b>
<b>მოგონებათა სეივრი</b>	<b>7</b>	<b>ანდრო ჩიჯავაძე უჩვეულო სტუმრები</b>
<b>აერსონები და მიმთხველი</b>	<b>9</b>	<b>თათია ჯგუშია ჩიმი ნაღვლიანი არლეპინი (წერილი ჰანს შნირს)</b>
<b>ევსარეს-ინტერიერი</b>	<b>10</b>	<b>ნინო ზალიშვილი იჩქარე ნელა!</b> (მოამზადა ნატა ვარადამ)
<b>აროზა</b>	<b>12</b>	<b>ლევან ლორია კიბე ცაჭი, ანუ ნაპიჯ-ნაპიჯ დარჩი</b>
<b>არეზია</b>	<b>18</b>	<b>ლუბა ელიაშვილი უკვდავების ჩაი და სხვა ლეპსები</b>
<b>ასეისტიკა</b>	<b>22</b>	<b>ნუნუ ბალავაძე პირამიდების გზა... და სხვა ლეპსები</b>
<b>კლასიკური მიმართებები</b>	<b>24</b>	<b>ხორხე ლუის ბორხესი ორი ესეი</b>
<b>რეარტიაზი</b>	<b>27</b>	<b>ნანა ტონია პოეზია პოეტიკისტივის (გაიუს ვალერიუს კატულუსი, „ლექსების წიგნი“)</b>
<b>თქმა მართლისა</b>	<b>30</b>	<b>თამარ შაიშელაშვილი „შეხვეძლები“... სამანს აჩათა და სამანს იქიმა საქართველოსთან</b>
<b>კრიტიკა</b>	<b>34</b>	<b>ლელა კოდალაშვილი რა არის საჭირო იმისათვის, რომ „საბას“ ლაურეატი გახდე...</b>
<b>ასალი რომანი</b>	<b>39</b>	<b>როსტომ ჩხეიძე კოლექციები საგადისწერო ზამისა (ერიკ-ემანუელ შმიტის ბიბლიური ხილვა)</b>
<b>შემოქმედებითი აორტრეზი</b>	<b>42</b>	<b>ბელა ჩეკურიშვილი „CV“, ანუ თამრი ფხავაძის „სიცოა ვარამი“</b>
<b>დაიგურის ფურცლებიდან</b>	<b>44</b>	<b>ნინო ჩხივიშვილი „ნაგდვილად ფართასტიკური ამგავი“ (ნანა დემეტრაშვილის სარეჟისორო გზა)</b>
<b>დიალექტი</b>	<b>51</b>	<b>იოსებ ჭუმბურიძე ორი ცა და ყველაზე ტკბილი დარღი (მედეა კახიძე)</b>
<b>ასალი თარგმანები</b>	<b>53</b>	<b>ნინო ქოქოშვილი 30თ მღელვარი ნამი (საუბარი თეონა ქურთაულთან)</b>
<b>ასალი თარგმანები</b>	<b>55</b>	<b>რეი ბრედბერი სოროტული ფესაცხოლი</b>
<b>ეასტონე</b>	<b>59</b>	<b>ნუგზარ ჯანაშვილი ნუსილოცველი (ღია ბარათი ზაურ წაქაძეს)</b>
<b>კულურაპი</b>	<b>60</b>	<b>ყველაზე უჩვეულო სათაურები</b>
<b>ნაკვეთები</b>	<b>61</b>	<b>მახვილისტების ნიმუშები</b>
<b>მოზაიკა</b>	<b>63</b>	<b>3კოვე დავით</b>

ორკვირეული ჟურნალი  
დამფუძნებელი „ილიონი“  
მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41  
რედაქცია – (995 32) 96\_20\_62  
რეკლამა – (995 93) 65\_93\_68  
გაფრცელება – (995 77) 11\_24\_30  
ფაქსი: (995 32) 96\_20\_62  
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე  
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი  
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე  
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი  
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი  
სტილისტი – კორექტორი – ნინო დეკანოძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი  
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი  
გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ნინო ქოქოშვილი  
ლადო ჩაჩუას ფოტოეტიუდი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 30 აპრილს

გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ 2004 წლის 13 თებერვლის ნომერში რედაქციამ წამოიწყო ახალი რუპრიკა, რომელიც გულისხმობდა ერთი ლექსის რამდენიმე კრიტიკულ-ესთეტიკურ ანალიზს. დასახუისისთვის შეირჩა ნინო დარბაისელის „ლაზარე“, რომელსაც და-ერთო თეომურაზ დოიაშვილისა და ლევან ბრეგაძის ანალიტიკური სტატიები. სამწუაროდ, გარკვეულ გარემოებათა გამო, მაშინ ეს იდეა ვერ გაღრმავდა და აქამდე ვეღარც აღდგენა მოგვიხერხდა უურნალის ფურცლებზე. და, აი, გია მურლულიამ, ჩვენმა ცნობილმა ლიტერატურისტობის შემდეგ და ასეთი შემთხვევა შეუძლია, რომელიც თანდათანობით შეესხმის ხორცი „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე და ძალიან წაადგენა მკვლევარებსაც, პედაგოგებსაც, შემოქმედებით ახალგაზრდობასაც და ყველა, ვისაც ლიტერატურა უყვარს. პირველივე განაცხადი ისეთი შთამბეჭდვია – ბესი ხარანაულის მძაფრი დრამატიზმით აღსავს ლექსში და ოთხი თვალსაჩინო კრიტიკოსის ესთეტიკური გამოხმაურება – რომ თამასამ ქვემოთ აღარ უნდა დაიწიოს.



ბესი ხარანაული

## ჩემიანთ შეკოტება, შეკოტება ჩემიანთ

სად არიან შვილები, შვილები სად არიან,  
გავალ, გავიხედები, არ არიან, ქარია.  
სად არიან შვილები, მე რომ მოგაბარეა,  
გავალ, ავეძრახები, არ არიან, ქარია.  
საქართველო აქროლდა, ვით ფოთლებში ქარია,  
სად არიან შვილები, ქარია, არ არიან.  
სად არიან ვეფხვები, ლერწმიანში არიან,  
ლერწმიანში ქარია, ვეფხვები არ არიან.  
ჩემი მკვდარი კი არა, შენი პატიმარია,  
მიველ, ციხე გავტეხე, არ არიან, ქარია.  
გოგო, ბიჭი გიყვარდა, თქმა ვერ მოასწარია,  
გზაზე გამოეკიდე, არ არიან, ქარია.  
ეშმა ერქვას სახელად, ვინც მე ხელი დამრია,  
სად არიან შვილები, შვილები სად არიან.  
იმათ სახელობაზე ხე მაინც ახარეა,  
იმ ხესაც ხომ შენ დასწვავ, შენი მოსახმარია,  
საქართველო, მითხარი, ნუთუ მხოლოდ ქარია,  
სად არიან შვილები, შვილები სად არიან,  
გავალ, გავიხედები, არ არიან, ქარია,  
საყელოზე მოგწვდები, შვილები სად არიან,  
არ არიან შვილები, საქართველო ქარია,  
ქარია საქართველო, შვილები არ არიან,  
დღე არი, არ არიან, დამეა, არ არიან,  
ქარია, არ არიან, არ არიან, ქარია.

## თეიმურაზ დოიაშვილი

# საქართველო ქარია

ბესი ხარანაული – პოეტი, ვინც ისე დაიწყო თავისი მონოლოგი, თითქოს სცენაზე არავინ დახვედრია (გ. ასათიანი) და რომლის შემოქმედებაში სამშობლოს მოტივს მანამდე ერთობ მოკრძალებული ადგილი ეჭირა, მეტიც, ვისაც გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, – ქართული პატრიოტული ლირიკის ახალი ზეობის ხანაში, – ნათევამი ჰქონდა, „საიქიოში აღარ მინდა მე ქართველობა, რომელიმე დიდი ერის შვილი მსურს ვიყო, რომ ერთი სიტყვით გავაგძინო ყველას, ვინცა ვარი“ („ხეიბარი თოჯინა“), ოთხმოცდაათიან წლებში, მაშინ, როდესაც ერის სულიერ აღტყინებას დეპრესია მიეძალა, აქვეყნებს მისთვის უჩვეულო ლექსს „სად არიან შვილები“.

ვერლიბრის პარალელურად, ფშური დალექტით გაჯერებული ხალხური ლექსის მოტივების, სახეობრივი სისტემისა და მარტივი როთმებისათვის პოეტის ადრეც არაერთგზის მიუმართავს, მაგრამ ეს ლექსი მანამდე შექმნილთაგან მაინც გამოირჩევა.

ოცდაოთხი სტრიქონი; თითქმის ამდენჯერვე განმეორებული, მოძრავი რეფრენები – კითხვა და მასზე უარყოფითი პასუხი; შუალედებში – უცნაური, თითქოს ურთიერთდაუკავშირებელი სინტაგმები, სიტყვები: შვილები, საქართველო, ქარი, ციხე, პატიმარი, მკვდარი, ლერწმიანი, ვეფხვები, გოგო, ბიჭი, ხე...

თავისთავად, კერძო კონტაციურ მიმართებათა დადგენა არცთუ ისე ძნელია, მაგრამ გამაერთიანებელი კონტაციური სივრცის პარამეტრთა მონიშვნის გარეშე ტექსტი მაინც მეტ-ნაკლებად ბუნდოვანი დარჩება იმ მეოთხელისათვის, ვინც არ დასჯერდება ლექსის გაცნობით მოგრილ ერთჯერად შთაბეჭდილებას და მოინადინებს, გონების თვალიც გაადევნოს მას. ასეთ შემთხვევაში, ყოვლის უნინარეს, დამაფიქრებელია კითხვა, რომელიც, შეიძლება, უცნაურადაც კი ულერდეს: ვინ არის ლექსის ლირიკული სუბიექტი, გნებავთ, აქტორი, ვინ წარმოთქვამს ამ სასონარკევთილ მონოლოგს, სხვაგვარად – ვისი ხმა/ხმები ისმის ლექსში?

არახაკლებ დამაფიქრებლია ისიც, თუ ვინ არის ამ ლექსში მიმართვის ადრესატი, ან რას უნდა ნიშნავდეს თუ გულისხმობდებს ლექსის საყრდენი სემანტიკური ბირთვი – სიტყვები „საქართველო ქარია“.

\* \* \*

ბესიკ ხარანულის საანალიზო ლექსი ორშრიანია. პირველი, ზედა შერე შედარებით მკაფიოდ: ეს „შინიდან“ გარეთ – არეულ, სტიქით მოცულ საქართველოში – გასული, შვილების ამაოდ მომლოდინე, სასოწარკვეთილი მშობლის აფექტური განცდებია და ამ განცდათა გამოხატვის ბუნებრივად დამახასიათებელი ლოგიკური წყვეტებით, შეუსაბამობებითაც ხასიათდება. სავარაუდებელია, რომ აქ მიმართვის ადრესატები – „შინიდუნი“, შინაურნი არიან, რომელთაც სათითაოდ მიმართავს „გარეთ“ მაცექერალი აქტორი. როგორც ჩანს, მათ თავის სამართლებელი ან სათქმელი აღარაფერი დარჩენიათ, დიალოგში უტყვად მონანილეობენ, ამიტომ აქტორს საკუთარ დაუსრულებელ კითხვებზე პასუხი თავადვე უწევს.

ტექსტის შრეებს, ცხადა, აქვთ გამჭოლი, გამართიანებელი მომენტები, მაგრამ მეორე, ქვედა შერე შეიცავს სახე-კონცეპტებსაც, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის დეკოდირება მხოლოდ ეროვნულ ლიტერატურულ-კულტურულ კონტექსტში ხერხდება.

ცნობილია ერთი ასეთი მოვლენა: მსგავსი თემატიკის, განწყობის, სახეობრიობის ლექსები ზოგჯერ ერთმანეთთან რიტმული იდენტურობითაც არიან დაკავშირებული და თავისებურ ჯაჭვს ქმნიან. საქართველოს, სამშობლოს თემაზე შექმნილი ლექსებიდან, ჩვენს შემთხვევაში, პირველ რიგში ილიას „ჩემო კარგო ქვეყანავ“ გაგვასხვნდება. გარდა რიტმული მდინარებისა, ბ. ხარანულის ლექსეს მასთან აკავშირებს ია/ეა დაბოლოების მქონე სარითომ სიტყვები, ხოლო შვილების ძიება-ლოდინის მოტივი პირდაპირ დიალოგურ კონტაქტშია ილიას სიტყვებთან:

ნერილ-შვილნი წამოგესწრნენ, ნაზარდნი,  
გულმტკიცები,  
მათი ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები.

ამის გათვალისწინებით შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ბ. ხარანულის ლექსის მეორე შრის უშუალო ადრესატი ილია ჭავჭავაძეა, ვისგანაც აქტორი, – ან უკვე შთამომავალი, შეილი, – პასუხს მიერის, მთი უმეტეს, რომ ამგვარ ფიქრს ერთია ალუზიაც უმაგრებს მხარს: „იმის სახელობაზე ხე მაინც ახარია, იმ ხესაც ხომ შენ დასწავა, შენი მოსახმარია“ მიემართება ილიას სიტყვებს: „თუ სახელის შოვნა გინდა, დღეს ისეთი ნერგი დარგე, რომ ხვალე-მა მადლობით სთქვას, ნანერგითა შენით მარგე“; მაგრამ ასეთ შემთხვევაში კონტექსტს მიღმა მოქეცევა ბ. ხარანულის ლექსის სხვა სინტაგმები, გაუგებარი დარჩება, მაგალითად, რას უნდა ნიშნავდეს ფრაზა „ჩემი მკვდარი კი არა, შენი პატიმარია“, რომლის გაგებაში ისევ რიტმული ასოციაცია თუ დაგვეხმარება.

პირადად მე რიტმული ასოციაცია გალაკტიონის ცნობილ ლექსს მთავაზობს – „ეს მმობლიური ქარია“:

შავმა ნისლმა დანისლა  
მთები დალესტანისა,  
**ალიმართნენ** კოშკები  
ცისა და ნესტანისა.  
გახსოვს? ტოტი ქარისა

აქანებდა მთვარესა...

„ნეტა ახლა სადა ხარ  
და რომელსა მხარესა?“ [...]  
შავმა ნისლმა დანისლა  
მთები დალესტანისა,  
ეცემიან კოშკები  
ცისა და ნესტანისა

გარდა ერთგვაროვანი რიტმისა, ბესიკ ხარანულის ლექსი ამ უკანასკნელს სხვა ნიშნებითაც უკავშირდება: ქარი, ძიების მოტივი და სამშობლოს დაცემა-დანგრევით გამოწვეული განცდები. მაგრამ გალაკტიონის ლექსში პირდაპირ სახელდება ის, რაც ბ. ხარანულთან დეკოდირებას საჭიროებს – **ნესტანი**. ესაა მეცხრამეტე საუკუნის ქართული პატრიოტული ლირიკის ერთ-ერთი ძირითადი პარადიგმა: სამშობლო – პატიმარი სატრფო, ციხეში დატყვევებული ნესტანი, რომელიც გამომხსნელს მოელის („ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავთ, მოელის ტურფა გამომხსნელს“ – აკაეკ).

თუ გალაკტიონის ლექსში ნესტანის ცამდე აზიდული კოშკები – და არა ციხე, ინდოეთის – და არა ქაჯეთის სივრცე რომანტიზმული, საოცნებო სამშობლოს სახეა, ბ. ხარანული ფოლკლორული ალუზის გამოყენებით (შეად.: „მიველ, ციხე გავტეხე“ და „მიველ, ვნახე ვენახახი“). ამავე პარადიგმის განსხვავებულ, მნარედ ირონიზებულ მოღუსს ქმნის, უჰირისპირდება რა საკუთარი აფექტური დისკურსით ზეპირსიტყვიერი წყაროს მიზეზ-შედეგობრივ სიმწყობეებს.

რაცი სამშობლო-ნესტანის პარადიგმა „ვეფხისტყაოს-ნიდან“ იღებს სათავეს, ლოგიკური ხდება ვეფხვების გამოჩენა (დაკარგვა) ლერწმიანიდან, ლერწმიანი კი, თავისი მხრით, ალუზია უნდა იყოს სიტყვებისა „აბი ტფილელის ნამებიდან“: „და ირყეოდნენ, ვითარცა ლერწამინი, ქართაგან ძლიერთა“, რაც რწმენაშერყული გრძემოდან ვეფხვების, სამშობლოს მხსნელთა გადაკარგვას მოასწავებს.

ასეთი გააზრებისას, ვფიქრობ, უკვე გასაგებია იმედ-გაცრუების სიტყვები – „მიველ, ციხე გავტეხე, არ არიან, ქარია“, რაც გასაგებს ხდის ნინმსწრებს სტრიქონსაც – „ჩემი მკვდარი კი არა, შენი პატიმარია“. პოეტური ინფორმაცია პირდაპირი შეტყობინების ენაზე, სავარაუდოდ, ასე „ითარგმნება“: ნინაპრებო, თქვენ სამშობლო პატიმრად დაგვისახეთ, მე ციხე გავტეხე, ის ცარიელი აღმოჩნდა – პატიმარი „აქროლდა“, სამშობლო არ არსებობს. საქართველო ქარია...

ლექსის დრამატიზმს ამძაფრებს ის გარემოება, რომ აქტორს ვერ გაურკვევია, არათუ კონტრეტულად ვის მიმართოს, ვის მოსთხოვოს ან ვის გასცეს პასუხი, არამედ – ვინ არის თვითონ: შეილი, რომელსაც ევალებოდა საკუთარი დანართის შეექმნა მშობელი ქვეყნის „ სახე ბედით მთენია“, თუ მშობელი, რომელსაც სულის ამოხდომამდე უნდა მოესწრო თქმა: „ეპა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შეილი, სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი?“ ვინ არის იგი – ერის სულის გამოვლინება, თუ მისი ხორციელი ნაწილი? ან იქნებ ეს ყოველივე ერთად, ანუ თავისი ერის სული სულთაგანი და ხორცი ხორ-

## ერთი ლექსის სიცრცე

ცთაგანი, რომელიც გრძნობს, რომ ვალი აძევს წარსული-საც და მომავლასაც, როგორც შვილსა და მშობელს?

(ჟხადი მხოლოდ ერთი რამაა: ლირიკული სუბიექტი უძლურია, ზღოს ეს ვალი და ამიტომაც ლექსის დასაწყი-სიდან ისტერიამდე მისული მისი სასონარევეთილება ფი-ნალში იცვლება, ტონუსი მკვეთრად ეცემა და გაისმის გამოუყალ მდგომარეობასთან, გარდაუვალ ჭირიან შე-გუების ინტონაცია:

დღე არი, არ არიან, დამეა, არ არიან,  
ქარია, არ არიან, არ არიან, ქარია.

სიტყვა ქარი ქართულ პოეზიაში მანამდეც არაერთგ-ზის გახმიანებულა, მაგრამ მისი, როგორც პოეტური კონ-ცეპტის გენეზისი მაინც ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირი-კას უკავშირდება („დამქროლა ქარმან სასტიკმან“, „არა დაპეროლონ ნაესა ჩემსა ქართა ვნებისა“), შემდგომში კი მისი არეალი გალაკტიონმა უკიდევანოდ განაკრცო. სა-ქართველოს, ქარისა და სიკვდილის ერთ პოეტურ იმაგი-ნაციაში გაერთიანების მაგალითად ქართველ მკითხველს იქნებ ტერენტი გრანელის ეს სტრიქონებიც გაახსენდეს:

კუდება ეს მდელო და ეს ქარია  
და საქართველო ახლა მკვდარია.

მაგრამ ხომ არ იყო ქართულ პოეტურ ენაში სხვა რა-იმე წინაპირობა სინტაგმისათვის „საქართველო ქარია“? გავიხსენოთ „ვეტისტყაოსანი“, კერძოდ, ნესტანის სიტყ-ვები ტარიელისადმი „თათბირისა და გამორჩევის“. დროს: „შენ და ისი წაიკიდნეთ, ინდოეთი გარდა-ქარ-დეს“. მშო-ბელი მინის, სამშობლოს გარდაქარება არის, ჩემი ფიქ-რით ის, რამაც ბ.ხარანაულის პოეტურ ტექსტში ცნობი-ერად თუ ქვეცნობიერად გააჩინა ახლებური პოეტური ეტიმოლოგია, რომელიც იკითხება სიტყვებში „საქართვე-ლო ქარია“: სა-ქარ-თველო“ ანუ ქვეყანა, სამშობლო, რომელიც წარმავალ და წარმტაცებულ ქარს – სტიქიას არათუ ვეღარ ეხსნება, უკვე თავად ქცეულა იმად, რასაც საუკუნეთა მანძილზე ებრძოდა. ასეთია იმთავითვე მის სახელში პროცეირებული ბედისწერა.

მიუხედავად იმისა, რომ, სინამდვილეში, ჩვენი ქვეყნის ამ სახელით – „საქართველო“ – მოხსენიება გაცილებით გვიანდელი მოვლენაა და სულ რამდენიმე საუკუნეს ითვ-ლის, პოეტურ რეალობაში ამგვარი რამ სავსებით ლოგი-კურად ჯდება.

\* \* \*

მშობელი ქვეყნის უბედით გულგასენილი გალაკტიო-ნისათვის არა მხოლოდ სამშობლო, არამედ „ყოველივე ქა-რია და ჩვენება, ოპ, სიცოცხლეც უეცარი, ქარია...“. იგი გამოსავალს პოეზიაში, მშვენიერების მსახურებაში ხედავს, რადგან სწამს, რომ „მარადია ერთადერთა: შვენება“.

ესთეტიკურად მასთან იმთავითვე დაპირისპირებული ბ. ხარანაულისათვის აღარც ეს გზა დარჩენილა. იქნებ იმიტომ, რომ გალაკტიონის მაგალითით უკვე იხილა, რო-გორია ამ „ვარდისფერ გზის“ დასასრული.

ქართული ლირიკის ტრადიციებთან შეთვისებული მკითხველისათვის ეს და ბ. ხარანაულის სხვა პატრიო-ტული ლექსები, დეპერიონებული აქტორებით, თვითი-რონიითა თუ ირონიით, სიმძაფრითა თუ მასთან შენაცვ-ლებული დეპრესიულობით, ზოგჯერ ღრმა და ზოგჯერ ნაივური რეფლექსიებითაც კი – უჩვეულოა. უჩვეულოა ნინამორბედთა პოეტური მემკვიდრეობის მისული რე-ცეფციაც („ვერ გავიგეთ ეს ანბანი, მეცხრამეტე საუკუ-ნე“), მაგრამ მის მიერ ტრადიციულ პარადიგმათა ახალი წაკითხვების შედეგად შექმნილ მეტა-ტექსტებში მაინც იყვეთება ქართული პატრიოტული ლირიკის ახალ პარა-დიგმათა თავისებური კონტურები.

ანალიზი, შეიძლება, აქ დაგვემთავრებინა, მაგრამ ტექსტში რჩება ერთი ფრაზა, რომელსაც მხოლოდ პირ-ველ, ყვითით შრეს ვერ შევაუთვნებთ: „საყელოზე მოგწვ-დები, შვილები სად არიან?“ ვინაა ბასუხისმგებელი პოე-ტი-მოქალაქის ნინაშე, რომ მიბარებული შვილები არ/აღარ არიან?

გააზრება ამ სტრიქონისა მომდინარეობს იმ ტრაგი-კული რეალობიდან, რამაც დაანერინა ლექსი პოეტს. შვი-ლების უაზროდ გამნირველი ქვეყანა აღარ აღიქმება „დე-და-სამშობლოდ“, იგი მხოლოდ უგუნური მანქანაა – სა-ხელმიწოდ (ვერ) ქცეული სამშობლო!

აი, ლექსში პერსონიფიცირებულ ამ უპიროვნო მონსტრს უპირებს შენჯღლოვას პოეტი („საყელოზე მოგწვდები“), თუმცა მის ცდაში იგრძნობა ბედისწერასთან შეგუებული კაცის უილაჯობა.

ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი“ ბ. ხარანაულის პატრი-ოტული ლირიკის მუდმივი თანამდევია, ის ხან მდუმარე მონაწილეა, ხანაც ექსპლიცირებული. დასაწყისში პოემი-სა „ორივ ფურცელი, ცისა და მინის“ პოეტი ასეთი მოუ-ლოდნელი რაკურსით წარმოგვიდგენს ილიას პერსონაჟს:

ჰოი, ჰოი, ჰოი,  
გესმოდეთ და გეყურებოდეთ!  
პირს შევიცვლი, როგორც ამინდი,  
დავუპერავ რასხვას და გმობას,  
მე ვარ სული საქართველოსი.

საქართველოს უკვდავი სული კი ჯერ კიდევ როდის აფრთხილებდა ერსა და ქვეყანას, რომ ვიდრე მცნების მადლით ამალებული მისი ძე გონებით არ განსტვრეტს ცხოვრების კანონზომიერებებს, იგი, – უიმედო და შენუ-ხებული,

უქმისა დრტვინვით, გულის-წვითა მწარე

ცრემლს დაღვრის,  
მაგრამ არ ირწმენს, წამებულო, შენს აღდგენასა,  
და იგი ცრემლი ურწმენობის, ეჭვის და ტანჯვის,  
ჰლალადებს მხოლოდ ძისა შენის უძლურებასა.

ნუთუ მართლა აღსრულდა აჩრდილის ეს ავი წინათგ-რძნობა?

მართლა მოგვერია „ურწმენობა“ და „ეჭვი“?

ნუთუ ვერ ვეღირსებით ერის, როგორც „ერთის სუ-ლის ძლიერსა ქროლას?“

ლევან ბრეგაძე

## შემოთხილა

### სასოფარკვეთილებამდე

ხელოვნების სხვადასხვა დარგი ერთმანეთზე ახდენს ზოგჯერ ნაყოფიერ და ზოგჯერაც უარსაყოფა გავლენას (მა-გალითად, მხატვრობა პოეზიაზე და პოეზია მხატვრობაზე, რომანი კინემატოგრაფზე და კინემატოგრაფი რომანზე). მე-18 საუკუნის ევროპაში იმდენად ძლიერი იყო მხატვრობისა და პოეზიის არასასურველი ურთიერთგავლენა, რომ მათი გამოჯვების აუცილებლობას ლესინგმა ვრცელი ესთეტიკუ-რი ტრაქტატი „ლაოკონი“ მიუძღვნა. მას შემდეგ ხელოვ-ნების ახალი დარგები გაჩნდა და უკვე ახალი „ლაოკონის“ დაწერა არის საჭირო. დადგრძნილი გავლენის ნიმუშიდ შეიძლება დავასახელოთ მწერლების მიერ კინემატოგრაფიული მონტაჟის ხერხის ნარმატებით გამოყენება რომანში).

თანამედროვე კინოხელოვნების ახალი მოვლენაა კლიპი (ვიდეოკლიპი), რომელიც სარეკლამო ვიდეოროგ-ლებიდან განვითარდა და ჩვენ თვალინ ყალიბდება ეპო-ქისეული განწყობილების ჩინებულად ამსახველ (გამომ-ხატველ) უანრად. მისი თავისებურებებია: სიმოკლე, აუ-დიო და ვიზუალური მასალის მეტისმეტად დანაწევრებუ-ლი დამონტაჟება, კადრების სწრაფი მონაცვლეობა, სპე-ცეცექტების სიუხვე. საუკეთესო კლიპებისთვის დამახა-სიათებელია ფონად ნამყვანი მოტივის (ლაიტმოტივის) გამოყენება განმეორებული აუდიომასალის (მელოდიის, ფრაზის) ან/და განმეორებული კადრების სახით.

ბესიკ ხარანაულის „სად არიან, შვილები, შვილები სად არიან“ ვიდეოკლიპის პრინციპით არის შექმნილი. ეს მცირე-ლექსი (იგი სულ 24 სტრიქონია) ნარმოსახავს გრანდიო-ზულ უბედურებას, რომელიც საქართველოში დატრიალე-ბულ — ქარს მიაქვს ყველაფერი (მეტაფორულად: საქარ-თველ ქარად გადაქცეულა: „საქართველო აქროლდა, ვით ფოთლებში ქარია“, „საქართველო, მითარი, ნუთუ მხო-ლოდ ქარია“, „არ არიან შვილები, საქართველო ქარია“. ბგერითი სპეცეფექტი: საქართველო ქარია).

ლექსი იწყება შეშფოთებით შვილების ბედის გამო („სად არიან, შვილები, შვილები სად არიან, / გაგალ, გაეხედები, არ არიან, ქარია“); ეს შეშფოთება ბოლოს სასონარკვეთი-ლებაში გადაიზრდება („არ არიან შვილები, საქართველო ქარია, / ქარია საქართველო, შვილები არ არიან, / დღე არი, არ არიან, ლამეა, არ არიან, / ქარია, არ არიან, არ არიან, ქა-რია“). ფრაზათა მრავალჯერადი გამეორება, მთელ ლექსში და, მეტადრე, ახლახან ციტირებულ ბოლო თხო ტაეპში, ხაზს უსვამს ლექსის ლირიკული გმირის შფოთვასა და სა-სონარკვეთას, რაც კიდევ უფრო გაძლიერებულია ბგერითი სპეცეფექტით: მრავალგზის გამეორებული სიტყვების „არიან“, „ქარია“ მსგავსი ულერადობით).

შეშფოთებასა და სასონარკვეთას შორის გაიღვებს შვილების ძებნის ამსახველი კადრები. ლირიკული გმირი ეძებს მათ მკვდრებში („ჩემი მკვდარი კი არა, შენი პატიმა-რია“), ციხეში („მიველ, ციხე გავტეხე ვიზუალური სპეცე-

ფექტი. — ლ. ბ.], არ არიან, ქარია“), ეძებს ვეფხვებად წარ-მოსახულთ (კვლავ ვიზუალური სპეცეფექტი, ტრადიციუ-ლი ტერმინოლოგით — მეტაფორა): „სად არიან ვეფხვები, ლერწმიანში არიან, / ლერწმიანში ქარია, / ვეფხვები არ არიან“. გაიღვებს გოგონას სახე, რომელსაც დაკარ-გული ბიჭისთვის ვერ მოუსწრია თქმა, რომ უყვარდა („გოგო, ბიჭი გიყვარდა, თქმა ვერ მოასწარია, / გზაზე გა-მოეციდე, არ არიან, ქარია“). ეს კადრი იმის მიმანიშნებე-ლიც არის, რომ დაკარგულ შვილთა ერთი ნაწილი, რო-გორც ჩანს, ფრონტზე მიემურება.

მიმართავს ვიღაცას, უსახელოს, ანონიმს: „სად არიან შვილები, მე რომ მოგაბარეა“ (ვის აბარია ჩვენი შვილები, მას შემდეგ, რაც შინიდან გავლენ?), ანონიმი, ეტყობა, პა-სუხს ვერ იძლევა და ლირიკული გმირი აგრესიული ხდე-ბა: „საყელოზე მოგწვდები, შვილები სად არიან“.

და ამათ შორის კიდევ ერთი მიმართვა ანონიმისადმი: „იმათ სახელობაზე ხე მაინც ახარეა, / იმ ხესაც ხომ შენ დასწვავ, შენი მოსახმარია“ (ექვსი ხორ სტრიქონში: სახე-ლობაზე, ხე, ახარეა, ხესაც, ხომ, მოსახმარია, ანუ — კი-დევ ერთი ბგერითი სპეცეფექტი, ტრადიციული ტერმი-ნოლოგით — ალიტერაცია, რაც ხრიალის, ქარში სირბი-ლით ხმაჩახლეჩილი კაცის მეტყველების შთაბეჭდილებას ქმნის). ეს მიმართვა, თითქოსდა მოულოდნელი, თითქოს-და უადგილო, ერთი მხრივ, კვლავაც ლირიკული გმირის სასონარკვეთილებაზე მეტყველებს, მეორე მხრივ კი, მი-ნიშნებაა ჯარისკაცის სავალალო ბედზე ომის შემდეგ.

ყველა ტაეპი ერთმანეთს ერთიმება ერთი საერთო რით-მით (ამას მონორიმი ეწოდება), რითმად ცხრაჯერ არის გატა-ნილი ლექსის უმთავრესი სიტყვა „ქარი“ და ამდენჯერვე — ზმნა „არიან“. რითმათა სისტემაც (ყველა სტრიქონის მონო-რიმული გარითმა) და სარითმო სიტყვებად ერთი და იმავე ლექსიკულ ერთეულთა მრავალჯერადი მობრუნება ქარბორ-ბალას ასოციაციას ბადებს. ხოლო თვით ქარი, ლექსის მთავა-რი „პერსონაჟი“, ადვილად ასოცირდება ომის, სიდებუჭირის, სულიერი შეჭირების შედეგად დატრიალებულ უბედურე-ბასთან, რომელსაც „შვილები“ მიმოუფანტავს — ფრონტე-ზე, უცხოებში, საპატიმროებსა თუ სასაფლაოებზე...

ბესიკ ხარანაული სალექსო ფორმის გრძნობის არაჩვე-ულებრივი უნარით გამოიჩინება, რაც ახლებური სათქმე-ლის შესატყვისა ახლებური ფორმის მოქებნას გულისხ-მობს უპირველეს ყოვლასა („არავინ შთასხის ლვინო ახა-ლი თხიერსა ძუელსა“), ეს კი, თავის მხრივ, დროის (გპოქის) რიტმითა და აზროვნების ყაიდის გრძნობასთან არის და-კავშირებული. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს და-ინერა ეს ლექსი, ჩვენი აზრით, საუკეთესოდ გამომხატვე-ლი შფოთვის და სასონარკვეთილების იმ გრიგალისა, მი-ლენიუმის ბოლო ათწლეულში რომ დატრიალდა მზიურ, მანამდე თითქოსდა იდილიურ საქართველოში.

## გია მურლულია

## ანტისულიკო

შენ ხარ ყოველი, დანარჩენი არაფერია.  
აბუ საიდი (მე-11 საუკუნის ირანელი პოეტი)

**ვინ ხარ შენ?** აი, მთავარი კითხვა, რომლითაც ადამიანი ღმერთის მიმართავს – დანარჩენი კითხვის ნიშნები უბრალოდ წერტილებით შეიძლება შევცვალით. ადამიანთა იმედგაცრუებისა თუ სკეპსისის ისტორიაც ამასთან არის დაკავშირებული – კითხვით ნინადადებები როგორ გარდაიქმნებიან თხრობით ნინადადებებად. ეს ისე – ზოგადი დასაწყისისთვის.

ბესიკ ხარანაულის ლექსის „სად არიან შევილები“ პირველად წარითხვისთანავე ბევრი განცდა, შთაბეჭდილება თუ კითხვა დამტებადა. **ჯერ – განცდები და შთაბეჭდილებები:** მაშინვე ვიფიქრე, ძალით ნალვლანი, ჩუმი სევდითა და დარბაისელი წუხილით სავსე ლექსია-მეტეი – ისეთი, სევდითა და წუხილით, თავზარდაცემის ნინ ადამიანს რომ ამშვენიერებს. სრული უიმედობა, ლამის პრინციპის, ესთეტიკამდე ამდღებული შეგუების სიშვიდე ჩანს, მილევადი ენერგიის რიტმი თავიდან ბოლომდე გასდევს ლექსს. ხმოვნები მძლავრობენ და ფრენის სურვილს აძლევებს სიტყვებს. თითქოს ფიქრის მიხვრა-მოხვრის შარიშური ისმის. არარსებობის გამეორება და გაიგივება ქართან ამძაფრებს არამდგრადობასა და სანატრელის განქარვების შეგრძებას. ია-ზე განტყობილი რითმა დედაენის ალუზიას ბადებს და დიდ კონტრასტს ქმნის მიხვედრისა და დანახვისა (აი, ია!) გაუცნობიერებლობასა და ვერ დანახვასთან (არ არიან).

**ახლა კითხვებიც:** ვინ არის ლექსის ლირიკული გმირი? ვინ არის ის მეორე, ლირიკული გმირი ხანდახან რომ მიმართავს? ვინ არიან შევილები? რას განასახიერებს ქარი? ამდენ კითხვას რატომ არ ახლავს თუნდაც ერთი კითხვის ნიშანი? რას გამოხატავენ ვეფუხვები? რას ნიშნავს ლექსის კონტექსტში მეკვდარი და პატიმარი?

ვინ ვის მიაბარა შევილები და რას ნიშნავს ეს? – ლამის ყოველი სტრიქონი მხატვრული გამოცანაა. ეს გამოცანები, ცხადია, ცალ-ცალკე გასააზრებელი არ არის – ისინი მთელს ქმნიან.

ეს ლექსი საქართველოს ტრაგიკული განცდაა – მისი გაქრობის წუხილი, რაც ყველაფერზე მეტად შეგყვარებია. **საქართველო აქროლდა... საქართველო, მითხარი, ნუთუ მხოლოდ ქარია... საქართველო ქარია...**

თითქოს აღარ არსებობს არაფერი, რაც შენს სამშობლოს გამოხატავდა ღვთისა და სამყაროს ნინაშე. ყოველი არასული-ერი გამოხატვები და მათი გამცნობიერებელი თუ წარმომჩენი – ქართველი ადამიანი – განქარდა, ქარად და არად გადაიქცა (თითქოს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფი კი აბედითად ამოინვერა უარმოველი არ). რას ნიშნავს ეს? ქარი თან არსებობს და არც არსებობს. მისი ხმა ისმის, მისი მოქმედების შედეგებიც ჩანს ხანდახან, მაგრამ თავად არყოფნაშია. შეგიძლია მცირედი არჩევნით დატებე, რა დაარქეა ამას – არარსებულის არსებობა თუ არსებულის არარსებობა.

**ვინ ამბობს ამას?** ის არ არის პოეტი – ის უფრო მეტია, ვიდრე პოეტი, მაგრამ პოეტია. ჩემი აზრით, ის საქართვე-

ლოს უკვდავი სულია, მარად და ყველგან მასთან მყოფი, მისი არის არსთავანი. ჩვენ, საქართველოს ძველი, ახალი და მომავალი შვილები, მოკვდავნი ვართ, მაგრამ ჩვენი სიკვდილმშობელი სიცოცხლით იქსოვება მისი უკვდავება. ის, რაც ჩვენში გამოიარს, საქართველოს მუდმივა – თითქოს უპიროვნო მარადისობა, მაგრამ ყველი ჩვენგანის მცნობიც და გამომხატველიც. მისი მობარებულნი ვართ კონკრეტული დროისთვის, რასაც ჩვენი სიცოცხლე ჰქვია. მაგრამ ამ მუდმივას მდგრენელებმა სახე დაკარგეს და უამსახოდ ისნი აღარ არიან. ამგვარმა არყოფნამ ყველა და ყველაფერი მაცოცხლებელ, არისი მიმნიჭებელ ქართულ სულს განაშორა და ოდენ საკუთარ შეზღუდულ არსებობაში გამომარტყვდია. აღარ არიან ღირებულებები, რაც შენს არსებობას მუდმივას სიმაღლეს ანიჭებს და აღარავინ და არაფერი არსებობს სხვისთვის. სიცოცხლის უნივერსალური კანონი – ადამიანთა და საგანთა ერთობის მიზიდულობის ძალა (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი ერთმყოფელ ძალას რომ არქემედი სახელად) გარდაქარდა. ახლა ვეღარავინ დანერს ვეფხისა და მოყიმის ბალადას – ლერნიმიანში აღარ დადის ის ვეფხვი, მოყმეს თვალი რომ არისხნა ლეთისანი. აღარც ის – ტარიელს ნესტანს რომ აგონებდა. ქართველი კაციც უკვდავ ქართულ სულს კი არ მოუკვდა (ჩემი მეკვდარი კი არა), დროში დამწყვდეული საქართველოს პატიმარია.

რუსთაველი სიყვარულსა და ოქროს გვიხსენებდა ქართველებს. პირველი აღგვამაღლებს – პავლე მოციქულის სიტყვებს მოგვაგონებდა, მეორე კი კვლა აქა სულსა დაგვიბაშო, – გვაფრთხილებდა. წუთისოფელში, დროშია ძალლოვით ჯაჭვით დაბმულ ქართველობა, – გვეუბნება ეს ლექსი – აი, სად არიან შვილები. ამის გამო მათთან შეხმანებაც, დალაპარაკების მცდელობაც (გავალ, ავეძრახები...) უნაყოფ მცდელობაა – წარმავლობის ძრხობა მათ ხედვასა და სმენსა ახშობს. სწორედ ამიტომ არ არის ამ ლექსში კითხვის ნიშნები – რად უნდა კითხვა იმას, რასი პასუხისიც ცნობილია. სათავისო ფიქრისა და მოქმედების პალოზეა მიჯაჭვული ტრაგიკული თაობა და ამას არც ციხის გატეხვა შველის (იმიტომ, რომ არ შეიძლება საკუთარი სული გატეხო) და აღარც გაუმსხელელი სიყვარულის გზაზე გამოიდებული ძახილი.

ეს ცუდი საქემე – უმთავრესს მოწყვეტა, განთვითეულობა, დანანერება, პიროვნული მეს განუმეორებლობის სახელითა და უფლებით ერთობის საზღვრის გადალახვა – ეშმაკისაა (ეშმაკევას სახელად, ვინც მე ხელი დამრია). სწორედ მის დროშიას ანერია: მე მინდა ვიყო და ვარ უფრო მეტი, ვიდრე ვარ და ეს სიტყვები კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ამაზრენდა და ადამიანის დამღებულებად უპირისიპირდება ყველაზე მთავარ ბიბლიურ სიტყვებს, ღმერთმა რომ უთხნა მოსეს: მე ვარ, რომელა ვარ. ამის დამვიწყებლისთვის ადვილი ხდება სხვის სახელობაზე გახარებული ხის სათავისოდ დაწვაც.

აკავი ბაქრაძემ შესანიშნავად განმარტა, რომ აკავის გენიალური ლექსი „სულიკო“ ლეთის ძიებისა და პოენის განასახიერებაა. იქ ღმერთს ექბას კაცი და ყველგან პოულობს. ბესიკ ხარანაულის ლექსი კი გვეუბნება, რომ ერთ პატარა ადგილზეც კი შეუძლებელია ადამიანის პოვნა, რომელიც თავის სახელის მოწყვეტილია.

ეს ლექსი, რომელიც უკვდავი ქართული სულის საუბარია დღევანდელ დროსთან, განაჩენია. დროებითი თუ ხანგრძლივი? მხოლოდ ყველას ერთად შეგვიძლია პასუხისი გავ-ცე ამ კითხვას.

თამაზ ვასაძე

## საქართველოს გაქრობის შიში

ბესიკ ხარანულის ლექსი „სად არიან შვილები, შვილები სად არიან“ აჩენს გრძნობას და აზრს, რომ ასეთი ლექსი არ შეიძლებოდა არ დაწერილიყო, რომ იგი აუცილებლად უნდა შექმნილიყო, რათა მთელი ტრაგიკულობით გამოხატულიყო ტკივილი ბოლო ათწლეულებში საქართველოს შენირულ ახალგაზრდათა გამზ.

თუმცა ეს პოეტური რეკვიეტი თავისი შინაგანი მასშტაბით საქართველოს მთელ ისტორიას, მის ტრაგიკულ არსს, მის მარადიულ ტკივილს მოიცავს. ამით „სად არიან შვილები...“ გვაგონებს სანათას მოთქმას ვაჟა-ფშაველას, „ბახტრიონში“.

ამგვარ განზოგადებულ ხასიათს, მონუმენტურობას და ზედროულობას ბესიკ ხარანულის ლექსს ხალხურ პოეზიას მიმსგავსებული სტილი, კილო და წყობა, ფოლკლორულად სადა და განყიდებული, სივრცულ-დროით ლოკალიზებას მოკლებული ხატოვანებაც ანიჭებს („ლერ-ნმიანი“, „ვეფხვები“, „ციხე...“); ფოლკლორული ლექსის

სტილი ხალხის საერთო, საზიარო პოეტური ენაა და ამ ენით ბესიკ ხარანულის ლექსში თითქოს მთელი ერი გამოთქვამს თავის მრავალსაუკუნოვან სატანჯველს, მტკივნეულად წვდება თავის მწარე ხვედრს.

„სად არიან შვილები...“ კოშმარული სიზმრის გამხელას ჰგავს, აქ, ისე როგორც სიზმარში, სხვადასხვა განზომილებაში მოქცეული სურათები, სიტუაციები უცაბედად მონაცვლეობენ, თუმცა ამ მონაცვლეობის და სახეთა ურთიერთკავშირის შინაგანი ლოგიკა გამჭვირვალეა.

ლექსში არაჩვეულებრივად მწვავე ემოციური ძალით და ხელშესახებლობით არის ალბეჭდილი ადამიანთა შთანმთებელი არყოფნა, არარა. არარა ლექსში ღრმა, შეუხორცებელ ჭრილობასავით არის გადახსნილი. არარას საშინელ მოძალებას ყველაზე მკვეთრად გვაგრძნობინებს „არ ბერათ კომპლექსის გამუდმებული და დაუინებული, ფატალური გამეორება – არარა ლექსის მთელ ბერებად ქსოვილშია განთვენილი. მისი მთავარი ევფონიური და მეტაფორული გამოხატულება კი ქარია.“

არყოფნის მიერ „შვილების“ შთანთქმის ტრაგიკული ხილვა გადაიზრდება საქართველოს გაქრობის კოშმარულ ჩენებაში – ალარ ჩანს საქართველოს მომავალი, რადგან არ ჩანან „შვილები“ როგორც საქართველოს მომავლის შექმნელები. საქართველოს გაქრობის ჩვენს არსებაში გამჯდარი შიში ბესიკ ხარანულმა სულის შემძვრელი და გამომაფხილებელი ტრაგიკული ხელოვნებით აამეტყველა.

## მოგონებათა სკივრი

ქართული ლიტერატურის მუზეუმში დოკუმენტებზე მუშაობისას ნავაწყდი ანდრო ჩიჯავაძის ხელნაწერს. ეს მოღვაწე დაიბადა 1881 წლის 9 სექტემბერს. 1892 წელს შევიდა ქუთაისის კლასიკურ გამნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1901 წელს. იმავე წელს მოეწყო ნოვოროსიის უნივერსიტეტში, ხოლო 1902-03 წლებში სინავლობდა პეტერბურგში საბუნების მეტყველო ფაკულტეტზე. მისი მამა ნიკო ჩიჯავაძე ძველი საჩინოელ ჩიჯავაძეების შთამომავალი იყო. დედა – ყაულან ორბელიანის ქალიშვილი. პატარა ანდრო ზაფხულობით ჩადიოდა საჩხერეში ბიცოლა ნინო (ნიცა) ბაგრატიონთან, რომელსაც შექლებული ოჯახი ჰქონდა. და სადაც ხშირად ჩამოდიოდნენ უცხოელი სტუმრები. ესეც ორი მემუარული ჩანაწერი ანდრო ჩიჯავაძის არქივიდან:

### ანდრო ჩიჯავაძე

## უჩვეულო სტუმრები

### I მიკლუსო-გაკლაი საჩხერეში

1889 წელს საჩხერეში ბიცოლა ნიცას ესტუმრა რუსი ბოტანიკოსი კუზნეცოვი, რომელმაც ორი კვირა დაჲყო იქ. ორი კვირის შემდეგ საჩხერეშივე შევეცდი, ზაფხულზე მეორე კიდევ უფრო პოპულარულ პიროვნებას, განთქმულ რუს მოგზაურს მიკლუსო-მაკლაის, რადგან თუ ვინმე უცხო დაიძრებოდა თბილისიდან დასავლეთისაკენ, უსათუოდ მიადგებოდნენ სარეკომენდაციო ბარათით ბიცოლაჩემს ნიცას და ისიც დიდი სიხარულით და სტუმრა-

თმოცვარებით მიიღებდა ხოლმე ყველას. მიკლუსო-მაკლაი სარეკომენდაციო წერილი ჩამოიტანა თბილისიდან. ამ წერილის შემწერებით გაიგო ბიცოლაჩემმა სტუმრის ვინაობა და დიდის პატივით მიიღო.

შეხედულებით ეს კაცი სრულიდა არ იმსახურებდა იმ პატივისცემას, რაც იმას მიაკუთვნეს. ეს იყო მორჩილი ტანის კაცი თმა-წვერ-ულვაზიანად, რაღაც გაბურძგვნილი და გასაკვირველი დაუდევრობით ჩაცმული. რასაც მერე მივხვდი, რომ ეს მიკლუსო-მაკლაი ცნობილი მოგზაური ასეთ ველურ ხალხებში, როგორც „პაპუასებში“ ინდოჩინეთის კუნძულებზე და აფრიკის კაციჭამია ტომებში, სადაც ტანისამოსს არათუ უბრალოს, სრულიად არ ხმარობდნენ, ფიქრობდა, რომ კავკასიის მხეც ხალხებში ჩამოსული ისეთივე პირობებში მოუხდებოდა მოგზაურობა როგორც ჩამოთვლილ შორეულ უცხოეთში. მიკლუსო-მაკლაის ბიცოლაჩემმა გაუმართა საზეიმო ვახშამი. მოინვია არა მარტო საჩხერის საზოგადოება არამედ სტუმრები ჭიათურიდან ახლო-მახლო სოფლებიდან იმ მიზნით, რომ ამდენის მნახველს ხალხისთვის გაეზიარებინა შთაბეჭდილება, მაგრამ ამ ცდებმა ტყუილად ჩაიარა. მიკლუ-

ხო-მაკლაიმ თავი მოიკატუნა. სიტყვაამოუღებლად იჯდა საპატიო ადგილზე და გაფაციცებით ათვალიერებდა ასე გარეგნულად ბრწყინვალე საზოგადოებას, გამოწყობილს როგორც ეროვნულ, ისე ევროპულ ტანსაცმელში. აშკარად ჩანდა, რომ თავს მოტყუებულად გრძნობდა და რაც კავკასიაში დახვდა, კერძოდ საქართველოში, იმას სრულიად არ მოელოდა.

## II გურიალთა ოჯახური დრამა

ერთ დღეს გაიღო ჭიშკარი და ჭიათურიდან ეტლით შემოვიდნენ თრი ახალგაზრდა კაცი, რომელთაც ბიცოლაჩემი ნიცა შეხვდა ჩვეულებისამებრივი პატივისცემით, ვინ იყვნენ ეს უცხო სტუმრები, ნიკოლოზ ნაკაშიძე – მათ ცნობილი ილია ნაკაშიძის, რომელსაც მიწერ-მოწერა ჰქონდა ლევ ტოლსტოისთან, მეორე კი არაქართველი ტიპის ყმანვილი იყო ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის უმცროსი ვაჟი ანდრია ლვოვის ძე ტოლსტოი. აქედან ნაკაშიძის და ტოლსტოის მეგობრობა ნათელი ხდება და კოლია ნაკაშიძემაც ქართველი საზოგადოების გასაცნობად სხვათა შორის, თბილისიდან საჩხერეში ჩამოიყვანა ანდრია ტოლსტოი. ეს ანდრია გარეგნულად პირთნავარდნილი წვერ-ულვაშ გაპარსული ლევ ტოლსტოი იყო. მაგრამ შინაარსით არა თუ გავდა მამას, პირიქით, საშუალო ადამიანზე უფრო მდარე აღმოჩნდა, ცნობილია, რომ ტოლსტოის ცოლ-შვილი არ იყო მისი საკადრისი და მათ შორის ეს უკანასკნელი შვილი ოჯახში ყველაზე უფრო უქნარა და მაშასადამე, ყველაზე უფრო არაფრისმაქნისი. ასეთი კაცი წამოსულა სამოგზაუროთ და მომხდარა თბილისში, სადაც ის ვერ სცილდებოდა ტოლსტოის ოჯახის მეგობარს ილია ნაკაშიძეს, რომელმაც მოიშორა თავიდან და გადასცა მის ძმას კოლიას გასართობად. ბიცოლაჩემმა მისი ჩვეულებისამებრ ყოველ ნაირათ პატივი სცა. საზოგადოება დაუპატიუა, აქეთა, მაგრამ ტოლსტოის ქეიფი გამოიხატა მის უგრძნობლათ ლოთობაში და რამდენიმე დღის შემდეგ ნაკაშიძემ წაიყვანა გურიაში.

საუბედუროთ მისი გურიაში სტუმრობა გათავდა „სკანდალით“. გურიაში მისი დროის ტარების დროს მოწოდებია კონსტანტინე გურიელის ქალიშვილი და მოუნდომებია მასთან დაახლოვება. მას არ მიუღია მხედველობაში, რომ ის საქართველოშ იყო და გზადაგზა ხელის წაკვრით აქაურ ქალიშვილებთან არ გაუვიდოდა რა. მანაც უკან არ დაიხია და ოფიციალურად ცოლობის წინადადება მისცა. მოგეხსენებათ, რომ დიდი გრაფ ლევ ტოლსტოის შვილის სიძეობა დედ-მამას მეტად ესიამოვნა, ქალიშვი-



ანდრო ჩივავაძე

ლიც დაითანხმეს ასეთ მოყვრობაზე და ჩვენი ანდრიაც მოსამზადებლად და მშობლების ლოცვა-კურთხევის მისალებათ გაემგზავრა „იასნია-პალიანასკენ“ იმ შეპირებით, რომ სულ მალე მოკლე ვადაში დაბრუნდებოდა, და ჯვარსაც დაიწერდნენ. მამამ როგორ მიიღო ასეთი ახალი საქციელი შვილისგან, არ იცის კაცმა, მხოლოდ დედა მისი სოფია ანდრეევნა დიდი წყრომით და უარით შეხვდა ამ საქმეს და აი, რატომ, ის უარზე იყო ქართველი ქალის რძლით სახლში შემოშვების. მას ყავდა უკვე ერთი ქართველი ქალი რძლათ – მისი ძმის ბერსის ცოლი, ეს ბერსი გამოგზავნილი იყო საქართველოში გამომძიებლის თანამდებობაზე და მოხვდა გურიაში, აյ მას მოეწონა – და სრული გასაგებიც იყო – სილამაზით არა მარტო გურიაში განთქმული ფატი ერისთავის ქალი. იმ დროში თუკი ქართველ ქალიშვილს თუნდაც წარჩინებული წოდებისას ვინმე უცხო გამოითხოვდა, მშობლები განუკითხავათ ატანდნენ და ბედნიერადაც მიაჩინდათ ასეთი შეულება, ასე მოიქცნენ ფატის მშობლებიც. მათ ფინდაზით მიართვეს ვიღაც ბერნს თავისი მზეთუნახავი. იმანაც ჯვარი დაიწერა და პატარა ხანს შემდეგ გაუყენა ახალი ქართველი ცოლი რუსეთისაკენ. ეხლა ისმება კითხვა, რა კაცი იყო ეს ბერსი ისეთი, რომ გურიაში გამომძიებლის თანამდებობაზე გამოგზავნულა ასე განუკითხავათ, რადგან ის მხოლოდ ტოლსტოის ცოლის ძმა იყო, ბერსმა ცოლი ჩაიყვანა რუსეთში და თავის წრეში გაატარა-გამოატარა დიდის სიამაყით, ფატის იმ წამსვე ბევრი მოტრფია-ლე გაუჩნდა. ქალი გაერთო საზოგადოებაში, კარგა ხანს თავი შეიკავა და ბოლოს მიატოვა ეს მაჭანკლობით ნაპოვნი ქმარი და გადაყვა გატაცებით ვიღაც მასზე შეყვარებულ პიროვნებას.

ეს ბერსის იჯახმა და მისმა დამ „გრაფინია“ ტოლსტოისამ შეურაცხყოფად მიიღო. და ამის მიზეზით ყურში გაგონებაც კი არ ინდომა თავის სახლში ქართველი ქალის რძლად მიღება. ანდრიამაც როგორც ყოველ ნების ყოფას მოკლებულმა კაცმა დედას ვერაფერი გაუბედა და თავის დანიშნულ გურიელის ქალს უარის წერილი მოსწერა.

ეს გურიელების ოჯახის შეურაცხყოფა საზოგადოებაში გავრცელდა. თავმოყვარე ქალიშვილმა ვერ მოითმინა, თავი სასიკვდილოთ გასწირა, ირტყა რევოლვერის ტყვია და დაიჭრა, მაგრამ არა სასიკვდილოთ. იმ ქალიშვილს მერე რა ბედი ეწია, მე აღარ ვიცი. მხოლოდ ამ უმნიშვნელო კაცუნას საქართველოში ჩამოსვლამ კი ყველაზე საძაგელი შთაბეჭდილება მოახდინა.

**პუბლიკაცია მოამზადა გადარი ცურცილავამ**

## თათია ჯგუშია

## የገዢ ገዢዎችበና አጠቃላይ

1

ნერილი ჰანს შნირს

ბონში ვარ, ქარიან ბონში, სადღაც ჩრდილოეთია, სიგბურ-  
გერის ქუჩა, გასხვილი, მუქი მწვანე კორპუსები, ამავე ფერის  
ავტობუსი, რომელსაც წმ. პავლეს კათოლიკურ ეკლესიამდე  
მიყვავარ და რამდენიმე ასეულ მეტრში რონკალის ცირკი, აქ  
კლოუნებს, შენგავ განსხვავებით, სულაც არ სწყინთ, თუკი  
ტაკიძეს სხარას ეძახინ და ჰაერიც წმინდა კათოლიკურია.

„ბორის ბედია ისიც, რომ მისი ბედი არავის სწავლაში.” მგონი არა მხოლოდ ბორში, თითქმის ყველა ქალაქში ასევა ახლა, ჰპანი! ადამიანები ზურგშექცევით დადანან, ქროღვით დახუცული პატარა სამყაროები, ისეთი თავკორძანი არიან, ისე მშრალები...

მე მარი დავხატე, იმ მოყვითალო, გაცრეცილი კაბით,  
რომელსაც იძვიათად იცვამდა, ღილებით და მაქმანებით,  
ვიცი, რომ შენ მწვანე უფრო მოგწონდა, მაგრამ ამბობენ,  
მწვანე გენიოსებს ფერიაო და შემტბრალა მარი ამ სასჯე-  
ლისთვის. ამიტომ ყვითელი ჩავაცევი! თმაში ასკილის ყვავი-  
ლი ჩავამაგრე, მაგრამ დაჭენა და ჩამოვარდა...

იცი? მარი ვეღლარ იტანს ციუპფენერს, ახლა საათობით ეთამაშება რიჩ-რაჩს საკუთარ თავს და ხშირად წვება გულალმა ხის იატაკზე. მარის შენ უყვარსაა!

ქალაქის მელოდია დაზიანებული სატელეფონო ხაზების შიშინია. დადგან ნაცრისვერი ადამიანები ამავე ფერის სამოსათ, დადგან ამინდები ისევ ამ ფერის. დადგან სველი მაკინტოშები. ხეებთან გასაუბრება ვცადე, მიგამსგავს ხეებს, პანს! მათაც შეწნავით დაებზარათ სახეზე მიმხმარი გრიმი და ნაოჭებში საძილი აპიბს ვატინა. უნდა დამშვიდდა!

მამაშენი მდიდარი ორთოლოგისი კათოლიკეა, მამაჩემი – სამუდამო შევებულებაში გასული მხატვარი. შენ და დაკარგე, მე არასდროს ცუდებნივარ ჩემს დებს. შენს სახლში მუდამ თვალთმაცცურად მაღალზებრივი გარემოა, ჩემთან წვიმისგან გაჩენილი ყავისფერი დარგით შეგიძლია კედლები იკითხო. ვინდლო, დაცველებული პურის ნამცეცებისგან მუხის მორყეულ მაგიდაზე შენი სამყაროც შემოსაზღვრო. შენ ხომ შეიპენი და შუბერტი შეიღოლოდ იმიტომ გიყვარს, რომ მიწინერები, არალეთა ბრივები არიან. შენ ბევრს საუბრობ სიცარიელესა და არაზე, ჩემს ოთახში კი უნახატებო ჩარჩოები ჰქიდია, – არაფერი! შენ ყველამ მიგატოვა. ჩემი სულიც პატარა, უკაცრიელ სოფელს ჰგავს, ბუხრის მილებიდან სიჩრუმე ბოლაგს, თბილი ქვეყნებიდან დაბრუნებული მერცხლები აქეთკენ გზას ველარ იგნებენ, ან არ! შენ მარი გიყვარს, მე – ცისფერი სინათლი ფანჯარაში, ზესჭადი ჩემი კორპუსის პირდაპირ.

დამირეკე, ულონდ არ მითხრა, რომ დამტალი უოლოს  
სუნი მაქვა და იატა-გაზე გოგრის მოხალული კურკები ყრია.  
ახირებული ვიწმებ ხარ, ჰანს!

მიტირს! – შენსავით, ჯიბეში სულ რამდენიმე მარკა და ერთი პფენიგი მიგდია, ამ ფასად მხოლოდ საკუთარ თაგს თუ ვიყიდი, ეს კი მეტად უხეირო შენაძენი იქნება.

Ենք, “արագյուրու մեջմուս ծեցնուրբենի, րոմելուց յրտ նամից մեց եսանց ցրմելուց պահանջուրը, իսանց, ածրագ մեցոյիշա ամանց. մե չունուու յրտու օվելուց պահանջման կազմու դա պահանջուր ամայիշը, կազմուու շնենացուու նամեցն ազգուցք դա տայ մատնու րոմելումից կայիշամա ցամուրու, մերու ոմ լուղանու հիմեն դա պահանջուր պալուրու պահանջուր է. այս դա պահանջուր ծեցնուրբենիս նամենասակեմուլու. առ վար մժումը, քանի!

შენი ფრაზებით ვცხოვრობ, მასსოვს, მარის რომ უთხარო, „წუმპიანი თხრილის დონეზე უფრო დაბლა არხია”. მარი დაიბა, მეც წლებით ვფიქრობ და მგონა მგიხვდი კიდეც, ვცდილობ ეს სხვებსაც ავუსტანა, მაგრამ მხოლოდ ზრდილობის გამო მისმენნ, მე კი... ისევ შენი სიტყვები: „ჩემი ან ეს-მით, ან არა, ტექსტის განმარტება ჩემი საქმე არ არის!”

მე მიყვარს მარი!

გზააპნეული ბავშვი მიყყარს მასში, უმისამართოდ რომ დაბორილება, ხან სად ჩერდება, ხან სად, შენ კი ყოველ პა-უზას ლალატად უთვლი და გული გტკივა.

რამდენი მტირალა კლოუნი გამოვატარე ჩემი სულის დერეფნებში, რამდენჯერ დატოვეს დარცხვენილებმა ქალაქი, ბავშვების გაცინება ხომ ახლა გაძლებასავით ძნელია. არეაზე გასვლის წინ ფარდაზე რომ ცრემლებს იმშრალებდნენ, მე იმ ფარდებს ვხსნდი და ტრაგიკომედიების ქრონიკად ვაქცევდი, კარვები ქარმა დაშალა, სარეცხივით გაფინაზოლიანი, ვარსკვლავებიანი ფართხუნა კომბინეზონები. ჩემს ქალაქს აღარც ცეკარება შაპიტო. საქართველოში ბავშვებს უშინიათ კლოუნების, ჰანს.

მე სულ და მხოლოდ შენ გხატავ ახლა, მერე ნახატები ერთ  
ჩემს მეგობარს მიაქვს შინ, ძველი შპალერის ფონზე იმაზე  
მოწყვენილი ჩანასარ, ვიდრე ხარ ხოლმე. ჩემი მეგობარი არას-  
დროს გაგიძევს ქარში სამათხოვროდ. ის ერთი მაინც!

ეს რამსივრდე ფეხები გაქვს ხანდახან, გინდა ცა გამო-  
მაგრო? გინდა არ ჩამოგვეტცეს ცოდვით სავსეებს? ჩამო  
ძირს, ჰანს, ახლა მინაზე დღომაა გაკილებით სახიფათო.

როცა სცნაზე მთვრალი გადისარ და „ისეთ შეცდო-  
მებს უშვებ, კლოუნისთვის თავის მოქრას რომ უდრის,“  
როცა ტროლეიბუსში ხალხი ამრეზით შემოგცექრის, როცა  
დედაშენი საყოველთავა წესრიგსა და მაღალ სტილზე სა-  
უბრობს, მერე კი ოქვენგან მალულად მტაცებელივით  
ნოქავს ლორს, მამაშენი კი გამუდმებით იმის ცდაშია, რამ-  
დენად ნაკლები დახარჯოს შენზე, როცა შენი ძმა ლეო კვე-  
ლაზე ერთგული და იმავდროულად უცხოა შენთვის, როცა  
შენი დის ცყითელ ხელსახოცზე ლაქები ისე ძველდეპა, რომ  
იჯერებ, ის აღარასდროს დაბოზნდება, როცა მარი უსიტყ-  
ვოდ გტოვებს და სახსოვრად ერთ ცალ აწყვეტილ ღილსაც  
კი არ გიტოვებს, როცა ვეღარ იტან კლერიკალური წრეე-  
ბის მანერულ თავმომწონეობას, როცა ჰერი აუტანლად  
კათოლიკური და დამაავადებლად ნესტიანი ხდება, როცა  
მაჯაზე თითის მიქერით ხდებით, რომ მხოლოდ გულმა გი-  
ერთგულა, მაშინ მე ვიხსნი ვერცხლის სპილოს გულსა-  
კიდა, მუჭმი ლამის ვიჭყლეტ, თვალებს მაგრად ვხუჭავ და  
იატაკზე გულამა ვწვები.

დილით მეგობარი მოვა და ნახატს წაიღებს. – „ჩემი  
ნალვლიანი არლეკინი.”

ნინო ზაალიშვილი

## იჩქარე ნელა!

— თქვენი აზრით რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— ახლობლის უიმედო ავადმყოფობა, ომი, გაუსაძლი-სი ფიზიკური, აგრეთვე სულიერი შიმშილი.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— სადაც ვცხოვრობ. საქართველოში. გარკვეული ხანი (ერთი კვირა, ერთი თვე) ვიცხოვრებდი ევროპულ ქვეყნებში — ყველაზე დიდხანს პატარა ქალაქებში. აგრეთვე ესპანეთის, ინგლისის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, გერმანიის პატარა ქალაქებში. აზისა და აფრიკის ბევრი ქვეყნის უცნაური, საინტერესო, ხანდახან საშიში ეგზოტიკური ბუნების, მათი მოუწყობელი, ზოგჯერ სისხლიანი, გაუაზრებელი, ძალიან დაუვარცხნელი რეალობის (ასეთი ჩვენიც მეყოფა) მეშინია. მათ ხილვას ტელეეკრანზე ვამჯობინებ — ახალ ამბებში თუ ნეშიონალ ჯიოგრაფიერის გადაღებულ სერიებში. ამერიკაში ცხოვრება არასოდეს მდომებია. ჩემს ინფორმაციულ მოთხოვნილებას ამ ქვეყნაზე, მის ისტორიაზე სავსებით მიკმაყოფილებს დიდი ამერიკელი მწერლების მიერ აღნერილი და წარმოსახული ქვეყანა, ახალი ამბები. დიდ ვატივს ვცემ მათ ისტორიულ გამოცდილებას ქვეყნის აშენების მიმართულებით. ხშირად, როდესაც იმდეგაცრუებას განვიცდი ჩვენს ქვეყანაში ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენების დროს, პოლიტიკოსთა გაუაზრებელი ქმედებების გამო, ერთგვარად მამშვიდებს აბრაამ ლინკოლნის ერთ-ერთ ბიოგრაფიაში აღნერილი იმდონიდელი ამერიკის ისტორიის ზოგიერთი ეტაპის რეალობის საკმაო მსგავსება საქართველოსთან.. მაგრამ ეს რამდენი ხნის წინ იყო, რამხელა გზა გვაქვს გასავლელი, რომ ამერიკასავთ პრობლემებით აღსავს, მაგრამ მტკიცე ქვეყანა გავხდეთ. იმედს ჩვენი ნიჭიერება (მართლა მჯერა), განათლებისკენ სწრაფვა (აქ ცოტა ვფერხდებით), წარმატების სურვილი მაძლევს...

— რა არის უმალესი ბედნიერება?

— როდესაც ახლობლებს უსიტყვოდ ესმით შენი. სიმშვიდე და მდგრადობა ქვეყანაში, შენი შემოქმედებითი პროცესით და მისი ნაყოფით (თუნდაც პატარა) გამოწვე-

ული სიხარული, კმაყოფილება, რაც ცხოვრების დიდ სტიმულს იძლევა იმ შემთხვევაშიც თუ ეს მომენტი მხოლოდ ერთ ნამს გრძელდება.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ილია ჭავჭავაძის ოთარაანთ ქერივი (სულიერი სიმტკიცის ნიმუშისთვის), ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის პატარა უფლისნული (იმედიანობისთვის), პარიეტ ბიჩერ სტოუს ბიძია თომა (სიბრალულის, თანაგრძნობის) ვაჟა-ფშაველას შვლის ნუკრი (ბუნების სიყვარულის) გრძნობის გაღვიძებისთვის.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ილია ჭავჭავაძე, მაჲატმა განდი, აბრაამ ლინკოლნი, ნიკონი კოლაძე, მონასტრებში მოღვაწე ცნობილი და უსახელო გადამერები

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— თავის დროზე ობრი ბერდსლეი, აბლა — ოსკარ კოკოშვა. ძალიან მიხაროდა, როდესაც მრავალი წლის წინ ჩემთვის აღმოვაჩინე იმ დროს თითქმის მივინებული მოდერნის სტილი (რუგენდ სტილი). ყოველთვის მხიბლავდა ლეონარდოს და მიქელანჯელოს ნიჭიერების მასშტაბები. საქართველოსთვის, მისი ხელოვნებისთვის განტეული სამსახურისთვის დიდ პატივს ვცემ დიმიტრი შევარდნაძეს, ხელოვნებათმცოდნე გიორგი ჩუბინაშვილს.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— „ჩაკრულოს“ ავტორი. მოცარტი, მორის რაველი... რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— პასუხისმგებლობის გრძნობას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— სიკეთეს.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— შემწყნარებლობა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ხატვა, კითხვა, ადამიანებთან ურთიერთობა. მაქვს საქმე, რომელსაც ალბათ ჩემში არსებული “მანია გრანდიოზას” ელემენტები მაკეთებინებს - მუშაობა ლექსიკონზე “ქართული მხატვრობა”, რომელშიც მინდა შევიდეს საქართველოში საუკუნეების მანძილზე მოღვაწე ყველა ქართველი და უცხოელი, უცხოეთში მოღვაწე ქართველი მხატვრის, ხელოვნებათმცოდნის, კოლექციონერის ბიოგრაფიული და შემოქმედებითი ბიოგრაფია. კომპიუტერში ამჟამად 7500 სახელია. ამ ოდენობის მასალას მაფრთხობს, მაგრამ წარმატების იმედს მაძლევს უკვე



განხორციელებული გამოცემა “ქართული ბიოგრაფიული ცენტრის” მიერ 2000 წელს გამოცემული “ვინ ვინაა ქართული ხელოვნებაში. მხატვრები და ხელოვნებათმცოდნები” (მასში 1700 მეტი ამჟამად მოქმედი ხელოვანის ბიოგრაფია შევიდა). ნაკლოვანებების მიუხედავად წიგნმა გარევეული სასარგებლო ფუნქცია შეიძინა და ცოცხლობს. როგორც ერთმა მეგობარმა, მწარე ენის პატრონმა მხატვარმა იხუმრა — ალბათ სიკვდილის შემდეგ შენს საფლავის ქვაზე წააწერენ — ახლა მაინც ხომ გაიგე ვინ ვინაა? ძალიან მინდა რომ მოვასწრო ამ გამოცემის დასრულება.

— თქვენის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით

— დედაქემი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— მიმტევებლობა. გამართლების მოძებნა სხვათა თუნდაც უგუნური, ბოროტი საქციელისთვის.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— მხარდაჭერის უნარს ექსტრემალურ სიტუაციაში.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ნაკლი ბევრი მაქვს. უმთავრესია დროის არარაციონალური გამოყენება, ჩემთვის სამომავლოდ მომგებიანი პრიორიტეტების არასწორი განსაზღვრა, ნელი რეაქცია არასასიამოვნო მოვლენებზე.

— თქვენი ნარმოდგენა ბედნიერებაზე?

— როგორსაც გარშემო ყველა (უმრავლესობა) ბედნიერია, ან ყოველ შემთხვევაში აქვს პერსპექტივა იყოს ბედნიერი. ქვეყანას (საქართველოს) არ ჰქონდეს დაკარგული განვითარების პერსპექტივა.

შეიძლიმელების — პარბარეს და ქეთევანის სიყვარული, ნათელი მომავალი.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ახლობლების დაკარგვა, ომი, შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობის, სურვილის დაკარგვა.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— უფრო მტკიცე ხასიათის, უფრო პრაქტიკული.

— თქვენი საყვარელი ფრინ?

— თეთრი.

— ყავილი რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ია, ზამბაზი, კალა (მაგრამ მისი სიყვარულის მეშინია, ამბობენ უბედურება მოაქვსო). რამდენიმე წლის წინ ურნალ “ომეგაში” დაიბეჭდა ჩემი ესეების სერია ყვავილებზე (არამხოლოდ), მასში ყვავილებთან დავაკავშირე ქვეყნის ისტორიაში განვითარებული მოვლენები, ჩემი ცხოვრების ეპიზოდები. სამწუხაროდ, სერია შეწყდა უურნალ “ომეგას”, საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო უურნალის დახურვის გამო...

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— მერცხალი.

— თქვენი საყვარელი მნერალი?

— მიშელ მონტენი, “სარაგოსაში ნაპოვნი ხელნაწერი” - ს ავტორი — იან პოტოცკი, უილიამ შექსპირი. შექსპირისადმი ქართველი მხატვრების დამოკიდებულების თემას მიუუძველი მრავალი წელი, მოვაწყე გამოფენა და კონფერენცია “ქართული სახვითი შექსპირიანა”. მოვიძიე 300-ზე

მეტი ქართველი მხატვარი, რომელიც ამათუმი ფორმით შეეხმადიდ ინგლისელის შემოქმედებას. მოვიპოვე ძალიან საინტერესო ვიზუალური მასალა. სამწუხაროა, რომ ეს მოვლენა, ფენომენი არ არის სრულად ცნობილი საქართველოში და მით უმეტეს უცხოეთში. იგი საქართველოს კულტურულ დალოგიში ჩართულობის არაჩვეულებრივი მაგალითი. იმდენა, როდესმე მაინც შევძლებ გამოვცე ალბომი ამ უნიკალური მასალით, მაშინ მსოფლიო საზოგადოება დაინახავს მოვლენის მასშტაბურობას.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ვაუა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, რობერტ ბერნსი, ფარანსუა ვიონინი.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ოთარაანთ ქვრივი, პენელოპე.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— მაჟარტმა განდი, ილია ჭავჭავაძე, ქართველი მოჭადრაკე ქალები მათი ზენიტში ყოვნისას.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— უანა დ' არკი (ჩემი საპირისპირო ხასიათის მქონე გმირი).

— საყვარელი სახელები?

— კაცების — ირაკლი, ქალების — ბარბარე, ქეთევანი, ანა-მარია.

— რას ვერ იტანთ ყველზე მეტად?

— პირვერობას, მლიქევნელობას, ლალატს.

— ისტორიული პირი, რომელმაც თქვენი ზიზლი დაიმსახურა?

— სტალინი, შადიმან ბარათაშვილი.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით ლირსი მეტ ნაკლები აღტაცებისა?

— ქართველების ბრძოლა დიდგორში, სპარტელებისა თერმოპილეში.

— რეფირმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— მონბობის გაუქმება ამერიკაში, ბატონიწმობის გადავარდნა საქართველოში, ქალებისათვის ხმის მიცემის უფლების მიცემა. სიკვდილის დასჯის გაუქმება.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— სიმღერის უნარი.

— როგორ გინდოდათ მოქვდარიყავით?

— უცებ.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— შიშით შეპყრობილი, დათრგუნული, ქვეყნის წინაშე მდგარი გარეშე საფრთხეების გამო, რამაც შესაძლებელია ყველა ჩვენგანის ცხოვრებაზე იმოქმედოს.

— ქმედებანი, რომელიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— სხვისთვის უვნებელი ადამიანური სისუსტეები.

— თქვენი დევიზი?

— იჩქარე ნელა.

— თუკი ოდესმე შეხვდებით ლმერთს, რას ისურვებით რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ალბათ ვერაფრის თხოვნას ვერ გავბედავდი. თუ მაინცდამაინც... ენიშნებინა რომ ტყუილად არ მიცხოვია.

იგი აღარ არის დებიუტანტი და ამიტომ სხვანაირად ვკითხულობთ, ცოტა უფრო მკაცრად, ცოტა უფრო კრიტიკულად. ეს ხა-ნაც გასავლელი აქვს და ალბათ გაივლის ისევე ღირსეულად, როგორც დაიწყო.

უთუოდ ნიჭიერი მთხოვნელია ლევან ლორია.

კითხულობ და გრძნობ, რომ ამბის გადმოცემის კანონები შესწავლილი კი არა, შეთვისებულ-შესისხლხორცებული აქვს, მეტიც, ეს აშკარად თანდაყოლილი ნიჭია, გვერდიკური სიღრმეებიდან მომდინარე მადლი.

მასში არის ის, რის გარეშეც მნერალი ვერ გახდები — ხედვა ანუ ხილული საგნის უნარი, მოვლენების დეტალებად წარმოდგენის ჩვევა, ცინცხალი გონება, რიტმის გრძნობა და ტაქტიანი დამოკიდებულება მკითხველთან.

თავისუფალია, გადამდებარება თავისუფალი და შესაძლოა ეს იყოს მისი ღირსებაც და, გნებავთ, ნაკლიც. აქედან მომდინარეობს ამ ერთი შეხედვით მარტივი თხრობის სიხალისე, სინრფელე და უშუალობა, რასაც აგვირგვინებს სინამდვილისა და ფანტაზიის ძალდაუტანებელი შეხამება.

იგი არ ქმნის სიუჟეტს, მხოლოდ განცდებს გადმოგვცემს. მთელი მოთხოვნაც ეს არის — განცდა როგორც ამბავი, ამიტომაც უბრალო, სარწმუნო, დასამახსოვრებელი.

### ლევან ლორია

## პირე ცაში, ანუ ნაბიჯ-ნაბიჯ დარჩი

### ნაბიჯი 1. „ნეტარ არიან...“

სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში არაფერი არ არის საერთო, ოთახებსა და კარადის თაროებს თუ არ ჩავთვლით...

ან რატო უნდა იყოს საერთო?

მერე რა, რომ დილით თუ გვიან გაიღვიძებ, შეიძლება უშარვლოდ ან უპერანგოდ დარჩე და ფეხსაცმლებსაც ვერ მიაგნო...

მაგრამ ოთახები მაინც ერთნაირ ხასიათებს აერთიანებს...

მაგალითად, არ შეიძლება იცხოვრო ადამიანთან ერთად, რომელიც გეტყვის, ვერცადინეობ და ცხვირს ხმა-მალლა ნუ აცემინებო...

ან ადამიანთან, რომელიც სინათლეს თუ აუნთებ დამე, გეტყვის კომენდატთან გიჩივლებო...

ოთახში სამნი ვართ...

მუსიკოსი, მხატვარი და მე...

მუსიკოსი, მომავალი - დათოა...

მხატვარი, მომავალი - გია...

ჩემი მომავალი ბურუსითაა მოცული...

მე გებეის სტუდენტი ვარ...

ლექციაზე 45 წელი ყოფნა ჩემს ძალებს ალემატება, ამიტომ ვერიდები. თან სესიებამდე მაინც მავიწყდება რას მიკითხავენ და თავიდან მიწევს სწავლა, რათა არ გამრიცხონ. გამოცდის წინა დღეს ბიჭები ერთად ვიკრიბებით სადმე, ან საერთო საცხოვრებელში, ან ვინმე თბილისელის ბინაში და დილამდე ლუდითა და ფორმულებით ვიტენებით...

გამოცდის შემდეგ ლუდისგან და ფორმულებისგან ერთდღოულად ვიცლებით...

დათო და გია ლექსებსაც წერენ: როგორც ვიცი, ვინც ლექსას წერს, პოეტის ეძახიან...

რომ ვეტყვი პოეტები ხართ-მეთქი, გაგიუდიო? ეს ისე ჩვენთვის ვწეროთ...

კიდევ მე გავგიშ-დი?! თუ თავისთვის წე-რენ, მე რას მერჩიან?!

ადგება რომელიმე ღამით, მთვარეული-ვით, სინათლეს აან-თებს (თუმცა მთვა-რეული სინათლეს არ ანთებს) და დაინყებს რაღაცის წერას...

გასაგებია, მუზა ენ-ვია...

სინათლე თვალებ-ში მიჭირტინებს და სა-ბანში ღრმად ვძვრები...

მერე უკვე რაც დაწერეს იმის წაკითხვის დროა...

მთხოვენ, რომ მოვისმინო...

არ მიყვარს მუზა, მითუმეტეს, თუ მის გამო შუალამე-ზე მაღვიძებენ...

ერთხელ მეც თუ მეწვია. თან ასეთ უდროო დროს, აუცილებლად ვეტყვი, თავი დამანების და დამაძინოს...

ისე კი ზრდილობიანი ვარ - საერთოდ იშვიათად ვიგი-ნები და ვუსმენ, რიგ-რიგობით ხან ერთს, ხან მეორეს, თვალდახუჭულია...

და მეძინება...

თუ გამალვიძეს არ ვამხელ, რომ მეძინა, უბრალოდ, ვე-უბრები რომ თვალდახუჭული უფრო ალვიქვამ პოეზიას...

სჯერათ...

„ნეტარ არიან მორწმუნენი, რამეთუ სჯერათ“.

### ნაბიჯი 2. მცირე პიზნესი

ბიჭები ღამით, მუზა რომ მოუვათ, ლექსებს თავისთვის წერენ...

დღე კიდევ შეკვეთით... სხვისთვის...

მოდის რომელიმე შეყვარებული ჭაბუკი (ერთი-ორი ჯგუფელი მეც მოვიყვნე), მოაქეს თავისი სატრფოს მონაცემები: სახელი - ზუსტი. თმის ფერი, თვალის ფერი, ასაკი მიახლოებითი...

მეორე დღეს ლექსი მზად არის...

ანაზღაურება: სახინკლე, ათ-ათი ხინკალი, მისი ლუ-დით და არაყი, ჩასაფენად...

შეკვეთების რაოდენობა განსაკუთრებით თებერვლი-



სა და აპრილის შუა რიცხვებში იზრდება, ვითომ სიყვარულის დღეაო და რამე...  
ეჭ, კარგი იქნებოდა ყოველი დღე სიყვარულის რომ იყოს...

### ნაბიჯი 3. ლალი

დღეს გიას ჯგუფელები მოყვნენ: რალაცები უნდა ხაზონ თუ ხატონ...  
პირველად მაშინ დავინახე ლალი... (რა ლამაზი სახელია ლალი)...

ისეთი მშვიდი თვალები აქვს, როგორც ზღვაა დილით, წვიმის შემდეგ, რომ გადაიდებს, ცაზე არც ერთი ლრუბლის ქულა რომ არ ჩანს, ნიავიც არ ქრის... ასეთ ამინდს მეზღვაურები მგონა შტილს ეძახიან... თუმცა თვალები შავი აქვს... მერე რა, შავ ზღვასაც ხომ შავი ქვია...  
ხმა არ ამომილია, ჩუმად ვიყავი...  
არა, - „სასიმოვნოა-მეთქი“, ვთქვი, როცა გაცნობის რიტუალი ჩატარდა...

ინსტიტუტში წასვლას ვაპირებდი, მაგრამ გადავიფიქრე... წიგნი ავიღე...  
გიამ, — საღამოს, არ გითხარი, წიგნს უკულმა კითხულობდი, კიდევ კარგი ვერ შეგნიშნესო...  
აზრზე არ არის, საიდან მოიტანა, რომ ვკითხულობდი? უკულმა კი არა, წალმა წაკითხვა მეზარება... ვითომ წიგნს, არა და ლალის ვუყურებდი... ვუყურებდი და მიხაროდა...  
ერთი-ორჯერ თვითონაც გამომხედა...  
მერე წავედი...  
გიამ საღამოს, ვითომც და სხვათაშორის, ლალიმ შენზე მკითხა, ვინ იყო ის სიმპატიური ბიჭიო...  
ეს მისთვის ვითომც და სხვათაშორის. აბა ჩემთვის ეკითხა?!  
ხო, ისიც უთქვამს: როგორ ყვარებია კითხვა, ეტყობა ლიტერატურა ძალიან უყვარსო...  
მართლა ასე თქვა-მეთქი?! — ერთი თხუთმეტჯერ ვკითხე.  
ძალიან რომ შენუხდა: „არა, გეხუმრეო“.

მერე კიდე თხუთმეტჯერ ვკითხე, მართლა მეხუმრე-მეთქი?  
ამკარად ცუდად გახდა და მეტჯერ არ მიკითხავს...  
არა, ვკითხვდი, მაგრამ მეტი ამ საკითხზე არაფერი მკითხო თორებ ისე გცემ, ლალიმ კი არა შენშა პატრონშა ვერ გიცნოსო...  
ეს ვარიანტი არ მომენტია, ამიტომაც გავჩიმდი...  
არ გაერთიანდი, მაგრამ გია, გარდა იმისა რომ ხატავს, ძიუდისტია. მე რომ დილით მძინავს, ის ვარჯიშობს...  
რათ უნდა ხატვას ძიუდო?  
არ ვიცი...

### ნაბიჯი 4. პიგინა აუცილებელია

საღამობით გიას დაკითხვას ვაგრძელებ...  
ბიჭები მგონი რალაცას ხვდებიან...  
რას ხვდებიან არ ვიცი, ჯერ მე თვითონ ვერაფერს მიმხდარვარ...  
ერთი კია, სულ ლალიზე ვფიქრობ, სულ მისი თვალები მელანდება, მისი თითოეული მოძრაობა, გამოხედვა, ლიმილი...  
ჩემთან, ინსტიტუტში არ დავდივარ, უკვე ორჯერ მივაკითხე გიას სამსატვრო აკადემიაში (გიას ისედაც ყოველდღე ვხედავ ლალი მინდოდა მენახა). კიდევ ორჯერ დავინახე ლალი... არ მივსულვარ...  
მეორედ რომ ვიყავი, გიამ რალაცა მკითხა, მაგრამ რა, ვერ გავიგე. მერე ვიფიქრე, რა უნდა ეკითხა, ალბათ საათი და ორია-მეთქი...  
ფეხბურთის აზრზე არ ხარო...  
მერე მივხვდი, რომ საათი არ უკითხავს...  
ჯილდორდინით არ ითამაშებს, დისკვალიფიკაცია აქვს, ინდაგი ალთა-ბალთა დარბის, შევჩერე ჩელსის მიყიდეს, ვინ ყავთ გოლის გამტანიო...  
მერე მივხვდი, ბაირნ-მილანის თამაშზე უკითხავთ...  
მაინც არ გადავთქვი, ორიანია, ბურთი მრგვალია...  
(ის არ მითქამს კაკას იმდინარე ვარ-მეთქი, რა სახელია კაკა, არადა ფეხბურთს კარგად თამაშობს)  
გიას ჯგუფელებიც ისე იცინიან, თითქოს ვანგა იყოს მაგათი მეზობელი...  
იქიდან წამოსულმა ჯერ ტოტალიზატორში გავიარე და ათი ლარი „მილანზე“ დავდე, სიტყვა-სიტყვაა...  
თან მალე დაბადების დღე მოდის და ფული მჭირდება...  
გადასასვლელზე მანქანამ კინალამ დამატყა...  
ისე ეს რა უბედურებაა, დაგარტყამს მანქანა და მორჩა, ალარც დაბადების დღე, ალარც საჩუქრები...  
გადავრჩი...  
საღამოს ისევ გიას დაკითხვა: დღეს თუ მიკითხა, რას აკეთებდა, რა დახატა...  
ბოლო კითხვა, კიდევ როდის მოვლენ სამეცადინოდ: ხვალ ორზეო...  
რა მაგარია, ხვალ მშვიდ ზღვას ვნახავ... შავ ზღვას - ხვალ ლალის ვნახავ!  
მთავარია გადასასვლელზე მანქანამ არ დამარტყა...  
ხვალ მხოლოდ მინისქვეშა გადასასვლელებით უნდა ვისარგებლო...  
ამ საღამოს ტანსაცმელი აუცილებლად უნდა გავრცხო, შეიძლება გაშრობა ვერ მოსწროს, მერე რა, ლექციებზე არ წავალ. დილით თინა დეიდას (ჩვენი ექთანია) ვთხოვ და გამიცითორებს...  
ხო, დღეს წვერიც უნდა გავიპარსო...  
მილანშა მართლა ძოიგო...

### ნაბიჯი 5. „რაც მოვივა...“

დილა. ტანსაცმელი თითქმის გაშრა. თინა დეიდამ გამიუთივა. წვერიც გავიპარსე...  
ბარემ, ლექციებზე წავალ-მეთქი და წავედი. მორიგე ინსტიტუტში არ მიშვებს - სტუდბილეთი დამრჩა, გარეცხილ-გაუთოებულ-გაპარსული კი ვერ მიცნო...  
აგაშენა ლმერთმა, რალაც არ ვარ ლექციის ხასიათზე, ცოტას გავივლი...  
ტოტალიზატორში მოგებული ფული ავიღე...  
ქუჩაში შემხედრ ყველა გოგოს ლალის ვადარებ... ლალი ყველაზე ლამაზია... უკონკურენტოა... აი, მოსაცდელ

თან ეს გოგო ცოტათი ჰგავს, მაგრამ მხოლოდ ცოტათი... ვაი... ლალი...

- გამარჯობა, ლალი!
- გამარჯობათ!
- როგორა ხარ?
- უკაცრავად, ვერ გიცანით!
- გის მეგობარი ვარ, ერთად ვცხოვრობთ საერთო საცხოვრებელში... გახსოვთ სტუდენტაქში იყავით ჩვენ-თან, რაღაცას ხაზავდით...
- აა, გამახსენდა, თქვენ კი წვერი მოშვებული გქონ-დათ ხო? აკადემიაშიც დაგინახეთ!
- ხო, რა კარგი მეხსიერება გაქვთ!
- იცით წვერებში სულ სხვანაირი ხართ, დახატვაც კი მინდოდა თქვენი...
- ...

## ნაბიჯი 6. ვერნისაზი

რაღა მაინც და მაინც ახლა შემომიჩნდა ჰიგიენის ჭია... ვინ დამლუპა? არავინ. საკუთარმა თავმა...

პრინციპში წვერი მოვიპარსე, ხომ არ ამომიძირკვავს: ბოლო-ბოლო ისევ ამოვა...

ასეც ვუთხარი, გაეღიმა...

მხარზე აბგა ჰქონდა გადაკიდებული ნახატებით...

— შენია? — მივუთითე...

— კი.

— შეიძლება დავათვალიერო?

— შეიძლება.

იქვე მოსაცდელში სკამზე ჩამოვჯექით. ლალიმ ნახა-ტები ამონაწყო, სულ სამი.

ერთ ნახატზე ძეველი თბილისის ხედი იყო, აიგნიანი სახლებით და მტკვარზე ტივით.

მეორეზე დიდი მინდორი, ათასნაირი ყვავილებით სავ-სე და ბაგშვი ჰქონდება დასდევდა....

მესამეზე კი ხე იყო დახატული, შეშველი ხე და ირგვ-ლივ თოვლი იდო, ტოტებზეც თოვლი იდო და მოშორებით ხევი ჩანდა. მერე ხევის სურათი ნისლში იძირებოდა...

და კიდევ იყო ერთი ნახატი, ლალი. ყველაზე ლამაზი ნახატი... მაგრამ ამას ხომ ვერ ვიტყოდი? ისე ნახატებს რომ ვათვალიერებდი, ლალისაც ვუჭვრეტდი და მიხარო-და, რომ, რომ...

რა ვიცი რა მიხაროდა, მიხაროდა რომ ჩემთან იყო, მი-ხაროდა რომ მე ლალის ნახატებს და ლალის ვათვალიე-რებდი... მიხაროდა, რომ ირგვლივ უამრავი მანქანა და ხალხი დადიოდა, ზოგიც იდგა და მე კი ისეთი შეგრძენება მქონდა თითქოს ჩვენ ორნი ვიყავით მარტო, მთელ ქალაქ-ში, მთელ დედამიწაზე, მთელ გალაქტიკაში... მერე ისევ ჩვენს პლანეტას დავუბრუნდი. ხალხი გაჩერებაზე ჩვენ გვიყურებდა. ერთი მოვიდა და ეს ნახატები იყიდებაო? - იკითხა. ლალიმ სიცილი დაბწყო, არაო...

მე თვალებით ვუთხარი (კერძო კოლექციონერს) დაახ-ვიე-მეტქი...

მოგვშორდა...

იქვე გაჩერებაზე, გაზეთების თუ კასეტების გამყიდ-ველს პანჩის სიმღერა ჩაერთო;

„მე თავით მინდა გადავხტე შენი თვალების სილრმეში, შეცურო, და იქ სხივით დავრჩე...“

მე შენს სულს მინდა მოვხვიო შეყვარებული ხელები დამადე თვალებზე...

მინდა რომ დარჩე...“

ეს სიტყვები პანჩის რომ არ დაეწერა მე დავწერდი-მეოქი, უფთხარი...

გაეცინა... მერე სიმღერა გათიშეს... ეტყობა მოენონათ კასეტა და იყიდეს...

ცოტა გავიაროთ-მეტქი, კარგიო...

— პირველად რომ გნახე, წიგნს კითხულობდი, ეტყობა კითხვა გიყვარს? — მეეთხება.

— კი, — ვერ შემამჩნია კიდევ კარგი, მგონი გავწითლ-დი. დღეს დავუბრუნდები თუ არა, გიას და დათოს რაც წიგ-ნები აქვთ, ყველა უნდა წავიკითხო...

— რომელი ავტორები გიყვარს?

რომელი მიყვარს, რომელი მიყვარს, ამაზე ჯერ არ დავფიქრებულვარ. მოიცა ვინ გამიგონია, რუსთაველი, სერვანტესი. რადგან გამიგონია, ე. ი. მიყვარს.

— რუსთაველი, სერვანტესი.

— ხო, საუკუნეებს გაუძლეს... საოცრებაა არა? იმ დროს რამდენი მდიდარი ადამიანი იქნებოდა, ვის ახსოვს?

— ხო, გამოდის დრო დაამარცხეს, ყველას რომ დროს ეშინია, თვითონ დროს კი — პირამიდების.

— აი, ჯოკონდა კი მხატვარმა გახადა უკუდავი! - ბილ-ბორდზე მიმანიშნა, ჯოკონდა რომელიღაც სუნამოს უკე-თებდა რეკლამას.

— ის ვერ გავიგე რად უნდოდა ეს ორი სათაური. მონა ლიზა და ჯოკონდა. ერთ-ერთი დაეტოვებინა, არ შეიძლე-ბოდა? და ვინჩის „ცისფერი მთები, ანუ ტიან-შანი“ აქვს ალბათ ნანახი! — გაიცინა.

— იცი ყველაზე კარგი მხატვარი? — მკითხა უცებ, თან მოდის ჩემს გვერდით და ვერც ხვდება რამხელა ბედ-ნიერება მოდის...

— კი, ფიროსამანი.

— არა, ბუნება. ნახე ბუნებას რა შეუძლია! — და იქვე ყვავილების მაღაზიასთან ჩამწკრივებულ თაიგულებზე მიმანიშნა...

— გინდა, ყვავილებს გიყიდი? — ენაზე ვიკბინე, უნდა აპა არ უნდა? ფული მაქვს („მილანს“ ვენაცვალე)...

— არ მიყვარს ყვავილებს რომ მჩუქნიან, მეცოდებიან...

— ამ ერთხელ მაპატიიე... — ერთი ლამაზი თაიგული ავარჩიე (ბურთი მრგვალია... სულ კი არ მოიგებს მილა-ნი)...

— არა და როგორი ლამაზებია, არა? — თქვა და გულ-ზე მიიხუტა ყვავილები...

— შენ უფრო ლამაზი ხარ! — გავთამამდი...

მართლაო... ვითომ არ იცოდა!

მერე დავდიოდით, ათას რამეზე ვსაუბრობდით და მეჩერებოდა რომ ფეხებს კი არ ვაბიჯებდი, ბედნიერების ნისლეულში დავცურავდი...

სულ გადაგვაიწყდა, რომ დღეს უნდა სამეცადინოდ მოსულიყო...

მერე ლუდის ბარში ვებატიუებოდი (მილანს ვენაცვა-ლე) და არა, კაფეში ჩაი დავლიოთო...

დავლიეთ. ნამცხვარიც მივაყოლეთ. ჩაის არაქართულ, ერთჯერად პაკეტებს სახელი „აკბარი“ ეწერა. მე ბიცოლა-ჩემის და ბიძაჩემის ოჯახური დრამა გამახსენდა: ბიცოლა-ჩემი რაღაცაზე ეჩჩუბებოდა ბიძაჩემს, შენო იცი ვის გევხა-რო: აი, ფილმი რომ გადიოდა „აკბარი“, ძალი რომ იყო აკ-ბარიო და რომ იყეფებოდა, აი იმას გევხარო... ბიძაჩემმა, კაი კინომცოდნესავით, მეც მინახავს მაგი „აკბარი“, დიდი ვერაფერი ფილმია... ეს მოვუყევი, ბევრი იცინა...

მერე სახლამდე მი-

ვაცილე...

გზამი ვეკითხები, თვალებში სულ შტილი გაქვს თუ ხანდახან ცუ-ნამსაც აჩვენებ-მეთქი, და ეს რას ნიშნავს... მერე ვეტხარი თვაიდან შავი ზღვა რომ მეგონა...

იცინა... მგონი, მგო-ნი კი არა და მართლა, ანი ყოველი დღე სიყვა-რულისაა...

#### ნაბიჯი 7. მიხარია, რომ ხარ...

სტუდექალაქში დაბ-რუნებულს გია და მისი ჯგუფელები ისევ ჩვენ-თან დამსვდნენ...

გიამ შემომხედა და: რა გჭირსო...

არაფერი, რა უნდა მჭირდეს-მეთქი...

აბა რა გაცინებსო?

ახალ ანეკდოტი ვი-ცი-მეთქი...

აბა მოყევიო...

ჭიჭიკია ამბობს, ბი-ჭიჭიკიას იმზელა ცოლი ყავს, ტაქსმა რომ შემოუაროს, სამ ლარს წერსო...

სიცილით მოკვდნენ, ეს რა ახალი ანეკდოტიაო...

რავი, კი გაგეცინათ-მეთქი...

მერე გიას ჯგუფელები წავიდნენ...

სამაგიეროდ დათო მოვიდა და გიტარას მოკიდა ხელი, ახალი მელოდია ვისნავლე, ზეპელინების „კიბე ცაშიო“, მერე ის იყო დაკვრა უნდა დაეწყო, მე მეკითხება, რა გაცი-ნებსო...

გიამ, ახალი ანეკდოტი იცისო...

დათომ, აბა მოყევიო...

რა მექნა, იმასაც მოვუყევი ბიჭიკიას ცოლის ამპავი... იგივე რეაქცია. მერე დათომ, ყოველივე ახალი ვითომ დავინუებული ძველიაო...

არა, ამას სხვა რამე ჭირსო, გიამ... ხო, მართლა დღეს რატომ არ მკითხე ლალიზე რამე, უნდა მოსულიყო სამე-

ცადინოდ და არ მოვიდა, მობილურიც გათიშული ჰქონ-დაო...

დღეს შემთხვევით შემხვდა-მეთქი, ვერ მოვითმინე მა-ინც... თან ვფიქრობ ეს „კიბე ცაში“ რას ნიშნავს-მეთქი, მაგრამ არ მიკითხავს...

ახლა ყველაფერი გასაგებიაო, — დათომ...

მერე უკევ როლები შევიცვალეთ, ახლა გიას და დათოს აინტერესებდა სად ვიყავით, რა ვილაპარაკეთ...

არაფერიც არ მითქ-ვამს, „სიყვარულსა მალ-ვა უნდა“...

მერე ბიჭებო ფული მოვიგე, სახისულე ჩემ-ზეა, მეც დამინერეთ რა-მე-მეთქი...

იუარეს, დათომ შენ ხომ არ მოგატყუებო...

გიამ, მე კიდე ლალის ვერ მოვატყუებო... ფული დაბადების დღისთვის შეინახეო...

გავბრაზდი უარი რომ მითხრეს, „თქვენც ძმაკა-ცები ხართ-მეთქი“ და მთელი სალამო ხმა არ ამომილია...

ჩემი დანაქადნი გა-მახსენდა. თაროდან, სა-დაც დათოს და გიას წიგ-ნები უწყვათ, ერთი ავი-ლე და ჩემს ლოგინზე წა-მოვნექი... როჟე მარტინ დიუ გარი, ტიბოს ოჯახი, მეორე ტომი (ტიბო არ ვი-ცი მაგრამ საინტერესოა რა ხდება ოჯახში. ოჯა-ხია ხრამიაო, მგონა ხრა-მის პირას ვდგავარ)... პირველი არ მაქვს წა-კითხული, არა უშავს... მეორეთი დავინუებ... მა-

ინც ყველა უნდა წავიკითხო...

ნანილი მეშვიდე

1914 წლის ზაფხული (რა შორიდან დამინუია...)

„უკაი დაიღალა: ამდენი ხანი დაძაბული იჯდა, განძრე-ვის, პაზის შეცვლის უფლება არ ჰქონდა და რაკი თვალე-ბის მოძრაობას არავინ უშლიდა, დვარძლიანად გადახედა თავის მტარვალს.

პატერსონმა ორი ნაბიჯით დაიხია უკან, კედელს აეკ-რა; ცალ ხელში პალიტრა ეჭირა, მეორეში ფუნჯი; ჯერ მარჯვნივ გადახარა თავი, მერე მარცხნივ და მოლბერტზე გაკრულ ტილოს გულდასმით დააკვირდა შორიდან...“

რა პატერსონი, ეს ხომ ლალია, თან სულაც არ არის მტარვალი... უკაი კი არა, მე ვზივარ სკამზე და მიხარია...

რა გიხარია, — მეკითხება უცებ ლალი...

მიხარია, რომ ხარ...



## ნაბიჯი 8. მოვიდა

მგონი მოვიდა...

რაც მე გიას და დათოს დავცინოდი, ახლა ჩემთან მოვიდა...  
თან ზუსტად მაშინ, რომ ვიკვენიდი, არც მობედოს-  
მეთქი!

მოვიდა, თან ღამის ორ საათზე... და გამალვიძა...

(არადა რა კარგად მექინა. რად უნდათ ამ ხალხს წამ-  
ლები, ვისაც უძილობა ანუხებთ, წაიკითხონ წიგნი, მგონი  
ნახევარი გვერდი წაგიკითხე მხოლოდ... ბიჭებმა ეტყობა  
საპანი გადამაფარეს... შუქიც ჩამქრალი იყო...)

ხო, მოვიდა და სასტუმალზე ჩამოჯდა: აბა ადექი ახლა  
და საწერ-კალამი მოიმარჯვეო!

ჯერ შეშინებული ვუყურებდი. ქუჩიდან შემოსული შუ-  
ქის ფონზე ბიჭებს გადავხედე, სძინავთ. ცოტათ ლალის  
ჰგავდა, მისი მოძრაობები, მისი ლიმილი, ალბათ ხატავს  
კიდეც... მინდოდა ხელითაც შევხებოდი, მაგრამ მომერი-  
და... უსიტყვოდ დავემორჩილე...

შუქი ავანთე, ბიჭებმა ერთდროულად გადაიფარეს საბნე-  
ბი, „გია, კარგი რა“ თქვა დათომ, „დათო, კარგი რა“, თქვა გიამ.

და დავიწყე... ის მკარნახობდა და მე ვნერდი, ხანდახან  
სიტყვას მისწორებდა, ხან დაწერილს. ხან უკვე თითქოს-  
და დამთავრებულს, თავიდან მაწერინებდა...

რომ მეგონა მოვრჩი, აბა ახლა გადაათეთრეო...

დაუფარავს. მინაზე თოვლი დევს. ცა ლურჯია. მზე არ  
ჩანს, მაგრამ ადვილად შეიძლება ამ ცის ფონზე მისი სხი-  
ვები იგრძნოს. ეს არის და ეს, უბრალო ჩარჩო, სალებავე-  
ბით გათხუპნული, სურათს სულ სხვა ლაზათს მატებს.  
თითქოს ამბობს, მე ჩარჩო რად მინდა. სულ ამ ჩარჩოს  
ბრალია მზე რომ ვერ დავატიე ჩემს გულშიო. ხო ზამთა-  
რია - გაზაფხული იგრძნობა. ხო შიშველია ხის ტოტები?  
სულაც შეიძლება გამხმარი ხეა, მაგრამ კარგად თუ დააკ-  
ვირდები, იგრძნობა გასაშლელად მომზადებულ კვირტებს.

ხახატს ტირილი თუ შეეძლო, არ ვიცოდი. ხანდახან  
მეჩვენება ტირის. რატომ ტირის, რა სევდა აწევს პატარა  
გულზე? იქნება იმას დარდობს, რომ პატრონმა მიატოვა.  
ისე გააჩუქა, თითქოს არ დანანებოდეს განშორება. ან იქ-  
ნებ პატრონი ახსენდება - პატარა მხატვარი ქალი, აკანკა-  
ლებული ხელებით, შუაგულ იანვარში, ეზოს გადმოლმა  
ფერდობზე რომ შლის მოლერტს. მიდამოს ათვალიერებს  
და ბოლოს ამორჩევს, აი ამ ხეს დავხატავო. მერე ფერებს  
არჩევს და იწყებს, სულს უდგამს პატარა ტილოს ნაჭერს.  
ტილოც რა ბედნიერი შეიძლება იყოს. პირველი ბედნიერე-  
ბა სწორედ მაშინ მიიღო პატარა მხატვარ ქალისაგან. გა-  
ცოცხლდა უბრალო ტილო, კველაფერი დაიტია: მზე, იან-  
გარი, მარგალიტის ცრემლები, სიხარული, სიყვარული და  
ეს პატარა ქალმა შეიძლება არც კი იცის. არა, როგორ თუ  
არ იცის? აბა რატომ დადგებოდა და სიფრიფანა ხელებით  
რა დაანყებინებდა თხუპნას - როგორც მეზობლის ბიჭები  
ფიქრობენ, ერთი-ორჯერ გუნდებიც რომ ესროლეს გო-  
გოს და ის თავის თავზე სულაც არ ფიქრობდა, ნახატს  
ეფარებოდა, არ გამიფუჭდეს. მერე ბიჭებსაც შერცხვათ,  
ის ნახატი თუ თავის თავს ურჩევნია, არ იფიქროს, რომ ნა-  
ხატს ფესვრით, ვითომ გაფუჭება გვინდოდესი და თავი  
დაანებს. მაშინ იტირა ნახატმა პირველად. სიხარულის  
ცრემლი აუკიაფდა ჯერ კიდევ გაუგებარ მონახაზებში,  
სიხარულით უყურებდა პატარა გოგოს, პატარა მცველს,  
ასე რომ ცდილობდა მის გაცოცხლებას და გაცოცხლდა  
კიდეც. მერე ნახატს საუბარი უნდოდა პატარა ქალთან,  
უნდოდა მადლობა ეტევა და კიდევ ათასი რამე, მაგრამ  
უკვე ბინდებოდა და მაშინ იტირა ალბათ მეორედ, ნავი-  
დეო გოგო სახლში თბილ ბუხართან, გაცივდებომ..

მერე ამ ნახატისთვის უკვე ვერ იცლიდა პატარა გოგო,  
მას სხვა ტილოები ეძახდნენ, გაგვაცოცხლეო. დალონდა  
ნახატი, თავისთვის იყო კუთხეში, ხანდახან კი ამოიხ-  
რებდა - შემოშედეთო, მაგრამ ადამიანები სხვა საქმეე-  
ბით იყვნენ დაკავებულნი, ნახატებისთვის ვერ იცლიდნენ.  
მერე ნახატს ის გაახსენდა, გოგო როგორ ფიქრობდა მისი  
ხატვისას - ნეტა ვინ წაიღებს ამ ჩემს პატარა სიცოცხლე-  
სო, თუ იფიქრებს იმაზე, როგორი გაყინული ხელებით  
ვცდილობდი, რომ ვინმესთვის პატარა სიხარული მეგრ-  
ძნობინებიაო და ნახატმა ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი, ნეტა  
რა ბედი მელის, შეიძლება სადმე კარადის თავზე შემაგ-  
დონ, ზედაც ათასი ხარახურა დამაყარონო და წამოიტი-  
რებდა კიდევ...

... და არის ეხლა ჩემს სანოლს ზემოთ კედელზე ნახატი.  
ხანდახან სადმე რომ წავალ ორი-სამი დღით, წამტირალევი  
მხვდება. ვფიქრობ ალბათ ვინმემ აწყენინა-მეთქი, ვამშვი-  
დებ. მებუტება, ამდენ ხანს სად იყავო? მეც მოვუყვები  
სად ვიყავი, რა გავაკეთე, ხანაც ახალ მოსმენილ ანეკდოტს

## ნაბიჯი 9. შურისძიება

ბოლო სიტყვა რომ დავწერე, უკვე აქ არ იყო... მანამდე  
უგრძნობდი, რომ აქ იყო და მიყურებდა... და ილიმებოდა...  
წერას რომ მოვრჩი, სად ხარ-მეთქი?

არავინ მიპასუხა...

გია ძილში ლუდლუდებდა რაღაცას...

უცცებ დათომ წამოყო თავი საპნიდა, ჯერ აქეთ იქეთ  
იყურებოდა. მერე მარტო მე რომ დამინახა, თან საწერ მა-  
გიდასთან ავტოკალმით ხელში, თვალები მოიფენიტა და  
ისე დამინყო ყურება, თითქოს პირველად მხედავდა...

მერე ალბათ იფიქრა, მეჩვენებაო და ისევ საბანში ჩარ-  
გო თავით...

მე კი ერთი სული მქონდა ვინმესთვის წამეკითხა რაც  
დავწერე, თუ დამაწერინებს...

ორივე გავალვიძე... რაღაცა უნდა წაგიკითხოთ-მეთქი...  
შეშინებულები მიყურებენ, ხან მე, ხან ერთმანეთს...

მერე აზრზე მოვიდნენ და რა უნდა წაგვიკითხოო...

რავი რაღაცა დავწერე და ახლა თქვენი აზრი მაინტე-  
რებებს-მეთქი...

რა დაწერეო? - მოიფხიზლდნენ უცცებ..., - ოღონდ არ  
თქვა ახლა ლექსი დავწერეო, ერთი ოთახისთვის სამი პო-  
ეტი წამეტანია, შენღა გვაკლდიო...

მეც წავიკითხე...

## ნაბიჯი 10. ჩანახატი

... სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, ჩემს ოთახ-  
ში, კედელზე, ერთი ნახატია. შეიძლელი ტოტები თოვლს

ჩავურევ, უყვარს ვიცი. გაიცინებს, სიხარულის ცრემლი აუკიაფდება თვალებში. თვითონაც მომიყვება რამეს მზე-ზე, გაზაფხულზე, სიხარულზე, სიყვარულზე და თუმცა უკვე მერამდენეჯერ ვისმენ, არ ვიმჩნევ. მაშინ ვატყობ, რომ ბედნიერია. ოღონდ ის სწყინს, ოთახში ვინმე რომ შემოდის და საუბარს გვაწყვეტინებს. მხოლოდ ერთხელ არ სწყინია, ლამაზი მხატვარი გოგო რომ მესტუმრა. ის კი არა, გოგომ წასვლა რომ დააპირა, არ გაუშვაო, ჩუმად მეუბნებოდა. ისევ მე ვუთხარი - კარგი, უხერხულია-მეთქი...

## ნაპიჯი 11. ვერდიქტი

— მოვრჩი, — ვთქვი ბოლოს და ...  
ალბათ ვილმებოდი...

დათომ რა ნახატობია აგიტყდაო... ხო ისე არა უშავს რა, „გიგრძენიაო“...  
მე ვიცი ამას რა ნახატობიაც აუტყდაო, გიამ...  
ხვალ ეს ლალის უნდა წავულოო...  
გაგვიდი-მეთქი, ყასიდად შევიწხადე, ისე მესიამოვნა...  
მშვენიერი მესიჯია, მეტს ვერც ინატრებდიო, დათომ...  
გიამ მართლა მიუტანა ლალის ჩემი ნაღვანი, მაინც მოუტყუებია, თვითონ არც იცის რომ წამოგილე, ნახე შენს ნახატზე რა დაუწერიაო...

მოწონებია... რომ კითხულობდა, კინალამ ატირდაო...  
დიდი მადლობა შემოგითვალია...  
ვა, თუ არ უთხარი, რომ მე გავუგზავნე, მადლობა რო-  
გორ შემომითვალია-მეთქი...

ეჭ, ქალებს რას გამოაპარებო...  
ნაპიჯი პოლო  
(უკელაზე დიდი) — „კიბე ცაში“

დღეს დაბადების დღე მაქვს...  
თინა დეიდა ხაჭაპურს მიცხობს...  
სოფლიდან ბიძაშვილმა ცოტა ლვინო, ყველი, ჭადები და ხილი ჩამოიტანა - ჩემებს გამოეტანებინათ...  
ხო, კიდევ კარტფოლს ვიყიდო, არ არსებობს ადამიანი შემწვარი კარტფოლი არ უყვარდეს. სანებელი მაქვს, ტყე-მალი, დედაჩემის გაკეთებული, ყველა კეტჩუპზე გემრიელი...  
არავს არ ვეპატიუები, შაინც მოვლენ... ჯგუფელები, კლასელები, მეზობლები..  
ზოგი საჩუქარსაც მოიტანს....

გიამ უკვე ერთი კვირაა რაც ოდეკოლონი მაჩუქა...  
ნახევარი დაცლილია უკვე... ისე მე არ ვიყენებ: ათაში ერთხელ წვერი თუ გავიპარსე...

დათომ გიტარის სამი პირველი სიმი მაჩუქა საკუთარი გიტარისთვის, რა ბედი მაქვს, ხანდახან რაღაცას ვცოდვილობ (დათო დაკვრას მასწავლის), ეს პირველი სიმი სულ წყდება და წყდება, თან ჩემს ხელში...

პორუჩიკ გოლიცინი მოვა აუცილებლად, ჯგუფელია, რუსია, მაგრამ ჩემზე კარგად იცის ქართული. ბევრ ქართველზე მეტად უყვარს საქართველო... სიმღერა რომ არის, „პარუჩიკ გალიცინ“, იმას ღილინებს სულ და ჯგუფელები ასე ვეძახით...

ის ვიცი არაყს მოიტანს. ჩემი დაბადების დღეზე არაყი მოაქვს და მერე თვითონ სვამს...

მხოლოდ ლალი დავპატიჟე...

რა გაჩუქოო, მკითხა.

შენი მოსვლა-მეთქი, ვაიცინა...

ლალიმ საჩუქრად ნახატი მომიტანა, აი ის ზამთრის პე-იზაური, შენ ხო პროზაული ნახატი მაჩუქეო, მე ნახატ ნა-ხატს გჩუქნიო... მეც ვერ მოვითმინე და ჩაქუჩი რომ ვერ მოვიდიე, ვადაგასული ბოქლომით ლურსმანი ჩავაჭედე კედელში და ისე ჩამოვკიდე, როგორც ჩანახატში...

ლალიმ ისე ახედა, მგონი ცოტა იეჭვიანა კიდეც... საეჭვი-ანო რა ჰქონდა, ყველაზე კარგი ნახატი თვითონ არ იყო?!

თამადა გია იყო...

დათომ ახალ ნასწავლი „კიბე ცაში“ შეასრულა...

გია, ვიფიქრ ახლა ლექსებს დაცხებს, ზოგს თავისას, ზოგს სხვისას-მეთქი და ჩემი ჩანახატი წაიკითხა, გადაექ-სეროქსებინა და დაეტოვა. წინასწარ გამოაცხადა ერთი პატარა ნოველა იუბილარის შემოქმედებიდანო, თითქოს ტომები მეწყო თაროებზე...

რაც არ უნდა საკვირველი იყოს, ყველა უსმენდა (რა კარგია გია რომ ძიუდოში ვარჯიშობს). თან გიას უსმენდ-ნენ და თან ნახატს უყურებდნენ...

მე ხან ნახატს ვუყურებდი და ხან მის ავტორს, ასე მე-გონა მართლა სიხარულის ცრემლი უკიაფებდა ორივეს...

მერე ლალიმაც იმღერა...

ძალიან კარგად მლეროდა...

მისი სიმღერის დროს უცებ ჭერიდან ძაფით ობობა ჩა-მოვიდა... ზუსტად ლალის წინ გაჩერდა - გეგონებოდა ყუ-რადლებით უსმენსო... ყველამ დავინახეთ, მაგრამ ხმას ვერ ვიღებდით...

დაამთავრა ლალიმ სიმღერა და აცოცდა ისევ ჭერზე...

ეს პატარა სასწაულად ჩავთვალეთ და თამადამ სი-ცოცხლის სადღეგრძელო დალია, რომელიც ასეთი პატარ სასწაულებითაა სავსე...

დვინო დაილია, არაყი კიდე პორუჩიკმა შესვა... მერე ზოგმა რა მოიმიზება, ზოგმა რა და ნავალთო, მეც ძალიან არ გამომიდვია თავი დარჩით-მეთქი...

პორუჩიკი „გორკა, გორკა, გორკა... -ო, - ყვიროდა...

მერე რომ მიდიოდა, „ნე ზაბუდ ნა სვადბუ პრიგლასი-ტო, - მაინც გაურია რუსული, - მოვალ გარმონით, კარტუ-ზით და რეზინის ჩექმებითო!“

ლალი ოთახს აწესრიგებდა.

დათომ და გიამ, პორუჩიკს გავაცილებთ, თან მერე ნა-თესავთან უნდა გავიაროთ, კარადა ჰქონდა გადასადგმე-ლიო...

რა კარადა აუტყდათ ამ ლამე...

მე და ლალი დავრჩით მხოლოდ...

ლალიმ ნავალონ და ნახატს შეხედა ისევ... მეც ნახატს ავხედე, შუქი ისე ეცემოდა, გეგონებოდა თვითონ ანათებ-სო და იცინისო... თითქოს მართლა მეუბნება „არ გაუშვაო და გაიგებ რაც არის კიბე ცაში...“

პორუჩიკის სიტყვები გამახსენდა: „ხანდახან ნახატ-საც უნდა დაუჯეროო“...

მეც, „ლალი, უხერხული კი არის, მაგრამ არ წახვიდე, რა, დარჩი-მეთქი...“

გაიცინა და... დარჩა...



ფსიქოლოგი, უურნალისტი, ტელეწამყვანი.

ლექსების წერა ბავშვობაში დავიწყე, შენახვა და გამოქვეყნება კი სულ ხუთიოდე წელია, იმ ასაკში, როცა კარგი პოეტები წერას უკვე თავს ანებებინ ხოლმე.

ჩემი აზრით, პოეზია სამყაროსთან ურთიერთობის დასამყარებლად და საკუთარი სულის წვდომისათვის საუკეთესო საკულტურული ძეგლი.

ყოველთვის გატდული ვიყავი ახალი საქმის წამოწყებისას, მაგრამ ლექსების გამომზეურება ძალიან გამიჭირდა.

ბოლოს გავპეტდე... „მე ჩემს ცხოვრებას ლექსს ვარქმევ და... ვყვები უბრალოდ.“

თუ სხვასაც მოენონება და ლექსად ჩამითვლის ამ ჩემს გარითმულ ცხოვრებას, ბედნიერი ვიწნები.

ერთი ნატვრა მაქვს, მინდა, რომ შეზარხოშებულმა ქართველებმა, ღვინისგან პოეზიის საღერღელი როცა აეშლებათ, ხანდახან ჩემი ლექსებიც თქვან ხოლმე, ეს არის სულ.

ბიოგრაფიას რაც შეეხება დავიპად 1959 წლის 21 აპრილს, ვმუშაობდი ფსიქოლოგად, ქალაქის კლინიკურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, ფსიქოლიგინოსტად დამტუკიდებელი საქართველოს ჯარში, უურნალისტად და ტელეწამყვანად საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე, საინფორმაციოს უფროსად ტელეკომიცნია „იბრიოში“ და გადაცემა „დიალოგის“ წამყვანად.

ამჟამად ილიას უნივერსიტეტში უურნალისტიკის პედაგოგი ვარ. მყავს მეულლე, შალვა შავაგულიძე და ორი შვილი გიორგი 22 წლის და ელენე 10 წლის.

მიმაჩნია, რომ ცხოვრება ყველაზე სავსე საკუთარ სამშობლოში გაქვს ადამიანს და რომ ევოლუციური განვითარება უკეთესია, რევოლუციურზე...

## ლუბა ელიაშვილი

### პედი

ბედი მევლელია –  
როგორც უნდა ისე  
მიცერის,  
მე არ ვაპირებ  
ვულიმო და  
მზერა ვუცვალო.  
დღეს გოროზია,  
ცუდადადიდებულმდინარისფერი,  
ბობოქარია  
რუხი, მრუმე  
და უმოწყალო.  
მაინც წყალია,  
მოვარდება,  
მცემს და ჩაივლის  
ნაშლის ნაპირებს,  
ჩამორეცხავს ფერად საღებავს,  
დემონებისგან მონუსხული  
ნატვრისთვალივით –  
სურვილებს არა,  
ასახდენად.  
შიშებს გახედნავს.  
უნდა გადავრჩე,  
შემლილი და თავისუფალი,  
სულით ლატაკებს უფრო  
სწყალო  
ვიცი უფალო  
სხვები ნატიფად მეტაფორებს,  
რომ გარითმავენ  
მე,  
ჩემს ცხოვრებას  
ლექსს ვარქმევ  
და...  
ვყვები უბრალოდ.

### ველურთა ჩელადის ლექსი

აქა ვარ.

პეშეში მინის ბურთები მიყრია.

მკაფიოდ,

ველარც ვიხსენებ რა მოხდა.

უგუნურს,

გაძარცულსა და სისხლიანს.

ჭიშკარი

ცხვირწინ გამომიხურეს  
სამითხის.

რად ვენდე

ათას გაიძვერა გარენარს

მოკეთედ

მუხანათი ჩავთვალე კაცები

ვერც მივხვდი

ისე მომკვეთეს

სამშობლო

სანუკვარი და...

შუშის მძივებზე გაცვლილი...

.....

მარტო ვარ.

პეშეში მინის ბურთები მიყრია.

### გოდოს მოსვლამდე

ქარია.

ისევ აქ არიან

ვისაც ბავშვობიდან ვუფრთხოდი:

ქონივით პრიალა კაცები,

ქალები – პაერზე მსუბუქი,

მუხლებზე შემხმარი ფუფხებით.

უამია

პირფერი სიტყვების.

სიცრუით სავსე აქვს პეშები

სამყაროს –

ცბიერი ზრახვებით მოკირნყლულ  
ქვესკნელში ეშვება.  
ომია.

სისხლიან მეჯლისზე  
მამაზეციერიც ერთობა.  
სარდლებს აბნევიათ მუნდირზე  
ჭრელი ორდენების მაგივრად  
ქინძისთავგაყრილი პეპლები  
ღამეა.  
აგორაფობია  
ტანზე გაუზდელად მაცვია  
(შემცივდა. მომბეზრდა თამაში)  
ხელში დანასავით მიჭირავს  
მარტივი ჰალუცინაცია:  
თავგზაბნეული ბიჭივით  
მარტო ვარ, ამ ჭვავის ყანაში  
ზარია...

სინანულთან და  
სიბერესთან ერთად მოვიდა,  
აუხდენელმა სურვილებმა  
რადგან დამღალა,  
სულზეც დამღალა მაქვს,  
ყორანი მყავს მხარზე დამჯდარი.  
სხვების გაკალულ ბილიკებზე  
რადგან არ დავალ,  
რადგან დავლენე  
სასტიკ ომში კალამ-აბჯარი,  
თავს არ დავეძებ,  
უგუნურთა წესს არ ვივიწყებ, –  
მწვერვალისაკენ  
სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მივიწევ,  
იქ „ღმერთის სახლში“,  
გაყინული ლეოპარდივით,  
მეც მეგულება,  
მეც მაქვს ჩემი კილიმანჯარო.

### გაფიცებ!!!

გაფიცებ!  
როცა ცხვირში მატენი სინთეტიკურ ნარკოტიკს,  
გენმოდიფიცირებულ პროდუქტს  
კანცეროგენიან „ფასტ ფუდს“  
ტყვიინი ბენზინის ჰაერს  
ჩეაროსნულ ტრასაზე ტვინგასხმულ კნუტებს  
და ლეკვებს

სილიკონის ძუძუებს  
პედოფილების პორნოსაიტებს  
ატომური გაურნებისგან დატოვებულ მუტაციებს  
ტანკერების დაღვრილი ნავთობით  
მოწამლულ ოკეანეებს  
ცათამბჯენების სახურავიდან  
ქვაფენილისკენ გაფრენილ დეპრესიულ მეგობრებს...  
მართლა გგონია დაგიჯერებ,  
რომ ასეთი კარგი სათნო ხარ  
ცივილიზაციავ???????

### ფიცელის ლექსი

Kilimanjaro is a snow covered mountain 19, 710 feet high, and is said to be the highest mountain in Africa. Its western summit is called the Masai „Ngaje Ngai“, the House of God. Close to the western summit is the dried and frozen carcass of a leopard. No one has explained what the leopard was seeking at that altitude.

(„The Snows of Kilimanjaro“  
Ernest Hemingway)\*

როცა მუხლებმაც მიღალატეს და  
ხელუხლებმა  
ნაოცნებარმა დამიქნია  
ხელი შორიდან,  
რადგან მკაცრი და  
უმოწყალო სასოწარკვეთა,

\* კილიმანჯარო მარადთოვლიანი 19, 710 ფუტის სიმაღლის მთაა, და როგორც ამბობენ ყველაზე მაღალი მთა აფრიკაში. მასაის ტომი, მის დასავლეთ მწვერვალს „ნგაი ნგაი“-ს უწოდებს, რაც „ღმერთის სახლს“ ნიშნავს. დასავლეთით, მწვერვალთან ახლოს გამხმარი და გაყინული ლეოპარდის გვამია. ვერავინ ხვდება რამ აიყვანა ლეოპარდი ამ სიმაღლეზე.

(„კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“  
ერნესტ ჰემინგუეი)

### შეცვარებული მეამბობის ლექსი

არ გაგაბრაზებ,  
ისე წავალ,  
შეუშფოთებლად...  
დავინროვდება ჩემი სულის  
თვალსაწიერი,  
სად შეგვიძლია გრძნობებისთვის  
თავისშეწირვა,  
მეამბოხეებს, უცოვრებს და ფლიბუსტიერებს.  
როგორ მევონა აგიტანდი,  
მხარზე შემომჯდარს –  
მოვახერხებდი,  
ჩიტსი სულელ დარდთან შეჩვევას...  
სასაცილოა – სიკვდილს უფრთხის ადამის მოდგმა,  
თან კარგად იცის,  
ბოლოს მაინც ყველას ეწვევა.  
მზერას ამრეზილს,  
ამარიდებ გიშს და ბოგანოს,  
თავს შეგაზიზღებს  
გაზეპილი ჩემი დრედები,  
ვერ გამიხსენებ,  
ან იქნება შიშიც მოგვაროს,  
ფუმფულა ქურქზე უნებურად თუ გაგედები.  
ნუ შემიბრალებ!

დამიჯერე – არ ვარ საპყარი.  
ღვთისმოშიშივით –

ყასიდად მაქვს თავი დახრილი.  
აქ – ადვილია არ გიყვარდეს,  
ერთი ქალი და... მთელი სამყარო,  
ასე პატარა,  
სხვის ჭუჭყიან ქუდში გაჩრილი.  
ხურდას თუ მომცემ,  
მოგიყვები, რად ვერ მხედნავენ  
მტერში წაქცეულს,  
ქარი როგორ მესაუბრება,  
სულში ჩაზრდილი,  
ფარად დამაქვს ჩემი ბედლამი –  
ჯაჭვით დაბმული შეშლილების თავისუფლება!  
მაინც არ მესმის  
ტკბილცხოვრებაზეუარისმთქმელი  
შენი წახვისას რატომ ბორგავს,  
გული ოხერი,  
მეერდში ჰქონიათ  
ჯოჯოხეთივით შავი ქვესკნელი –  
ფლიბუსტიერებს, უპოვრებს  
და მეამბოხეებს.

რეალობას გაეუსწორე თვალი და....  
ჩავისუნთქე ღრმად და ზეცას ავხედე...  
...თეთრ ღრუბლებში ნებიერად იწექი,  
ძველებურად დამცინოდი მაღლიდან.

### უკვდავების ჩაი (ადვილი ლექსი, ძნელ სათქმელზე)

შენ გიყვრს ჩაი,  
მე — შენთან ერთად ჩაის სმა.  
შენ იზრდები და  
მეც,  
რათქმაუნდა, ვბერდები.  
თბილი თვალებით,  
რომ შემომხედავ, კაიყმა,  
გახალისებულს,  
სული სინათლით მევსება.  
ვატყობ, სულმალე,  
ლამაზი ქალი  
ადვილად,  
შენს ყურადღებას  
სულერთიანად წამართმევს.  
რაკი შენ გიყვარს,  
მომენტნება,  
ნამდვილად,  
როცა გამაცნობ,  
მერე გადავწყვეტ დანარჩენს.  
მაგრამ თუ გინდა,  
სიცოცხლითსაცსე  
რომ გყავდე,  
ვილიმებოდე,  
საქმიანი და მხნე ვიყო,  
მხოლოდ ხანდახან,  
ჩაი ერთად რომ დავლიოთ,  
დრო თუ გექნება,  
შემომიარე, დედიკო!

### უბრალოდ შეხე

აღარ მინდა  
„მტრედები და გედები,“  
დამეფანტენ ბანალური რითმები.  
დამიჯერებ?!  
აღარ მეიმედება  
კარგ ლექსებში დამარცვლული სიტყვები.  
დამიჯერებ?!  
აღარა მაქვს იარა,  
ოცნებით ცაში არ ვარ გაჭრილი.  
ყივჩალივით აღარ „ვსინჯავ იარაღს,“  
არც ქუჩაში წაქცეული ბაგშვივით  
აღარ ვტირი,  
არ მაქვს „ნუკრის თვალები,“  
თმაც არასდროს გავდა მტვრიან მიმოზებს  
არ დავეძებ რას დარდობენ ქალები  
ამადეოს ფერებჩამქრალ ტილოზე.  
ველარ დამჭრის  
ოქროს ისრით ამური,  
შენმა ნდომამ მართლაც გადამიარა,  
ჩავანავლე ვნების ცეცხლის ალმური,-  
უკარგბის ავიფარე ტიარა.  
დღეებია — მარგალიტის მძივივით  
ერთნაირი,  
ერთარსი და  
ერთფერი.  
შემპარავი დავიზუთხე ლიმილი,  
კარგად ვიცი, სევდა აღარ შემფერის;  
დავამარცხე ბედისწერა თავხედი,  
ხვალინდელ დღეს გავუყვები ხვალიდან.  
გაიარე,  
გაგატარე,  
წახვედი...

### გამას

სიყვარულზე ლაპარაკი  
არ გიყვარდა,  
სენტიმენტებს —  
გაწევე მზერით ნილბავდი.  
წარმატებას — დაბნეული ულიმოდი,  
ბოდიშობდი — მქონიაო ილბალი.  
უენოს და  
თავმდაბლობით გამორჩეულს  
ამბიცია  
არ გქონია მისხალი,  
შეგონებაც  
შენგან მხოლოდ ერთი მახსოვს,  
ბაეშვებაში  
ნასვამმა რომ მითხარ:

„კაცი უნდა იყოს  
გონიერი,  
ქალი ლამაზი და სათხო  
დარღი,  
სჯობს იცოდე ზომიერი,  
სიხარული — გულლია და ლონიერი,  
სხესას რომ შენი სიხარულით არგო.”  
ბეჭმა გულში  
მეც, შენსავით არაერთხელ ჩამიკრა და  
ილბლის მადლიც უდარდელად ვფლანგი,  
ზომიერი ვერც დარღი ვერ მოვახერხე,  
ვერც ვერავის სიხარულით ვარგე.  
ჩემი დროვიც,  
როგორც ვატყობ,  
ფინიშისკენ მიგრიალდა.  
ნახე, როგორ  
შენნაირი ვხდები —  
ცალი ხელით,  
უკვე გული მიჭირავს და...  
ცალით — შვილის სიფრიფანა მხრები.

## ლომაგიანი სიზმრები

ჩემი ცხოვრება, არაფრით იყო გამორჩეული,  
თუმცა სიზმარში სულ ვხედავდი ვეზხვებს.  
ხორხე ლუის ბორხესი „ლურჯი ვეფხვები“

როგორ მინდოდა და...  
ვერ გნახე,  
რამდენი ხანია მოვედი.  
ისევ მესიზმრება  
ხანდახან,  
ჩვენი ქვეშისფერი ლომები.  
მათი დასავარცხნი  
ფაფარი,  
ზანტი დაბიჯება ტორების,  
მხურვალე მკლავების  
ზღაპარი,  
ნატიფი ვნებების ზმორება.  
ბრმა თავისუფლების  
სიმწარე,  
ამურის უხეში  
შეხება,  
შემ ხ ე დ ე !  
რამდენი ზიზღი მაქვს,  
სახეზე მოსხმული  
შხეფებად.  
შ ე მ ხ ე დ ე !  
როგორი სუსტი ვარ,  
სული გამაცალეს ომებმა,  
ველარც  
ვერაფერი შემმატეს,  
დარღით  
დავრდომილმა  
ლომებმა.

როგორ ვიბრძოლე და  
ნავაგე,  
ვერც შენი  
ნასვლით ვერ მიშველე.  
ასე შეველენე  
სამყაროს,  
უდღეურ ჩვილივით შიშველი  
თუ,  
სწორად დავსახე მიზნები  
ძილის წინ  
რად მენატრებიან —  
სახეალენილი სიზმრები,  
რომლებიც  
ლომებთან წვებიან.

## ნახევარგზაზე

უკვე ორმოცდაათს მივეახლე.  
ქვის კრების დრო დადგა,  
გარინდების.  
ჩემს დაულაგებელ სამოსახლოს  
გვერდი აუარეს რაინდებმა.  
ვშლიდი პასიანსად გულისნადებს,  
ღმერთი არაერთხელ შევაწუხე.  
განგება  
გულგრილად  
გამინალდებს  
სისხლით ხელმონერილ თამასუქებს,  
შვილებს გაუჩენელს, აუხდენელს,  
უკან დაბრუნებულ ამანათებს,  
ლაჩრული ცხოვრების  
გამართლებას —  
სამზარეულოში ლაპარაკით.  
ამ, ერთი სიცოცხლის  
ჰორიზონტებს,  
ვ ი დ რ ე  
ჰერმეტულად გადაგოზავს,  
ცოდვებად მიმითვლის ანგელოზი  
ბალიშქვეშ დამალულ ავგაროზებს.  
უ ნ დ ა,  
მოვნიშნო და  
დავადგინო,  
მკაცრად, ასპარეზი სამოქმედო.  
დ რ ო ა,  
უთავბოლო სურვილები  
სიფრთხილის  
სკივრებში გამოვკეტო.  
რაც მერგო —  
მორჩილად შევიფურო,  
წვეთ-წვეთად  
დავზოგო  
რაც დამრჩება,  
მ ა გ რ ა მ...  
გულს რა ვუყო, ეს ოხერი,  
ისევ,  
ზღაპრებისკენ მექაჩება.



დაიბადა 1985 წელს, მარტყოფში (გარდაპნის რაიონი). იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. სჩავლის თსუ პუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის II კურსზე, ქართული ლიტერატურის მიმართულებით.

2001 წ. — დაამთავრა მარტყოფის სულხან ცინცაძის სახელობის მუსიკალური სკოლა. იყო ფოლკლორული ანსამბლ „ულავარის“ სოლისტი. წერს ლექსებს და სიმღერებს. ახალგაზრდა ხელოვანი იბეჭდებოდა გაზეთებში „იალნო“, „ციცინათელა“, „მწერლის გაზეთი“ და უურნალებში — „ნერგი“, „ძველი უბანი“, „ლიტერატურული პალიტრა“, „ორბეთი“.

2006 წლის 15 დეკემბერს პირველად გაიმართა მისი პოეზიის სალამო სახელნოდებით „სტუმრადყოფილი“.

2006-7 წლებში მონაცილეობდა სამეცნიერო კონფერენციაში და მიენიჭა I ხარისხის დიპლომი.

გამოქვეყნებული აქვს სტატიები:

„ქაქუცა ჩოლოყაშვილი — საქართველოს ბოლო დროის ლეგენდა“, „ბიბლიური თემატიკა შიო არაგვისპირელის ნოველისტიკაში“, გოორგი ყიფიანის პოეზიის კრებულ „კავკასიონის“ ფურცლებზე“.

### ნუნუ ბალავაძე

რომ მე შევმოსო ელვა-სეტყვით  
ნაცემი ტანი  
ცრემლების კაბით...  
არ მინდა გავდნე,  
ნუ მაქცევ წვიმად...

### და...

...და ულენავდნენ ხერხემალს მინას,  
ხორცი მტკიოდა,  
მთვარის დასარკულ ბურთში ვნახე  
სულის ლაქები,  
ცა იყო მკრთალი,  
ცა დაკარგულ შეილებს ტიროდა  
და მკვდარმა მინამ მოიხვია  
მტვრის ფარდაგები...  
მინდა დაგფარო ფერადი თმებით  
და გავირინდოთ,  
შიტომ უმტკრევენ მინას ხერხემალს  
რომ შეგ გიპოვონ,  
ნამოდი, ოკეანის გულის ძგერას  
მივენდოთ,  
სანაცელოდ თეთრი თოლიების  
რწმენა ვითხოვოთ...  
...და რძისფერ ტილოს სამოსელში  
თუკი დამლანდე,  
ეს მე ვტიროდი მინის ცხედარს  
სულის დაღლამდე...

### აკორდები

თანდათან ვიღებ დროის აკორდებს  
არ ვწყვეტ ლეგატოს,  
არა მგონია დაჟანგულ ღიმილს  
ნატვრა ენადოს.  
წვიმის წვეთების სველ კიბეზე  
ფეხი დაბიცდა,  
მინაზე მოვხვდი და გავიარე  
ცხელი გამოცდა...  
ცის ლიანდაგზე სული გაეშალე

### პირამიდების გზა...

ცხოვრებამ ხარკის გადახდა მთხოვა  
მაგრამ საიდან?!.  
მე ერთი პეშვი სულილა დამრჩა,  
უნდა ვიმყოფო...  
ბეთლემისფერი წარსული დადნა  
სულის ნალექად,  
მწყემსი მოვიდა,  
ცხვარი თვისი უკვე გარეკაა...  
და ეგვიპტური სიცხეები  
ნამომენია,  
უნდა დროება საბრძოლველად  
გამოვიწოდო...  
ანმყოს თვალები ბებერ ფესვებს  
აჩანაგებენ,  
ფარაონთათვის აკლდამებსაც  
აღარ აგებენ...  
მინის ღრუბლებში სახეცვლილი  
ეს მზე აანთეს,  
ხარკი არ დავდე, შრება ჩემი  
ქვიშის საათი...  
აღარა მჯერა ოცნებების,  
გამოგონილის,  
მინაზე ისევ სიცხეები  
ნამოწოლილა...  
რა დააწყნარებს, რა უშველის  
ნაცნობ ამინდებს?!.  
ხვალე მე უნდა დავემზავრო  
ცად პირამიდებს...

\* \* \*

მე დავრჩი დროში,  
თეთრი ფიფქივით არ მინდა გავდნე,  
ნუ შემაშველებ ცხელ ხელისგულს,  
ნუ მაქცევ წვიმად,  
თორემ წამიყვანს ორსული მარტი,  
აპრილის მხევალ შიშველ გაზაფხულს  
მიმყიდის ძვირად,

## პოეზია

ტანის ფარდაგად,  
მტკიცე მოწყენამ ის სიხარული  
გამიპარტაბა...  
მწვანე თვალებმაც ხარკი სოხოვეს  
რძისფერ ლიმონებს.  
თმების ნიავი თბილ ჭალარაში  
წალილს იმონებს...  
დროის მაგივრად ვიღებ სიტყვების  
შავ-თეთრ აკორდებს,  
ცის სიმი კივის,  
მზე სხივგამწყდარი  
უნდა ჩაგორდეს...

\* \* \*

ისევ თოვდა და მიწა  
ისევ ღირდა გროში,  
ნოემბერმა ჩაიცვა  
ზამთრის თეთრი ქოში.

დღეებს დარდი ავყარე  
უნდა დავრჩე დროში,  
შემოდგომა დავმალე  
დეკემბრის თოვლში...

\* \* \*

ალუჩას სიცილით  
დაუსკდა ტუჩები  
მზემ როცა აკოცა...  
ეჭვებით უხვევდნენ  
გრძნეული ქუჩები,  
ცამ სევდა ალხოცა...

ყოველდღე უშენოდ  
ერთიღა ვუყურებ  
ბედნიერ ალუჩას,  
მზესავით მოხვალ თუ  
ნაჩქარევ ნაბიჯებს  
დრო ისევ არ უჩანს?..

სხივური სიცილით  
დამსკდარი ტუჩები  
თვალს ჭრიან ორლობეს...  
მზე უკვე გაენდო...  
თვითონ კი:  
(ქუჩაში) გამხელას ორჭოფობს...

### უცხოგი ქალაქი...

ყვითელ ქალაქში  
დაძუნძულებს  
რუხი ზამთარი,  
მთვლებარე ასულს  
მღვიძარება

სტუმრად ენვევა...  
მღვრიე ფერებში  
მწუხარება  
გაისამკეცებს  
და სულში სევდა ნაცნობივით  
შემოჩევევა...  
ტანმორჩილ ხებს  
მდუმარება ებლაუჭება,  
მაინც ვერ წვდება  
მზერა მათში  
მერთალი ქალწულის,  
გალეულ ტოტებს  
მაჯებს უმტვრევს  
თავდავიწყება  
და უფერობა  
სიამაყით აითვალწუნებს...  
მღვრიე ქალაქში  
მღვიძარებას  
ფუტად უცდიან –  
ხეებს დრო სტკივათ  
ნუგეში კი არ განუცდიათ...

\* \* \*

სული რომ წამგვარე  
ცოდვებით დაიწვა  
ის თეთრი ცარგვალი...  
რადა ხარ სხვაგვარი?  
ფიქრი მიწიერი  
ტაძრისკენ მავალი  
ვიყავი რამდენი...  
ვიცვალე იერი...  
აღარ ვარ მტკრისფერი,  
დღემ მხევლად დამისვა –  
მიამბო ამბავი ხნიერი...  
შენ კი...  
ხარ სხვაგვარი  
და ახლა  
გულიც რომ  
წამგვარო  
აღარ დალონდება  
ცარგვალი...

\* \* \*

იცი, სიცივემ მოისხა  
თავშალი  
დავშალე თვალები  
სულის მოზაიკად,  
გავივლე სხეულში ეჭვების ხანჯალი  
ნაჭრილობევზე  
მარილი დავიყარე...

მე შენთან დავხარჯე  
მზერა აზიური,  
გენი მაგიური

## პოეზია

შენშივე გავფანტე,  
თოკზე გადავფინე  
ჩემი დღიური,  
ლილისფერ ძარღვებზე  
გულს სისხლით  
ვაბამდი...

ახლა კი  
სიცივემ  
მოისხა კვირტები,  
ვიცი, რომ  
შემოხვალ და...  
გამიკვირდები...

\* \* \*

ვარ შებილნული სიკეთე,  
ვდარიბობ,  
სულმა სიზმარში შემურთალი  
მზე ნახა,

განმარტოებამ სიმართლე  
წაიღო, მოჭირისუფლე, ამ სახლში  
შენლა ხარ.

დავდე სხეული სულისა სარჩულად,  
ჰაერი იწვის,  
მინა ნაცარი,  
აგსებს თვალები ცხოვრების  
წარსულად  
ლამეს, რომელიც აჩრდილთან  
დავცალე.

მინამ ზეცასთან მზის ვალი  
დაიდო,  
შეგძნუხრდი, ლამემ ფერმკრთალი  
მზე ნახა,  
ვარ შებილნული მადლი და  
ვლარიბობ,  
მიჭირისუფლე, ოთახში  
შენლა ხარ...

## ხორხე ლუის ბორხესი

# ორი ესეი

## პარაცელსის ვარდი

სახელოსნოში, მთელი სარდაფი რომ ეჭირა, პარაცელსი ღმერთს — უცნობ ღმერთს, ნებისმიერ ღმერთს ევედრებოდა — შეგირდი გამომიგზავნეო. ბინდდებოდა. ღუმელში მბუუტავი ალი ათიათთა მირიალე ზოლებად ეფინებოდა იატაქს. ადგო-მისა და სანთლისა ანთების თავიც აღარა ჰქონდა. დაღლილობას მუხლი მოეკეთა. აღარც თავისი ლოცვა ახსოვდა. როცა ღამემ დამტკერილი სახდელი ქვაბები და ქურაც წამალა, კარზე დააკაუნეს. ნახევრად მძინარე პარაცელსი წამოდგა, ფრა-ტუნით იარა ხრახნილი კიბე და კარი გააღო. შემოაბიჯა უცნობმა. თვითონაც დაღლილი ჩანდა. პარაცელსმა სკამზე ანიშნა. ისიც დაჯდა და დაელოდა. ერთხანს უხმოდ ისხდნენ.

სიჩუმე მოძღვარმა დაარღვია.

— მე მახსოვეს სახე დასაკლეთისა და სახე აღმოსავლეთისა, — არცუ გამონვევის გარეშე წარმოსთქვა მან, — შენი სახე კი არ მახსოვს. ვინა ხარ და რისთვის მოსულხარ ჩემთან?

— საქმე ის კი არ არის, ვინა ვარ დარა მექვია, — მიუგო მან, — სამი დღე-ღამე მოვდილი შენთან. შეგირდად ამიყ-ვანე. ყველაფერს მოგცემ, რაც გამაჩნია.

ამ სიტყვებით ქისა ამოიღო ჯიბიდან და მაგიდაზე დაპირქვავა. უამრავი ოქროს დუბლონი ჩხრიალით დაც-ვივდა ზედ. პარაცელსმა ზურგი აქცია და სანთელი აანთო. როცა შემობრუნდა, სტუმრის მარცხენა ხელში ვარდი შენიშნა, რამაც, ცოტა არ იყოს, შეაცდუნა.

მერე დაჯდა და თითები ერთმანეთს გადააჭდო.

— შენ გვინაია, თითქოს შემეძლოს გამოვიგონო ქვა, ოქროდ რომ აქცევს ყველა ელემენტს, და მიტომაც მთავზობ აქროს? არა, მე ოქროს როდი ვეძებ, და თუ შენ ოქროზე გელევა სული, ვერასოდეს გახდები ჩემი შეგვრდი.

— არა, ოქროს როდი დავვეძებ, — თქვა სტუმარმა, — ეს მონეტები მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ შრომა მწყურია. მასზავლე შენი ხელობა. ნება მიბოძე შენთან ერთად ვიარო ჯადოსნური ქვისაკენ მიმავალ გზაზე.

პარაცელსმა სავენებ-სავენებით თქვა:

— ქვა გზაცა და გზის დასაწყისიც. თუ ამას ვერ ხედები, ვერაფერსაც ვერ მიმხვდარხარ. შენი ყოველი ნაბიჯი მიზანი უნდა იყოს.

სტუმარმა იქნებულად შეგვლო თვალი:

— განა არსებობს მიზანი?

პარაცელს გაეცინა:

— ჩემი მგმობერნი, უმალ უბადრუენი, ვიდრე მრავალ-რიცხოვანნი, ამტკიცებენ, რომ არ ანსებობს, და ცრუს მიზოდებენ. არავის ვედავები. თუმცა სავებით სავა-რაუდოა, რომ მეოცნებები ვარ. დიახ, გზა არსებობს.

სიჩუმე ჩამოვარდა. მერე სტუმარმა დაიწყო:

— მზადა ვარ, გვერდით გამოგყვე, თუნდაც ხანგრძლივად მომინიოს გზაში ნიშნალმა. დამესმარე, გადავლახო უდაბნოს სივრცე. შორიდან მაინც შემახედე ალთემულ მინას, ფეხიც რომ ვერ დავადგა ზედ. მაგრამ, ვიდრე გზას გავუდგებოდეთ, სარწმუნო საბუთი მინდა.

— როდის?

— ახლავე.

საუბარი ლათინურად დაიწყო. აქ კი გერმანულზე გადავიდნენ.

ჭაბუქმა ვარდი ასწია:

— ყველამ იცის, რომ შეგიძლია დაფერფლო ვარდი და შენი მაგით კვლავ აღადგინო ფერფლიდან. ნება მიბოძე,

ჩემი თვალით ვიხილო ეს სასწაული. დამარწმუნე, და მე შენი ვარ.

— რა მიმნდობი ყოფილხარ, — თქვა მოძღვარმა, — მაგრამ მე ნდობას კი არა, რნმენას მოვითხოვ.

შეგირდი ჯიუტად განაგრძობდა:

— სწორედ იმიტომ, რომ უნდოვ ვარ, მინდა ჩემი თვალით ვიხილო ვარდის სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა.

პარაცელსმა ვარდი გამოართვა და თითებს შორის დაუწყო ტრიალი.

— არა, მართლა მიმნდობი ხარ, — თქვა მან, — შენ გონია, რომ შემძლია მისი მოსპობა?

— ეს ყველას შეუძლია.

— ცდები, ნუთუ რაიმე შეიძლება არარად იქცეს? ნუთუ ადამს სამოთხეში შეეძლო მოესპონ ბალახი ანდა ყვევილი?

— ჩემ სამოთხეში როდი ვართ, — გაკერპდა ჭაბუკი, — აქ, მთვარის ქვეშ, ყველაფერი მოკვდავია.

პარაცელსი წამოდგა.

— ეს მაგრამ, შენი აზრით, სადა ვართ? ნუთუ ღვთაებას შეუძლია შექმნას რაიმე, სამოთხის გარდა? და განა ეს ცოდვა არ არის, — გეგონის, რომ სამოთხეში არა ვართ?

— ვარდი შეიძლება დაიწვას.

— ფერფლი ხომ დარჩება ღუმელში, — თქვა პარაცელსმა, — თუ ვარდს ნაკვერცხლებზე დააგდებ, გეგონება, რომ ის დაიწვა; ფერფლი კი ნამდვილია. მაგრამ მე პასუხად გეტყვი, რომ ვარდი მარადისია და იცვლება მხოლოდ მისი იერი. საკარისია

ერთი სიტყვა ვთქვა და შენ კვლავ იხილავ მას.

— ერთი სიტყვა? — გაუკერდა შეგირდს, — მაგრამ ქურა ხომ ჩამქრალია, სახდელ ქვაბებს კი მტვერი ადევს. როგორდა ალადგენ მას?

პარაცელსმა სევდიანად ახედ-დახედა.

— ქურა ჩამქრალია, სახდელ ქვაბებს კი მტვერი ადევს. ჩემი გრძელი გზის ამ მონაკვეთზე მე სხვა საშუალებებს ვიყენებ.

— ვერ ვბედავ გკითხოთ, — თვინიერად თუ ლაპრულად შეეპასუხა შეგირდი, — მაინც რა საშუალებებს?

— რასა და, იმას, — რასაც იყენებდა ღვთაება ცის, მიწისა და უხილავი სამოთხის შექმნისას, რომელშიაც ვბინადრობთ და რომელსაც გვიფარავს დასაბამიერი ცოდვა. მე ვგულისხმობ სიტყვას, რომელსაც გვასწავლის კაბალა.

შეგირდმა ცივად მიუგო:

— შემიბრალე; მიჩვენე, როგორ ქრება და კვლავ იბადება ვარდი. მნიშვნელობა არა აქვს, სახდელი ქვაბით სარგებლობ თუ სიტყვით.

პარაცელსი ჩაფიქრდა.

— ასე რომ მოვქცეულიყავი, შენ, აღბათ, იტყოდი, რომ ეს მხოლოდ მოჩვენებაა, მზერის საცოტური. სასწაული ვერ გაზიარებს რნმენას. ასე რომ, შეეშვი ვარდს.

ჭაბუკი კვლავ უნდოდ უცქერდა. მოძღვარმა ხმას დაუწია.

— კი მაგრამ, მაინც ვინა ხარ, მოძღვრის სახლში რომ შედიხარ და სასწაულს ითხოვ? რა გიქნია, ამნაირი წყალობა რომ დაიმსახურო?

შეგირდმა წაილუდლუდა:

— ვიცი, რომ არაფერიც არ მიქნია. იმ გრძელი წლების სახელით, როცა შენს ჩრდილში ვისწავლი, გემუდარები, ნება მომეცი, ვიხილო ჯერ ფერფლი, შემდეგ კი — ვარდი. ამის მეტს არაფერს გთხოვ. მხოლოდ ჩემს თვალებს ვენდობი.

უცებ ხელი დასტაცა ვარდს, პარაცელსმა სადგარზე რომ დაედო, და ცეცხლში შეაგდო. ყავილი დანახმირდა; ერთი მზიკი ფერფლიდა დარჩა. უსასრულოდ გაჭიმული წამის მანძილზე შეგირდი მოძღვრის სიტყვებსა და სასწაულს ელოდა.

პარაცელსმა ცბიერად წაილულუდა:

— ბაზელის ყველა მედიკოსი და მეაფთიაქე ამტკიცებს, რომ მე თალღითი, ყალთაბანდი ვარ, და არც ტყუარი. ეს ფერფლი ვარდი იყო, მაგრამ არა-სოდეს ალარ იქცევა ვარდად.

ჭაბუკმა დაირცხვინა. პარაცელსი შარლატანია, უბადრუკი მეოცნებე, თვითონ კი — თახებდი, ყაჩაღურად რომ შეეჭრა შინ და თახებდურად სთხოვს ალიაროს — მთელი ჩემი სახელგანთქმული მაგაი სიყალბე და სიცრუეაო.

სინაულის ნიშნად დაიჩოქა.

— მიუტევებლად ვიქცეოდი. რნმენა მაკლდა, მორწმუნეთაგან რომ მოითხოვს უფალი. დაე, ფერფლი ფერფლადვე დარჩეს. დავბრუნდები, როცა განვმტკიცდები, და კვლავ შენს შეგირდად ვიქცევი. გზის ბოლოს მაინც ვიხილავ ვარდს.

გრძნობამორეული ლაპარაკობდა, მაგრამ ეს იყო სიბრალული ესოდენ ლირსეული, პატივცემული, საყოველთაოდ ცნობილი, საბრალო და, საბოლოო ანგარიშით, უბადრუკი მოძღვრის მიმართ. ბოლოს და ბოლოს, ვინ არის ის, იოპან გრიზებახი, ასე თახებდურად და მკრეხელურად რომ ჩამოგლივოს ნილაბი, რომლის ქვეშაც სხვა არა არის რა, სიცარიელის გარდა?

პარაცელსისთვის ფულის დატოვება ნიშავდა გასაკითხით დაემცირებინა იგი. წასვლისას მონეტები მოხვეტა და ქისაში ჩაუძახა. პარაცელსმა კიბემდე მიაცილა და უთხრა, ამ სახლში ყოველთვის სასურველი სტუმარი იქნებიო. ორივემ იცოდა, რომ ერთმანეთს ვეღარ ნახავდნენ.

პარაცელსი მარტოკა დარჩა. მაგრამ ვიდრე სანთელს ჩააქრობდა და დაქანცული ჩაეშვებოდა სავარძელში, მუქში ჩაიყარა მსუბუქი ფერფლი და ხმამაღლა წარმოსთქვა გრძნეული სიტყვა. ვარდი გაცოცხლდა.



## კადელი და ნიგერი

*He whose long wall the wand-ring Tartar bounds...*

Dunciad, II, 76.

ის, ვისი გრძელი კედელიც აკავებს მომთაბარე თათართ.  
დუნსიადა, II, 76.

ერთხელ სადღაცა წავიკითხე, რომ ადამიანი, ვისი განკარგულებითაც აგებულ იქნა თითქმის უსასრულო ჩინური კედელი, სწორედ ის პირველი იმპერატორი — ში ხუან-დი იყო, რომელმაც ბრძანა დაწენვათ გარდასულ ქამოქათა ყველა ნიგნი. იმ ამბავმა, რომ ორივე ეს გრანდიოზული ქმედება — ბარბაროსთაგან თავის დასაცავად ქვის ხუთას ლის აგება და ისტორიის, ე.ი. წარსულის უღმერთო განადგურება ერთი და იმავე კაცისაგან იღებს დასაბამს და, გარკვეულწილად, მის სიმპლორდაც გვევინება, მოულონდენლად ამალელვა და გამახარა, რის შესახებაც შენიშვნის ბოლოს გიამბობთ.

ისტორიის თვალსაზრისით, აქ არაფერია იდუმაბი. ჰანიბალის ომების თანამედროვე ში ხუან-დიმ, ციინის დინასტიის იმპერატორმა, ექვის სამეფო დაიპურო და ფეოდალური სისტემა გააუქმა. ააგო კედელი, რომლის მეტვეობითაც იცავენ თავს და ცეცხლს მისცა ნიგნები, რომლებსაც მისი მონინააღმდეგენი კითხულობდნენ, რათა გარდასულ დროთა მბრძანებელნი ედიდებინათ. ნიგნების დაწვა და სიმაგრეთა აგება — ასეთია ძლიერთა ამა ქვეყნისათა ხევლი, უჩვეულოა მხოლოდ ში ხუან-დის ქმედებათა მასტაბურობა. ბევრი სინოლოგი სწორედ ასე ფიქრობს, მაგრამ იმ მოვლენებზე, რომლებზედაც აქ ვლაპარაკობთ, მე ცოტა მეტი რამ მეტვენება, ვიდრე ჩვეულებრივ განკარგულებათა გაზიადება. ბალისა თუ ბალის შემორაგვა სავსებით ჩვეულებრივი საქმეა, სულ სხვაა იმპერიის შემორაგვა. სისულელეა იმის მტკიცება, თითქოს ხალხი ადვილად უარყოფდა წარსულს, მითიური თუ რეალური წარსულის ხსოვნას. იმ დროისათვის, როცა ში ხუან-დიმ ბრძანა, ისტორია ჩემით უნდა იწყებოდესო, ჩინეთი უკვე სამი ათას წელს ითვლიდა (უკვე იყვნენ ყვითელი იმპერატორი და ჯუან-ძა, ლაო-ძი და კონფუცი).

ში ხუან-დიმ გარყვნილების გამო გააძევა თავისი დედა; ამ მკაცრ განაჩენში ორთოდოქსეპი მხოლოდ სისუსტეს ხედავნენ. ში ხუან-დის, შესაძლოა, სურდა მოესპო მთელი წარსული, რათა თავი დაეხსნა ერთი მოგონებისაგან, დაევიწყებინა დედის სირცევილი (განა ერთმა იუდეველმა მეტებ არ ბრძანა, მუსრი გაევლოთ ყველა ახალშობილისათვის, რათა მოეკლა მხოლოდ ერთი?). ეს მიხედრა ყურადღების ღირსია, მაგრამ არაფერს ამბობს კედელზე, მითის მეორე მხარედ რომ გველინება. ისტორიკოსთა ცნობით, ში ხუან-დიმ აკრძალა სიკვდილის ხსნება; ის ეძებდა უკვდავების ელექტრის და თავის სასახლეში განმარტოვდა, სადაც იმდენი ითახი იყო, რამდენიც დღეა წელიწადში. ეს უნყებანი გვაფიქრებინებენ, რომ კედელს — სივრცეში, კოცონის კი — დროში მაგიურ წინამდებარებათ, რათა აელაგმათ სიკვდილი. ყველა საგანს სურს თავისი არსებობის გახანგრძლივებაო, — ამბობდა ბარქეს სპინოზა. შესაძლოა, იმპერატორი და მისი მოგვები ფიქრობდნენ, რომ უკვდავება დასაბამიერია და დახშულ სიერცეში ხრნილებას ვერ უნდა შეეღწია. შესაძლოა, იმპერატორს სურდა დროის დასაბამის რეპროდუციება და თავის თავს „პირველი“ უწოდა, რათა მართლაც პირველი ყოფილიყო, „პირველს“ კი „ხუან-დიც“ მიუსართა, რათა თავი

იმ ლეგენდარულ იმპერატორად ეგრძნო, რომელმაც დამწერლობა და კომპასი გამოიგონა, ხოლო საგნებს, „რიტუალთა წიგნის“ მიხედვით, მათი ნამდვილი სახელი მიანიჭა. ში ხუან-დის, როგორც მონმობენ ქონიკები, თავი მოჰქონდა იმით, რომ მისი მბრძანებლობისას ყველაფერს მისი შესაფერი სახელი ერქვა. ის ოცხებობდა დაევარსებონა უკვდავი ლინასტია და ბრძანა მისი მეტვიდრენი მეორე იმპერატორად, მესამე იმპერატორად, მეოთხე იმპერატორად წოდებულიყვნენ, და ასე შემდეგ, დაუსრულებლივ.

მე ვლაპარაკობ მაგიურ მიზანზე; ეტყობა, კედლის აგება და წიგნების დაწვა ერთდროულად არ უნდა მომხდარიყო. ეს (იმ თანმიმდევრობის მიხედვით, რომელსაც თავად ვამჯობინებოთ) ჩვენ ნამოგვიდგენს მბრძანებელს, რომელმაც გადაწყვიტა გაფრთხილებოდა იმას, რაც ადრე ნანგრევებად აქცია. ორივე ვარსუფი დრამატულითა საესე, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ისტორიულ საფუძველს მოკლებულია. ჰერბერტ ალენ ჯალსი გვაუწყებს, რომ წიგნების მმალავთ გაზურებული შანთით დალავდნენ და სასტიკი განაჩენით აიძულებდნენ სიკვდილამდე უსასრულო კედელი ეშენებინათ. ეს ცნობები დასაშვებს ხდიან სხვანაირ განმარტებასაც, რომელსაც შეიძლება უძირატესობა მივანიჭოთ. იქნებ კედელი მეტაფორა იყო: ში ხუან-დი სამუდამოდ ქანცგამწყვეტ შრომას უსჯიდა წარსულის ყველა მოყვრეს, ისეთსავე უსასრულოს, როგორიცაა თვითი წარსული, ეგზომ უნაყოფო და უაზრო.

იქნებ კედელი გამოწვევა იყო, და ში ხუან-დი ფიქრობდა: „ხალხს უყვარს წარსული, და ამ სიყვარულის წინააღმდეგ ვერც მე და ვერც ჩემი ჯალთები ვერას გავანებობთ; მაგრამ იღებებ ქვეყანას მოევლენება ადამიანი, ჩემსავით რომ გრძნობს, და ის გაანადგურებს ჩემს კედელს, როგორც მე გავანადგურე წიგნები, და სამუდამოდ წაშლის ჩემს ხსოვნას; ჩემს ლანდად თუ ჩემს ანარეკლად იქცევა, თუმცა წარმოდგენაც არ ექცება ამის შესახებ“. იქნებ ში ხუან-დიმ კედელი მიტომ შემოავლო იმპერიას, რომ მისი სისუსტე იგრძნო, და ნაცარტუტად აქცია წიგნები, რადგანაც მიხედა, რომ ისინი შეიცავენ იმას, რასაც შეიცავს მთელი სამყარო და კაცთა მოდგმის ცნობიერება. იქნებ ბიბლიოთეკის დაწვა და კედლის აგება ის ურთიერთსაპირისპირო ქმედებებია, ენიგმურად რომ სპობენ ერთმანეთს.

შეუმუსრავი კედელი, თავის ჩრდილის ჭრელ ნაყებად რომ აფენს დედამინას, რასაც მე ვერასდროს ვიხილავ, და თვით ჩრდილი იმპერატორისა, ხალხთა შორის ყველაზე მოკრძალებულ ხალხს რომ უბრძანა თავისი წარსული დაწვა. შესაძლოა, ჩვენთვის საინტერესო აზრი შორს იყოს სავარაუდო მიხედვებისგან (იქნებ ესაა წინააღმდეგობა შენებასა და ნგრევას შორის). ამ შემთხვევის განზოგადებით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველა ფირმისოფენის თავისთავად წიგნებულია აზრი და არა სავარაუდო „შინაარსი“. ეს ბენედიტო კრისტეს კონცერციას ჰგავს. ხოლო პეიტერი ჯერ კიდევ 1827 წელს ამზადებდა, რომ ყველა ხელოვნება მუსიკად ქცევას მიელტვის, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა ფორმა.

მუსიკას, ბედნიერების განცდას, მითოლოგიას, სახეს, დროს რომ დაუსვამს თავისი დალი, ზოგჯერ — მწუხრსა თუ პეიზაუს, — ყველას სურს რაღაცა გვითხრას, და კიდევაც გვეუბნებინ იმას, რაც არ უნდა დავეარგოთ. ისინა ამიტომაც არსებობს. შესაძლოა, სწორედ გამოცხადების ეს სიახლოება

ესპანურიდან თარგმნა  
გარენა გრევადა

ნანა ჭონია

## პოეზია პოეტისთვის

чу, дальний звон... Сверхтайное творится:  
Сейчас неповторимое - повторится.

Новелла Матвеева

И непереводимое переведимо!

პოეტური აზრის საგანძურს მრავალი ქმნილება ამშვენებს. საუკუნეები გადიან და ამ საგანძურს სულ უფრო იშვიათად ემატება ლირსეული შედევრი. ხოლო ის ქმნილებანი, რომლებმაც ჟამთა სვლას გაუძლეს, გამუდმებით ელიან ახალ აღიარებას. და ეს დროც დგება, როდესაც რომელიმე კულტურული ერის განათლებულ საზოგადოებაში თავს იჩენს ახალი ცოდნის მიღების სურვილი. ცოდნა კი მრავალგვარია: პოეზია ცოდნის განსაკუთრებული ფორმა, განსხვავებული მეცნიერული ცოდნისგან, რომელიც სამყაროსეულ მოვლენებს, მათ შორის ადამიანურ განცდათა თავისებურებებს, მკაფიოდ განსაზღვრული კანონზომიერების ჩარჩოებში ნარმოგვიდებენს, შიშვლად, ყოველგვარი შეფერილობის გარეშე. ჭეშმარიტი პოეტური ქმნილება ფლობს რა ამ ცოდნას, გვაზიარებს მას საერთო-ადამიანურ მსოფლადებათა ესთეტიზებული ფორმით. პოეტის წარმოსახვა ქმნის ისეთ რეალობას, რომელიც ათავსებს თავის გამოცდილებას, გრძნობებს, შთაგონებას, ემოციას... ხოლო ეს რეალობა სულაც არ ექვემდებარება განმარტებას, რაც არ ამცირებს პოეტური მოღვაწეობის შემცნებით მნიშვნელობას. ზოგად-ადამიანურ განცდათა და ემოციათა სამყარო მარადიულია, უცვლელია. ტომას ელიოტს თუ დავემონმებით, თვითონ „ხელოვნებაცა და ლიტერატურაც უცვლელია; იცვლება მხოლოდ მათი მასალა; მთელი ევროპული ლიტერატურა, პომეროსიდან მოყოლებული წებისმიერი ნაციონალური ლიტერატურის ჩათვლით, ერთ დროში არსებობს და ქმნის თანადროულ რიგს, რომელიც მხოლოდ მაშინ იცვლის გარეგნულ იერს, როდესაც გამოჩნდება ახალი შედევრი“ („ტრადიცია და პიროვნული ნიჭიერება“).

ანტიკური ლირიკისათვის ეს ახალი შედევრი კატულუსის პოეზია გახსნდათ. მისი ავტორი განსაკუთრებულ ეპოქაში ცხოვრობდა, ეს იყო მრავალმნიშვნელოვანი I საუკუნე, დატვირთული იდეოლოგიური და ფილოსოფიური ძიებებით. ლიტერატურა კი მსუბუქ გზას ადგა: აღმოაჩინა თავისი მკითხველი — „განსწავლული“ ანუ ელიტარული, აპოლიტიკური, ემოციური და უკიდურესად ესთეტიკური. ეს იყო ახალი მიმართულება ანტიკურ ლირიკაში. მის წარმომადგენლებს სახელოვანმა ციცერონმა „ახალი პოეტები“ (პოოტა ნოვი, ბერძნულად

ნეოტეროი) უწოდა და ლიტერატურულ წრეებში დაამკვიდრა მათი ბერძნული სახელნოდება, „ნეოტერიკოსები“.

მათ საკუთარი პროგრამა ჰქონდათ. უგულებელყოფდენ ტრადიციულ ვრცელ ეპიკურ და დრამატულ ფორმებს და ქმნიდნენ ე.ნ. მცირე უანრის ნაწარმოებებს: ეპლიონებს, ეპიგრამებს, ელეგიებს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მივინებულ მითოსურ სიმბოლოებსა და დახვენილ ფორმებს. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ნეოტერიკოსები იყვნენ თავისი დროის მოდერნისტები. მათ ერთიანად შეცვალებ ბერძნეთაგან მიღებული მემკვიდრეობა და შექმნეს პოეზია პოეტებისთვის (XX საუკუნის მოდერნიზმის ექსპრიმენტული პოეტების ახალი სკოლის დევიზი). ნეოტერიკოსები ხშირად გამოთქვამდნენ რჩმენას იმის თაობაზე, რომ მათი ქმნილებანი „საუკუნებს გაუძლებდნენ“, თუმცა მათგან მხოლოდ ერთს ხდა ასეთი ბედი, მას, რომელიც მისივე თანამედროვეთა მიერ იყო აღიარებული ამ სკოლის ყველაზე ნიჭიერ პოეტად და ეს

გახლდათ გაიუს ვალერიუს კატულუსი. მისი შემოქმედება, ისევე როგორც სხვა ნეოტერიკოსებისა, წინ უსწრებდა ავგუსტუსის „ოქროს ხანის“ ლიტერატურულ ძიებებს, რომელმაც მიიღო რა ნეოტერიკოსთა მიერ გამდიდრებული გრძნობათა სამყარო და ფორმისმიერი მიღწევები, დაივიწყა მათი შემოქმედება.

და ვერავინ იტყვის ზუსტად, ბედნიერი შემთხვევითობა იყო თუ კანონზომიერი მოვლენა ის, რომ ვერონაში, კატულუსის მშობლიურ ქალაქში, ერთი პატარა ტაძრის უამგარდასულ ფოლიანტებში ერთადერთი ნეოტერიკოსის კრებულის ერთადერთი ხელნაწერი აღმოჩნდა. ეს იყო XIV საუკუნე, ანტიკური რენესანსის დასაბამი ხანა. მას შემდეგ კატულუსის ინტიმურმა ლირიკამ, რომელიც იტალიური რენესანსული ლირიკისთვისაც კა აღმოჩნდა იყო, მყარად დაიმკვიდრა საკუთარი ადგილი მსოფლიო ლირიკის საგანძურში.

დიახ, კატულუსი ქმნიდა პოეზიას პოეტებისთვის, მათთვის, ვინც გრძნობდა პოეტური სიტყვის ხიბლს და შთამბეჭდაობას. მან წინ გაუსწრო თავის დროს და ნეოტერიკოსთა შორის აღმატებული თავისი მოდერნისტული მიდრეკილებებით თანამედროვე ლირიკული პოეზიის ფუძემდებლად იქცა. მას აღიარებდნენ ევროპული ლირიკის კორიფეული, მის პოეზიას მსოფლიოს მრავალ ენაზე მხოლოდ სახელოვანი პოეტები თარგმნიდნენ.

და აი, მოგვიანებით, მაგრამ მაინც დადგა დრო, როდესაც ქართულ ენაზეც თითების სრულად ითარგმნა კატულუსის პოეტური მემკვიდრეობა.

თარგმნის პროცესი საოცარი იდუმალებით არის მოცული: თუ შემოქმედება ქვეცნობიერი მოვლენაა, თუ ის სიტყვები, რომელებიც ეძღვევა პოეტს საკუთარ გრძნობათა წარმოსაჩენად მხოლოდ იმისთვის, რომ თავისი ინტიმური განცდა ან მის მიერ აღქმული სამყარო წარმოსახოს, მაშინ რა ფუნქცია ეკისრება მთარგმნელს? რა იდუმალ ძალას ფლობს იგი იმისთვის, რომ ძველი



## ପ୍ରାଚୀନତାକାଳୀନ ମହାତ୍ମାବିଦ୍ୟାଗମକା

პოეტის უფაქიზესი ნამების განცდა საუკუნეებში  
გამოატაროს? ის მუზა, რომელიც სხვისთვის და მხოლოდ  
ერთადერთისთვის იღვნიდა, თავისთვის აახმიანოს, ზეი-  
დუმალს ეზიაროს, განუმეორებელი გაიმეოროს? —  
მსგავსი კითხვები, ვფიქრობ, ჰასუხს ვერასოდეს მოიძებ-  
ნიან. მაგრამ ეს იდუმალი ძალა რომ არსებობს, ქართველ-  
მა მყითხველმა, რომელმაც დაუშურველი სიყვარულით  
ალიარა შექსპირის (ივანე მაჩიბლის თუ რევაზ თაბუკაშ-  
ვილის), ალმოსავლური პოეზიის (ვახუშტი კოტეტიშვი-  
ლის თუ მაგალი თოდუას), ებრაული პოეზიის (ჯემალ  
აჯიაშვილის) თუ ფრანსუა ვიონინის (დავით ნერედიანის)  
თარგმანები, კარგად იცის: მათ დროს გაუძლეს, ისევე  
როგორც ორიგინალებმა, და ქართული ლიტერატურის  
საგანძურებელი დაიმკვიდრეს ადგილი, ისინი ქართული ლიტ-  
ერატურის მონაპოვრებად იქცნენ.

ვფიქრობ, ასეთივე განწყობით წაიკითხავს ქართველი მკითხველი გაიუს ვალერიუს კატულუსის „ლექსების წიგნსაც“, რომელიც ლათინურიდან თარგმანა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო **მანანა ლარიბაშვილმა.**

ამ ორიოდე წლის წინათ მანანამ საზოგადოებას კატელუსის ქმნილებათა უფრო პატარა კრებული წარუდგინა, სახელწოდებით „33 ლექსი“. რაც შეეხება ბოლო გამოცემას, იგი შევსებულია და თითვების სრული (აკლია, თუ არ ვცდები, მხოლოდ რამდენიმე უხამსი ლექსი). უფრო ადრე კი გამოაცვეყნა ოვიდიუსის „ტრფობანის“ („სატრფიალო ელეგიები“) ქართული თარგმანი, რომელმაც თავისი მაღალმხატვრული ლირსებებით ასევე თავისი სიტყვა თქვა ქართულ მთარგმნელობით ხელოვნებაში. სწორედ „ტრფობანის“ თარგმნისას დაიწყო მან რომაულ სალექსო საზომთა ქართული შესატყვისობების ძიება და მიაგნო ე.წ. ელეგიური დისტიქის შესაბამის ფორმას.

ამაზე ყურადღებას ვამახვილებ იმიტომ, რომ ნეოტერიკოსთა, ანუ რომაულ მოდერნისტთა ერთ-ერთ ნიშანდობლივ სიახლედ, როგორც უკვე აღვნიშნე, დახვე-ნილი ფორმებისადმი მიდრეკილება სახელდება, რაც ესო-დენი მრავალფეროვნებით არის წარმოდგენილი კატუ-ლუსის პოეზიაში.

სიტყვამ მოიტანა და ამიტომ თავდაპირველად ქართული თარგმანის სალექსო საზომთა შესახებ მოგახსენებთ: როგორც ცნობილია, ანტიკური ლირიკა, რომელიც გრძელ და მოკლე მარცვალთა მონაცელეობით შედგენილ მრავალრიცხვოვან სალექსო სტრუქტურებს გვთავაზობს, არსებითად განსხვავდება თანამედროვე ევროპული ლექსთწყობისაგან. ევროპელებმა, რომლებიც უკვე დიდი სანია თარგმნიან ძველ ბერძენ და რომაულ ავტორთა ქმნილებებს, მიაგნეს ანტიკურ საზომთა გადმოტანის უმთავრეს, კერძოდ, მახვილიან და უმახვილი მარცვალთა მონაცელეობის პრინციპს, რაც წარმატებული აღმოჩნდა. რაც შეეხება ქართულ ენას, რადგანაც მას არა ახასიათებს არც მარცვალთა სიგრძე-სიმოკლე და არც მახვილი გააჩნია მკვეთრად გამოხატული (ანუ, როგორც ამბობენ — ექსპირატორული), აյ მთარგმნელები მარცვალთა რაოდენობისა და რიტმის პრინციპს მიმართავენ და ამ შემთხვევაში სალექსო საზომის მიგნების ცდა მხოლოდ და მხოლოდ მათ ინტუიციასა და გემოვნებაზე არის დამოკიდებული.

კატულების ფორმით მდიდარი ლექსები ქართულადაც  
მდიდარ საზომებში ახმიანდა. მთარგმნელმა დახვეწილი  
გემოვნებითა და პირული ინტუიციით შეძლო ანტიკურ  
სალექსო საზომთა ქართული ლექსთნყობისათვის ნიშან-  
დობლივი რიტმებით გადმოცემა. საილუსტრაციოდ რამ-  
დენიმე ნიმუშის წარმოდგენაც კრარა:

ელეგიური დისტიქტი ანტიკური ლირიკის ყველაზე უფრო პოპულარული საზომია. იგი ორ სტრიქონს მოიცავს, რომელთაგან ერთი გამართულია დაქტილური ჰექსამეტრით, ხოლო მეორე — დაქტილური პენტამეტრით. მანანა ღარიბაშვილმა ამ საზომის გადმოცემის თავისებურ და ერთობ წარმატებულ ვარიანტს მიაგნო. როდესაც ამ საზომით გამართულ ქართულ თარგმანს კითხულობ, იგრძნობა, რომ იგი შექმნილია, მაგრამ საოცრად მიესადაგება ქართული ლექსის ბუნებას:

კვინტიუს, კეთილი ძლვენი თუ გინდა

კატულუსს უძღვნა,  
რაც თვალისჩინად უღირს, ან თვალისჩინზე მეტად,  
დაცხრი და იყავი შენთვის, ნუ ცდილობ,  
ნაცგვარო მალვით,  
რაც თვალისჩინად უღირს, ან თვალისჩინზე მეტად.  
(XXXXII)

**გალლიაშოსი** (კიბელეს ქურუმთა იამბოსი) ურთულესი საზომია ანტიკურ ლექსთონყობაში. მას მცირე იონიურ კატალექტიკურ ტრიმეტრს უწოდებენ სხვაგვარად, ამ საზომის უმთავრესი დაინიშნულება — ნათქვამს მიანიჭოს იდუმალი დიდებულება — გასაოცარი ინტუიციით გამოიხატა ქართულ თარგმანში:

აფრიკული ამართა წყალზე ატისმა, ქროლვით

გადავლო ზღვები,  
გალმა ფრიგიის ნაპირს მიადგა, ღრმად  
უმალ მიაგნო დიდი ქალლმერთის ბნელით  
(XIII., 1-3)

ეს საზომი, შესაძლოა, რომაული ლექსის ეკვივალენტური არ იყოს, მაგრამ საოცრად მოქმედია იმისთვის, რათა კაბელეს ქურუმთა სიმღერის იდუმალი ძალა შეგვაძრნებინოს.

კიდევ მრავალი ნიმუშის მოხმობაა შესაძლებელი იმის დასტურად, თუ რაოდენი რუდუნების შედეგია მრავალ-ფეროვანი რომაული ლექსთწყობის ქართულად ახმიანება, მაგრამ სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, ალვნიშნავ მხოლოდ, რომ ქართველმა მთარგმნელმა (იგი ჩემი მეგობარია და მიჭირს ოფიციალურ წერილში გვარით მისი მოხსენიება) შეძლო ხელოვანისათვის ნიშანდობლივი სატატობით წარმოედგინა ორიგინალის რიტმულ-სინ-ტაქსური ნიუანსებიც კი და ამით რომაული ლექსის გასაოკრატ მოწნილობასა და სილამაზეს გვაზიარა.

კატულუსი, ისევე როგორც მისი წინამორბედი პოეტები (მაგალითად, კალიმაქისი), იყო არა მხოლოდ „doctus“, არამედ ხალხური პოეზიით მთაგონებული შემოქმედიც.

## კლასიკური მემკვიდრეობა

მის ლირიკაში უხვად იგრძნობა ხალხური სიტყვიერები-სათვის დამახასიათებელი ჭეშმარიტი იუმორი, რაც ოდი-ნდელი სიმძაფრითა და ესოდენი უბრალობით აისახა მანანასეულ თარგმანში:

მე თქვენ გიჩვენებთ! ამოგივსებთ პირს და უკანალს,  
შენც, ავრელიუს, შენც, ფურიუს, ძმათა უტყაბესნო!  
სიტყვაზე დამდევთ? ზნედაცემულ კაცად მაცხადებთ,  
რაკი სტრიქონში იმნაირიც გამომერია?

თურმე ნუ იტყვი, ეჭვევეშ მდგარა ჩემი კაცობა!  
პირს და უკანალს ამოგივსებთ, სალახანებო!

(XVI)

კატულუსის ქმნილებათა ქართველმა მთარგმნელმა, რომელიც ჩვენი საზოგადოებს ყველაზე პოეტური ოჯახის დიასახლისია, დიდებულად რომ იცის ქართული პოეზია, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, ეს მის ყოველ პწკარში იგრძნობა. და თუ კატულუსი ამკობს რომაული ხალხური სიტყვიერების სამშვენისებით თავის ლექსებს, მათი ტოლფასია ქართული თარგმანებიც, რომლებიც ხალხურ თუ უკვე თითქმის ხალხურად ქცეულ ქმნილებებს გვაგონებენ:

სალამი შენდა, გოგოცუნავ, ჩემო გრძელცხვირა!  
თვალნი არ შავნი და ტან-ფეხიც ვერ აშოლტილი,  
თითნი არ თლილნი და ტუჩ-კბილნი არ უდორბლონი,  
ვერც ხიბლიანო, ვერც დახვენით ენახმიანო,  
ფორმიანელო ბედოვლათის გულის მურაზო!  
შენზე ამბობდა პროვინცია, ლამაზია?  
ნუთუ შენა ხარ, ჩვენს ლესბიას რომ შეგადარეს?  
ჰოი, დროებავ, უბადრუკო და უმეცარო!

(XIII)

კატულუსი, ისე როგორც სხვა არც ერთი რომაელ პოეტთაგან, იყო უკიდურესად უხეშიცა და ბილნისი-ტყვიერიც, მაგრამ იმდენად გულწრფელი, რომ მისი უხამ-სობა და სიავეც კი პოეზიად აღიქმებოდა, რაც ესოდენ ვირტუოზულად აისახა კიდეც თარგმანში:

მემრუშე ტალუს! ბატის ტვინზე უფრო მსუბუქო,  
უფრო აზიზო, ვიდრე კაცის ყურის ბიბილო,  
ან კურდლის ბეწვო, ბებრის დამჭვანარ ასოზე მჭვანარ,  
და მაინც ყველა ქარიშხალზე უფრო მძვინვარევ!  
მძვინვარე ქურდო, მთვარე როცა ძილში გაგვახვევს...  
ჩემი ლაბადა დამიბრუნე, როგორც ამნაპნე!  
ფერად-ფერადი ბითინური ტილოს სუფრები...  
ბრჭყალი შეუშვი! მომიბრუნე! თუ არ მომიტან,  
ჩემი მათრახით აგიჭრელებ ფაფუკ თათუნებს  
და რბილ-რბილ ფერდებს, აგაცევებ, აგახტუნავებ,  
როგორც ტალდებზე ააცეკვებს ხომალდს გრიგალი.  
(XXV)

როგორც ჩანს, კატულუსის პოეტური გენია თანაბრად იტევდა სიავესაც და საოცარ სინაზესაც, იმ ლირიკულ განწყობილებებს, რომლებსაც ესოდენი სინატიფით გვაზიარა მანანა ლარიბაშვილმა:

შენს რამდენ კოცნას დავჯერდები, მკითხავ, ლესბია,  
რამდენი კოცნა დამოკებს, დამაშოშმინებს,  
გეტყვი: დათვალე კირენეში ლიბიის ქვიშა,  
სალვოთ ბალახი სადაც ხარობს, ლაზერპიცია,  
ბატოსის წმინდა სამარიდან მოკიდებული  
იუპიტერის მოჩახჩახე სამისნოს ბჭემდე.  
გეტყვი: დათვალე ჩემ ლამეში რამდენი მნათიც  
ანთია ცაზე და ჩვენს მალულ სიყვარულს უჭვრეტს.  
ეგებ მაშინდა დაცხრეს ცოტა სურვილი მძაფრი,  
გახელებული კატულუსის შმაგი წადილი.  
იმდენი მკოცნე, სათვალავი აეპნეთ კოცნის,  
ავმა ენებმა ვერ მიაგზონ გასათვალავად.

(VII)

ამ ლექსში ბედნიერებს განცდა, რომელიც ცოცხალი და გულწრფელი ვნებით არის გამოწვეული, გავერებულია ელი-ტარული პოეტის სურვილით, თავი მოაწონოს თავის ჩჩეულს „განსავლულობით“: ალბათ, ამაოდ არ ახსენებდა იგი „ლიბიის ქვიშას“, „ლაზერპიციას“, „ბატოსის სამარხს“, „იუპიტერის ტაძარს“, „მნათიბებს“. ძველი რომაელისთვის ჩვეული ეს მინიშვებით, რა თქმა უნდა, აისახა ქართულ თარგმანშიც ისე ოსტატურად, ისე ორგანულად, რომ მკითხველი ბუნებრივად შედის შორეულ, მაგრამ მაინც მისთვის ნაცნობ გარემოში და ეს „გახელებული კატულუსის შმაგი წადილით“ აბობიქრებული გარემო მისთვისაც ახლობელია.

ქართველმა მთარგმნელმა ქართველი მკითხველი ძალდაუტანებლად შეიყვანა რა ძველი რომაელი პოეტის სამყაროში, მისი უფაქიზესი განცდების თანაზიარიც გახადა:

ისევ მოვიდა გაზაფხული თბილი ქარებით,  
ისევ აჯობა ზეფიროსის საამო ქროლვამ  
ზამთრის ქარიშხლებს, ისევ დათბა, ისევ განათდა...  
(XVI)

როდესაც ვალერიუს კატულუსის „ლექსების წიგნიდან“ ამ და სხვა მრავალ სტრიქონს ვკითხულობ, ისეთი განცდა მაპყრობს, თითქოს ისინი ახლა დაეწეროს პოეტს ქართულად. არადა ამ ლამაზ და აკადემიურ გამოცემას (გამომცემლობა „ლოგოსი“) თან ორიგინალის ტექსტიც ახლავს და დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია დარწმუნდეს, თუ რა გასაოცარი სიზუსტითა და განწყობილებით ითარგმნა თითოეული სახე და პწკარი:

*iam ver egelidos refert teores,  
iam caeli furor aequinoctialis  
iucundis Zephyri silescit aureis.*

მანანა ლარიბაშვილის, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედის ძალის ხმევაც, ალბათ, იმას ემსახურება, რომ ის განუმეორებელი წამი, რომელიც თითქოს ისტორიას ჩაბარდა, კვლავ გააცოცხლოს თავდაპირველი იდუმა-ლებით და ამთ კიდევ ერთხელ გახადოს ცხადი, რომ პოეზია საერთოა, მარადიულია და რომ მის ყოველ გამონათებას ერთნაირად განიცდიან ზეგარდმი ძალით შთაგონებული პოეტებიცა და ისინიც, ვისთვისაც ეს პოეზია იწერება.

თამარ შაიშმელაშვილი

## „შეხვედრები“... სამანს აქათა და სამანს იქითა საქართველოსთან

### დიალოგი... შინაგანი სიცოდით მრავლისმომცველი

„შეხვედრები“, – ასე ჰქვია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის რუსული ნიშნიანიძის ახალ წიგნს, რომელიც ხუთ დიალოგს აერთიანებს. ავტორმა სხვადასხვა დროს დაწერა ჩვენი სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრების ხუთი გამორჩეული წარმომადგენელი.

წიგნი დოკუმენტური პროზის ნიმუშია და მოიცავს როგორც განვლილ – XX საუკუნის ლიტერატურულ ცხოვრებას, მხატვრობას, ქართულ ემიგრაციას, ისე, კონკრეტული ადამიანების – გიორგი ნატროშვილის, ოთარ ჩხეიძის, კობა გურულის, მამია ბერიშვილისა და ალექსანდრე ფუტკარაძის ბიოგრაფიის პერიძეტიებს.

„რესპონდენტები ერთმანეთისგან ბევრი რამით განსხვავდებიან – შეხედულებებით, პოზიციებით, ცხოვრების წესითა თუ, საერთოდ, ბედისნერით, მაგრამ მათ აერთიანებთ მთავარი – სამშობლოს გულწრფელი სიყვარული და მისი უანგარი მსახურების სურვილი“, – აღნიშნავს წინასიტყვაობაში წიგნის რედაქტორი გიორგი ლობჟანიძე.

ურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში გამართულ ამ წიგნის განხილვასაც ერთი სულისკვეთება გასდევდა – ვინც იცნობს რუსულან ნიშნიანიძეს – ეროვნული მწერლობის მკვლევარს, უცხოეთში ქართული დოკუმენტებისა და სიძეველების დაუღალავ მაძიებელს, ორტომეულის: „საქართველო – სამანს აქეთ... და სამანს იქით“ ავტორს, იგი ცხადია, რომ თანამოსაუბრეს შემთხვევით არ ამოირჩევდა.

ურნალ „ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ რუსულან ნიშნიანიძეს ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების და, საერთოდ, ჩვენი კულტურული და სამეცნიერო საზოგადოების გული და სული უწოდა:

„მას შეუძლია მთლიანობაში გაიაზროს სამანს აქეთა და სამანს იქითა საქართველო. ორტომეულსაც ხომ ეს სახელწოდება ჰქვია. და ეტყობა, ეს გაჲყვება რუსულან ნიშნიანიძის მოღვაწეობას. თავად წიგნი „შეხვედრებიც“ ამ სტრუქტურითაა აგებული. მასში ასახულია და გააზრებულია სამანს იქითა და სამანს აქეთა საქართველო... ამ წიგნში თავი მოიყარა თავისებურმა ციკლმა, რომელიც აგებულია დიალოგის ფორმით, ოღონდ შინაგანი სივრცით მრავლისმომცველია, რადგანაც წარმოდგება არა მარტო მაგრამ პიროვნებათაგან, ვინც არიან ამ წიგნის გმირები. წიგნი შედგება გიორგი ნატროშვილის, ოთარ ჩხეიძის, კობა გურულის, მამია ბერიშვილის, ალექსანდრე ფუტკარაძის ფიქოლოგიური პორტრეტებისაგან, რომლებიც

იმავდროულად – პოლიტიკური პამფლეტებიცაა. ამის გარდა, ეპოქას ძალიან ხელშესახებად აირეკლავს, დოკუმენტური პროზის შესანიშნავი ნიმუშია და ყველას გამოადგება – ისტორიკოსაც, ლიტერატორსაც, ყველა ჯურის მკითხველს. რაც ხანი გავა, მითუფრო გაიზრდება ამ წიგნის მნიშვნელობა, რადგანაც ამ მოღვაწეებს მრავალი დაკვირვება და შეხედულება სხვაგან, თავიანთ ნაწერებში არ გამოუთქვამთ. ქალბატონმა რუსუდანმა მოახერხა, რომ ისინა აელაპარაკებინა და ეთქმევინებინა ის, რაც სხვაგან არ ყოფილი გაელვებული“.

როსტომ ჩხეიძის აზრით, ამ წიგნის სახით გვაქვს უმნიშვნელოვანესი გამოცემა, რომელიც ჩვენს რეალობაში შეიქმნა და რითაც საზოგადოება თავს მოიწონებს.

### „ეს საქართველოს ნიშანია!..“

„წიგნი „შეხვედრები“ ჰქვია. დღემდე ეს ფაქტები არ-სად თქმულა, არც ქართულ დოკუმენტურ პროზას, მემუარებს, დღიურის ფურცლებს არ შემოუნახავს“, – აღნიშნა რუსულან ნიშნიანიძემ. მისი თქმით, ეს წიგნი დოკუმენტური თხრობს მანერითა და ამა თუ იმ თემაზე დამტკიცებულებით ძალიან განსხვავდება ადრე გამოცემული წიგნებისგან. დროის გადასახედიდან ზოგიერთი რამ იუმორის ელფერითაც იმოსება. მაგალითად, მუზეუმისთვის ნიმნეულ სიმუჟდროვეში ბატონი გიორგი ნატროშვილი ყვება: ვაგორებთ ნარდს საღამოდან თითქმის გამოჰინამდე. კარლო კალაძე და ლევან ასათიანი თამაშობენ. ხან ერთი მოუგებს, ხან – მეორე, ვერაფრით ვერც ერთმა გამარჯვებას ვერ მიაღწია. ბოლოს გადამწყვეტი მატჩია, რომელმემ უნდა მოიგოს. მოულოდნელად კარლო დება, მიდის ტელეფონთან და რეკავს სერგო კლდამვილთან: სერგო, მჭირდება დუშაში და უნდა მომცე. კარგა ხნის პაუზის შემდეგ სერგოს ხმა გაისმის: მომიცია!.. და წყვეტილი ზუმერი. სერგომ ყურმილი დადო. კარლომ კამათელი გააგორა და მართლა დუშაში არ დაჯდა?.. მერე მთელი კვირა ემაღებოდა გამეტებულ ლევან ასათიანს სერგო კლდიაშვილი...

„არის იუმორი, რომელიც გაგაცინებს, მაგრამ არის იუმორი, რომელიც წლების დამოკიდებულებით, დისტანციით დაგაფიქრებს კიდეც“, – რუსულან ნიშნიანიძემ ბატონი გიორგის კიდეც ერთი ნამბობი გაიხსენა: მწერალთა კავშირში კრებაა დაგეგმილი, მაგრამ რატომდაც აგვიანდება დაწყებას, მაჩაბლის 13-ში გამოშლილან ქართველი მწერლები და უცებ დაინახეს, მოღიან დიმიტრი გულია და გიორგი გულია. დიმიტრი იყო აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი, გიორგი კი – მისი შვილი, ოღონდ წერდა რუსულად. მათმა შემხედვარემ - ენამახ-

ვილმა კარლო კალაძემ თქვა: „Вот идут начало и конец Абхазской литературы“...

„მრავალი რამ შეიძლება გაიხსენო ამ ადამიანთა მონათხობიდან, თითოეულს აქვს განუმეორებელი ხიბლი, თხრობის მანერა. ყველანაირად ვეცადე, არც სტილი შემეცვალა, არც ლექსიკონი გამომეყენებინა... ამ დიალოგებში არაფერი არ შემიცვლია. დავტოვე ისე, როგორც მიაბესა...“

და როცა ბატონ ოთარ ჩხეიძეს ვკითხავ, თქვენთვის რომელი დროა, რომელი ეპოქაა ყველაზე ახლობელი-მეთქი, ბატონი ოთარი მეტყვის: „რომელშიცა ვარსებობ“. კაცმა, რომელმაც იცის, როგორი კომენტარი გაუკეთოს იმ ეპოქას, რომელშიც არსებობს და დააყოლოს: „წარსული მხოლოდ მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ. უკეთეს შემთხვევაში. ანთუ როგორ არ უნდა ვიცხოვროთ. უარეს შემთხვევაში“.

აქ ჩანს ის მოდელი, რომ ისტორია არ შეიძლება იქცეს მითად. ისტორიას სჭირდება რეალობა და, ასევე, რეალური აღქმა თავისი ლირსებითაც და ნაკლოვანებითაც. ეს კარგად იცის ოთარ ჩხეიძემ, როდესაც მეტყვის – „პირველივე სტრიქონიდან ვიცი, თუ რა უნდა დავწერო: დასაწყისი ვიცი, შუაწელი ვიცი, და-სასრული ვიცი და აღარც არაფერი აღარ მაყოვნებს“. ...მნერალმა იცის, რა უნდა უთხრას ქართველ ერს და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, – უთხრას სიმართლე!..

ვფიქრობ, არა მხოლოდ ქართული მხატვრობის ისტორიისათვის, არა მხოლოდ კობა გურულის ბიოგრაფიისთვის და ფასეულობებთან დამოკიდებულების ისტორიისთვის, ეს ფაქტი უნდა იცოდეს ყოველმა ქართველმა, რომელსაც ცნობილი მხატვარი, ბატონი კობა გურული გაიხსენებს:

მოხდა ისე, რომ მოვიდა ცე-ს მდივნად კაცი (გულისხმობს ე. შევარდნაძეს), ყველან მივიდა, ჩვენთან არ მოვიდა, მხატვრებთან... ვის აღარ შეხვდა – გლეხებს, მუშებს, ინუინრებს, ექიმებს, პოეტებს... მხატვრებთან არ მოდიოდა, რადგან მხატვრობა ითვლებოდა როგორც რაღაც ბალასტად.

მე ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ მხატვრებთანაც მოსულიყო. და როცა შეგხვდა, მაშინ ვუთხარი, როგორ ილუსტრობდა ნამდვილი მხატვრობა და როგორ იკიდებდა ფეხს ვაი-მხატვრობა. ეს ვაი-მხატვრობა სჭამდა ლადო გუდიაშვილს, ებრძოდა დავით კაკაბაძეს, ელენე ახვლედიანს, ქიქოძეს და მრავალ სხვას... სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, როცა გავიხედე ლადო გუდიაშვილისკენ – აეღო ფურცელი, აკადემიური ფურცელი, დაედო მარჯვენა ხელი და შემოეხაზა ფანქრით და დაწერა:

„ჩემო კობა, მეტი ჯილდო მე არაფერი მაქვს, ჩემს მარჯვენას გჩუქნი შე“.

იცით, ეს არა ორი კაცის ურთიერთობა, – განაგრძო ქალბატონმა რუსუდამა, – ეს საქართველოს ნიშანი!

რუსუდან ნიშნანიძემ ისაუბრა წიგნის შემდეგ პერსონაჟზე – მამია ბერიშვილზე: „1949 წელს ნოე უორდანიამ ვანქში დაწერა რწმუნების სიგელი, რითაც მთელ უფლებამოსილებას გადასცემდა კაცს, რომელსაც მამია ბერიშვილი ერქვა. ის იყო, ასევე, ნოე რამიშვილის დისწული. ბატონმა მამიამ პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივი – საქართველოს ისტორიული მეხსიერება ჩამოიტანა. არქივის გატანის მთელი ისტორიაა. საფრანგეთმა ეს ეროვნული ქონება ისე შეგვინხხა, ფულს არ გვახდევინებდნენ. 53 წელს, უდიდესი წყალდიდობის შემდეგ, არქივი დასველდა და ლევილში გადაიტანეს. იქ გასაშრობად იყო გაფენილი... ლევილის მინდვრებზე შრებოდა ის ქალბატები, რომელთაც საქართველოს ოფიციალური დოკუმენტები ერქვა...“

და წიგნის ბოლო პერსონაჟი – ალექსანდრე ფუტკარაძეა, ვისთან შეხვედრაც უჩვეულოდ მომხდარა.

„ეს ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც დავინტერესდი 40-იანი წლების ამერიკაში ბესტსელერად ქცეული წიგნით „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, რომლის ავტორი ქართველი ემიგრანტი ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილი იყო. რეზისორმა ჯორჯ სიტორნმა პოლივუდში ამ წიგნის მიხედვით ფილმი გადაიღო. ჩემი ყურადღება ერთმა ინფორმაციამ მიიძყრო, რომ ფილმი მონაწილეობდა ქართველი ემიგრანტი ალექსანდრე ფუტკარაძე. მის ოჯახში ინახებოდა ფანდური, რომელიც რეზისორმა ფილმში გამოიყენა.

ბატონი ალექსანდრე ჩემი უალოესი მეგობრის მაია ფუტკარაძის ბიძა იყო. ოკეანის გაღმა მყოფ ალექსანდრეს ტელეფონით შევეხმანეთ... და სრული მოულოდნელობა – 85 წლის უხუცესმა ემიგრანტმა ბილეთი აიღო, ოკეანეს გადმოუფრინა და სასაუბროდ გამოემგზავრა...“

ალექსანდრე ფუტკარაძეს ძალიან სურდა საქართველოზე ლაპარაკი. მან 7 დღე დაჲყო სამშობლოში, მაიასთან იყო სტუმრად. 4 დღე ვიმუშავეთ, ერთი დღე დაისვენა, ერთი დღე მშობლიური ადგილების მოსანახულებლად „გაიმეტა“ და მეშვიდე დღეს უკან – ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნდა...“

ამ წიგნის ხუთი პერსონაჟიდან სამი ცოცხალი აღარაა. ზოგი მათგანი თბილისში ცხოვრობდა, ზოგი პარიზში და კალიფორნიის შტატში, თუმცა მათ – ყველას აერთიანებდა ერთი დიდი სიტყვა – სამშობლო!



რუსუდან ნიშნანიძე

### მცირე გადახვევა:

სერგო კლდაშვილის ეპიზოდთან დაკავშირებით როსტომ ჩხეიძემ გაიხსენა ერთი ამბავი: სერგოს ნავსიანობას აბრალებდნენ. ვინც მას დაინახავდა, უმაღ უკან გაბრუნდებოდა, ხელი არ მომემართებაო, – ფიქრობდა. ერთ დღესაც იგი გიორგი ლეონიძესთან მისულა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. გიორგის ნიშნის მოგებით უთქვაშს: – ახლა ფული უნდა ავიღო ბუღალტერიაში და ვნახოთ, რას იზამო!

მართლაც, შესულა ფულის ასაღებად და რას ხედავს... ბუღალტერს თავი არ ჩამოუხრჩია?!

### ეპოქის შვილებიც იყვნენ და ეპოქასაც ჩანიშნენ...

### ოთარ ჯანელიძე, პროფესორი:

– ამ წიგნში პორტრეტები ოსტატურად, ახალი წიუანსებითაა გამოკვეთილი. ეს რუსულანის დამსახურებაა. ამ ხალხს ისეთი რამ ათქმევინა და ისე წარმოაჩინა, კიდევ უფრო დასამახსოვრებელი გახადა ისინიც, საკუთარი თავიც და თავისთავად წიგნიც.

„შეხვედრები“ მთელ ეპოქას აერთიანებს. აქ არაა გავლებული საზღვარი ემიგრანტ მოღვაწეებსა და სამშობლოში მოღვაწე პიროვნებებს შორის, და ეს ასეც უნდა იყოს.

დიდი ხელი ის განმავლობაში ის ემიგრაცია ჩვენთვის მივიწყებული, დაკარგული იყო და დიდი ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული. მრავალჯერ გვითქვაში, რომ ჩვენ გვიან ჩავერთეთ ამ საკითხების კვლევაში, როცა უკვე ემიგრანტი მოღვაწეების მთელი თაობა აღარ იყო ცოცხალი. ჩვენ რომ მოგსწრებოდით, მათგან გაცილებით მეტის გაგება შეიძლებოდა. უფროს თაობას ამის საშუალება არ მიეცა. ერთეულებმა თუ მოახერხეს მათთან შეხვედრა და რამდენიმე მოგვიანება შემოგვრჩა. ამგვარი პორტრეტები არ შექმნილა. საწყენია, დასანანია, რომ ეს ასეა.

ის, რაც რუსულანმა შემოგვთავაზა, საინტერესო ფორმა და მიგნებაა. ძალიან კარგი წიგნი მიიღო ქვითხველმა.

### რუსულან დაუშვილი:

– რუსულანის წიგნები ყოველთვის გამოირჩევა არა მარტინ შინაარსით, არამედ დიზაინითაც. ხუთივე პიროვნება სხვადასხვა ფერით, შრიფტით და ორნამენტით არის ერთმანეთისგან გამოყოფილი.

სიმბოლურია ამ შესანიშნავი ხუთეულის ერთ წიგნში გაერთიანება. ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც ეპოქის შეილებიც იყვნენ და ეპოქასაც ქმნიდნენ. ისინი XX საუკუნის შეილები არიან, მაგრამ როგორი განსხვავებულია მათი ცხოვრება, ხედვა, რუსულანის მიერ დასმული კითხვები, როგორ სხვადასხვა რაეურსით ცდილობს იგი მათ ალაპარაკებას. კითხვის დასმის ხელოვნება დიდი ნიჭია.

ადვილი არაა, გიორგი წატროშვილი, ოთარ ჩხეიძე, კობა გურული ალაპარაკო და ის ათქმევინო, რაც მისთვის და მეტიხველისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია.

### დათო ტურაშვილი, მწერალი:

– ჩემთვის ძალიან სევდიანი წიგნია, რადგან ამ ადამიანების ნაწილი ცოცხალი აღარაა. თანაც, ესაა XX საუკუნის თავგადასავალი, ოღონდ წიგნის პერსონაჟების თვალით დანახული. მათგან ზოგი საქართველოში ცხოვრობდა, ზოგიც – მის გარეთ. მაგალითად, სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელი მამია ბერიშვილი უცხოეთში გაიზარდა. მისთვის სხვა გარემო არ არსებობდა.

თავიდან მეც კატეგორიულად უარყოფითი აზრი მქონდა სოციალ-დემოკრატებზე, მაგრამ დროის გასვლასთან ერთად, დაკვირვების შედეგად, აზრი შემციცალა: 6 მოიგეს, უნივერსიტეტი, კონსერვატორია დაარსეს, მაგრამ ვერ შეძლეს 1921 წელს ანექსიას დაპირისპირებოდნენ. თუმცა დადებითიც უეჭველად ჰქონდათ...

### ცისანა კვინტრაძე-გოძიაშვილი, კრიტიკოსი:

– რუსულან ჩემი წიგნი ვაჩუქე და ასე წავაწერე: ემიგრანტული სამყაროს დედოფალს. მართლაც ასეა. ჯერ მისი ორტომეული: „სამანს იქით და სამანს აქეთ“ რად ღირს. ეს ხომ შედევრია.

„ჩვენი მწერლობის“ მე-11 წომერში წავიკითხე რუსულან ნიშნიანიძის შესანიშნავი სტატია: „ამერიკული ბესტ-სელერის ქართველი ავტორი“. მინდა ჩემი შთაბეჭდილება გაგიზიაროთ.

გიორგი და ჰელენ პაპაშვილების რომანი: „ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ საქართველოში მხოლოდ 1966 წელს გამოიცა. წიგნში მრავალი მზიშვნელოვანი ეპიზოდია, მაგრამ შევჩერდები ერთ ქვეთავზე „მინის ძახილი“. სამი წელია გმირმა სამშობლო დატოვა. ყველაგან დაეძებს მშობლიურ ენაზე დამლაპარაკებელს. ამ მიზნით უნივერსიტეტსაც მიაშურა. პროფესორებმა სირიულიც იციან, რუსულიც, ბერძნულიც, სპარსულიც, სომხურიც, აზერბაიჯანულიც... მაგრამ ქართული ენა არ გაუგიათ.

გმირმა გამოსავალი იძოვა: გულის გადასაყოლებლად ღილინ დანწყო: ქუჩაში, სამუშაოზე თუ დუქანში ერთსა და იმავე მელოდიას მდეროდა: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვარ ყველაზე...“ სწორედ ამ სიტყვებს ღილანებდა სამრეცხაოში ჰერანგის გამოსატანად შესული, დახლში მდგომი გაოცებული ქალი რომ შენიშნა. ქალმა მამამისის მიერ ამ ათი წლის წინათ „სან ტელეგრაფში“ გაგზავნილი განცხადება გაიხსენა, რომელშიც იგი თავისი ენის მცირდეს ეძებდა, ჯილდოც დაენესებინა – 1000 დოლარი. ქალის მამა იმ დროს შემოვიდა, როცა გიორგი „წყალს ნაფოლტი ჩამოქანდა...“ მღერდა.

ამ სიმღერას მოხუცმაც ააყოლა ხმა. ფესვებძლიერი, მაგარი ხიდან ნაფოლტებად დაფანტული ქართველები აქ გადახვინენ ერთმანეთს. ორივე მინს მშობლიურმა ძახილმა აატირა...

### გია ჯოხაძე, მკვლევარი, მთარგმნელი:

– მართალი გითხრათ, ამ კრებულმა, დროსა და სივრცეში „გამანძილებულმა“ ამ სათქმელმა იმაზეც დამაფიქრა, რა უმონყალოდ ვექცევით გამორჩეულ ადამიანებს, ღვთისა და შემთხვევის წყალობით რომ დავემგზავრებით ხოლმე... რატომ გვეგონა, რომ მათთან შეხვედრისა თუ საუბრის ფუფუნება ამოუნურავია. რატომ არ აღვნეს-ხავთ ყოველივე იმას, რაც მათ სხვათაგან აუცხოებს, რის გამოც გვიყვარან და გვეიმედებიან.

რუსუდანმა სწორედ ეს გულისტყვილი დაგვიამა, მოკლედ რომ ვთქვათ, ნიშნიანიძემ „ნომი მოგვიგო“...

კიდევ რუსუდანის საქმემ იმითაც მომაწონა თავი, რომ თვალი გაგვედევნებინა იმ სათუო, იქვნეული პროცესისათვის, ფაქტის, მოვლენის ისტორიად დაღვინებას რომ ეძახიან. იქნებ ეს ბატონი ოთარ ჩხეიძის მაგალითით – გახსოვთ, ასე თქვა „არტისტული გადატრიალების“ აფტორმა: „განარა და დოკუმენტები სჭირდება მწერალსა იმის დასახატადა, რასაც რო შეპყურებს საკუთარი თვალითა?“ ან კიდევ: „ავტორის სიმტკიცე სიმარტლე გახდავს!“

ორივე პორიზონტი ჩანს ამ წიგნში – „საკუთარი თვალით ხედვა“ და „შეურყევი სიმტკიცე – „სიმარტლე“ და, რაც მთავრად მეტვენება, ავტორის მოუღალაობა, იაროს ამ პორიზონტებისკენ!“

**იოსებ ჭუმბურიძემ** წიგნის სასიამოვნო ვიზუალურ მხარეზეც გაამახვილა ყურადღება და, ასევე, მაღალპროფესიული ოსტატობით შექმნილ ხუთი ინტერვიუ-დიალოგზე. გიორგი ნატროშვილთან დიალოგში გამოკვეთილია არა მარტო მისი პორტრეტი, არამედ სხვა მწერლების მოულოდნელი, უცნობი წიუანსები, თუნდაც პავლე ინგოროვებასთან ურთიერთობა.

– ჩემთვის სრულიად ახალი იყო მამია ბერიშვილის მიერ „კაკო ყაჩალიდან“ ორი სტრიქონის გააზრება:

**მაგრამ იქ ყველა გვიაღვილდება,**  
**სადაც ჩვენა ვართ ჩვენი პატრონი.**

ეს სტრიქონები ეხმანება ბატონი ოთარ ჩხეიძისა აზრს: „ჩვენ ისევ იქა ვართ, იმავე ადგილსა ვტკეპნით. ვერ იქმნა და ჩვენი თავი ჩვენად ვერ ვიყუდნეთ. არ იქმნა და არა, ჩვენი სახელმწიფო ჩვენად ვერ დავიმკიდრეთ. ვერ იქმნა და ვერა, ერთად ვერ შემოკრბა ჩვენი ერი...“ ეს ორი ინტერვიუ ამ წიგნის დერძია, – დაასრულა იოსებ ჭუმბურიძემ.

**პოეტმა გიორგი კეკელიძემ** ამ წიგნისთვის მადლობა გადაუხადა რუსუდან ნიშნიანიძეს, რადგან ასეთი ტიპის წიგნები მომავალი თაობისთვის საჭირო და აუცილებელია.

– მე სულ სხვა თვალით დავინახე ის პერიოდი, რომელ-შიც ეს ხუთი პიროვნება ცხოვრობდა და მოღვაწეობდაო.

ალექსანდრე ფუტკარაძე **მაია ფუტკარაძის** ბიძაა. წიგნის წარდგინებაზე სიტყვით გამოსულმა ძმისწულმა აღელვებისგან ცრემლები ველარ დამალა.

– მას უყვარს და მუდმივად ენატრება თავისი ქეყებანა. 88 წლისაა და მთხოვა, თქვენთვის გადმომეცა, რომ სიყვარული გადაგვარჩენს...

როცა ეს წიგნი გამოვიდა, შვილები და შვილიშვილები შეკრიბა, ხმამაღლა, ქართულად უკითხავდა ადგილებს და უთარგმნიდა...

მომავალი თაობებისთვის წიგნის მნიშვნელობაზე ისაუბრეს ლევან ქურციკაშვილმა, შოთა ეგრისპირელმა-ხოჭავამ.

## არსებითი ლიტერატურული ინტერესია

ურნალისტი ვახტანგ ბახტაძე დაინტერესდა, აპირებს თუ არა რუსუდან ნიშნიანიძე სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის ტაქტიკური განსხვავების დაინტერესებას და საქართველოს თვალისუფლების თვალსაზრისით მათი საქმიანობის წარმოჩენას.

რუსუდან ნიშნიანიძემ მას უპასუხა, რომ ეს ყველაფერი ლიტერატურული ფაქტიდან და მოვლენიდან გამომდინარე აინტერესებს. მამია ბერიშვილთან დიალოგში ყურადღება გამახვილებულია, დამოუკიდებლობის პერიოდში, როგორ კამათობდნენ, გერბზე თეთრი თუ წმინდა გიორგი გამოესახათ.

– როცა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების წინაშე დადგება საკითხი, გერბზე რა გამოსახონ, კაკი წერეთელი იტყვის, „სანახევროდ“ გათავისუფლებული ამირანიო და ეს იქნებოდა წინანი იმისა, რომელ ქვეყანაზეა ლაპარაკი. იყო ასეთი აზრიც, ცალი ფეხით და ცალი ხელით მიბმული არსენა ოძელაშვილი გამოესახათ. ნოე უორდანისა და გრიგოლ ვეშაპელს კი სდომებიათ – წმინდა გიორგი, თუმცა, მერე გადაუფიქრებიათ, საქართველო არაა თეორეტიკული სახელმწიფო, აქ ცხოვრობენ კათოლიკები, მაპმადიანები და ჯვრიანი წმინდა გიორგი მათ ერთიანობას ხელს შეუშლიდა.

სამივე საკითხი დღის წესრიგში იდგა. მოულოდნელად ნოე უორდანისა გამოუცხადებია, უმრავლესობა მოსათათბირებლად გადისო.

ბატონმა მამიამ დამიდასტურა, წამდვილად ასე იყოო. მან ისტორიას დაუტოვა ეს ფაქტი – ერთადერთი შემთხვევა, როცა ნოე უორდანიამ უმრავლესობას ნება მისცა, ისე მოქცეულიყვნენ, როგორც თავად გადაწყვეტდნენ... და გავიდა თეთრო გიორგი.

თეთრი გიორგი იყო ის იდეა, რომელიც მეტეხის ციხეში ჩაისახა, შემდეგ კი გერმანიაში გადაინაცვლა. ის, რაც პარტიულობას ეხება, ნაკლებად მანქტერესებს... – დაასრულა რუსუდან ნიშნიანიძემ.

ერთი რამ კი ცხადია: ამ ხუთივე პიროვნების ნაამბობი, დიდწილად ინარჩუნებს სუბიექტურობის შეგრძებას – ყველა თავისას ყვება, მაგრამ ასე მგონია, რომ სწორედ ეს ანიჭებს ამ ადამიანებსაც და წიგნსაც ერთ თვისებას – ისინი ძალიან განსხვავებული არიან და ამდენად, ძალიან საინტერესო ჩვენთვის!



თარ ჯანელიძე

## ლელა კოდალაშვილი

## რა არის საჭირო იმისათვის, რომ „საბას“ ლაურეატი გახდე...

როცა გამარჯვებულის გვარს აცხადებენ და რომელიმე ნომინანტი, ვთქვათ, ამ შემთხვევაში ქალი (გამარჯვების შესახებ უმეტესად წინასწარ გაფრთხილებული) საგანგებოდ ამ დღისთვის შეკერილი საღამოს კაბის შრიალით უახლოვდება თბის ბანკის სათავო ოფისის ლოფას – ამ საწეტარო კვარცხლებეს, სადაც მას ყიურის დამაშვრალი წევრები ერიან, რათა სანატრელი პრემია და ვერცხლის ფრთა გადასცენ, როცა ეზოში ცოცხალი ბენდი უკრავს და ინსტრუმენტების ხმას გულშემატკივართა სტვენა, შეძახილები და შეკივლება ახშობს, ძნელია, წითელ ხალიჩაზე რხევით მიმავალმა, რამდენიმე წუთით, საათით, თვითი, ან უარეს შემთხვევაში წლით მანიც არ დაკარგო რეალობის შეგრძენება და თავი ჭეშმარიტად დიდ მწერლად არ წარმოიდგინო (ისე, ზოგიერთებს არც ამ ხალიჩაზე ფეხის დადგმამდე უჭირთ მსგავსი წარმოსახვებით საკუთარი თავისა და საზოგადოების შთაგონება); ძნელია, ამ მომენტში გაიაზრო, რომ გამარჯვებულის სტატუსი ხშირ შემთხვევაში საზოგადოებისთვის თვალის ახვევაა, რადგან წიგნი, რომელშიც ეს პრემია მიიღე, შესაძლოა, საერთოდ არ წარმოადგენს ლიტერატურულ ლირებულებას ან, უკეთეს შემთხვევაში, იმზე გაცილებით ნაკლები ფასი აქვა, ვიდრე თუნდაც დანარჩენი წომინანტებისას. ძნელია, ამ დროს ერთი წუთი ცაში აიხედო და დაინახო, რომ ლიტერატურული ლმერთები ისე დაგხარხარებენ, როგორც მრავალომრონაგები მხეცოვანი მთავარსარდალი ხარხარებს ჯორზე გადამჯდარი დონდლოს დანახვისას. და ვინაიდან უსაფუძვლო თავდაჯერება შენი მთავარი თვისებაა, როცა ლიტერატურული ლმერთების სიცილი კოლეგიალური ლიმილი გვორნა და საკუთარი თავი ყველა წომინანტზე უფრო წიჭირო, ასეთ დროს ლრმად გნამს, რომ წამებულს დაწყლი დაგიასდა, ხოლო ყიურის წევრები ლიტერატურული ქერუბიმები არიან, რომელთაც ღირსების გვირგვინი უნდა დაგადგან თავზე.

მაგრამ მოდით, ჯერჯერობით წუ დავკონკრეტდებით, თუ სახელდობრ ვის შესახებ ვაპირებთ საუბარს, მოვიცილოთ ირონიულ-პათეტიკური ტონი, შემაღლებული ადგილიდან ჩამოვიდეთ და შევერიოთ ლიტერატურულ საზოგადოებას, რომელიც ღვთისა და რამდენიმე დამფინანსებლის ანაბარაა მიტოვებული. დავიწყოთ იმით, რომ ქვეყანაში ამ პროფილის სულ რამდენიმე, ისიც მცირეფორმატიანი პოლიგრაფიული გამოცემა არსებობს, კონკურსები კი გაცილებით ცოტაა, რადგან ზოგი დროებით და ზოგი სამუდმოდაც კი გაჩერდა სხვადასხვა მიზეზის გამო. სამაგიეროდ, ეგრეთ წოდებული პროზაიკოს-პოეტები მრავლდებიან უგზო-უკელოდ. თქვენ ის თქვით, ხარისხიან ლიტერატურას რამდენი ქმნის, თორებ რიცხვით მრავლობა ამ შემთხვევაში უმაღლეს საქმეს, ვიდრე აკეთებს.

ამას წინათ ვწერდი, რომ ლიტერატურა გახდა მოდური, ამიტომ მის მიმართ მოთხოვნა გაიზარდა, შესაბამისად, დაინტერესებულთა რიცხვში აღმოჩნდენ ლიტერატურის ფსევდომოყვარულები და რაკი მოთხოვნა განაპირობებს მიწოდებას, დაბალი ხარისხის შემოქმედებიც მომრავლდ-

ნენ. მეტიც – ზოგი ნიჭიერი და აღიარებული მწერალიც კი გადავიდა მდარე პროდუქტის შექმნაზე, რადგან ბაზარმა ეს მოთხოვნა. შეიქმნა დიფუზიური ესთეტიკა და თანდათანობით მოხდა ისე, რომ მომხმარებელი და მომწოდებელი ერთმანეთს დაუახლოვდა. ადრე მწერალს თუ შავი „ვოლგა“ არ ატარებდა, საკუთარი მანქანა მანქანა აუცილებლად ჰყავდა და იშვიათად ჩატარებულ პომპეზურ საღამოებზე თუ ნახავდა მას მკითხველი. დღეს კი იგი ყველა დაინტერესებული ადამიანისთვის მისაწვდომია. კაფეში, რესტორანში, ლიტერატურულ საღამოზე, ლიტერატურულ მწერალი მკითხველთა დიდ მასასთან ერთად თანაცხოვრობს. თავისთავად ამაში ცუდი რა უნდა იყოს, მაგრამ მეორე მხრივ, ცხოვრების ასეთმა წესმა მოიტანა ის, რომ მწერალს მკითხველი ადრე თუ შემოქმედების გამო სცემდა პატივის, ახლა პირადი დამოკიდებულებები იქცა განმასზღვრელ პრიორტეტად და საქმე იქამდე მივიდა, რომ მეგობრულ-საფლოირტა-„საბუტილინიკური“ ურთიერთობა განსაზღვრავს მკითხველისგან მწერლის აღიარებას. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ეტაპზე საუკუნეთა განმავლობაში დახვენილი ეს ურთიერთობები კიდევ უფრო დაიხვევნა და მიუხედავად ქართველების თვისებრივი ნაკლოვანებებისა, ეს ინსტატუტი ჯიუტად და უნაკლოდ განვითარდა, რაც ლიტერატურის საქმეს უკან სწევს, სამაგიეროდ კი წინ აუკნებს და ავითარებს ქართულ-„ჯიგრული“ ურთიერთობების ინსტიტუტს. ამან გამოიწვია ფასეულობათა სრული ლიტერალიზაცია. ამიტომაც ამბობენ ხოლმე, დრო გადაარჩევს ლიტერატურას და მაკულატურას, რადგან მწერლისა და მისი იმუშავდელი მკითხველის ცხოვრების წლებში თუ მრავალი სუბიექტური ფაქტორი მუშაობს, მერე, როცა აღარც ერთი მხარე აღარ არის ცოცხალი, მომავალი თაობა გარდაცვლის მიმართ ვალდებულებას არ გრძნობს და პირუთენელად მხოლოდ ლიტერატურას აფასებს.

დაუბრუნდეთ ლიტერატურული კონკურსების თემას, კონკრეტულად კი თიბის ბანკის კულუარებს, სადაც ამ შეიდო-რვა წლის წინათ პრემია „საბას“ ჩაეყარა საფუძველი. ეს, თავისთავად, ლირსებსანიშნავი მოვლენა იყო და დღესაც არის; მაგრამ რაც უფრო იზრდება მისი მნიშვნელობა, მით მეტ მოთხოვნილებას უყენებ კონკურსს. ბანკმა გადაწყვიტა, შეექმნა რაც შეიძლება მაღალი კლასის ღონისძიება და ამით, ფაქტობრივად, თავის თავზე აიღო ქართული ლიტერატურის განვითარებისთვის უკონკურენტო თანადგომა. სპონსორს არ მოეთხოვება, კომპეტიტური იყოს ყველა სფეროში. ასეთ დროს იგი სანდო სპეციალისტს ავალებს, მოიზიდოს პროფესიონალი და ასე გაართვას თავი ღონისძიების მაღალ დონეზე ორგანიზებას. სავარაუდოდ, ასე მოიქცა თიბის ბანკიც. მან ნდობა გამოუცხადა მრავალი ტარგანზარების და მას მერე მათ და ყიურის დანარჩენ (არადამფუძნებელ) წევრებს, ერთი მხრივ, პასუხი

## თბილისა

უნდა მოვთხოვოთ დაშვებულ შეცდომებსა და დანაშაულობებზე, მეორე მხრივ, ძნელი არ არის მადლობაც ვუთხრათ, რაც კი საქმის ცოდნით და ობიექტურობით გადაუწყვეტიათ.

დავიწყოთ იმით, რომ დღეს არავისთვის უცნობი არ არის საბას ჟიურის წევრების ვინაობა. თბილის ბანკის ვებგვერდზე კი შევით თეთრზე წერია, რომ ჟიური მუდმივი არ არის, რომ იგი კომპეტენტური და კონფიდენციალურია. არ ვიცი, ვინ ტყუუდება ამ ინფორმაციით, მაგრამ დარღვევა აშკარაა. ჟიურის წევრები ძირითადად არ იცვლებიან, თუ არ ჩავთვლით იმ შემთხვევებს, როცა რომელიმე გამწარებული და აღშფოთებული წევრი თავისი წებით, თავქუდმოგლეჯილი არ დატოვებს ამ მოვალეობას; ანდა, თუ რომელიმე იმ წელს წიგნს არ გამოცემს, რომლისთვისაც პრემიის მიცემა აქვთ გადაწყვეტილი და ასეთ დროს იგი სიმბოლურად ტოვებს ჟიურის წევრის მოვალეობას, ანუ დგება ლეგალურად – ნომინანტთა, არალეგალურად კი – პრემიის უცილობლად მიმღებთა რიგებში. დანარჩენ შემთხვევებში, ჟიურის წევრები წლების განმავლობასი უცვლელი რჩებინ, თითქოსდა ქვეყანაში ყველა დროის და ყველა ჟანრის ლიტერატურის ერთადერთი ექსპერტი ეს რამდენიმე ადამიანი იყოს.

არადა, ყველამ კარგად იცის, როგორ არ კითხულობს მათი დიდი ნაწილი წარმოდგენილ წიგნებს და ხმას აძლევს ავტორებს თავისის, ღმერთმა იცის რომელი, შეხედულებისამებრ.

ჟიურის წევრების სამზარეულოდან მოღწეული ამბები სწრაფად ვრცელდება. ვერ ვიტყვი, რომ ყველა მათგანი ზედმინევნითი სიზუსტით გამოირჩევა, რადგან ხანდახან დაზარალებული ავტორი სათავისოდ ჭრის და კერავს, ან ჟიურის რომელიმე წევრი ჩადენილი უსამართლობის გამო ათას არგუმენტს იგონებს, რომ თავი გაიმართლოს. თუმცა ხდება ისეთი ფაქტებიც, რომელთაც არანაირი კომენტარი არ სჭირდება.

გავიხსენოთ, მაგალითად, ამ რამდენიმე წლის წინანდელი დაჯილდოება, სადაც პოეზიის ნომინაციაში ჯერ კიდევ დიდი წნით ადრე იყო დაწყებული მითქმა-მოთქმა – ორ წნიმინანტს (ზვიად რატიანსა და ელა გორჩაშილს) შორის რომელი გახდებოდა ჯილდოს მფლობელი. ერთნი ზვიადს ემსრობოდნენ, მეორენი ელას უჭირდნენ მხარს და, ცხადია, არავის ახსენდებოდა მესამე ავტორი, აქამდე კონკურსის დამფუძნებელი და ორგანიზატორი, ან დროებით ნომინანტის სტატუსმორგებული რატი ამაღლობელი. არ ახსენდებოდათ იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ყველანაირი ეთივის დაცვით მას არ ჰქონდა კონკურსში მონაწლეობის უფლება, და რომც ჰქონდა, მაინც არავის გახსენდებოდა, რადგანაც მისი შემოქმედების ლიტერატურული ღირებულება, ზემოთ წახსენები ირი ნომინანტის პოზიის გვერდით კი არადა, ახლომხლო განსახილველიც კი არ არის, თუმცა, ეს ცალკე საუბრის თემა და აქ აღარ გავაგრძელებ და თან იმედი მაქეს, რომ როგორც მისი მეგობრებისგან ვიცი, რატი იშვიათი იუმორის, კარგადამიანობის და საკუთარი თა-

ვისადმი კრიტიკული დამოკიდებულების მქონე ადამიანია და, ვფიქრობ, ჩემს ამ გამოსვლასაც საქმიან კრიტიკად მიიღებს. მოკლედ, მიუხედავად ყველაფრისა, მოხდა მოულოდნელი რამ – იმ წელს „საბას“ მფლობელი სწორედ რატი ამაღლობელი გახდა. რატი მისი გვარი ვახსენე, ასე იოლად ვერ მოვეშვები და ამასწინანდელ ჩემს ეჭვსაც აქვე გამოვთქვამ – ვფიქრობ, რომ ისიც ისევე, როგორც ჟიურის წევრთა დიდი ნაწილი, კონკურსზე წარსადგენი წიგნების კითხვით თავს მანაცდმანც არ იღლის. ეს პატარა „კურიოზი“ გასულ საბაზე მოხდა. რატი ამაღლობელმა გურამ

მეგრელიმვილის წიგნის სათაური მოიხსენია, როგორც „მრავალჯერადი ბილეთები“.

ვისაც წიგნის სათაურად გამოტანილი მოთხრობა წაკითხული აქვს, დამეთანხმება, რომ „ბოთლები“ „ბილეთებში“ არ აერევა, რადგან მოთხრობის სიუჟეტიდან ნამდვილად გახსოვს, რომ ბოთლებზეა საუბარი და არა ბილეთებზე. ვთქვათ, რაღაცამ წამით გონება დაუპნელა ან ენა დაება. იქვე იდგნენ ჟიურის სხვა წევრებიც, მაგრამ შეცდომა არავის მოხვედრია ყურში. თორემ აუცილებლად შეასწორებდნენ, რადგან, ხაზგასმით ვამბობ, ეს არის საქართველოში ყველაზე პრესტიული კონკურსის ურფიციალურესი ნაწილი, რომელიც ტარდება ფედაქალაქში და არა სადმე, სოფელ კაჭრეთში, ან ყარაჯალაში, სადაც რამდენიმე ბირჟაზე მდგრადი მოცლილი, სამი ნაბახუსევი ლოთი, მაღაზიის ერთი ნოქარი და თოხომდე ტიტლიკანა ბავშვია მსმენელი და სულერთია, რას გამოაცხადებ. დასკვნა მარტივია – როგორც ჩანს, არათუ ბატონ რატის, არც ჟიურის სხვა წევრებს ჰქონდათ წიგნი წაკითხული. დიდი ამბავი, უბრალოდ შეეშალაო, მეტყვიან ზოგიერთები და ასკორებიტობაში დამდებებრალ...

მასხსენდება თავის დროზე ლიტერატურულ წრეებში გახმაურებული ანეკდოტური ისტორია ნესტან კვინიკაძეს-თან დაკავშირებით. როცა მან მნერალ ანა კორძაია-სამადა-დაშვილს ჰქითხა, თუ რატომ არ მოხვდა მისი წიგნი „შორთლისტში“, ჟიურის წევრმა თავი იმართლა, რომ ვერ ასწრებს ამდენი მასალის წაკითხვას და დახმარებისთვის მამას მიმართავს ხოლმე. სწორედ მას დაუწენებია კვინიკაძის წიგნი. სხვათა შორის, კურიოზი აქ ისიცაა, რომ ეს ის მამა გახლავთ, რომელიც თავად ანას უწუნებდა წანარმოებებს, სანამ მან „საბა“ არ მიიღო, და სხვის წიგნებს როგორ ანდობს, გაუგებარია (ჟიურის წევრის შორმის ოჯახის წევრებზე გადანაწილება ღონისძიების შინაგანაწესით წება-დართულიც რომ იყოს). როგორც ჩანს, ანა კორძაია-სამადა-დაშვილ მართალია, კარგი მნერალი, მაგრამ (ცუდ ჟიურის წევრია და თავისი მოვალეობის შესრულება, იგივე ჰქონია, რაც სოფელში ერთი ჩემი მეგობრის ბებას, რომელიც სიმზიდის ტაროების გასარჩევ-გასაფურჩენად მეზობლებს მოისხამდა ხოლმე გარშემო და ისინიც ეხმარებოდნენ).

ნესტან კვინიკაძეს, როგორც ჩანს, ბედი ჯილდოს მოკლების საკითხში არ სწყალობს, თორემ კურიოზული ინ-

## თქმა მართლისა

ციდენტების სიმცირეს ნამდვილად არ უჩივის. მაგალითად, იგი არ უარყოფს, რომ „საბას“ დაჯილდოების შემდეგ (როცა იგი ნომინანტი იყო) პატიცემულმა მაღაზაზ ხარბედიამ ერთგვარად მოუბოდიშა, გვინდოდა, შენთვის მოგვეცა პრემია, მაგრამ ხომ იცა, გელა ჩქანავაზე უარი ვერ ვთქვით, რაც უნდა იყოს, ლტოლვილია.

ჯერ გულწრფელად ვიხრი ქედს ამ სტატუსის წინაშე და შემდეგ ვაგრძელებ საუბარს – არ ვაპირებ ამ ფორმატში განვიხილო, ლიტერატურულად რომელი ავტორის წიგნი უფრო ლირებული იყო და, ხაზგასმით ვამბირ, ამას ამ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. თავისოთავად ცხადია, რომ არც დამარცხებულს ვესარჩელები და არც ვინმეს, როდესაც მწერლის უპირატესობაზე ვსაუბრობ. საღი გონების ადამიანი ისედაც მიხვდება, რომ პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ კრიტერიუმებშია. უიურის წევრები შეფასებას აძლევენ არა წიგნს, არამედ პიროვნებას თავისი სოციალური სტატუსის გამო. და ამას ოდნავი დამორცხვებით ხმამაღლა აუღერებს ბატონი ხარბედია. სხვათა შორის, მას საერთოდ სჩევევა ლიტერატურული საკითხებისადმი სოციალური კრიტერიუმებით მიდგომა. მახსოვეს, როცა მან გამოცხადა პოეზიის ნომინაციაში გამარჯვებული მაის სარიშვილის გვარი, პირველი, რაც მის შესახებ აღნიშნა, იყო ის, რომ იგი ოთხი შვილის დედაა, რაც ყოვლად გაუმართობელია, რადგან გამარჯვებულთა გამოცხადება არის (ვიმეორებ) ქვეყნის ყველაზე პრესტიული ლიტერატურული ღონისძიების უფრიციალურესი ნაწილი და იქ ოჯახური მდგომარეობს და სხვა, თუნდაც ძალიან საამაყო მომენტების წინა პლანზე წამონევა გაუმართობელია (ბოლოს რომ ეთქვა, სასხვათაშორისოდ, გაცილებით სწორი იქნებოდა). ამით ყოვლად ხელოვნურად აღიზიანებენ იმ პოტენციურ ნომინანტებს, რომელთაც, შესაძლოა, საერთოდ არ ჰყავთ შეილი ან მრავალბავშვიანობით ვერ დაიკვეხნიან. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მაისა, როგორც ოთხი შვილის დედას მისცეს ეს ჯილდო მაშინ, როცა მის პოეზიას არ სჭირდება „წახმარება“, რადგან ლიტერატურული ფასეულობა ისედაც აქვს, მიუხედავად შეილების რაოდენობისა. და აქვე ჩემს სუბიექტურ აზრსაც აღვნიშნავ, რომ იმ წელს მაისა წიგნი უკონკურენტო იყო პოეზიის ნომინაციაში.

სულ მინდა ვინმეს ვითხო, მაგრამ არ ვიცი ვის – რა-ტომ არის მაღაზაზ ხარბედია უოზეფ ფუშესავით ყველა მთავრობის უცვლელი მინისტრი, უფრო სწორად, ლამისაა ყველა კონკურსის უიურის უცვლელი წევრი... არანაირად არ ვუკარგავ მას კომპეტენციას, როგორც ლიტერატორს, თუმცა ბევრად უფრო კომპეტენტური მოღვაწეებიც მეგულება, გნებავთ ჭარმაგ და გნებავთ მასზე უფრო ახალგაზრდა თაობაში. და თანაც რად გინდა ეს კომპეტენცია, თუ წინა პლანზე წერილის შესავალში აღწერილ „ტუსოვკურ-საბუტილნაკურ“ და სხვა ურთიერთობებსა და კრიტერიუმებს დაყენებს წინა პლანზე და დაივიწყებს, სინამდვილეში რა მოსწონს და რა არა.

„სხვა კრიტერიუმებზე“ გამახსენდა უიურის წევრ მერაბ ღალანიძის ჭორად გავრცელებული იდინდელი რეპლიკა (რომელსაც შემდეგ შესაბამისი საქმე მოჰყვა), რა საჭიროა წავიკითხოთ ბესო ხვედელიძის „ძალური ცხოვრება“. მაგან შარშან ხომ მიღლო საბა... მოდი, წელს ნუგზარ შატაიძე დავაჯილდოვოთ, ნათესავის წლისთავი აქვს გა-

დასახდელი და ფული სჭირდებაო. ჭორიკანა კაცები და ქალები იმასაც ამბობდნენ, თითქოს ამ სიტყვების მთქმელს „ძალური ცხოვრების“ ავტორმა მეკაცრად მოსთხოვა პასუხი, მაგრამ ეს რამდენად მართალია, ნამდვილად ვერ გეტყვით. თუმცა კი, სანამ კონკურსს არ შეუმუშავებია ფიქსირებული წესი, რომლის მიხედვითაც უიურის ეკრძალება ერთი და იმავე ავტორისთვის ზედიზედ ჯილდოს გაცემა, მანამდე წინა წელს მიღებული პრემიის გამო ავტორის კონკურსიდან არალეგალური ამოგდება და თან კონკურენტი ნომინანტისთვის საწლისთავე თუ საქორწილე თანხის თანადგომის ნიშნით, დამეთანხმებით, რომ დანაშაულია. მანამდე კი კეთილი უნდა ინგბონ და თუნდაც ზედიზედ მისცენ ჯილდო, ვთქვათ, იმავე აკა მორჩილაძეს, თუკი რეალურად რომანის ნომინაციაში უკონკურენტოა, როგორც თვითონ იჩნევნება. და ვინმეს მორჩილაძის ან მეგობარი, ან შეყვარებული, ან სულაც ადვოკატი რომ არ ვეგონო, დიდსულვნად განვიუმარტავ, რომ თუ არ ვცდები, მას ყველაზე მეტი „საბა“ აქვს მიღებული და მაგალითადაც მხოლოდგამხოლოდ ამიტომ მოვიშველიე; თორებ ისე, ჩვენში დარჩეს და, პირადად არც კი ვიცნობ.

ბარებ აქვე დათო ქართველიშვილზეც ვიტყვი, რომელსაც მორჩილაძისგან განსხვავებით კარგად ვიცნობ, მაგრამ მაინც გულაძილობად მომინევს ვალარო, რომ იგი ხან ძალიან კარგ და ხან ძალიან უხარისხო წიგნებს წერს, მაგრამ ბედისწერა თუ „საბას“ უიური უკულმართად ექცევა. კერძოდ, საკმაოდ საინტერესო რომანში „იყო საღამო, იყო დილა“ ჯილდო არ მისცეს, რადგან ეთიკურად უკანონო ნომინანტი, ღამა ბულაძე უნდა დაეჯილდოებინათ და დააჯილდოვს კიდეც. ბულაძეს ამჯერად ე. წ. „უკანონ“ ჯილდოს დამადლებაც ეყოფა ჩემგან და იმაზე აღარ გავაძახილებ ყურადღებას, იმ წელს მისი ნაღვანს ლიტერატურული ღირებულება ქართველიშვილის ზემით აღნიშნულ რომანზე ცოტა არ იყოს დაბლა რომ იდგა. იმ წელს მეთქი, ხაზი გაუსვი, რადგან ღამა ბულაძე ზოგადად სულაც არ არის უინტერესო მწერალი. რაც შეეხება „დაზარალებულს“, მისი საქმე მეორე წელს გამოასწორეს და ყველად უგერგილო მოთხოვნების კრებულში გადაუხადეს „ვალი“.

და საერთოდ, ეს „ვალის“ გადახდა „საბას“ უიურის წევრთა ერთგვარად გამოკვეთილი ხელნერაა. როგორც ჩანს, მათ მაინც არ აძლევთ ხელს დიდი ხმაური და აუიოტაჟი და როგორც კი რომელიმე ავტორის მიმართ უსამართლობას ჩაიდენენ და არ დააფასებენ სათანადო მის კარგ წიგნს, მეორე წელს ასწორებენ წინა წლის შეცდომას — სხვა წიგნში აძლევენ ჯილდოს, რომელიც ხშირად არაფრად ვარგა წინა გამოცხამასთან შედარებით. ასე მოხდა, მაგალითად, შოთა იათაშვილის შემთხვევაში. მისი უკეთესი წიგნი, თავად შოთასავე სიტყვებით რომ ვთქვა, „დაიბრაკა“ და რაკი ამის გამო ლიტერატურულ საზოგადოებაში ხმაური ატყუდა, უიურიმ მეორე წელს სასწრაფოდ გამოასწორა შეცდომა და ამჯერად უგერგილო კრებული დაუფასა.

უგერგილო კრებულზე მანსხენდებან ავტორები, რომელთაც რომელიმე კრებული კი არა, მთელი შემოქმედება აქვთ უგერგილო, ანუ, მარტივად რომ ვთქვა, სამოსნები ძლივს არიან, არათუ ქვეყნის ყველაზე პრესტიული ლიტერატურული პრემიის პრემიის პრეტენდენტები. სწორედ ამიტომაც პატარა, ატირებული ბაგშვის ტონით დაწილებული და

## თამა მართლისა

ხშირად მოისმენთ ლიტერატურულ ტუსოვეკებზე: მაგალითად: გაგა ნახუცრაშვილს უნდა ჰქონდეს ალექსული „საბა“ და ზვიად რატიანს არა?! ბასა ჯანიკაშვილს უნდა ჰქონდეს და გურამ დოჩანაშვილს არა?! დათო ტურაშვილს უნდა ჰქონდეს და გურამ დოჩანაშვილს არა?! მოკლედ, ამ სის გაგრძელება კიდევ შეიძლება, თუკი „საბას“ ისტორიას გადახედავ.

შარმან დებიუტის ნომინაციის თანხა ბოლო მომენტში, ასე ვთქვათ, შუაზე გატეხეს და ორ პოეტს – დაინა ანფიმიადსა და გიორგი კეკელიძეს გაუნაწილეს. ფინანსური კრიზისის პირობებში ნამდგოლად ვერ დავამუნათებ სპონსორს იმის გამო, რომ თოთოეულს სრულად არ მისცა პრემია. სიმბოლური ჯილდო „ვერცხლის ფრთა“ კი, როგორც მანდილოსანს, ანფიმიადს დაუთმეს და კეკელიძეს დაპირდნენ, რამდენიმე დღეში თქვენც მოგარომევთო. ამის მერე კაი ექცი თუ მეტი თვე გავიდა, სანამ ყველა გამარჯვებულისთვის ამ სანეტარო საჩქარს (ხშირ შემთხვევაში ჯილდოს ფულად ნანილზე უფრო მნიშვნელოვანს და საამაყოს) გიორგის მისცემდნენ. მთელი ამ ხნის განმავლობაში კი იმიზეზებდნენ, ისტატი ავად გაგვიხდა და როგორც კეკელიძემ გურულად უნდა, „ბუნდას“ ამიტომ ვერ ვამზადებთო. რჩება შთაბეჭდილება, რომ ამხელა, როგორც იტყვიან, მეფის ტოლი ხალხისთვის ერთი ვერცხლის ფრთის ჩამოსხმა ისე იყო იმ ერთ ისტატიზე დამოკიდებული, როგორც შუა საუკუნეების სოფელში ავადმოფის გადარჩენა – საიდანაც ცხენით მოჩაქჩაკებულ ექიმზე.

ვფიქრობ, ზემოთ აღნერილი ფაქტები ჭორადაც რომ მივიჩიოთ (მით უფრო, რომ მათ არანაირი იურიდიული ძალა არა აქვთ და, შესაბამისად, ვერც ოფიციალური ბრალდების საფუძველი გახდებან); გნებავთ, ისიც ვთქვათ, რომ სიტუაცია რაიმე მიზეზის გამო (მიზეზს გამოძებნიან ოპონენტები) სუბიექტურად დავახასიათე და ე. წ. დაჩაგრულთა მონათხრობს უფრო დავეყრდნენ, ვიდრე ნეიტრალური პირებისას, საუკეთესო გამოსავალი ის იქნება, ყველა ზემოთ ნახსენებმა ადამიანმა, როცა მარტო დარჩება, საკუთარ თავს სარკეში თვალი გაუსწოროს და შემდეგლა ისროლოს ქვა.

სწორედ იმისათვის, რომ მკითხველს არ დარჩეს სუბიექტურობის, უსამართლობის, ვილაცაზე ანგარიშსნორების მცდელობის შთაბეჭდილება, კომენტარი ვთხოვე ცნობილ ლიტერატორებს, რომლებიც შესაბამისი ფაქტებიდან გამომდინარე, ვერ ჩაითვლებიან ე. წ. დაზარალებულთა რიგებში.

მოვალეობით, რა პრეტენზიას უყენებენ ისინი კონკურსს და როგორ ნარმოუდენიათ ამ ლონისძიების უკეთესად ჩატარება და შესაბამისად ლაქებისგან თავის დაღნევა.

### ზაზა შათირიშვილი:

მიმართ, რომ უიურის შემადგენლობა ყოველ წელი უნდა იცვლებოდეს. გარდა ამისა, იგი რაღაცანაირად ანონიმური უნდა იყოს. მესმის, ეს ძნელია საქართველოში, მაგრამ რაიმე ხერხი რომ მოიფიქრონ, კარგი იქნება. დანამდვილებით ვიცი, რომ ინგლისური, ასევე რუსული ბუკერის უიური ყოველ წელს იცვლება, ასევე ანგლიურიც. გარდა ამისა, არასწორია, რომ ბევრი ერთი და იგივე სახე ღებულობს „საბას“ და ზოგჯერ არც ისე დამსახურებულად. ესეც დიდი ლაფსუსი მგონია. ერთი ავტორი მხოლოდ ერთხელ უნდა იღებდეს პრემიას და თუ ვინმე მიპასუხებს,

რომ ლიტერატურული პროდუქცია ბევრი არ არის, მაშინ – კი, ბატონო, დანესდეს სამ ან ხუთ წელიწადში ერთხელ. თუ ნესიერ ღონისძიებას ვაკეთებთ, ასე უნდა გავაკეთოთ.

დავუბრუნდები უიურის თემას. როცა როტაცია არ ხდება, მაშინ სიტუაცია კორპორატიულია. ეს პრაქტიკულად არ აღნერს ლიტეროცეს და ასახვეს ტუსოვკათა შორის ურთიერთმიმართებას, ანუ ძალაუნებურად მათ შორის დაპირისპირების და გაძლიერების მომენტზე ასხამს წყალს. თუმცა აქ შიდატუსოვკური მომენტიც გასათვალისწინებელია. მოკლედ, ყველაზე კარგი ის იქნება, თუ ვაკეთდება სხვა, ახალი კონკურსი, რომელიც იქნება ნონკონფორმისტული. აი ზაზა ბურჯულაძეს არასოდეს აუღია საბა, რაც გასაოცარია. ეს ავტორი ეპატაურია, ახალგაზრდაა. მიეცათ, რატომ არ მისცეს? ეს ერთ-ერთი მაგალითია. სხვებზედაც შეიძლება იმავეს თქმა. იმავე ზეიად რატიანს არ მიანიჭეს. ჭილაძეზე, ვთქვათ, იტყვი, რომ ღვანდში უნდა მიეცათ და ვერ მოასწრეს. რა ვიცი. ნობელი ავილოთ, მაგალითად, ისიც სამინდად კონიუნქტურულია. ბევრი დიდი მნერალია, რომელსაც არ აუღია იგი: რილკე, კორტასარი, ტოლსტოი, ვალერი და სხვები. გერმანიაში ბიუხერის პრემიაა ძალიან საინტერესო. იქაც იცვლება უიური. გონკურებში პირდაპირა ჩადებული პუნქტი, რომ ორჯერ არ შეიძლება აიღოს ერთი და იმავე ავტორმა. აკა მორჩილაძისთვის ამიტომ მოერიდათ ნელს პრემიის გაცემა. ვინც მის მაგივრად აიღო, ის გოგო ჩემთვის აბსოლუტურად უცნობი სახელი და გვარია. ნარმოდგვენა არ მაქვს, ვინ არის და რას ნერს, მაგრამ დარნმუნებული ვარ, რომ აკას უნდა აეღონ და კიდევ ერთხელ მიცემა მოერიდათ.

სხვა კონკურსის დაარსებას იქნება აზრი არც ჰქონდეს, რადგან იქაც იღივე მოხდება. ახლა თუ ერთი კონკუნქტურა გვაქვს „საბას“ სახით, მერე გვექნება ორი კონიუნქტურა. არის ერთი გამოსავალიც. მაგალითად, სამოცდაათიანი წლებიდან დღემდე არსებობს ანდრე ბელის პრემია და ის ძალიან პრესტიულია. არანაირ თანხასთან არ არის დაკავშირებული. ესაა ე. წ. ჰამბურგული ანგარიშის მომენტი. თუ არ ვცდები, უიური უსასყიდლოდ მუშაობს და თავად პრემია ბუკერზე არანაკლებ პრესტიულია. ჩვენთანაც რომ დაარსდეს მსგავსი რამ და არყის მაგივრად იყოს ერთი ბოცა და ვინო, ვთქვათ, იქნებ არ იქნებოდა ცუდი. არც ის მომნის, დამფუძნებლები რომ მონაილეობენ კონკურსში. ასე არაფერი გამოვა. მოკლედ, ეს სამი პუნქტი მიმართა აუცილებელ და გადაუდებელ ღონისძიებად. პირველი – უიურის ნევრთა როტაცია უნდა იყოს სრული, მეორე – დამფუძნებლები პრემიას არ უნდა იღებდნენ, მესამე – პრემია ერთ პერსონაზე უნდა გაიცემოდეს, ვთქვათ სამ ან ხუთ წელინადში ერთხელ.

### გიორგი ლობჟანიძე:

მე უიურიში არ მიმუშავია და გამიჭირდება ვილაპარაკო, კონკრეტულად რა „ჩანკუბა“ ხდება, მაგრამ რომელიც ნლებში რომელილაც ნომინაციებში მათ ვადანწევებილებას არანაირად არ ვეთანხმებოდი და მიმართა, რომ ესა თუ ნანერი იმასახურებდა პრემიას, ესეც შეიძლება ვინმემ სუბიექტურ აზრად ჩათვალის. ლიტერატურა მაინც სუბიექტურ მოსაზრებებზე დიდი დოზით დაყრდნობილი, მაგრამ არსებობს რაღაც ლირებულებები, რომელსაც არ სჭირდება დავა. მე ხუთჯერ ვიყავი „შორთში“ და ერთხელ ავიღე პრემია. რომელის კი მასს საერთოდ არ არის

## თქმა მართლისა

შემიყვანეს. თუმცა ამით არ ვსაზღვრავ. კრიტიკის საგანი სხვაც ძევრი რამაა. მაგალითად, „საბას“ უიური პრაქტიკულად უცვლელია წლების განმავლობაში მაშინ, როცა ანალოგიური ტიპის კონკურსებზე მსოფლიოში საქმე სხვაგვარადაა. მაგალითად, საფრანგეთში როცა ხდება გონკურების პრიზის მინიჭება, იქაც აუცილებელი პირობაა, უიურის ყოველ წელს შეცვლა. დღიდ ქვეყნებს აქვთ იმის ძალა, ყოველწლიურად დააკომპლექტონ ახალი წევრებით, ჩვენთან კი შეიძლება როტაცია რო წელიწანში ერთხელ მაინც. ესენი კი მხოლოდ მაშინ იცვლებიან, თუ რომელიმეს წიგნია წარდგენილი „საბას“ პრემიაზე და მერე ყველაზე ვიცით, რომ ის აიღებს წელს ჯილდოს. ანუ მათი სახელი ან ნომინაციაში გეხმის და ან უიურიში. ამას ჰაერზე არ ვამბობ, ყველაზე ვიცით, რომ მიღებული აქვთ არა ერთხელ და ორჯერ და ეს ძალიან სამარცხებინ და სასაცილოა. იმდენად სერიოზულ პრემიად ჩამოყალიბდა ეს კონკურსი, ყველაზე აქვს ილუზია, რომ სათანადოდ დააფასებენ. ზოგს გამართლებული ამბიცია აქვს, ზოგს – არა. ჰოდა, კეთილი ინგებ და ისედაც ადგილად მოწყვლად ხალხს ნულარ მიაყენებ დარტყმებს. თუმცა კი დაარტყმას ნებისმიერ შემთხვევაში იღებს კაცი. მე მიღების სიხარულიც ვიცი და არმიღებისაც. თარგმანი არის ხოლმე ისეთი როტული ვითარება, რომ ძეგლია ამტკიცო, მაის ბადრიძისე ეკუთხოვთა თუ უორუ ეკიზვილს. გადაჭრით შეუძლებელია რამის თქმა, თუ მართლა კაშკაშა არ არის სიტუაცია. თუ არ არის მაგალითი მომენტი, როცა, ვთქვათ, ამაღლობელს მისცეს და რატიანი და გოჩიაშვილი დარჩათ ისე. ჩემი გამოცდილებით კარგად და მშვიდად გრძნობ თავს, როცა ლირსეული იმარჯვებს. და როცა უღილესი იღებს, უიურის მიმართ გიჩნდება აგრესია და იმის მიმართაც, ვინც პრემია აიღო. რაც მთავარია, ბრაზდები საკუთარ თავზე, რომ საერთოდ გაერიე მთელ ამ სისულეში.

ერთი მახინჯი მხარე მინდა გამოვკვეთო კიდევ – თუ კონკურსი იმისთვისაა, რომ შეაფასოს იმ წელს შექმნილი და გამოსული ლიტპროდუქტია, გაუგებარია, წლების ნინათ არაერთგზის გამოკვეყნებულ თარგმანს, რომელიც უბრალოდ კიდევ ერთხელ ამ წელსაც გამოიცა ახალი ყდით, რატომ წერენ ნომინაცითა სიაში. „ყურანიც“ რომ გამოვიდეს, თუნდაც მთარგმნელის მიერ შეტანილი ახალი ჩასწორებით, ამ ტიპის კონკურსზე აღარ უნდა გავიდეს ნომინაციაში. მხოლოდ ზოგადა სახელმწიფო პრემია შეიძლება მიღილოს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ იმ წლის ახალი თარგმანები იჩაგრება. მიეცეს ლიტერატურის განვითარებაში პრემია ვთქვათ, ელზა ახვლედიანს, მაგრამ „მარტონის ას წელიწადს“ თარგმანის ნომინაციაში არაფერი ესაქმება, რადგან ამ თარგმანზე გავიზარდეთ და ვინც ახალი წაიკითხა „სიესტას“ მიერ გამოცდებული, ეს მისი ასაკობრივი ან ინტელექტუალური პრობლემაა. ცუდად არ მინდა გამომივიდეს. შარმან ბევრი იმსახურებდა იმ პრემიას. უბრალოდ, კოკეტობს გარეშე ვამბობ, რომ „ყურანს“ ვერ “გადაახტებოდნენ”.

### გაგა ლომიძე:

პირველ ყოვლისა, უნდა იყოს მეტი კონკურსი. მეორე, უიურიში ლიტერატორების გარდა უნდა იყვნენ წარმომადგენლები ხელოვნების და სხვა სფეროებიდან, ვისაც ჭკუა რაღაც დონეზე მაინც მოეკითხება. ასეთები არიან ფსიქოლოგები, კულტუროლოგები, რეჟისორები, სოციოლოგე-

ბი. ვფიქრობ, ნაკლებად იქნება მიკერძოება. თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ამ სფეროს წარმომადგენლებთან მწერლებს ძირითადად არა აქვთ პირადი და საქმიანი შეხება. გარდა ამ ღონისძიებისა, აუცილებელია უიურის წევრთა სრული როტაცია ყოველ წელიწადს. ჩემი აზრით, დასავლეთში, აკადემიურ წრეებში მიღებული მექანიზმი კარგად იმუშავებდა. სისტემა ისე უნდა აენცოს, რომ უიურის წევრს არ შეექმნას უხერხულობა ახლობელ ნომინაციებთან. მათ ფოსტაზე გაუგზავნიან ტექსტებს. თვითონ არ გამხელს, რომ უიურიშია, და თუ გააუღერა, აგზომატურად დაეჭიროთება გარკვეული თანხა. მას არც კი ეცოდინება, ვინ არიან სხვა წევრები. თუკი განაწესს დაარღვევს, ვთქვათ, როი ათასი ლარის ნაცვლად აიღებს ხუთასს. არ უნდა იყოს ნებადართული უიურის წევრთა შეკრებები, რომ არ შედგეს დიალოგები – აი, მე ამას მიუცემ ხმას და შენ მაგას მიეცი, მაგრამ რეალურად ეს უნდა გავიყვანოთ. არ უნდა იყოს ცნობილი, რომელ თვეში ენცობა დაკილდოება, ზაფხულში იქნება თუ ზამთარში. ვიღაც ერთი ირგანიზატორი უნდა იყოს, ვინც ამას კურირებს და ეს ადამიანი არ უნდა იყოს კავშირში ლიტერატურულ წრეებთან. ეს მეთოდი ამართლებს. ჯერ ერთი, ჯარიმის სისტემა საჭიროა. საქართველოში სხვანაირად კანონი არ კანონობს. როცა წევრი ხარ, ბუნებრივია, გარკვეული უხერხულობა გაქვს, რომც არ შეგანუხოს თხოვენებით. ამიტომ მაქსიმალურად უნდა შეეცადონ, რომ უიურის ეს პასუხისმგებლობა მოუხსნან. მეორე მხრივ, ეს ფორმა, რომელიც დღეს არსებობს, ბევრ ცუდს განაპირობებს, მაგრამ დადებითიც უნდა აღვინობით, რომ არ ვიცი, ვინ რა კუთხით მიიჩნევს თავს დაფასებულად პრემიის მიღებისას, მაგრამ, ჩემი აზრით, თუნდაც ის, რომ რაღაც თანხას იღებენ, ნამდვილად კარგია, რადგან ლიტერატორებს უმეტეს შემთხვევაში უჭირთ ამ მხრივ.

დამჯუნებელთა მონაწილეობაზე კონკურსში შეიძლება ასეც თქვა, რომ მწერალია და რა ქნას, მასაც უნდა, მაგრამ მეორე მხრივ უხერხულობა იქმნება. მე რომ დავაუძნონ მეგობართან ერთად კონკურსი, მეგობარი მე მომცემს ხმას და მერე კი მეც ასევე მოვიქცევი მის მიმართ. თუმცა დრო ყველაფერს აღავლენს აღავლენს თავის ადგილას. თაობები ყველაფერს გადაუვლიან, რაც არ არის ფასეული. ახალ სახეებში ამის პოტენციას ვხედავ.

წლევანდელ „საბაზე“ მინდა ვთქვა ორი სიტყვა. თარგმანის ნომინაციაზე ვიტყვი. გიორგი ეკიზაშვილი ძალიან მაგარი მთარგმენია და ყველაზე კარგად თარგმნის ფრანგულიდან. კარგად კი არა, ბრწყინვალედ თარგმნის. მაგრამ საბაზე არსებობს ასეთი მომენტი – წელს დაჩაგრავენ და სხვა წელს კომპენსაციას უკეთებენ. 2006 თუ 2007 წელს იგი საერთოდ ამოიღეს სიიდან. წელს ასი იაპონური ლექსი იყო წარდგენილი, რომელიც დიდი მოვლენაა კულტურული თვალსაზრისით, რადგან პირველად ითარგმნა ირიგინანციანდან. მიუხედავდა ამისა, ეკიზაშვილს მისცეს პრემია. მაგრამ ვერაფერს იტყვი, რადგან უორუ ძალიან დარღვეულია, თუმცა წლევანდელი მისი ტექსტი დიდი არაფერია თავისთავად. ნენე კვინიკაძე და ზაზა ბურჯულაძე შორთ-ლისტიდან ამოიღეს. მე კი ვფიქრობ, რომ ზაზას მოთხოვნის კრებული უკონკურენტო იყო წლევანდელ ნომინაცითა შორის. მეორე მხრივ, ამაზე ლაპარაკს იგნორირების გაკეთება სჯობს, ასე ვფიქრობ. არ არის მნიშვნე-

## თამა მართლისა

ლოვანი საბას მიღება-არმილება. მაგრამ ყველა ასე არ მიჩნევს და ამიტომ არის დაჯილდოების ცერემონია სტრუქტურული დაკავშირებული. ეს, ალბათ, თავდაჯერებულობის ბრალიცაა – ყველას საკუთარი თავი პეტონია მნიშვნელოვანი. რა ვიცი, მასკარადია მართლა. მაგრამ ბევრი ცუდი რომ კეთდება, კარგიც კეთდება და ამიტომ თვალს ვხუჭავ. თავიდან უფრო აგრძელდა ვიყავი განწყობილი, მაგრამ აბალა ვფიქრობ, რომ დიდი ამბავი, თუკი ასეა.

მე ვი, გაგასგან განსხვავებით, მიმაჩნია, რომ თუკი კონკურსი არსებობს და, მით უფრო, ასეთი მასტების, რომელმაც წლების განმავლობაში ამხელა მნიშვნელობა შეიძინა, მაშინ იგი ლირსეულად უნდა ჩატარდეს – საპრემიო თანხა და გამარჯვებულის ტიტული შექლებისდაგვარად მართებულად გაიცეს. თორებ გამოდის ისე, რომ თიბისი ბანების ხელმძღვანელობა ამხელა ძალისახმევას იჩენს, ცდილობს გვერდით დაუდგეს როგორც ლიტერატურას, ასევე თითოეულ ნიჭიერ მწერალს და ამ დროს რამდენიმე ადამიანი მთელ ამ ზარ-ზეიმს თავისი კერძო სიმპათიებისათვის იყენებს. ვფიქრობ, ბანების ხელმძღვანელობამ უნდა გადა-

არჩინოს ამ საინტერესო კონკურსის იდეა და შეძლების-დაგვარად გაითვალისწინოს სხვა ქვეყნების ანალოგიური ტიპის გამოცდილება. სხვა შემთხვევაში ეს ყველაფერი თანდათან სკეპტიციზმის და განქიქების ობიექტი გახდება, ღირსეული მწერლები კი უბრალოდ აღარ მოინდომებენ, გაეხვიონ მათვის მიუღებელ თამაშში.

**P.S.** ეს მასალა მომზადებული მქონდა, როდესაც თიბისი ბანების წარმომადგენელმა, მაას ძირკველიშვილმა ჩემთან საუბარში აღნიშნა, რომ წელს მთლიანად შეიცვლება ჟიურის შემადგენლობა. აღნიშნა ისიც, რომ ორგანიზატორები ძალისხმევას არ იშურებენ, რათა კონკურსი მაღალ დონეზე ჩატარდეს. მე კი დავძენდი, რომ ცუდი არ იქნება, თუ ისინი რამდენადმე მაინც გაითვალისწინებენ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს, რადგან თითოეული ჩვენგანი, ვისაც საქართველოში ლიტერატურის განვითარების ბეჭი ოდნაც მაინც ალელვებს, ერთადერთ კრიტერიუმად (პრაქტიკული თვალსაზრისით და არა რიტორიკის დონეზე) მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურულ ფასეულობას უნდა აყენებდეს.

## პრიზიპი

### როსტომ ჩხეიძე

# კოლექციები საბეჭისერო ჟამისა

□

## ერი-ევანესო ჰომის გილობრივი ცილინდრი

– ვინ არის მიჩნეული კაცობრიობის ისტორიაში პირველ კოლექციონერად?

ნეტა თუ დაფიქრებულხართ ამის თაობაზე?

ჩემი არ იყოს, ალბათ თქვენც არა, რაკიდა დარწმუნებული იქნებოდთ, რომ პირველი კოლექციონერის სახელს დავიწყების უკუნი ფარავს და ტყუილუბრალოდ არ ლირს თავისმტკრევა და ძიება, მაინც ვერაფერს მიაგნებთ სანუგეშოს.

მაგრამ... თურმე საყოველთაოდ აღიარებულიც ყოფილა იმ კოლექციონერის სახელი.

იქნებ არც ასეა და რაღაცას აჭარბებენ, როდესაც გვარწმუნებენ, პირველი კოლექციონერის ვინაობა დადასტურებულია?

ეგებ ეს მხოლოდ კერძო პიროვნების თვალსაზრისია და, როდესაც გაგვიმუშნებ, არც გავიზიაროთ?

და მაინც, განა ცნობისწადილი არ წაგდლევთ მისი სახელის შესატყობად?

წაგდლევთ და, არც დაგიფარავენ:

და პირველი კოლექციონერი ბიბლიური ნოე აღმოჩნდება.

გამაოგნებელი პასუხია? ძნელად დასაჯერებელი?

ერიკ-ემანუელ შმიტი დაბეკითებით ირწმუნება, სწორედ ასეაო. და მისთვის ეს რომ მარტოდენ ერთი, თუნდ ეფექტური პასუხი კი არ არის, არამედ მხატვრულ-იდეური შეხედულება, ჯერ მარტო იმით დასტურდება, რომ იმ მოთხოვნის სახელწოდებად, ეს მოსაზრება სადაც გამოითქმის, ისეთი შესიტყვება შეურჩევია, წინასწარვე მიენიშნებინა მკითხველისათვის, ეს პასაურია მისი ქაკუთხედიო:

„ნოეს შეიძლი“.

მამა პონსი აუწყებს ამას ბიჭუნასაც და კიდევ ყველას, ვინც ეგულება სულიერ ლირებულებათა შემნახავ-გადამრჩენებად.

მოთხოვნა იუდაისტურ მოძღვრებას ეძლვნება და, როგორც ამ ციკლის ყველა მისი თხზულება, ისიც ასაკოვანი ადამიანისა და ბიჭუნას ურთიერთობაზეა აგებული, რათა ყოფითობის ფონზე ურთულესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და პრობლემატიკა ზღაპროვით ადვილი აღსაქმელი შეიქნას. ძველთაძეველი სიბრძნე გარეგნულად მარტივ სამოსელში მოქცეს და ყმაწვილთათვისაც ისევე სახალისო საკითხავი განხდეს, როგორც უფროსებისათვის.

და შემიტაც მოესინჯა ეს ძნელზე ძნელი გზა, რომელსაც მარცხი უფრო მოაქვს, ვიდრე წარმატება.

ამ სირთულის წინაშე დგება მთარგმნელიც, ვინც შინაგანი რიტმი თუ ვერ იპოვნა და თხრიბის ლალი გამნებულება ვერ შეინარჩუნა – სიღრმესა და დრამატიზმთან გადაჯაჭვული – ხელთ ყოველთვის შეგრჩება ფერმერთალი ასლი, პრიმიტივიზმით დაღდასმული, რომელიც მკითხველს უკრაობს განცდას დაუტოვებს და მახლოებით წარმოდგენასაც ვერ შეუქმნის ორიგინალის დიდებულებაზე.

და მითუფრო დასაფასებელია მერაბ ფიფაის გარჯა, ვისაც წარმატებით მიჰყავს დასასრულისაკენ ის პროექტი,

## პრიტიკა

რომელსაც ჰქვია შმიტის საყმანვილო-რელიგიურ მოთხ-რობათა ციკლის ამეტყველება ქართულ ენობრივ სამო-სელში – ბუდიზმის შმიტისეული ვერსიადა რჩება და განზ-რახვაც ჩინებულად მოთავდება – ქართულ მთარგმნელო-ბით ხელოვნებას რომ შეჰვერის.

მარცხი უფრო მოაქვს, ვიდრე წარმატება... მარცხი უფრო მოაქვს, ვიდრე წარმატება...

მაგრამ თუ გამარჯვება გინერია, მაშინ ყველა თაობი-სათვის ხელიხელსაგოგმანებელი წიგნის ავტორად რჩები იმ კაცობრიობისათვის, რომელიც ერთხელ ბიბლიურმა ნოემ იხსნა სრული გაქრობა-გადაშენებისაგან დანარჩენ სამყაროსთან ერთად.

თურმე: კოლექციონერმა ნოემ.

მამა პონსი ზღაპარივით უყვება ებრაელ ყმანვილს წარ-ღვის ბიბლიურ ეპიზოდს – თუ როგორ დაატყდა თავს დე-დამინას კოისპირული წევები, თქეშმა დახეთქა შენობე-ბის სახურავები და კედლები, ნიალგარმა წალეკა ხიდები და მოშალა გზები, ღვარცოფმა შთანთქა ქალაქები და სოფ-ლები. გადარჩენილებმა მთის მწვერვალებს კი შეაფასეს თავი, მაგრამ თურმე ეს მხოლოდ დროებითი თავშესაფარი ყოფილა, რადგანაც წაკადულებისაგან გააჭერნილი მწვერვალები ლოდებად იშლებოდა – რათა ნოეს ღვარლი თვალნათლივიც გახადოს მისთვის და გულისშემძრელიც, თუ როგორ მიჰყო ხელი კოლექციონერობას საბედისნერი უამს: ვაჟიშვილებისა და ქალიშვილების დახმარებით ყოვე-ლი ცოცხალი არსების თითო წევილს, ანუ მდედრსა და მამრს, ერთად მოუყარა თავი და იმ გემზე აიყვანა, რომე-ლიც საანგებოდ ააგო საცოცხლის სახსნელად, სამყაროს ყველა ბინადარისათვის ახალი მოდგმის დასაწყებად. ოკე-ანედ გადაქცეული დედამინის ზურგზე ნოეს კიდობანი დიდხანს დაცურავდა უმიზნოდ და ნოე უკვე შეშობდა, რომ კიდობნის ბინადართა გამოკვებას ვეღარ შეძლებდა, მაგ-რამ ბოლოსდაბოლოს უნდა დამდგარიყო ის დღეც, როდე-საც კოკისპირული წვიმა შეწყდებოდა და წყლის დონე კლე-ბას დაიწყებდა. ნოე მტრედს უბოძებდა თავისუფლებას, და ისიც იფრენდა, იფრენდა და კიდობანს დაუბრუნდებოდა ნისკარტში ზეთისხილის რტოთი, რაც მოასწავებდა ჰორი-ზონტზე მთის მწვერვალის გამოჩენას.

ასე უნდა დასრულებულიყო ერთი შეხედვით სრულიად შეუძლებელი რამ – ლეთის მიერ შექმნილი ყოველი სულდ-გმულის გადარჩენა ასეთ საბედისნერო უამს.

ყმანვილს ძალაუნებურად ებადება კითხვა: ღმერთმა თვითონვე რატომ არ გადაარჩინა ისინიო? – რის პასუხა-დაც სულიერი მოძღვარი უსსნის, რომ: ღმერთმა ერთხელ და სამარადისოდ შექმნა სამყარო და ადამიანებს უბოძა ინ-სტინქტი და გონება, რათა მომავალში თვითონვე, უფლის ჩაურევლად გაეკვალათ გზა.

– ნოე თქვენთვის მისაბაძი მაგალითია? – ახლა ამას იყითხავს ჯოზეფი, და მამა პონსმა სიამაყით უნდა გა-ნუცხადოს: დიას, მის დარად მეც ვკოლექციონერობო.

ეს საქმიანობა მაშინ დაუწყოა, როდესაც კონგვაში მო-ვედრილა და აბორიგენთა ყოფილისათვის ნიშნეულ ნივთთა შეგროვებისათვის მოუკიდია ხელი. და კიდეც გადაურჩე-ნია ნეგროიდული ხელოვნება.

ახლა კი ერთდროულად ორი – ებრაული და ბოშური – კოლექციის შეგროვება გაუხდია საზრუნავად და უმთავ-რეს მიზნად, რათა იხსნას ის, რისი მოსპობაც ჰიტლერს გა-ნუზრახავს.

– ყოველ სალამოს ვცდილობ განვმარტოვდე, ვიკითხო და ვიუიქრო ებრაულ წიგნებზე... ჩემს კაბინეტში ებრაულს ვსწავლობ... თუ წარლვნა გაგრძელდა და დედამინაზე ებრა-ულად მოლაპარაკე ერთი ებრაელიც არ დარჩა, მე გასწავლი მას, შე კი შენი მხრივ ეცდები სხვანი აზიარო ამ ენას.

ყმანვილს სულს აუფორმაქებს ამგვარი ლაპარაკი, ბუნ-დოვნად მიწვდება საკუთარ დანიშნულებასაც და მგზნება-რებით შეპყრობილი ამიტომაც დასჭექს:

– და მაშინ იტყვიან, რომ თქვენ ნოე ხართ, მე კი თქვენი შვილი.

ეს ის განცდაა, რომელმაც ჯერ ფესვი უნდა მოიკიდოს ყმანვილის შეგნებაში, რათა შეურყეველ რწმენად გარდაიქ-მნას, რასაც დაუმცხრალი იმედოვნება ასაზრდოებს და ამქ-ვეწიური მისის შეგნებასაც ის განამტკიცებს, თორემ ისიც გვასოვს, სკეპსისისგან გულგამოქმული, სიკვდილის გარ-დუვალობით თავზარდაცემული კაცი თავისი ვინწრო ჭუჭ-რუტანდან თუ მრუდე სარკიდან როგორ გაიაზრებს ნოეს ღვანლასა და სიმბოლურ სახებას, ერთდროულად უზომო შურისა და თავყანისცემის გამომწვევს მის თვალში.

ქახოსრო მაკაბელის გვარ-სახელს შეფარებული კაცი ზოსიმე მღვდელთან მღვდელვარ პაექრობისას, როდესაც განსაკუთრებით მოხვდება გულზე მისი სიტყვები: მოყვა-სისათვის სიკვდილი ყველას როდო შეუძლია, ყველას თავი-სი სატკივარი კლავს, – აბოძოქრდება:

– ნოემაც ვერ შესძლო მოყვასისათვის სიკვდილი და მოყვასთან ერთად დალუპვას ისევ მოყვასის ლალატი ამ-ჯობინა. ასე არ არის? განა ასე არ სწერია ბიბლიოში? ნოე-ზე დიდი მოღალატე კაცობრიობას არ ახსოვს. იუდა ვინ მიგდია. ნოემ ადამის მოდგმა განირა. იმის მაგივრად, რომ გაერთხოს და არ არის მტრედს უბოძებდა თავისუფლებას, და კიდეც კიდობანს და კიდობანს აკონწინებდა, ვინ იცის, თან ღილინებდა კიდეც. ნოე ჩემი ღმერთია!

ეს მხოლოდ ერთი პასაური არ არის ითარ ჭილაძის რომა-ნისა „ყოველმან ჩემმან მცოვნელმან“. ფარულად ნოეს ლან-დი თავით ბოლომდე გამოსდევს თხრობას, ოღონდ უშუა-ლოდ ბიბლიური პატრიარქი კი არა, არამედ მისი დაკინე-ბული, გროტესკული ფიგურა, როგორც ქახოსრო მაკაბე-ლის ბოლმით გავსილი გულის ანარეკლიც და ამ მორალის ადამიანთა მიერ გამოგონილი ხატიც – საკუთარი თავის მოსატკუებლად, იმ მანეკირი გზის გასამართლებლად, რომლის არამცუ უარყოფა, გვერდით გადაიჯებაც ვე-რასოდეს გაბედეს და ახლა თავს ინუგეშებენ ბიბლიური ამბის საკუთარ ნებაზე გადაკეთებული ვერსიითა და შესა-ფერისი ახსნით.

ბიბლიური თხრობა უშუალოდ არაფერს გვატყობინებს, გააფრთხილა თუ არა ნოემ თვისტიმონი, გარდუვალი და-ლუპვა გემუქრებათო, თუმც სტრიქონსა და სტრიქონს შუა აშკარად გამოსჭვივის, რომ იგი მანამდე უთუოდ არაერ-თხელ შეაგონებდა ადამიანებს, დაეგდოთ უსჯულოების გზა, აღმოეფხვრათ ბოროტება გულიდან და ისევე ეპო-ნათ მაღლი უფლის წინაშე, როგორც ნოემ ჰპოვა, და ღმერ-თსაც მოწყალების კალთა გადაეფარებინა მათთვის.

ყურსაც არავინ დაუგდებდა.

სასაცილოდაც არ ეყოფოდათ.

და არც მაშინ ჩააგდებდნენ ინუნში ნოეს რჩევას, იგი კიდობნის აგებას რომ შეუდგებოდა – ნარღვნისაგან ეს გვიხსნის თუ გვიხსნისომ.

ნოე იმთავითვე გარიყულია გახრნილი საზოგადოებიდან, მარტოსულად რჩება ადამიანთა შორის და, დიდი გარდატეხის ხანაში სხვა არა დარჩენია რა, გარდა იმისა, საბოლოოდ ჩამოშორდეს მათ და ეძიოს ახალი მინა და ახალი ზეცა – უფლის კარნახით.

ცხადია, ნოე არც არის და ვერც იქნებოდა მოღალატე კაცთა მოდგმისა, რაკილა ერთგულად მიჰყებოდა სიკეთისა და სათნოების გზას, რისთვისაც შექმნა უფალმა ეს მოდგმა. ხოლო ვინც გადაუხვია საკუთარ დანიშნულებასა და მოვალეობას და გახრნილებაში ყოფნა ამჯობინა ღვთის წინაშე მაღლის პოვნას, და ესინი მოკეთილიყვნენ ნოესაგნ და არა ნოე – მათგან.

ქაიხოსრო მაკაბელი მოლილინე ნოეს რომ წარმოიდგენს, ამ სურათს საკუთარ თავს უიგივებს და ნიშნს უგებს კაცობრიობას. და ეოცნებება ის წუთი, რომ თვითონაც შეძლებოდა გაენირა ყველა და ყველაფერი და ასე დაუშოშმინა მინებინა მიზანთობით შეპყრობილი სული.

ნოე ჩემი ღმერთია...

ბიბლიური ნოე კი არა, ეს წარმოსახვითი, დაენინებულებროტეკული პერსონაჟი მისი ღმერთი, ის მიუწვდომელი, სანუკეარი იდეალი, რომლისკენ ჟინიან ლტოლვაშიც უნდა ამოხდეს სული.

კიდევ კარგი, ყველა არ არის მომხრე ნოესაგნ ყალბი იდეალის შექმნის და სწორედ მისი შეუბლალავი სახება ენატრებათ გზამკვლევად.

აგრე მამა პონსი ჰიტლერელთა დამხობას რომ მოესწორ და ებრაელთა ბედი საიმედოდ დაიგულა, ამ მიმართულებით თავის მისას ამონულულად მიიჩნევს და მაშინვე ახალი კოლექციის შექმნას იწყებს კვლავაც ნოეს ღვაწლით შთაგონებული:

– სტალინი საბოლოოდ ჩაკლავს რუსულ სულს. ამჟამად დისიდენტი პიტეტების წანარმოებებს ვაგროვებ.

ყმაწვილი ამ განზრახვას ერთბაშად ვერ გაუგებს, ჰგონია, რომ სულიერ მამას მთელი ცხოვრება მარტოდენ ებრაელებზე უნდა ეზრუნა და სხვა არაფერზე ეფიქრა, ამიტომაც გაანაწყენებს მისი ეს ახალი წამოწყება და, თუმც პირდაპირ ვერაფერს შეძედავს, მის მზერაში გაკრთება საყვედურიც და გაგულისებაც: მამა პონსი გვლალატობს, გაგვყიდაო.

მოძღვარი რისი მოძღვარია, თუ გულთამშილაობით ბოლომდე ვერ ჩაწვდება თანამოსაუბრის განაფიქრს, და ჩვეული სიშვიდით აუწყებს:

– არა, უოზეფ, მე შენ არ გლალატობ. ებრაელებზე ზრუნვა ახლა შენ უნდა იტვირთო. ამიერიდან ნოე შენ ხარ.

კომპოზიციური ქარგა თითქოს ამოხვეულია და ფინალური აკორდისთვისაც ყველაზე მარჯვე ადგილია მოძებნილი.

მაგრამ თურმე არა.

ერკუ-ემანუელ შმიტს მიაჩნია, რომ ამით მოთხობას ის სიმძაფრე მოაკლდებოდა, რისი მინიჭებაც შესაძლებელი გახსნათ, თუ კონკრეტული შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდი.

უოზეფი ექვს ათეულ წელს რომ გადააბიჯებს, პალესტინაში დამკვიდრებული ერთ დღეს უნდა შეესწროს, თუ როგორ გაუსწორებია მინასთან ტანკის მუხლუხოებს პალესტინური სახლი, თვისტომმა კი ამცნოს: ეს ჩვენი სადამსჯელო პასუხია, კამიკაძე პალესტინელმა გუშინ თავი



აიფეთქა და სამი ადამიანის სიცოცხლე შეინირა. ჩვენი მხრიდან სასწავლო გამოხმაურება იყო საჭირო.

იქ კი, ნანგრევებში ებრაელი და არაბი ბაშვები დასევიან და უმოწყალოდ გვემენ და თეთქვავები ერთმანეთის ქვებით, ფიცრებითა და ჯოხებით. უოზეფი ყვირილით უნდა გაკანდეს ბრძოლის ველისაკენ და პატარა ჩეუბისთავები სხვადასხვა მხარეს მიმოიფანტნონ. ხოლო ეს ძირს უნდა დაიხაროს, სადაც ჩეუბის დროს ამოცვენილი ნივთები ყრია, ებრაულ ქიფასა და არაბულ თავსაბურავს უნდა დაავლოს ხელი და ერთი მარჯვენა ჯიბეში ჩაიჩუროთს, მეორე კი მარცხენაში.

მოთხოვის ფინალი პოლიტიკური პათოსით იმუხტება და გამჭვირვალე სიმბოლიკა მომავლის გზას სახავს, დაუნდობელი დაპირისპირების, შუღლის აღმოფხვრისაკენ რომ მოუწოდებს ორივე მხარეს.

მხატვრული თხრობა უკანიცისტიკისაკენ იხრება?

მხატვრულობაში შემოჭრილი პუბლიცისტიკის ნიშნები, ცხადია, აზიანებს ხოლმე თხრობას, მაგრამ ამ ყაიდის ფინალი ის მხატვრული თავისებურებაა, რომელსაც ხან წარმატებითაც მიმართავენ მწერლები დოკუმენტური ფონის გასამკვეთრებლად.

და ამჯერადაც –

როდესაც ცნობისწადილით ჰკითხავენ: რას აკეთებო? – უოზეფმა ამ ფრომულაში უნდა მოაქციოს დიდი გარდატეხის მოახლოების უამი ამ არეალის ტრაგიკულ ცხოვრებაში:

– კოლექციის შექმნას ვიწყებ.

ესეც ახალი კოლექციის ყველაზე საიმედო, ყველაზე მკვიდრი საძირკველი – ებრაული ქიფასა და არაბული თავსაბურავის გვერდი-გვერდ ყოფნა სასიკეთო სულიერი ფერისცვალების მომასწავლებლად.

\* \* \*

ისრაელში მამა პონსის სახელზე ტყე გაშენებულა, 271 ხეს რომ ითვლის. ეს რიცხვი მის მიერ გადარჩენილ ბავშვთა რაოდენობას გულისხმობს. საუკუნოვან ხეთა ძირში უკვე არაერთ ნერგსაც აუყრია ტანი.

მაგრამ სულიერ მამას მარტოდენ ის ბავშვები ხომ არ გადაურჩენია – განა თვითეულის შვილი, შვილიშვილი, შვილთაშვილი და მთელი მოდგმაც მანვე არ იხსნა? და ასე თუ გავყვებით, საუკუნეთა შემდგომ აღმოჩნდება, რომ მამა პონსს მილიონობით ადამიანი გადაურჩენია.

როგორც ნოეს?

სწორედაც – როგორც ნოეს.

...არადა, ჯერაც რამდენი კოლექციაა შესაგროვებელი, რომლის გადადებაც უპატივებელი იქნება. როდესაც ერთი ერის უგნურების გამო მეორე ერს გადაშენების საფრთხე მოელის, რაოდენ საჩქაროა გნისაცდელში ჩავარდნილი სულიერებისათვის ნიშნეულ ნივთა გადასარჩენად ზრუნვა. წარმომიდგენია, ჩემი არ იყოს, თქვენც როგორ გეცმადუნებათ ხელი – ამ ნუთიდანვე.

\* \* \*

ნოე ჩემი ღმერთია, – დაე თავიანთი გზა განაგრძოს ქაიხოსრო მაკაბელებმაც.

## ბელა ჩეკურიშვილი

# „CV“, ანუ თამრი ფხაპის „სიცოდა ვარამი“

თამრი ფხაკაძის რომანის „CV“-ს კითხვისას ვიცლავა შიმბორსკას ლექსი „ავტობიოგრაფია“ გამახსენდა: რას გულისხმობები, როცა ჩვენგან ავტობიოგრაფიის დაწერას ითხოვენ, რა აინტერესებთ, ვინ ვართ სინამდვილეში, თუ როგორებად ვაჩერთ თავს?

ბოლო წლებში შეძენილ ტერმინთა შორის ქართულ სა-მეტყველო ენას კიდევ ერთი დაემატა – CV – Curriculum Vitae – ცხოვრების გზა. და ეს ერთგვარი ავტობიოგრაფია ჩვენს მეტყველებაში ასეთ სასიცოცხლო მნიშვნელობას არ შეიძნდა, მას რომ სასიცოცხლოდ აუცილებელი ინსტანციები — დამსაქმებლები — არ ითხოვდნენ. ქვეყანაში კი, სადაც უმუშევრობის კოეფიციენტი ისეთი მაღალია, რომ მის გამხელას სტატისტიკური დეპარტამენტი უბრალოდ ვერ გაბეჭდავს, არავის მოუვა აზრად შიმბორსკასეულად დასვას შეკითხვა: რა გაინტერესებთ, რა ვიცხოვრე თუ რაც ვერ ვიცხოვრე?

მაგრამ როგორ შეავსებდით CV-ს მამაზეციერთან ვიზიტის წინ? ქრისტიანები ამას აღსარებას ეძახიან და სწამო, რომ საზერებელი გავლისას ყოველ მათ ნაფიქრსა და გაკეთებულს შეახსენებენ და იმის მიხედვით ეპატიებათ, რამდენად გულწრფელად აქვთ შევსებული სულ ბოლო CV. ეს კი დაახლოებით ის CV-ა, რომლის შევსებასაც შიმბორსკა ითხოვდა...

მაგრამ თამრი ფხაკაძის რომანის აბრევიატურა — CV „ცხოვრების გზის“ მნიშვნელობას სცდება და შეგვიძლია წავიკითხოთ როგორც „სოციალური ვარამი“ ვინაიდან ერთი მწერალი ქალის ცხოვრების ფონზე 21-ე საუკუნის საქართველოს სოციალური ვარამი იხატება.

რომანის გმირს ახალი წლის ლამეს გოზინაყიანი თევზი ხელიდან უვარდება და მოულოდნელად ლეთარგიულ ძილი იძყრობს. ამის მიზეზი უმუშევრობითა და არასტაბილური სოციალური მდგომარეობით გამოწვეული გადალაა, ზოგადი ნერვოზი, ბევრი ჩვენგანისათვის კარგად ნაცნობი, როცა ყველა მიმართულებით გზავნი CV-ებს და მზად ხარ იყო მიმტანიც და დამტლაგებელიც, ტექსტის ამკრეფიც და კორექტორიც, მასწავლებელიც და ზომპარკის მომვლელიც.

რომანის მთავარი გმირი მწერალი ქალია, თუმცა კი ასეთივე წამატებით იქნებოდა სხვა „არამოდური“ პროფესიის წარმომადგენელიც, რომელიც უბრალოდ, საარსებო მინიმუმს ეძებს და რომლის ზნეობის თამასა ცოტა უფრო მაღალია, ვიდრე საზოგადოებაში ნორმად ქცეული ქმედებები.

„ხელოვანს უნდა უჭირდეს! ყველა დიდებული ნაგებობა მმიერი მონების აშენებულია!“ – მოგვახის შუასაუ-

კუნეების ცინიკოსი მემატიანე და თუ ევროპელები დიდი ხნის წინათ გამოვიდნენ შუასაუკუნეობრივი განწყობებიან, საქართველო ისევ იქ რჩება: ჩამოხეულტანსაცმლიან მხატვრებთან, შიმშილით დავადებულ მწერლებთან, მოხეტიალე მუსიკოსებთან...

რომანი CV-ს სხვადასხვა განწყობით შეიძლება წაიკითხოთ: როგორც ნეორეალისტური საეთიავი, ან ფანტასმაგორია, რომანტიზმის ელემენტებით, ანდა სულაც აპსურდი. ხოლო როცა კითხვას მორჩებით, ისეთი შეგრძნება გექნებათ, თითქოს აღმართ-დალმართებზე იარეთ ფეხით, რადგან ამდერი ძლიერი და სუსტი ამბავი და ეპაზიდი ერთად არც ერთ წიგნში არ გექნებათ წანახი...

მას შემდეგ, რაც რომანის გმირს ლეთარგიული ძილი შეიძყრობს, გავრცელებული წარმოდგენისამებრ, იგი მარადიული წაპირისაკენ გაფრინდება. აქ უნებურად ჯერ ლუს კეროლის ალისას ხანგრძლივი ვარდნა გაგვახსენდება კურდლის სოროში და შემდეგ უკვე ბულგაკოვის ალქაჯადცეული მარგარიტა – იატაკის ჯოხზე გადაჯდარი, და ეს ასოციაციები შემანუხებელი არ იქნებოდა, ავტორს თავისი გმირი ქალი ამდენას რომ არ ეფრინა. ფრენის ეპიზოდები რომანში იმდენას გრძელდება და მიწონავიც იმდენას ავსებს თავის CV-ს მხოლოდ ერთი წინით: „არა იცრუო“, რომ ლამისასა წიგნი გვერდზე გადადო... თუმცა კი გვერდზე მაინც არ ვადადებთ, რადგან გმირს თვითირონიას დაუფასებთ, რითაც, უნდა ითქვას, მთელი რომანია გამსჭავალული. „თუ სწორი და ტრადიციული იმგვენიური ორიენტაციის ხარ, მონანიებით უნდა დაიწყო“ – დაეთანხმებით ავტორს და კითხვას გააგრძელებთ:

„იქნებ ვინმე გამომეცხადოს...“

4 თვეა აქ ვარ და იქნებ რომელიმე ვაკანსიოდან შეტყუბინება მომივიდა და ქალს ესვენება შუამდგომლობას...

ზლვისპირა ეგზოტიკურ ვილას კი ფასს ის სდებს, რომ კომუნალური გადასახადები აღარ აქვს და არც კარის მეზობლის ვალები.“

თუმცა კი, მერე და მერე, როცა წიგნის წიაღში უფრო და უფრო ღრმად მინევთ, ახლა უკვე თქვენ გეუფლებათ ირონია: რომანის ავტორი აქვარად ქრისტიანია, მორჩენუნესაც კი უნდებდით, და უცებ ამ ფრენა-ფრენაში ქერუბიმთა შრემი ისე აღმოჩნდება და ანგელოზადქცეული გარდაცვილი მეგობარიც ისე ამოულივლივდება თვალინ, რომ ცოტაც არ იყოს, უხერხეულობას იგრძნობთ. ამას ქრისტიანის პოზიციდან ვამბობ, თორემ, შეუძლებელიც რა არის? რა, ვინმეს უნახავს საიქიოში გაფრენილები შრემში როგორ წანილდებიან? აბა, დანტეს შეეკამათეთ თუ კაია! მე არ მინდა დანტესთან კამათი და არც თამრი ფხაკაძეს შევეკამათები ამაზე, ეს უბრალოდ, რომანის გმირის აღმსარებლობიდან გამომდინარე აღვნიშნე. წიგნის კითხვისას კი გავიფიქრე: „ეტყობა, ძილში მოსულა“. აქაოდა ძილიაო, მწერალმა მიღმიერ სამყაროში მისთანა ექსკურსიები მოგვიწყო, სულ „ნისლის მინდვრებზე“ გვასერინა, სადაც ცოტაც არ იყოს გაუგებარი კლასიფიკაციით ერთ – პოლიტიკოსთა შრეში მოათავსა დომენიკო დე მონეგარიო – ვენეციის მეექვსე დოჟი, იზაბელა ბურბონი, მინიკონფუ-სიუს ტომის ბელადი სი ტანკა, თავადი გიორგი-მალაქია აბაშიძე, პიტლერი, ევა ბრაუნი, აბდულ რახმანი, მარკუს ავრელიუსი, ჯორჯ ვაშინგტონი, ჩიხტი-

კოპიანი ქართველი ტანო ტატანოები, კალიგულა, კლეოპატრა, პეტრე პირველი, ფრანგშეკ პალაცკი... რასაკვირველია, როგორც აღვნიშნე, ყველას ჩვენებური წარმოდგენა გვაქვს საიქიოსა და მის შრებზეც, მართლა დანტეს ამარა ხომ არ ვიქებით დღემდე, მხოლოდ ეგაა, აი, ეს ამხელა სეირნობა რისთვის მოგვიწყო მწერალმა. მიზანს რომ საშუალება გაემართლებინა, გეტყოდით, მაგრამ ვიფიქრე, ვიფიქრე და ვერ მივხვდი...

თუ იგივე ლოგიკას გავყვებით, ძილში ისიც მოსულა, რომ რაკი ქერუბიმთა შრეში მოხვდება, ანგელოზებმა შენს გადასარჩენად კონსილიუმი მოიწყონ და, თუკი სადმე ორეინოლოგიასთან კავშირში მყოფი ფილოსოფიოსი, ფისიქოლოგი და წინასწარმეტყველი გაჭაჭანებულა, ამ კონსილიუმზე მოიპატიუონ ერთადერთი მიზნით: გამოარკვიონ, რატომ წაერთვა წერის უნარი ნეტარებაში ჩავარდნილ ქალს. ზოგადად ეს საკითხი ძალიანაც საინტერესოა, მაგრამ ამისათვის იუნგის, ფროიდის, კასტანედას, დონ ხუანის, სალვადორ დალის, ჯუან-ძის მოსაზრებათა გადმომდერება, თანაც მოსაზყვანად და განელილად დახვაცება ბოლოს ლუარსაბისა და დარეჯანის კამათს ემსაცვება ბოზბაშსა და ჩიხირთმაზე...

ესეც მხოლოდ სიზმრად შეიძლება შეგემთხვას, რომ ფისიქოლოგებისა და მისტიკოსთა სამყაროს უცებ გამოუცხადო: თქვენ მარტო თქვენი ჭეშმარიტებები მიმტკიცეთ, თქვენი რელიგიები და თქვენი ღმერთობა მიმტკიცეთ და ჩემი ვერაფერი გაიგეთო. ვაჟ! — იტყვის მკითხველი და მხრებს აჩერავს.

ჰო, სიზმარში ისიც მოსულა, რომ სალვადორ დალი გალაში შეეშალოთ, სულშეგუბებულმა კასტანედამ კი ჩაგრუნტულოთ: „ჩემი გახდით“, ხოლო თქვენ უპასუხოთ: „ვიფიქრებ“, ანდა იუნგმა გითხრათ: „ასე რატომ მიგინევთ გული იქით?“ თქვენ კი გაიფიქროთ: „ოროოპ, ახლააა!“ რასაკვირველია, ამაზე უცნაური სიზმრებიც გვინახავს, ოღონდ ამ შემთხვევაში გაუგებარი ისაა, ავტორი ჩევნ გვეკეყლუცება თუ დალი-იუნგ-კასტანედას?

ეს თავი – „კონსილიუმი“ – ყველაზე სუსტია, სადაც ბოლოს იმდენი გმირი იყრის თავს, რომ კიდევ ერთხელ გაგასენდებათ ბულგაკოვი და სატანას მეჯლისზე მყოფი მარგარიტა, ყველას მიღება-მისალმება-დამშვიდება-გამხნევება რომ უნდეს. ეს უკვე ის შემთხვევაა, როცა მწერლის იარაღი — თვითირონია — საქმეს ველარ შველის და დიდი შანსია, მკითხველმა წიგნს ხელი გაუშვას კარადა, გააგდოს...

ვიდრე „კონსილიუმზე“ ვლაპარაკობ, აქვე მოწვეულ ე.ნ. დრიმპაკერებსაც გავიხსენებ, რომელთა ხაზგასმულად რუსულ ენაზე მეტყველებას და სიზმრების გატეხვა-გაკონტროლებას მწერალმა პოლიტიკური დატვირთვა მიანიჭა, მით უფრო, როცა თავხედ თინეიჯერებს გამოუცხადა: „ჩემი სიზმრების ტერიტორიებს თვითონ გავაკონტროლებო“, თუმცა კი დრიმპაკერები რომანში საქმაოდ მსუეყ სახეებია. უარგონმა თამრისავე რომანის – „ჩევნ სამნი და ანგელოზი“ – გმირის მეტყველება გამახსენა და მწერალ ქალს ოსტატობა დავუფასე.



თუმცა კი თამრი ფხავაძეს ოსტატობას კიდევ არაერთხელ დაუფასებთ, თუკი ამ კონსილიუმს გაუძლებთ და რომანს გვერდზე არ გადადებთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, რომანში ბევრი აღმართ-დაღმართია. როცა რომანის გმირი ქვიშის ეტრატზე წერას იწყებს, ავტორიტეტებისგან გვათავისუფლებს, თავსაც ითავისუფლებს და იწყებს იმის თხრობას, რის გამოც მთელი ეს ცეცხლი ააგიზგიზა და ფაფა აათუხუსა, შეგიძლიათ სავარდელში კომფორტულად მოეწყოთ, აქამდე დაძაბული სხეული მოადუნოთ და ლიტერატურით ტკბობას მიეცეთ. ქვიშიზე დანერიტო ამბებიც ერთგვარი CV-ებია, ოღონდ, იმ ჰერსონაჟის Curriculum Vitae, რომლის ლე-

თარგიულ ძილზეც მწერალი ამდენს გველაპარაკება და გველაპარაკება. და თუკი ერთმანეთისგან გავმიჯნავთ რომანის გმირსა და ავტორს, რომანის გმირ მწერალს არსად ღალატობს გემოგნება და ზომიერების გრძნობა. ეს არის მოთხრობები ქალზე, რომელსაც მისჯილად უყვარს ლიტერატურა, ერთი კინორეჟისორი, სამშობლო და რომლის მთავარი ნაკლი ზნეობის მაღალ საფეხურზე დგომაა.

ამ მოთხრობების წაკითხვისას მე ვტიროდ და თუკი ამ თავებთან მისვლამდე წიგნი გზაში არ შემოგეფლითათ, მერწმუნეთ, გულგრილი არც თქვენ დარჩებით. აქ სოციალური ვარამიცაა და ქალური ვარამიცა. მართალია, რომანი ცოტა დიდი დოზითა გაუღენითილი ამ „ქალური ვარამით“, მაგრამ აქ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა უფრო მნიშვნელოვანია როგორ ვწერთ, და არა — რაზე ვწერთ. მართალია, მეტოქე ქალების გრძელ ფეხებზე „ჩაცილულ“ რომანის გმირს მხოლოდ მოკლეფება მკითხველით თუ გამოუწედება თანამგრძნობი, მაგრამ მისი პარნოია (თუ უიბლობა) ისე გემრიელად აქვს მწერალს ქრონოლოგიზმებული, რომ ტაშს არ დაიშურებთ.

რომანი „CV“ ასევე შეგიძლიათ გაშიფროთ, როგორც „სამშობლოს ვარამი“. არ მინდა ვთქვა, რომ რომანი პოლიტიზებულია, უბრალოდ, მისი გმირი სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ქართველია და, რადგან სიზმარში ყველაფერი მოსულა, ხოლო ჩევნი ეპოქის ქართველთა ოცნება კი ძილშიც და ღვიძილშიც აფხაზეთის დაბრუნება და საქართველოს გაბრწყინებაა, ამ იდეის მიმართ ვერც ავტორი დარჩა გულგრილი და აგერ, ჩემი ბატონო, პოზიცია და ოპოზიცია გაერთიანდა და ოპოპოზიცია დაირქვა (მერე რა, რომ ეს სახელი პიპოპოტამივით ჟღერს), კოდორში მედეას კოლხური ბალახების საერთაშორისო-ფარმაკოლოგიური ცენტრი გახსნა, შერვაშიძეშლიცეს ლაბორატორია ფუნქციონირებს და პრეპარატი „მედეაუნივერსის“ მთელ მსოფლიოს კურნავს შიდსისა და სიმიგნური დაავადებებისაგან. ჰოდა, ჩემო ბატონო, ნატოშიც მიგვიღეს, თანაც „მაპით“ კი არა, ისე, თანაც სრულუფლებიან წევრად, და ნატოს ოფიციალურ ენებს მესამე ენად ქართულიც დაემატა და ჩევნი გმირიც, რომელიც ლეთარგიული ძილიდან ბოლოს და ბოლოს გამოერკვევა, თვალს სოხუმში გაახელს და... ამაზე „გლაბაკი და ქილაერბო“ თუ გაგახსენდებათ, მეც მახსენეთ...

ნინო ჩხიცვილი

## „ნაგდვილად ვანტასტიკური ამპაზი“

□

### ნანა დამეტრაშვილის სარეალისო გზა

ისე მოხდა, რომ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრს ზედიზედ ვესტურებული.

თავდაპირველად ნანა კვასხვაძის გასცენიერებული ფედერიკო გარსია ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი“ ვნახე, მეორე დღეს კი ლალი კეკელიძის ექსპერიმენტული წარმოდგენა „პუნქტი №0“.

ორივე სპექტაკლში ყურადღება მიიპყრო მშვენიერმა ახალგაზრდა მსახიობმა ანა ნიკოლაშვილმა.

„ბერნარდა ალბას სახლში“ მაგდალენას ასახიერებდა. მეორეში – კლასიკიდან რადიკალურად განსხვავებულ ამპლუაში მოგვევლინა. მართლაც თამამ, საინტერესო ექსპერიმენტულ სახეს გაართვა თავი და შეძლო ის, რაც ხშირად უჭირს მასზე მეტად გამოცდილ, ასაკოვან მსახიობს.

ანა ნიკოლაშვილს, როგორც აქტიორს, გააჩნია ის უნარი, რასაც საკუთარი პერსონაჟის გვერდიდან, შორიდან შეხედვა ჰქვია. შეუძლია შექმნას ტიპური კლასიკური სახე, ფლობს გროტესკის ფორმებსაც, არის მუსიკალური, პლასტიკური და კიდე, კიდეც რაც ბევრისთვის, ჩემთვის, ამ წერილის მეოთხელთავის არანაკლებ მნიშვნელოვანია – მისი სახის ნაკვთებში იკვეთება იმ ქალბატონის სახე, რომელმაც თავის დროზე ქართულ თეატრს დიდი სამსახური გაუნია.

ეს ახალგაზრდა, მშვენიერი ქალი, საქართველოს სახალხო არტისტის, ახმეტელის პრემიის ლაურეატის – ნანა დემეტრაშვილის ქალიშვილია. შვილი იმ რეჟისორისა, რომელმაც მესხეთის თეატრის დიდი ტრადიცია შეინარჩუნა, აღადგინა და კიდევ უფრო მეტად ააღმორინა. ოლონდ ეს იყო კარგა ხნის, ლამის ნახევარი საუკუნის წინათ; თუმცა სხვათათვის თუ შორეულია ეს წლები, ქალბატონ ნანასთვის წარსული ისევ ცოცხლობს და მაშინდელზე, როგორც გუშინდელ დღეზე, ისე მესაუბრება.

აი შესავალი იმ წერილისთვის, რომელსაც ასე დავარქევ: „ფანტასტიკური ამბის დასაწყისი“.

ფანტასტიკური ამბავი?

ეს განსაზღვრება ჩემი მოგონილი წუ გეგონებათ, იგი დიდ მოღვაწეს – პავლე ინგოროვას ეკუთვნის.

პავლეს?.. კი მაგრამ რა შუაშია მესხეთის თეატრთან პავლე ინგოროვა? – იკითხავთ და ახლავე აგიხსნით.

შეგახსენებთ, რომ:

\* \* \*

ასე მინდოდა წერილის დაწყება.

მსურდა აწმუო და წარსული ერთი რეალით შემეერა, მკითხველის თვალწინ გამეერთიანებინა, მაგრამ სადღაც გაწყდა ასოციაციური ჯაჭვი და მეც თავიდან ვიწყებ წერას.

მაშ ასე:

თქვენს წინაშეა მთავარი პერსონაჟი – რეჟისორი ნანა დემეტრაშვილი.

მას ახლა საკანგებოდ მონიშნულ კითხვებს დავუსვამ და ასე დავიწყებ ერთ-ერთ მოქმედებას, რომელსაც მინდა ვუწოდო:

სიყმაწვილე, რომელიც მომავალს განსაზღვრავს.

– როგორი ბავშვი იყავით, მარტოსული თუ?..

**ნანა დემეტრაშვილი:** არა, არცერთი წუთით, ძალიან კომუნიკაბელური და მხიარული ვიყავი. ყველა ჩემს გარშემო იკრიბებოდა – კაცი, ქალი, ბავშვი, პატარა, დიდი, ყველასთან უნდა გამომენახა საერთო ენა... სხვათა შორის, ბავშურად მქონდა აკვატებული, როცა გავიზრებებოდნა მქონდა ისეთი პროფესია, რომ მუდამ რაღაცის მოფიქრება, რაღაცის შექმნა, გამოგონება დამტკირდებოდა... ასეთი პროფესია სწორედ რეჟისორობა აღმოჩნდა.

ბავშვობაში საოცრად მიყვარდა ღრუბლებზე მეითხაობა, საათობით შემეტლო ცაში ყურება. სულ ბუნებაში ვიყავი, ან ბიბლიოთეკაში და ვკითხულობდი.

– იქნებ გაიხსენოთ ის ადამიანები, რომელთაც გარკვეულიად განსაზღვრეს თქვენი მომავალი?

აბ კითხვაზე პასუხს აგვიანებს ქალბატონი ნანა, თითქოს რეალობას მოწყდა, უცებ დაბრუნდა ბავშვობაში. სიყმაწვილის დროინდელ ფოტოებს ათვალიერებს. ერთ-ერთზე მისი მშობლებია ალბეჭდილი. მამამისის მომზინდა გარეგნობა თვალს იპყრობს. თუმცა, ამ შემთხვევაში ეს დეტალი არ არის მთავარი. მთაგარი იმ დროის აღდგენაა, როცა დემეტრაშვილის ოჯახი თბილისიდან თეთრინყაროში გადასახლდა და შერეულ მოსახლეობას – ბერძნებს, სომხებს, რუსებს – შორის აღმოჩნდა.

**ნანა დემეტრაშვილი:** თეთრინყაროში რომ ჩავედი, სულ რამდენიმე ქართველი ოჯახი დაგვხვდა: ლონდარიქები, ბაგრატაშვილი, უვანიებსა და ჩომასაშვილების გვარს ჩვენი – დემეტრაშვილის ოჯახიც დაემზატა.

...მაგრამ როგორც ჩანს, არც ეს არის მთავარი... პატარა ნანა დემეტრაშვილის ცხოვრებაში გამოჩნდა რეჟის არისტორატი, მართლაც მარტოსული, ასკეტი თავადი – ნებლუბოვი, სამ გაუთხოვარ დასთან ერთად რომ ცხოვრობდა. ზუსტად დემეტრაშვილების სახლის წინ და მისი სახლი, როგორც ნანასი – კულტურის სახლს ემიჯინებოდა...

ეს ასკეტი ნებლუბოვი, ყოველ დღე, როგორც წესი, შებინდებისას კულტურის სახლისკენ დინჯად, მარტოდმარტო მიემართებოდა...

**ნანა დემეტრაშვილი:** ამ კაცს გარეგნობით სურათზე ნანას ნიკოლოზ მეორეს ვამსგავსებდი...

კულტურის სახლი არ თბებოდა და ამ სის შენობაში ლამის იყო გავყინულიყვანის გამოსახულები...

მამა იყო ამ სახლის დირექტორი. ყოველ საღამის, 8 საათზე, უცხოურ ფილმს ან სპექტაკლებს ვუყურებდით მე და ის უცნაური მოხუცი.

– რატომ უცხოური მოხუცი?

– წლების განმავლობაში ერთად ვესწრებოდით ამ კი-  
ნო-სეანსებს, ჩემი მეზობელი იყო და არასდროს გამომლა-  
პარაკებია.

აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ:

დიდ ბაღს, სადაც კულტურის სახლი იდგა, ერთადერთი  
ნათურა ანათებდა.

ამ ნათურის მქრალ შუქზე წინ მიდის თავადი ნეხლუ-  
დოვი, უკან მივცვები მე. ასე 12-14 წლის პატარა, იღლიაში  
დედის თავშალამორილი.

მერე შევდიგართ დარბაზში (თუ იმას შეიძლება დარბა-  
ზი კუნიდორი), ის კაცი ჯდება წინ (რადგან როგორც მე მივ-  
ხდი, თვალები ანუხებს), უკან ვჯდები მე, დედის თავშალს  
ვიხვევ ფეხებზე და გატაცე-  
ბით ვიზებ ფილმ-სპექტა-  
ლის ყურებას.

ასე ვნახე გორეის, ოსტ-  
როვსეის, ტოლსტოის პიე-  
სებზე შექმნილი თითქმის  
ყველა რუსული ფილმ-სპექ-  
ტაკლი და ბალეტებიც, მათ  
შორის „რომეო და ჯულიე-  
ტა“, აი ის, თუ გახსოვთ, ულა-  
ნოვა რომ ცეკვას...

ამავე გაყინულ დარბაზში  
ვნახე უცხოური, გერმანული  
ფილმები... ხანდახან, შუა  
ჩვენებისას, შუქი ჩაქრიბოდა,  
მე და ის კაცი მოთმინებით  
ვეღლდებოდით, როდის გა-  
აგრძელებდნენ ჩვენებას.

მერე რა გულუბრყვილო  
ვიყავი, რომ იცოდე, – ეღი-  
მება ქალბატონ ნანას, რა-  
ტომდაც მეგონა მეორედ  
რომ ვნახავდი ფილმს, ჩაპა-  
ევი აღარ დაიღუპებოდა.

ასე იყო, კიდევ რაღა გავიხსენო?!

– მაგრამ აյ ნუ შეწყვეტით თხრობას, ასე მგონია, თით-  
ქოს წოველას ვკითხულობდე. როი უცნაური პერსონაჟი,  
ძველი არისტოკრატი რუსი და მის ნაფეხურებს ადევნებუ-  
ლი პატარა მეოცნებე, დაუდევარი, მოუსვენარი გოგონა...

– რაღა გავაგრძელო?.. დამთავრდებოდა კინოსეანის, ადგებოდა ნეხლუდოვი, ავდებოდი მეც... ახლა მე გამოვ-  
დიოდი პირველი დარბაზიდან და მე მივუძლვოდი წინ. ის  
კაცი თავის ეზოში შევიდოდა, მე – ჩემაში.

ასე უსიტყვილ ვიცხოვრეთ ჩვენ ძალიან დიდხანს...

– მაგრამ ეს უსიტყვილ ყოფა, თუ თქვენი მეზობლობა,  
გაცილებით მეტყველი აღმოჩნდა, ვიდრე ეს წარმოგედ-  
გინათ?

– სწორედაც რომ ასე იყო, ეს კაცი რომ არ ყოფილიყო,  
შეიძლებოდა ხელოვნებაში არც არაფერი გამეკეტებინა.

ეს ადამიანი ჩემთვის თითქოს მანათობელ შუქურად იქ-  
ცა, რაღაც უხილავი ძაფებით აღმოჩნდი მასთან დაკავში-  
რებული.

– მაგრამ სარეჟისორო ფაკულტეტი რატომ ამოირ-  
ჩიეთ? გოგონები ხომ უმეტესწილად მსახიობობაზე ოც-  
ნებობენ...

– აბა, როგორ გავბედავდი მსახიობობაზე ფიქრს,  
ვთვლიდი, რომ საკმაოდ შეუხედავი ვიყავი.

თანაც, აკი გითხარით, თხზვა, რაღაცა ისეთის გამოგო-  
ნება მიყვარდა, სადაც მუსიკა, მხატვრობა, მსახიობის ოს-  
ტატობა ერთად იქნებოდა გაერთიანებული. ამას მაშინ  
მივხვდი, როცა ბიბლიოთეკიდან სტანისლავსკის წიგნი გა-  
მოვიტანე და... წავიკითხე.

– ქალბატონ ნანა, ვერ დავეთანამებით, რომ შეუხე-  
დავი იყავით, აგერ, თქვენი სიყმანვილის დროინდელი  
ფოტოები მიჭირავს და... ძალიანაც მომხიბლავი ყო-  
ფილხართ.

– რა ვიცი, რაც ვიყავი, ვიყავი!

– ოჯახში როგორ შეხვდ-  
ნენ თქვენს არჩევანს?

– რადგან სულა ოქროს  
მედალზე დავამთავრე, ლიმი-  
ტი მქონდა და შემეძლო სამე-  
დიცინ ფაკულტეტზე ჩამე-  
ბარებინა, მშობლებიც ამასვე  
მირჩევდნენ. მე კი თავი მოვი-  
კალი და იმ წელს არსად ჩავა-  
ბარე, თბილისში წამოვედი და  
მუშაობა დავიწყე.

– სად დაიწყეთ მუშაობა?

– რადიოტექნიკის ქარხა-  
ნაში, მუშად. მაშინ ის ქარხანა  
ახალი გასხვილი იყო და მხო-  
ლიდ ახალგაზრდები ვმუშა-  
ობდით, აქედან უმეტესობა  
უმაღლეს სასწავლებელში  
აპირებდა სწავლის გაგრძე-  
ლებას, ეს კი ქარხანას პრო-  
დუქტებს უქმნიდა და ამიტო-  
მაც არ გვაძლევდნენ უმაღ-  
ლესში ჩაბარების უფლებას.

ასე რომ, ტურებსა და გამოცდაზე ისე გავდიოდი, არავინ  
იცოდა. ქარხნიდან შესვენებაზე ვიპარებოდი.

რა თქმა უნდა, არც ჩემებს გაუყიათ, სარეჟისოროზე  
რომ ვაბარებდი მისალებ გამოცდებს.

– და ასე „უპატრონდ“ ჩაირიცხეთ თეატრალურში?

– რო, ეგ ცალკე ამბავია.

– ახლაც რომ გაიხსნოთ თუ შეიძლება?

– შეიძლება, რატომაც არა...

თავიდან საბუთებს არ იღებდნენ სარეჟისორო ფაკულ-  
ტეტზე. მითხრეს, ისეთი დიდი კონკურსია, თან მხოლოდ 5 ად-  
გილია, რაღას უნდა იწვალო ტყუილადო?! თუ გინდა სამსახი-  
ობა ფაკულტეტზე შემოიტანე საბუთებიო. არადა, მე მაინც  
და მაინც სარეჟისორო ფაკულტეტი მქონდა ამოჩემებული...

გამოვბრუნდი დაღვრებმთლი უკან და ვხედავ, ერთი სიმ-  
პათიური ქალბატონი მეძახის – გოგონა, მოდით ჩემთან.

ეს შესანიშნავი ქალბატონი, ძველი არისტოკრატი, ინს-  
ტიტუტის ბიბლიოთეკის გამგე – რუსუდან მიექლაძე აღ-  
მოჩნდა. ჩამოყვანა თავის ბიბლიოთეკაში, დაწვრილებით გა-  
მომტხოვა ჩემი ამბავი, იქევ წიგნებიც ამომირჩია და დამ-  
პირდა, – გული არ გაიტეხო, ხვალ მოდი და საბუთების მი-  
ღებაში დაგეხმარებიო. თან ისიც მიითხა, უფრო რა ტიპის  
შეკითხვები გირჩევნია კომისიის წევრებმა რომ დაგისვანო?



ნანა დემეტრაშვილი

მე ვუპასუხე: ქართულ თეატრსა და დრამატურგიაზე ბევრი არაფერი ვიცი-მეთქი. ჩვენი რაიონის ბიბლიოთეკაში წიგნებს უფრო რუსულ ენაზე ვითხულობდი-მეთქი.

კარგი, კარგი, ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქ-ნებაო! – შემაგულანა და ისე გამომიშვა შინ.

– გამოდის, რომ მიმდებ კომისიასთან ამ ქალბატონს ჩაუწყვია საქმე?

– ოჳ, ეგ არ გამახსენო...  
– რატომ, რა მოხდა?

– რა მოხდა და დიდი კურიოზი: მივდივარ ინსტიტუტში, შევდივარ გამოცდაზე და კომისიის თავმჯდომარე – დოდო ალექსიძე მეუბნება: აბა, ქართულ დრამატურგიაზე გვიამ-ბეთ, რაც იცითო...  
– რა?

– ჟო, სწორედ იმას მეუბნება, რისიც მეშინოდა. გაეხე-დე იქვე მჯდარ ქალბატონ რუსულან მიქელაძეს და კმაყო-ფილი გამომეტყველებით მიყურებს, მიღიმის, ხომ ჩაგინყ-ვე საქმეო?!

– მერე რა ქენით, ხომ არ დაიძნით?

– რა უნდა მექნა?.. შალვა დადიანის პიესა „მლიმეში“ მქონდა ნაკითხული და დავნენე მასზე ლაპარაკი... და რო-გორც მივხვდი, ბევრს არ ახსოვდა ეს საკმაოდ უცნობი პიესა.

კიდევ ვისი პიესა გახსოვთო? – ჩამეძია დოდო ალექსიძე და რომ ვუპასუხე, კაკაბაძის „კოლმეურნის ქორნინება“, ყველას სიცილი აუტყდა. მე კი გამიკვირდა, ვერ მივხვდი რა აცინებდათ... მაშინ რუსულად უფრო კარგად ვაზროვ-ნებდი, მთელი კლასიკური ლიტერატურა რუსულად მქონ-და ნაკითხული, რადგან თერინიწაროში რუსულ გარემოში ვიზრდებოდი, ამდენად, საუბარშიც რუსული აქცენტი მეტყობიდა.

შახსოვს, გამოცდიდან რომ გამოვედი, აკაკი ხორავა გა-მომყვა და შემეტახსა – დედა გყავს რუსიო? არა, ქართვე-ლი მყავს-მეთქი, ვუთხარი. აბა, რუსული სკოლა ხომ არ და-ამთავრეო? – არა, ქართული-მეთქი.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, შემდეგ ტურში გადავედი.

სპეციალობის გამოცდაზე ექსპლიკაციის დაწერა დამა-ვალეს. არადა, არ ვიცი რას ნიშავს ეს ექსპლიკაცია და ახ-ლა ხომ არ ვიკითხავ?! არ ვიცი როგორ მოვიქცე, რა დავნე-რო და... უცემ ყური მოვარი, ედგარ ეგაძე და სანდრო მრევლიშვილი (ისინიც ჩემთან ერთად აბარებდნენ) გაქანე-ბულები ბჭობენ: მე ამას ასე დავწერ, მე იმ ეპიზოდს ასე ვხედავ... და ხედვა რომ გავიგონე, მივხვდი, რაშიც იყო საქ-მე. მივხვდი, რასაც ნიშავდა ეს სიტყვა ექსპლიკაცია.

გადავწყიტე დამენერა გორეთს „ეგმონტი“.

მერე გიზო უორდანია სიცილით იგონებდა თურმე, მის-თვის, როგორც რეჟისორის ასისტენტისთვის, უთხოვათ, მიდი, ერთი, იმ ნაწილიან, ქარხნიდან მოსულ გოგონას და-ეხმარე, ნახე, რას ნერსო?

მოვიდა გიზო და რომ ნახა გორეთეზე ვმუშაობდი, გაუკ-ვირდა, თუმცა ხმა არ ამოუღია, მაგრამ კომისიის წევრე-ბისთვის კი უთქვამს – თქვენ რა, დამცინით, რად უნდა ჩე-მი დახმარება, გორეთს „შესჭიდებაო“.

ასე დავწერე ექსპლიკაცია და მივიღე მაღალი შეფასება.

– ასე უპრობლემოდ მოეწყვეთ სარეჟისორო ფაკულ-ტეტზე?

– თავიდან ხუთი ადგილი იყო გათვალისწინებული, შემ-დეგ მეექვსეც დაუმატეს. თავიდან 35 კაცი აბარებდა, ჩავი-

რიცხეთ ექვსნი: ედგარ ეგაძე, სანდრო მრევლიშვილი, თე-მურ ფალავანდიშვილი, ნიკა ჯანდიერი, გია ანთაძე, რეზო წულუკიძე, შემდეგ სასწავლო წლის განმავლობაში დაგვე-მატი: ლერი პაქსაშვილი, ლიმა ბათიაშვილი, გელა კანდე-ლაკი და ორა აფხაზიც... მხოლოდ მე ვიყავი ერთადერთი გოგონა ამდენ ვაჟებში და ამასთან დაკავშირებით, პრესა-ში უნივერსიტეტის უურნალისტიკის ფაკულტეტის სტუ-დენტთა სტატია გამოქვეყნდა ჩვენს ჯგუფზე, სადაც იუმორით წერდნენ ფეხბურთის გუნდზე, სადაც ერთი გო-გონა იყო.

– ქალბატონო ნანა, როგორი იყო თქვენს დროს თე-ატრალური ინსტიტუტი?

– არაჩვეულებრივი, ძალიან საინტერესო!..

წარმოიდგინე, დერეფანში რომ გამოივლიდნენ კახი კახესაძე, ბელა მირიანშვილი, გოჩა აბაშიძე, რობერტ სტუ-რუა, მედეა კუჭუბიძე, ჯულიეტა გამაყმაძე, ლია მიქაძე, ნუგზარ შარია, ზურა ქაფანიძე, მედიკო ბიბილებშვილი, გურანდა გაბუნია, იზა გიგოშვილი, მერაბ თავაძე, გოგი ხა-რაბაძე, რომელი ერთი ჩამოვთვალო?.. ყველანი კარგები იყვნენ, ყველანი... ყველანი მსახიობები და რეჟისორები დადგნენ.

– მაშინ როგორ იყო, დღევანდელივით იოლად იხვეჭ-დნენ პოპულარობას?

– არა, ბატონო! მაშინ მართლა კარგი მსახიობი უნდა ყოფილიყავი, რომ ხალხსაც ეღიარებინე... ახლა კი რა ხდე-ბა, შემდეგა არცერთი როლი არ ითამაშო, არცერთი სახე არ შექმნა და მაინც პოპულარული გახდე!

– პედაგოგებს როგორ გაიხსენებდით, რამდენადაც ვიცი მიხეილ თუმანიშვილი იყო თქვენი ერთ-ერთი პედა-გოგი და თქვენით ამაყობდა კიდეც. ახლა მაგონდება ერ-თგან ასე წერს: „ჩემი მონაცემები – გოგი ქავთარაძე და ნანა დემეტრაშვილი პერიფერიაში გაემგზავრნენ. უკვე რამდენიმე წელია მუშაობენ ქართული კულტურის ავანპიტებზე და ძალზე მიიშვნელოვან, უბადლო საქ-მეს აკეთებენ. და ჯერ არავინ იცის, ვის მეტი სარგებლო-ბა მოაქვს თავისი სამშობლოსთვის. მათ, ვინც დედაქა-ლაქშია, თუ მათ, ვინც ცენტრიდან მოშორებულ ადგი-ლებში ქმნის, შეცდომებს უშვებს, ხარობს, ცოცხლობას“.

– ჟო, ამით ვამყობდ...

მაგრამ ბატონ მიშამდე, ჩემი პედაგოგი იყო რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე, რომელმაც რეჟისურის ანბანი შე-მასნავლა. შემდეგ, მოხდა ისე, რომ ბატონი გიგა შეცვალა მიშა თუმანიშვილმა. დღემდე ორივეს ჩემს შემოქმედებით ბიოგრაფიაში მიმოვნელოვანი ადგილი უჭირავს.

საერთოდ, უნდა ვთქვა, რომ ბედა გამიღია და ჩემი პედაგოგები იყვნენ: აკაკი ფალავა, ირაკლი ციკიშვილი, ნა-დია შალეტაშვილი. გარდა ამისა, ვესტრებოდი დოდო ალექსიძეს, ლილი იოსელიანის, საშა მიქელაძის გაკვეთი-ლებს. მოკლედ, ინსტიტუტიდან არ გამოვდიოდი.

– ქალბატონო ნანა, წელან მიხეილ თუმანიშვილის ერთი მოსაზრება გავიხსენე და მგონი წინ გავუსწარი მოვლენებს, ალბათ, გვიან უნდა მესანებინა, მაგრამ ავჩქარდი... რადგან მალე მინდა „ჩავიდეთ“ მესხეთის თეატრში... თუმცა, თქვენს სადიპლომო სპექტაკლზეც უნდა ვთქვათ ორივეს სიტყვა.

– მიხეილ თუმანიშვილმა გააკეთა ის, რასაც ნამდვი-ლად არ მოველოდი. ვიტყოდი, ერთგვარად გარისკა კიდეც,

როცა ამ პატარა, ლანწირაკ გოგოს გრიბოედოვის თეატრში დამადგევინა სადიპლომო სპექტაკლი.

– ვისი პიესა?

– შვარცის „არაჩვეულებრივი სასწაული“.

– მერე?

– მერე სანკულტურის (იყო ერთ დროს ასეთი თეატრი) თეატრის მთავრმა რეჯისორმა, ქალბატონმა ლილი იოსე-ლიანმა მიმინვია და დავდგი ვიტლინგერის „ვარსკვლავი-დან ჩამოსული კაცი“, მერე იყო გორის თეატრი...

\* \* \*

აქ ნამდვილად შეიძლება შევჩერდეთ და კიდევ უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ იმდროინდელ თეატრალურ ინ-სტიტუტზე. ქალბატონ ნანას შემოქმედებითი გზის და-საწყისზე გორში, მაგრამ რაკი ვჩერობ, ამიტომაც რეს-პონდენტს ასეთ კით-ხვას დავუსვამ:

– გორის თეატრი-დან პირდაპირ მესხე-თის თეატრში წახვე-დით და დაიწყო ის, რასაც დღეს შეიძლე-ბა ეპოქა ვუწოდოთ!.. თუნდაც იმიტომ, რომ თქვენ პირველმა გა-ბედეთ იქ, იმ უძვე-ლეს ქართულ მიწაზე, დაგედგათ ოთარ ჩხე-იძის „თედორე“...

ამ მოვლენას, ყვე-ლას ახსოვს ბატონი ვასო კინაძის მოგო-ნებიდან, დიდმა მოლ-ვანებ და მოაზროვნებ – პავლე ინგორიშვამ, არაჩვეულებრივი ამ-ბავი, ფანტასტიკა უნდა...

გავიხსენოთ, როგორ იქმნებოდა ეს „ფანტასტიკები“, ოთარ ჩხეიძეს ბაზების მიხედვით დადგმული სამი სპექ-ტიკლი, სამი გამარჯვება ქართულ სცენაზე და კიდევ... ბევრი სხვა სპექტაკლი.

მაგრამ ვიდრე თქვენ ისაუბრებდეთ, ისევ რამდენიმე პატარა ჩანაწერს გავაცნობ მკითხველს;

ეს არის მილოცვები, კეთილი სურვილები, მოვონებები, რომლებიც ინხავენ და აცილცხლებენ იმ დროს, როცა „მეს-ხეთის თეატრს“ მართლაც ჰქონდა უფლება იმისა, რომ ღირ-სეული, კუთვნილი ადგილი დაეჭირა სხვა ქართულ თეატრ-თა შორის... ესეც ხომ თქვენი დამსახურებით იყო?!

როცა ქალბატონ ლილი იოსელიანს კითხე, მაინც რა-ტომ ურჩიეთ ასეთ ახალგაზრდა ქალს წასულიყო მესხეთში და თეატრს ჩადგომოდა სათავეში-მეტქი? – მომიგო, იმი-ტომ, რომ ამ ახალგაზრდა ქალს ყველა ის თვისება ჰქონდა, რაც თეატრის მთავარ სამხატვრო ხელმძღვანელს სჭირდე-ბოდა!

ბატონმა ვასილ კიკნაძემ კი, ილია ჭავჭავაძის სული ის განმარტება მოიშველია, რითაც ნამდვილ დედაკაცს ახასი-ათებს წმინდა ილია მართალი და კიდევ ერთხელ გაიმეორა დაბეჯითებით, რომ თქვენ მაშინ არ გყავდათ სხვა „დუბ-

ლიორი“, ამ დიდებულ, საშვილიშვილო საქმეს მამაკაცებიც კი ეკრძალებოდნენ.

აკი წერს კიდეც: „სტუდენტები ხშირად მეკითხებოდ-ნენ, თუ ვინ იქნებოდა მათი რეჟისორი. ერთხანს გარკვეულ პასუხს ვერ ვაძლევდი, რადგან ვისაც არ შევთავაზე, უარი მითხრა. ბოლოს არჩევანი შევაჩერე გორის თეატრის ახალ-გაზრდა რეჟისორზე ნანა დამეტრაშვილზე.“

ჩავედი გორში. გავესაუბრე ნანას. ის გაიტაცა თეატრის შექმნის იდეამ. თეატრს სათავეში ჩაუდგა ნანა დამეტრაშვი-ლი. სტუდენტები დიდი ინტერესით შეხვდნენ გადაწყვეტი-ლებას. მე-6 აუდიტორიაში მოხდა მათი გაცნობა. კარგად მახსოვს ნანას პირველი სიტყვა. სტუდენტებს განუცხადა, რომ არავის ეხვეწება, არავის აიდულებს წავიდეს ახალციხე-ში. ხოლო ვინც ჩემთან ერთად წამოვა, მე მისი მეგობარი ვიქნები და ერთად შევქმნით თეატრსა“.

სხვათა შორის, სა-უბრისას ბატონმა ვა-სომ ისიც გაიხსნა, ეს რომ უთხრა სტუდენ-ტებს ნანამ, გული გა-მისკდა, ძლივს შეგუ-ლიანებულ, შეპირე-ბულ ახალგაზრდებს მესხეთში წასვლა არ გადაეფიქრებინათ, მაგრამ პირიქით კი მოხდა – ნანა დამეტ-რაშვილს, ამ ახალგაზ-რდა რეჟისორს, მთე-ლი ჯგუფი წაყვა.

**ნანა დამეტრაშ-ვილი:** ჯგუფი 21 აპ-რილს წავიყვანე. მა-ხ-სოვს, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ეთერ გუგუშვილი, ყველა,

ყველა, ვინ არ მოვიდა ჩვენს გასაცილებლად?! ჩასხედთ ავტობუსში და... გული მისკდება, თუმცა არაფერს ვამბობ, მაგრამ ვნერვიულობ, იქ რომ ჩავალთ, იქაურ ყოფას რომ დაინახავენ ეს თბილისელი ყმაწვილები, რას იზამენ?!.. რო-გორ აღიქვამენ ახალციხეს?.. მადლობა ღმერთს, საღამო-თი ჩავედით, ქალაქში უკვე სინათლეები ენთო და ყველა-ფერი ისეთი გაბრწყინებული მოჩანდა, ჩემს ახალბედა მსა-ხიობებს მოენონათ კიდეც.

ამოვისუნთქე!..

იმ საღამოს სასტუმროში მოვთავსდით. დილით, გავი-ხედეთ ფანჯარაში და რას ვხედავთ, წარმოიდგინეთ, აპ-რილში თოვლი მოსულა... წამოვცივდით ეს ჩემი ბავშვები და მე, გავვარდით ბალში, დავწერ გუნდაობა... მერე დი-დი დღრო რომ გავიდა, იქაური მუსიკალური სკოლის დირექ-ტორი გამომიტყდა, რომ იცოდე, როგორი გაკვირვებულე-ბი ვიყავით ყველანი, ამრეზით გიყურებდით, მთავარი რე-ჟისორი ამ ახალგაზრდებთან ერთად რომ დაიწყებს გუნ-დაობას, იმან რა თეატრი უნდა შექმნასო?!

– სინამდვილეში კი პირიქით მოხდა... მალე მესხეთის თეატრმა არსებობა 1967 წლის 23 სექტემბერს ოთარ ჩხე-იძის „თედორეთი“ დაიწყო. რამ განაპირობა თქვენი არ-ჩევანი?

– ალბათ უფრო იმან, რომ თეთრიწყაროს რაიონი „სავ-სეა ისტორიით“. დიდგორი, მარბდა, სამშენებლები, ფიტარე-თი, მთელი მანგლისი, თელეთი, ნადარბაზეები... იქაურები ხშირად მოაყოლებდნენ სიტყვას – აი, აქ არის, ამის იქე-თაც, თამარ მეფის ნაფეხურებიო.

ბავშვობისას სულ ფეხით მქონდა მოვლილი თითქმის ყველა ეკლესია... არადა, დღეს ბევრმა არ იცის, რას ნარმო-ადგენს სამშენებლები... მე კი ამ ისტორიასთან ერთად ვიზრ-დებოდი, შესისხლხორცებული მქონდა ჩვენი წარსული და ვფიქრობ, ამანაც განაპირობა ჩემი არჩევანი.

**– მგრი გორიდან უკვე იცნობდით ბატონ ოთარს, არა?!**

– დიახ, ვიცნობდი, დიდ პატივს ვცემდი პიროვნულად და მისი მწერლობა მიყვარდა და მესმოდა.

აქ, ქალბატონო ნანა, ცოტა ხნით ისევ შეწყდება ჩვენი დიალოგი. მინდა ვასილ კიუნაძის ზემოთ ნახსენები მოგო-ნებიდან ერთი ეპიზოდი შეგახსენოთ თქვენც და ჩვენს მკითხველებსაც:

თურმე, პავლე ინგოროვყას რომ გაუგია ვასილ კივნა-ძისგან მესხეთის თეატრის გახსნის ამბავი, აღმრთოვანე-ბულა. კითხვებიც დაუყრია – როდის იხსნება, ვინ არის რე-ჟისორი, ვისი პიესითო?

ბატონ ვასოს უპასუხნია, – ოთარ ჩხეიძის „თედორე-თიო“, მაშინ, პავლე ინგოროვყას გაკვირვებით შეუხედავს თანამოსაუბრისთვის და ჩავლაბარაკინა გაოცებულს: კი მაგრამ, როგორ დართეს წება, როგორ გაუშვესო?

და როცა ვასილ კივნაძეს უპასუხნია, გაუშვესო, – გაკ-ვირვებულ მეტინერს ხმასაღლა ჩაულაპარაკნია – ფანტასტი-კურა!.. მაშინენ, მაინც რაღაც ხდება ქვეყანაზე, არა?! – „მე-რე მელაგზე ხელი მომკიდა, – იგონებს ბატონი ვასო და, თით-ქოს რაღაც საიდუმლოს მეუბნებოდა, ისე მითხრა: ახალცი-სის თეატრში მძღვდელი თევდორეს დადგმა – ნამდვილად ფანტასტიკური ამბავია“ – მართლაც შესანიშნავი ეპიზოდია, დიდი პავლე ინგოროვყას ხასიათიც ჩანს, ეპოქაც იხატება და რაც მთავარია, სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორის გაბე-დულ გადაწყვეტილებასაც ერთი სიტყვით აფასებს.

მე თუ მკითხავს ვინმე, პავლე ინგოროვყას შეფასება – ფანტასტიკური ამბავია, – ყველა იმ რეცენზიასაც კი გა-დასწონის, რაც ამ სპექტაკლის შესახებ დანერილა და თქმულა.

„თედორეზე“ მართლაც ბევრი თქმულა და დაწერილა. ამ ყველაფერმა კი თავი მოიყარა როსტომ ჩხეიძის იმ წიგნ-ში მამას, დიდ ქართველ მწერალს – ოთარ ჩხეიძეს რომ ეძღვნება – „აგვისტოს შვილები, მამაჩემი ოთარ ჩხეიძე“.

მინდა ამ წიგნიდან ერთ-ერთი თავი ვახსენო – „ოთარ ჩხეიძის თეატრი“. აქ არის სწორებ დობობილი ლადო სულაბერიძის 1990 წლის 10 აგვისტოთი დათარიღებული წერილი, სოფლიდან რომ გამოიუბავნია ბატონი ოთარისთვის...

ალმანახ „დრამატურგის“ ახალ კრებულში ოთარ ჩხეიძის პიესა „სოლომონ – მსაჯული მეფისა“ წაუკითხავს, აღვ-რთოვანებულა და იდეაც დაბადებია: „შენ რო ცოტა მარი-ფათიანი იყო, თავისუფლად შეგეძლო შეგექმნა „ოთარ ჩხე-იძის თეატრი“, – „თევდორე“, „ქეთევანი“, „გიორგი“, „დე-და“, „სოლომონი“. მე რო კაი რეჟისორი ვყოფილიყავი, უეჭ-ველად შევემნიდი ასეთ თეატრს. ხო იყო „შექსპირის თეატ-რი“, „ბრეხტის თეატრი“ და სხვათა და სხვათა? ჰოდა, ჩვენ-ში ძალიან საინტერესო იქნებოდა „ოთარ ჩხეიძის თეატრი“.

მნერლის ამ ნატვრამ ბატონ როსტომს ახალციხის თე-ატრი, მისი მთავარი რეჟისორი, ქალბატონი ნანა დემეტ-რაშვილი მოაგონა:

„ახალციხის თეატრში გაჩნდა საამისო საწყისი და პი-რობები, ამას დარამატურგად ეგრძნო თავი, იქაურობა კი ოთარ ჩხეიძის თეატრად გამოკვეთილიყო, ისე ღონივრად შეიგდეს მხერებზე „თედორეც“, „ქეთევანიც“, „გიორგიც“.

...ხელისშემზღველი გარემოებანი უკან თან მოჰყვა „თე-დორეს“ დადგმას... თუმცა ნანა დემეტრაშვილმა გაუძღლ საქამიად მწვავე შემოტევას და ეს სპექტაკლი ტრიუმფად აქციაო“. – ამასაც დასძენს ავტორი.

– მწვავე შემოტევა ვახსენე და ხომ არ გაიხსენებდით რომელიმე შემთხვევას?

– თბილისში გასტროლების დროს, სპექტაკლის „თედო-რეს“ დაწყების წინ ტელეფონით მავანმა სპექტაკლიდან რამდენიმე ფრაზის ამოღება „შემოგვთავაზა“.

**– მაინც რომელის?**

– აი, თუნდაც ამ ფრაზებისა:

გადაუდგმელად ირწეოდეს თქვენი აკვანი, ამოდიონენ ვაჟკაცები იმა აკვიდან, თავს დასდგომიდნენ ჩვენსა მინას, ჩვენსა მამულსა, რომ ერთი გოჯიც აღარავის არ წარეტაცოს.

ვუპასუხე, არცერთ ფრაზას არ ამოვილებ და ფარდასაც არ გავხსნ-მეთქი, დავიმუქრე...  
გასჭრა!!!

– ეს ვრცელი ექსურსი, ქალბატონი ნანა, იმიტომ დამჭირდა, რომ მკითხველისთვის კიდევ ერთხელ შემხე-სენებინა თქვენი მაშინდელი გადაწყვეტილება – მესხე-თის თეატრის ალორძინება დიდ მამულიშვილურ საქმეს რომ ემსახურებოდა... და თუ ეს მოვლენა დღეს ვინმეს პატარა საქმე ჰგონია, ძალიანაც ცდება!

ერთხელ, საუბარში, სიტყვამ მოიტანა და ახსენეთ, თავისთავად თეატრის სახელწოდებამაც დიდი როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვ-რებაშიონ...

– კი, ეგ მართალია, როცა შეიქმნა ბჭობა თეატრის სა-ხელწოდებასთან დაკავშირებით, დავიუსინე, აუცილებლად მესხეთის თეატრი ვუნოდოთ-მეთქი. ნანაზი მქონდა ძევლი აფიშები და მომაგონდა, იქ ფიგურირებდა მესხეთი. მაშინ, მახსოვს, ზოგიერთმა დამცინა, – ეგ რა გამოდის?.. მაშინ დავარქვათ, გურიის, იმერეთის თეატრიო...

თავიდან არ მოეწონათ ჩემი წინადადება, მაგრამ გადის დრო ჩვენი თეატრის გახსნიდან ასე ორი-სამი წელიწადი და მეძახის ერთ-ერთი მაღალინინოსანი თავისთან, მიჩვენებს სომხეთის მიერ დაწერილ საპროტესტო არზას (ხელს ანერს 120 კაცზე მეტი), სადაც ნათევამია: ახალციხეში ქართვე-ლებს თუ აქვთ თავისი თეატრი, მაშინ ჩვენც უნდა გაგვიხ-სნათ სომხურნოვანი თეატრი ისე, როგორც – ცხნივალში და სოხუმშიან!.. აი, მაშინ კი გაჭრა ჩემმა „ახირებამ“, მეს-ხეთის თეატრი დაგარქვათ, გურიის, იმერეთის თეატრი.

**– როგორ, რანაირად?**

– რანაირად და შემზღვეული ჩინოსანი დავაწყნარე – თქვენ შეგიძლიათ სომხებს არგუმენტირებული პასუხი გასცეთ. მართალია, ახალციხეში 70% სომებია, მაგრამ მესხეთის თეატრი დაგარქვათ, გურიის, იმერეთის თეატრი მხოლოდ ახალციხის თეატრი კი არ

არის, არამედ მთლიანად – მესხეთის, იქ კი შედის არამხოლოდ ახალციხე და მისი შემოგარენი, არამედ, ბორჯომი, ადიგენი, ასპინძა და ამ რაიონში ერთად აღებული, რიცხობრივად მეტი ქართველი ცხოვრობს, ვიდრე სომეხი-მეთქი... და როცა მინისტრის მოადგილე მიხდა მართალი ვიყავი, ამოისუნთქა – შენ აგაშენებს ღმერთი, დავწყნარდი ახლა!

აი, ასე იყო. დღეს შეიძლება ეს ბევრს არ ახსოვს, ზოგმა არც იცის და არც უნდა რომ იცოდეს, მაგრამ ამ ყველა-ფერს თავის დროზე, კომუნისტურ ეპოქაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის.

– მაღალჩინოსანი ახსენეთ და გამიგია, რომ „ძლიერ-ნი ამა სოფლისანი“ ცოტა არ იყოს, ერთგვარი სიფრთხილით ეკიდებოდნენ თქვენთან ურთიერთობას, როგორ ახერხებდით ამას?

– ძალიან უბრალოდ, უშუალო ვიყავი და მართალი. ყველას ყოველთვის ვანექხებდი, ოლონდ არა საჩემოდ, მხოლოდ თეატრისა და დასის წევრების პრობლემის გადასაწყებად.

მახსოვს, როცა ცეკას მდიგანი იყო ედუარდ შევარდნაძე და ჩვენს რაიონს ესტუმრა, 8 საათზე სპექტაკლზე მოსვლა მოინდომა. თუმცა უშიშროების თანამშრომლებს მაინც დამაინც არ ესამოვნათ მისი გამოჩენა თეატრში, მეუბნებოდნენ დალილია, დილიდან არაფერი უჭამია, რამდენიმე თაბიირი ჩაატარა, მაგრამ რაკი თვითონ ბატონმა ედუარდმა მოინდომა, რაღაც გააწყობდნენ.

სპექტაკლს მსვლელობისას დამიძახა, გვერდით მომისვა, წარმოდგენის შემდეგ დასსაც შეხვდა, მაშინ მეყოვ გამბებარება და ვთხოვე წამყვანი ახალგაზრდა მსახიობებისთვის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდების მინიჭება მოეხერხებინა. შემპირდა, ვეცდები, მოვახერხებო და მართლაც სულ მალე ჩვენი დასის ათმა ახალგაზრდა მსახიობმა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება მიიღო. მათ შორის ყველაზე უფროსი 28 წლისა იყო.

გარდა მაღალჩინოსნებისა, აუცილებლად უნდა აღვინიშნო ერთი რამ – ყოველთვის მაღლიერი ვიყავი საქართველოს ყველა კუთხის მაყურებლის, რომელიც გვერდი გვედგნენ. გასტროლები საქართველოს ყველა კუთხეში გვერდნა და სწორედ მაყურებლთა ყურადღება და სიყვარული გვაძლებინებდა სიცივესა და ზოგჯერ გაუსაძლის პირობებში, ხშირად შიმშილიც გადაგვიტანია. რასაც თან ერთვოდა საზღვრის პირას ცხოვრება – შეზღუდული ურთიერთობა ნათესავებთან, მეგობრებთან. პირველ ხანებში უბინაონიც ვიყავით, მაგრამ...

მაგრამ მაყურებელი, მსახიობები და მეც, როგორც ხელმძღვანელი თეატრისა, ერთმანეთს ვავსებდით და ვზრდიდით.

გარდა სპექტაკლებისა, მე და ჩემი დასი აქტიურ მონაწილეობას ვიღებდით სახალხო დღესასწაულებში, იქნებოდა ეს

შოთაობა, საფარობა, ზარზმობა, მარაბდობა თუ დიდგორობა.

ამ დღესასწაულებისას ხშირად გვსტუმრობდნენ მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, რომელი ერთი გავიხსენო: ოთარ ჩხეიძე, აკაკი გენაძე, ნოდარ დუმბაძე, ტარიელ ჭანტურია, გურამ ფანჯიკიძე, იოსებ ნონევილი, ლევან მალიზონა, ედიშერ ყიფანი, ვასო კიკნაძე, ცონბილი მსახიობები თუ სხვა გამოჩენილი მოღვაწენი.

ჩვენთვის მართლაც ზეიმი იყო მათი მხარდაჭერა და სიყვარული. ...და ახლა როცა მეეკატებიან, მაინც რა გაძლიერებდა იქაურ ყოფაში, ვპასუხობ – საყოველთაო ყურადღება და სითბო მესხეთის თეატრისადმი!

აი, ასე ვიცხოვრეთ 20 წლინადი...

მინდოდა ის ერთსულობება და სიყვარული, რომელიც ჩვენს შორის სუფევდა, ბოლომდე შემენარჩუნებინა, მაგრამ რას იზამ... ეტყობა, ასეც ხდება, 20 წლის შემდეგ, თეატრიდან წამოვედი... და მიუხედავად შემდგომ სხვადასხვა მცდელობისა, კვლავ დავგარუნებულიყავი მესხეთის თეატრში, აღარ მოვინდომე.

რაც იყო, იყო!..

ყველაფერს აქვს დასაწყისიცა და დასასრულიც...

\* \* \*

ქალბატონი წანა არაფერს ჰყება იმ ტკივილზე, რამაც თეატრის დატოვება გადააწყვეტინა... და რაკი თვითონ ამ კონფლიქტზე საუბარს თავს არიდებს, მინდა კვლავ წარსულში გადავინაცვლო...

თუმცა, მანამდე აუცილებლად უნდა ვახსენო, რომ მესხეთის თეატრში ყოფნისას, ახერხებდა იმდენს, 1975-76 წლებში რუსეთში წასულიყო და სტაჟიორად ემუშავნა ისეთ რეჟისორთან, როგორიც იყო ანატოლი ეფროსი...

ხოლო მას შემდეგ, რაც მესხეთის თეატრიდან წამოვიდა, ერთხანს იმუშავა რუსთავის, შემდეგ ჩანტლაძის სახელობის სატირისა და იუმორის თეატრში, ხოლო ბოლოს, ყველაზე რთულ პერიოდში ჭიათურის სახელმწიფო თეატრში მთავარ რეჟისორად...

თეატრალურ ინსტიტუტში რამდენიმე სამსახიობო ჯგუფიც გამოუშვა, ამავე ინსტიტუტში კონკურსშიც მიიღო მონაწილეობა და ჯერ დოკუმენტის, ცოტათი მოგვიანებით კი, პროფესორის საპატიო წოდება მიენიჭა, მაგრამ მიუხდავად ყოველივესი, დღეს ისევ უმუშევრად...

და თუ შევეკითხებით, წარსულიდან მაინც რომელ ღირსშესაბისავ დღეებს გაისხენებთქო – მოგიგებთ: შეიღების დაბადებას, მესხეთის თეატრის პირველ სპექტაკლს „თედორეს“, პირველ გასტროლებს თბილისში, მოსკოვში ვახტანგოვის სახელობის თეატრში, სადაც გვერდით ედგნენ სმოკუტუნვსკი, ეფრემოვი, ევსტიგნეევი, ბულატ ოუკვავა, კოჯუბოვა და სხვებიც. ახლა ყველა მათგანს ვერ ჩამოთვლის.

გაიხსენებს აგრეთვე, ბულგარეთში, ქალაქ სოფიაში საერთა-

### ორშაბათს, 26 აპრილს

ლიტერატურულ არტ კაფე  
„ქარაგანში“  
გაიმართება

### გოდერძი ჩოხელის

ხსოვნის საღამო  
დასაწყისი 19 საათზე  
ფურცელაძის 10

## შემოქმედებითი პორტატი

შორისო ფესტივალზე აღებულ დიპლომს აკაკი გენაძის პი-ესის „წმინდანების ჯოჯოხეთში“ – დადგმისათვის.

გაიხსენებს რუსთავის თეატრში მისეული ინტერპრე-ტაციით განხორციელებულ ილია ჭავჭავაძის „ოთარანთ ქვრივს“ და იქვე განსაკუთრებული სიყვარულითა და მო-ნინებით ახსენებს ჩვენს პატრიარქს, ილია II-ს, პრემიერაზე რომ ეწვია.

გაიხსენებს ქუთაისში ოპერისა და დრამატული თეატ-რების სცენაზე დადგმულ სპექტაკლებს.

და ასე...

გასახსენებელი მართლაც ბევრი აქვს, ჯერ მარტო მისი არქივი რად ღირს, ასე ცოცხლად რომ ინახავს წარსულს. ამ არქივში ბევრი ისეთი ჩანაწერი მოიძიება, რომელთა გაც-ნობა, ვფიქრობ, არც მკითხველისთვის იქნება უინტერესო.

არქივში აღმოაჩინთ ვერიკო ანჯაფარიძის, მიხეილ თუ-მანიშვილის, ტარიელ საყვარელიძის, ელენე ყიფშიძის, ნო-დარ დუმბაძის, სრულიად ახალგაზრდა, ურნალისტიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტის – მაკა ჯოხაძის ჩანაწერებს.

მოვიყვან ზოგიერთ მათგანს და დავძენ – ეს არის ნამდ-ვილი ისტორია. ისტორია, რომელიც ახლა მხოლოდ ნანა დემეტრაშვილის პირადი არქივის ქუთვნილება კი არა, თვითონ მესხეთის თეატრის ისტორია. ვთქვათ, თუნდაც, ისტორია თათარ ჩხეიძის თეატრისა, რომელიც მომავალში აუცილებლად უნდა აღორძინდეს...

მანამდე, მანამდე კი ამ ისტორიის სათავესთან კვლავ რეჟისორი ნანა დემეტრაშვილი დაგას. დაგას რეჟისორი, რო-მელმაც გასული საუკუნის 60-70-იან წლებში მესხეთის თე-ატრში ეპოქა შექმნა.

\* \* \*

„ჩემო ძვირფასო ნანა!

გილოცავთ ამ მშვენიერ დღეს! გისურვებთ, რომ კვლა-ვაც ასეთი მონდომებით, ახალგაზრდული შემართებით, გატაცებით ემსახუროთ ქართულ თეატრს და მუდამ გაახა-როთ მაყურებელი. გული მწყდება, რომ პირადად ვერ გი-ლოცავთ!

თქვენი მიხეილ თუმანიშვილი“.

„ვიცი, დიადი და მშვენიერი მომავალი გელით! ამის თავდებია თქვენი ახალგაზრდული ლტოლვა, თქვენი ნიჭი და ლოთაებრივი მხარე საქართველოს, სადაც არ შეიძლე-ბა არ იყოს გამარჯვებული ხელოვნება!

ვერიკო ანჯაფარიძე, 1969 წ. ვარძია.“.

„კარგო, ძალიან კარგო ნანა! კურთხეული მხარის ხე-ლოვნების მებარხესტრე ხართ. მოხიბლული ვარ თქვენი თეატრით, თქვენით. მიგულეთ მარად თქვენი თეატრისა და თქვენი ნიჭის თაყვანისმცემლად. ძნელია დაივინუ ამ მხარეში გატარებული დრო.

ტარიელ საყვარელიძე. 1969 წ. ვარძია.“.

„მიყვარხარ! თაყვანს გცემ ნანა, ჯერ კიდევ თვითონ წინილაო, სხვისი კრუხი რომ ხარ! იცოცხლე ხელოვნებით, ხელოვნებას კი შენით ეცოცხლოს. ბედნიერება ჩვენი, მე ასე მესმის.

ლენა ყიფშიძე“.

„ნანა! რომ ვიყო ვინმე მესხი მელექსე, მე ვიცი, რა ხოტ-ბასაც შეგასხამდი. მაგრამ არავინ არა ვარ და რა ვქნა. ის-ლა დამრჩენია რვა მარტი მოგილოცა. სიყვარული გამო-გიცხადო და გთხოვო ნებართვა, მესხეთში ხანდახან ჩა-მოსვლისა.

შენით მოხიბლული ნოდარ დუმბაძე. 8. III. 69 წ.“

„აი, მე თქვენ იმ დღეს გისმენდით და მიხაროდა თქვენი ტკივილი. მიხაროდა, ჩემო ნანა, კარგი გაგებით. ღმერთმა ქნას ასეთი ტკივილები გქონდეთ სულ თავისი გამარჯვებე-ბით. ოღონდ გამარჯვების შემდეგ ისევ ტკივილი და ასე დიდხანს, მთელი სიცოცხლე, ტკივილები და გამარჯვებები.

გაკა ჯოხაძე, უნივერსიტეტის III კურსი.“

\* \* \*

– ქალბატონო ნანა, არსებობს მოსაზრება, რომ რე-ჟისორობა არ არის ქალური პროფესია. ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას?

– იცი რა, ეს მოსაზრება სულაც არ არის ლოვიკას მოკ-ლებული. ქალს, დედას, მეუღლეს ბევრი ისეთი მოვალეობა აკისრია, რომელსაც მისი ცხოვრების უმეტესი დრო მი-აქვს... ასე რომ, რეჟისორობა მართლაც როგორ პროფე-სიად ქალისთვის.

– თქვენი მეუღლე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვაჟა ნიკოლაშვილი, დღესაც მესხეთის თეატრ-ში მოღვაწეობს, თქვენი ქალიშვილი ანაც მშობლების პროფესიას მისდევს და სცენაზე დაგას, ვაჟს კინომცოდ-ნეობის ფაკულტეტი აქვა დამთავრებული და, იქნებ, ამანაც „გაგიოლათ“ რეჟისორობა?..

– ალბათ, ალბათ!..

ჩემი მეუღლე ვაჟა, თეატრის დაარსების დღიდან დღემ-დე მესხეთშია, ახლაც იქა მყავს მძევლად დატოვებული, – ელიმება ქალბატონ ნანას და იქვე დასძენს, – მაგრამ რო-გორც კი მოგვარდება ბინის პრობლემა, ოჯახიც გაერთი-ანდება.

რაც შეეხება ჩემს ქალიშვილს, ანას, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხო ენათა ფაკულტეტზე ინგლისურის განხრით მაგისტრატურის კურსიც კი დამთავრა, მანც თავისი გაიტანა და თეატრი-სა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-სამსახიო-ბი ფაკულტეტის რეზონ ჩხეიძის ჯგუფში განაგრძო სწავ-ლა.

ამჟამად პატარა „მშვენიერ“ ელენეს ზრდის ბერაძეების შესანიშნავ იჯახში და კვლავ განაგრძობს ოცნებას მომა-ვალ როლებზე.

რაც შეეხება ვაჟს ალექსანდრეს, კინომცოდნეობის ფა-კულტეტზე ისწავლა. მერე მის ცხოვრებაში იყო ცხინვალი, აჩიგვარა, კინდღის უმძიმესი დღეები, პროფესია შეიცვა-ლა... ჰყავს 15 წლის ვაჟი – მაშუა ღლობერიძე.

\* \* \*

ეს კითხვა შემთხვევით არ დამისვამს ქალბატონ ნა-ნასთვის, დასასრულისთვის პატარა სიურპრიზი შემოვუ-ნახე მკითხველს – თქვენი ვაჟიშვილის საშინაო დავალე-ბის რვეული, რომელიც შეიძლება ახლა თვითონაც აღარ ახსოვს, არადა, ამ პატარა, ბავშვურ ჩანაწერში კარგად

მოჩანს ნანა დემეტრაშვილის პიროვნული და შემოქმედებითი პორტფელი.

1975 წლის 26 იანვარს თქვენს ვაჟს ასეთი თემა დაუწერია:

„დ ე დ ა ჩ ე მ ი

არც ერთი სიტყვა ისე ტკბილად და გულში ჩამწვდომად არ ხვდება ჩემს სმენას, როგორც „დედა“. რამდენი სითბო და სიყვარულია ჩაქსოვილი ამ სიტყვაში.

მე უსაზღვროდ მიყვარს ჩემი დედა. იგი ყველაზე ლამაზი და კეთილია ჩემს თვალში. მე იგი კიდევ უფრო იმიტომ მიყვარს, რომ იშვიათად ვხედავ და ვიცი, რომ იმისი ფიქრი და გონიერა სულ მე დამტრიალებს თავს. იგი ჩემზე ფიქრით და ზრუნვით ათენებს და ალამებს. მიუსხედავად ასეთი დიდი სიყვარულისა, ის მე არ მათამამებს და ყოველ ჩემს სურვილს უყოყმანოდ არ ასრულებს.

იგი მტკიცე წებისყოფის ადამიანია. უყვარს საქმიანი საუბარი. დედაჩემი მუშაობს თეატრში და იგი რეჟისორია. რეჟისორად ყოფნა ადვილი როდია, ის განა მარტო ჩემზე ფიქრობს, არამედ იმაზედაც ფიქრობს, თუ როგორი გამოვა მისივე დადგმული სპექტაკლი. მართალია, ის დალლილი მოდის სამსახურიდან, მაგრამ ჩემთვის მაინც ცალია. მე ძალიან მიყვარს დედაჩემი.

## P.S.

დაბოლოს, კიდევ შემოვინახე ერთი კითხვა:

— ახლა რომელ სპექტაკლს დადგამდით?

— ჩემი ოცნება ისევ ითარ ჩემის დრამატურგის განხორციელებაა. მინდა ახლანდელი თვალით შევხედო იმ პრობლემებს, რომლებიც დღესაც ძალიან აქტუალურია.

მაშინ მაინც სწორხაზოვნად ვაზროვნებდი, ახლა სულ სხვა ხედვა გამარჩია... და კვლავ მაინტერესებს რა არის მთავარი, გაწყდე და ისე შეინარჩუნო შენი ენა, შენი მინაწყალი თუ... მხოლოდ ფიზიკური სიცოცხლე შეინარჩუნო სხვათადასხვათა მამებლიობით!

აქეთ დგას უკომპრომისო თედორე, იქით ეპისკოპოსი, რომელიც ამტკიცებს, ოღონდ გადარჩეს ერი ფიზიკურად და ბევრ რამეზე უნდა დავხუჭოთ თვალიომაინც რომელია ამ ჭიდოლმი მთავარი?! კვლავ მინდა დავსვა ეს შეეთხვა სცენიდნ. კიდევ ერთხელ მინდა გამოვაფხიზლო „თედორეთი“ ჩვენი ერი. განა დღესაც აქტუალური არ არის?!

მხოლოდ სიმრავლე გადაგვარჩენს და ერთპირობა... მხოლოდ სიმრავლე და ერთპირობა, სხვა არა გვინდა, რომ ჩვენს მინაწყალს ჩვენ თვითონ დავეპატრონოთ. რომ ერთი გოჯიც აღარავის არ წარეტაცოს!

## დღიურის ფურცლებიდან

იოსებ ჭუმბურიძე

# ორი ცა და ყველაზე ტკპილი დარღი

„წიგნს კრიტიკოსის წინასიტყვაობა არ წარვუმძღვარე. ქართველ კაცს ლექსის ავ-კარგის შეცნობა თავადაც მშვენივრად ხელენიფების და ვფიქრობ, სხვათა დამოძლვრას არ საჭიროებს,“ — წერდა მედე კახიძე ერთ-ერთი პოეტური კრებულის წინათქმაში.

პოეტს, რომლის არაერთი ლექსი მკითხველმა იცნო, შეიყვარა და აამღერა კიდეც, ნამდვილად აქვს ამის თქმის უფლება, თუმცა, მაინც მგონია, რომ მედეა კახიძის შემოქმედებას არც კრიტიკის ყურადღება აწყენდა, რადგან მის ლირიკაში ბევრი რამ არის დაუნახავი და შეუფასებელი.

თავის დროზე შოთა წინაინდეგმ ჩვეული ისტატობით მიანიშნა მედეა კახიძის პოეტური ინდივიდუალურობის ერთ უმთავრეს თვისებაზე:

შენი ლექსი ჩოჩორივით  
მობაკუნდა ქალაქში...



მაგრამ ეს მაინც მეტაფორული შეფასებაა და არა ლექსის კრიტიკული განხილვა-ანალიზი, არადა ყურადღებას და შეფასებას ბუნებრივად ითხოვენ და, რაც მთავარია, იმსახურებენ თვითონ მედეა კახიძის მეტაფორები:

მე კი გაზაფხულს ტანზე ვიზომებ,  
ვით ახლად დაჭრილ ჩითის საკაბეს....

ან:

წვიმა ჰკიდია ეკლებს კურცხლებად...

ან:

ხეზე, ვით მთვრალი კახელი,  
მღერის ჭრიჭინა ღინჯად...

ან:

ვკრეფლი კენჭებს, გაჩენიდან პრმებს...

ან:

ჩემი ეკლესის გარეშემო  
ბერად აღკვეცილი ცაცხვები...

## დღიურის ჟურნალი

ან:

მთა, ვით გრძელტარა ყალიონს,  
ბილიკს აბოლებს ნისლად...

ან:

ჩანჩქერი — წყაროების ბეთჰოვენი...

ან:

წელზე ჰქილია მცხეთას  
მტკვარი — ხორასნის ხმალი!

რა ამბავიაო! — ალბათ, გაიფიქრეთ.

მეც ზუსტად ეს მინდოდა!

არადა, გაგრძელება კიდევ დიდხანს შეიძლებოდა.  
იმასაც უეჭველად გაიფიქრებით, რომ ლექსს, უფრო  
ზუსტად, პოეტურ ინდივიდუალურობას, მარტო მეტაფორ-  
რები არ პყოფნის, რომ პოეტი საკუთარი ხმით (დიქციოთ,  
ინტონაციით) იცნობა.

სხვათაშორის, ზემოხსენებულ „ჩოჩორივით მობაკუ-  
ნებაში“ უნინარესად პოეტური დიქცია იგულისხმებოდა.

მედეა კახიძის პოეტური დიქცია ქართველმა მეიოთ-  
ველმა კარგა ხანია დაიმახსოვრა:

იმ ქალს, იმ ბერიკაცს გაუმარჯოს...

ან:

მიხმობენ, მელიან, მამხნევებენ,  
სიზმრებშიც ვერსაით ვემალები...

ან:

ვკეცე, ვკეცე, ვერ დავეცე  
საქართველოს საოცნებო გზები...

ალბათ, იშვიათია პოეტი, რომელსაც ასე მკაფიოდ გა-  
მოკეთებილი ჰქონდეს მხოლოდ ორი თემა — სამშობლო  
და სიყვარული:

მე ორი ცა მაქვს ქვეყნად,  
ორივე ჩემად ვცანი...  
ერთი — თვალები შენი,  
ერთიც — ქართული ცაი,  
ორივე საოცნებო, ორივე სალოცავი!

ასევე მცირეა იმ პოეტთა რიცხვი, ამ ორი დიადი  
გრძნობის ორიგინალურად გამოხატვა რომ ძალუდ.

მედეა კახიძემ მოახერხა, „ორივე სიყვარულზე“ მხო-  
ლოდ თავისი ხმით ემდერა.

მისეული (ქალის) სიყვარული ასეთია:

მე დამარცხებული გნოლი ვარ,  
შენ — გამარჯვებული არნივი.

ან:

გულია სათუთი სალამური,  
ჩაპბერე, სანატრელო, ტკბილად,  
გული მტრედია განაბული,  
ფრთხილად, ფრთხილად, ფრთხილად!

ან:

შეკრულ-გაკოჭილს სიყვარულის  
გარსაკრავებით,  
მქონდეს მარადის კალაპოტად  
შენი მკლავები...

სამშობლოს მისეული სიყვარული (აქ უკვე სქესი აღარ  
არსებობს!) ასეთია:

ვძებნე, ვძებნე, ვერ მოვძებნე  
ოცნებაში დახატული მოყმე,  
მინდა, ვიყო თავანკარა გაზაფხული,  
ჩემი მინის საღლეგრძელოდ მოვკვდე...

ან:

ბერვის ბილიკივით მოჩანს ხევი,  
ქვა როა, ქვაც მიყვარს მანდაური,  
რანამს შემოუხვევს მოსახვევი,  
ფეხზე წამოდგება ანანური...

შევეცადეთ, ამ კრებულში თანაბრად და ღირსეულად  
წარმოგვედგინა პოეტის „ორივე ცა“:

50 ლექსი სიყვარულზეა, 50 — სამშობლოზე.

დავინწყეთ სიყვარულით, რადგან ისაა ყველაფრის სა-  
თავე.

სიყვარული ყოვლისმომცველია. ის ღმერთიცაა, სამ-  
შობლოც, გაზაფხულიც...

რადგან სახლში მყავს თამუნია,  
ჩემი საკუთარი გაზაფხული...

— ასე ორიგინალურად გამოხატავს პოეტი ქალი სიყ-  
ვარულის ერთ სახეობას.

ეს გაზაფხულივით სტრიქონებიც მისია, საკუთარი.

...ასე მგონია, მედეა კახიძის შემოქმედებას ერთი რამ  
აკლია — მზრუნველობა აგტორის მხრიდან. ისეთი შთა-  
ბეჭდილება მრჩება, რომ ის ლექსებს წერს და მერე აღარ  
პატრონობს, მხოლოდ მეიოთხელის (და არა კრიტიკის!)  
იმედად ტოვებს.

კრიტიკა კი მხოლოდ „მებრძოლებს“ სწყალობს.

მედეა კახიძეს ეს ნაკლებად აღელვებს, ის სულ სხვა  
დარღის ჭაშია ჩავარდნილი:

ისე დამეშრიტა თვალი,  
ისე დამიმოკლდა გზები,  
რომ ვერ განაცვალე თავი  
და ვალმოუხდელი ვკვდები...

ეს, ალბათ, ყველაზე ტკბილი დარღია ქართველი პოე-  
ტისათვის. ვისაც ის არ ხრავს, პოეტი (მითუმეტეს, ქართ-  
ველი!) არც ეთქმის.

მთავარია, ეს გჯეროდეს:

მე თესლად წავალ გამთბარ მინაში,  
ამოვლივდები ხოდაბუნებად...

# 300 გლობარუ ცაგი

საუბარი  
თეორია ეურთაულთან

„სწორმა განათლებაში ახალ-გაზრდობაში ღვთის სამსახურის, კაცობრიობაზე, სამშობლოზე, ოჯახსა და მეგობრებზე ზრუნვის სურვილი და შესაძლებლობა უნდა აღზარდოს. სწორედ ეს უნდა იყოს ღია დიალი მიზანი და შედეგი ყოველგვარ განათლებისა“, – ნერდა ბენჯამინ ფრანკლინი. ამ მიზნების განხორციელების გზაზე კი უნივერსიტეტი ახალგაზრდებისათვის უძინოფასესი ადგილი უნდა იყოს დედამიწის ზურგზე.

ქართლის შუაგულში მოქმედი უმაღლესი სასწავლებელი განათლებისა და მეცნიერების მძღვრი კერაა, რომელიც გორისა და ცხინვალის უნივერსიტეტების გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა. მდიდარი და ღრმა ისტორიული ნარსულის მქონე სასწავლებლის მისია ეროვნული თვითშეგნების გაღრმავება, საფუძვლიანი განათლების მიცემა, ცოდნის რეალიზება ქართული საზოგადოების წილში და ინტერაცია მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში.

უნივერსიტეტის ხედვასა და მიზანს ნათლად ასახავს ორგინალური სლოგანიც: „ცოდნა ცხოვრებისთვის“. სწორედ ყოველდღიური, თავაუღებელი შრომისა და მეცანეობის მეშვეობით წუთისოფლის გზაზე ადამიანი წელგამართულად, მხნედ მიაბიჯებს. ოსტატი სულსა და გულს ატანს ამ დიდ საქმეს, რასაც სწავლა-განათლების დაუფლება და თვალსაწირის გაფართოება ჰქვია.

დღეს განსაკუთრებით სჭირდება ქვეყანას მზანმიმართული, განვითარებული ახალგაზრდები. სწავლის, ძიების, პიროვნებად ჩამოყალიბების წლებს თეონა ქურთაული უნივერსიტეტის კედლებს უკავშირებს.

სწავლობს გორის უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით, არის სტუდენტური თვითმმართველობისა და სტუდენტთა უფლებების ადამიერებულთა ჯგუფის წევრი, აქტიურადა ჩართული საქვემდებრებით აქციებში, ღონისძიებებსა და რესპუბლიკურ კონფერენციებში.

2008 წლიდან ოთარ ჩეიიძის სახელობის სტიპენდიანთია.

2009 წლის 27 აპრილს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართა სტუდენტთა პირველი რეგიონალური სამსახურის რესაუბლიური სამეცნიერო კონფერენცია, სადაც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სექციაზე თეონა ქურთაულმა წარადგინა თემა „ბიოგრაფია პორტრეტის გარეშე“, რომელი ჩეიიძის ბიოგრაფიული რომანის „ყაზბეგიანას“ მიხედვით. საუკეთესო მოხსენებისათვის გადასცეს დიპლომი.

ამავე თემასთან დაკავშირებით გორის უნივერსიტეტში პროფესიონალური თანახმა გოგოლაძემ ჩაატარა ღია ლექცია, რო-

მელსაც ესწორებოდნენ ლექტორ-მასწავლებლები და სტუდენტები. ამჟამად მუშაობს საბაკალავრო ნაშრომზე „პოსტსაბჭოთა ხანა თანართობებში“. თემის ხელმძღვანელია უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზაზა ცოტნიაშვილი, ხოლო თანახმდღვანელი პროფესორი მარინა გიაშვილი.

აინტერესებს საკუთარი სოფლის – ტირზისის ისტორია. იკვლევს მასალას მისი სახელნოდების წარმოშობის, კულტურული ძეგლებისა და იქ მცხოვრებთა გვარების შესახებ.

– მთელი „ყაზბეგიანა“ გამსჭვალულია როსტომ ჩეიიძის მიზანსწრაფვით, აჩვენოს, როგორ ყალიბდება ალექსანდრე ყაზბეგი როგორც მწერალი. რა მიზნით შეარჩიე ეს ბიოგრაფიული რომანი საკონფერენციით თემად?

– ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრება თითქმის საუკუნენახევრის განმავლობაში წარმოადგენდა ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტებით შეჯერებულ თუ დაუსაბუთებლად შეურაცხმყოფელ ბრალდებათა ნაკრებს.

მე-20 საუკუნის დასასრულისათვის ობიექტურად შეფასდა ამ მართლაცდა გამორჩეული მწერლის ლირსებანი. როსტომ ჩეიიძემ სცადა სათანადო პატივი მიეკო ალექსანდრე ყაზბეგის ხსოვნისათვეს, რაც მან ასახა 2005 წელს გამოცემულ ბიოგრაფიულ რომანში.

ბიოგრაფიული ჟანრი ქართულ მწერლობაში საქმაოდ პოპულარულია, მაგრამ ბიოგრაფიული ელემენტებისა და ავტორის ფანტაზიით ერთგვარად გამყარებული რომანის სახე ახლა გამოიკვეთა და მისი დამკვიდრება უკავშირდება ლიტერატურათმცოდნებს, კრიტიკოსებსა და მწერალს როსტომ ჩეიიძესაც. როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, ალექსანდრე ყაზბეგზე ბიოგრაფიული რომანი მას შთაგონა მამის, ოთარ ჩეიიძის წიგნმა „რომანი და ისტორია“.

როსტომ ჩეიიძე მხოლოდ მისეული მანერით ხატავს ყაზბეგის ცხოვრების მთელ გზას, რასაც იგი აღწერს მწერლის თანამედროვეთა მოგონებების განზოგადებით და თვით პირველების სულიერ სამყაროში გარდასახვით. აღნიშნული თემა წარმოადგენს „ყაზბეგიანას“ ჩემეული გააზრების ცდას. გამოგყავი საკითხები, რომლებიც ჩემი აზრით, საინტერესოდ გამუქდა ბიოგრაფიულ რომანში:

ალექსანდრე ყაზბეგის დამოკიდებულება რუსოფილ პაპის ხსოვნის მიმართ.

ალექსანდრე ყაზბეგის გადაწყვეტილება ცხვარში წასვლის შესახებ და მისი ახლებური კუთხით გაშუქება.

ალექსანდრე ყაზბეგის ბედისწერა – უშვილძიროდ გადაეგბა.

ალექსანდრე ყაზბეგი და დიმიტრი ყაზბეგი.

როგორც ბიოგრაფოსი, როსტომ ჩეიიძე პირუთვნელია. მან აჩვენა საოცარი მხატვრულობით, ალექსანდრე



ყაზბეგის ტრაგიულ პიროვნებაში გარდასახვით, სხვა-დასხვა შეხედულებათა მხოლოდ მისული ანალიზით თუ გამოყენებით, რომ ალექსანდრე ჩიფიკაშვილი ნამდვილად ის საოცარი ყაზბეგია, რომელიც საუკუნე-ნახევრის მანძილზე აღელვებდა ქართველ მკითხველს. ესაა მისი, როგორც მეცნიერის და მწერლის, დიდი დამსახურება.

– 2008 წლის 7 მაისს გორის უნივერსიტეტში ოთარ ჩხეიძის ხსოვნის სალამო გაიმართა. შეხვედრაზე გამოითქვა ინიციატივა, რომ მნერლის სახელობის სტიპენდია დაარსებულიყო. გამოცხადდა კონკურსი. წარდგენილ კანდიდატთაგან ლექტორ-მასწავლებელთა გადაწყვეტილებით არჩევანი თქვენზე შეჩერდა.

– დიდი ბედნიერებაცაა და დიდი პასუხისმგებლობაც იყო ითარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდიანტით... ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდიანტობა პასუხისმგებლობაა დიდი მნერლის სულის წინაშე და, ამავდროულად სტიმული საკუთარ შესაძლებლობაში დარწმუნებისა.

დღეს ქართული უნივერსიტეტი რეფორმის ფარგლებში ძირეულ ცვლილებებს განიცდის, ბევრი ჩვენთვის ნაცნობია, ბევრიც ახალი და უცხო. ვფიქრობ, გორის უნივერსიტეტში ყველა ბეჭით სტუდენტს შეუძლია განვითარება და საკუთარი თავის წარმოჩენა.

– სინდისიანი, გონიერი, ზნეობიანი ოსტატი ლირ-სია დიდი პატივისცემისა ყოვლის კაცისაგან, რომელიც გონებით გახსნილია და მიხვედრილია“. ბრძენი იაკობის ამ გამონათქვამის პირველი ნანილი სწორედ რომ ზუსტად მიესადაგება ბატონ ოთარ ჩხეიძეს, ხოლო გამონათქვამის მეორე ნანილი იმას, ვისაც უნარი აქვს კაცის მიხვედრისა. რამდენად ფლობ ამ უნარს?

– ბედნიერი ვარ ყოველთვის, როდესაც ოთარ ჩხეიძის შემოქმედებასთან მიწევს შეხვედრა. მისი ნანარმოებებით შექმნილია მთელი მე-20 საუკუნის ეპოქეა, ჩვენი მრავალჭირვარამგადანახადი სამშობლოს ისტორია. პირველი, რასაც მისი ნანარმოებების წაკითხვისას შენიშნავს მკითხველი, წერის თავისებური, ძალიან ორიგინალური სტილია. ყველასათვის მისაღები და მისახვედრი აღბათ იმიტომაც არის ბატონი ოთარის შემოქმედება, რომ ნათელია, ჭეშმარიტია, დახვენილია. ქვეყნის გადარჩენის იდეას ზნეობრივ ამაღლებასა და განხმენდაში ხედავდა იგი.

ჩვენი ქალაქი წარმოუდგენელია ოთარ ჩხეიძის სახელის გარეშე. იგი გვაამაყებს, გვამხნევებს, გვასწავლის. ცნობებს მნერლის შესახებ მის თანამედროვეთაგან, ჩემს პედაგოგთაგან და უზრნალგაზეთებიდან გავეცანი. გავეცანი და გულში სინანული ჩამორჩა. ბედნიერია ის, ვისაც საშუალება პქონდა მისგან რჩევა-დარიგება მიელო და ყურადღებით ესმინა მისი „მარჯვედ და მოხერხებულად მოქნეული სიტყვისათვის“. იგი გზას უკვ-

ლევდა მომავალ თაობას, ზრდიდა სიტყვის მომავალ ოსტატებს, მართლის მთქმელ ხალხს.

ამიტომაც არის, რომ მის აღზრდილებს ჭეშმარიტი ოსტატისაგან მიღებული ცხოვრებისული საგზალი ჯერაც არ დალევიათ.

„ფეხს შედგამდა თუ არა ინსტიტუტში, აუცილებლად ქუდა მოიხდიდა. ამით სტუდენტებს ამ საგანმანათლებლო ტაძრისადმი კრძალვას გვინერგავდა. ოთარის ლექციის შემდეგ ვცდილობდით, რომ მოგვეძებნა და თავადაც წაგვევითხა ახსნილი რომანი თუ პოემა“, – იხსენებს ჯემალ ინჯია.

მიხარია, რომ გორთან და მის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებასთან დღემდე არ წყვეტს კავშირს მისი მადლიანი სიტყვის ღირსეული გამგრძელებელი ბატონი ოსტომი.

– საყვარელი მნერლები თუ გყავს, და იცნობ თუ არა ახალგაზრდა მნერალთა შემოქმედებას?

– საყვარელი მნერლები – კონსტანტინე გამსახურდია და ოთარ ჩხეიძე. ეს ორი კლასიკოსი ქართულ მნერლობაში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ორივე საქართველოს ტკივილიანი ცხოვრების მემატიანედ წარმოგვიდგება.

მიყვარს თანამედროვე ლიტერატურაც. ახალგაზრდა მნერლობთა შემოქმედებას ძირითადად უზრნალ „ჩვენი მნერლობის“ ფურცლებიდან ვეცნობი. ორიგინალური და საინტერესო შემოქმედებით ბევრმა ახალგაზრდა მნერლმა უკვე დაიმკიდრა საკუთარი ადგილი თანამედროვე ლიტერატურაში.

– შენი ცხოვრების წესი?

– ჩემი ცხოვრების წესი? ჭაბუა ამირეჯიბს დავესესხები: „ცხოვრება მხოლოდ ის არის, რაც გახსოვს, დაანარჩენი არსებობა“. ვისურვებდი, რომ წუთისოფლის დღეების უსასრულო მნიშვნელი რაც შეიძლება მეტი იყოს ლამაზი, შინაარსიანი დღე.


\* \* \*

**სამწუხაროდ, სულიერ ღირებულებათა გაუბრალოების ეპოქაში გვინევს ცხოვრება. მომავალი თაობა კი სულიერ ფასეულობებზე უნდა აღიზარდოს.**

ეს მისია სკოლამ, უნივერსიტეტმა უნდა იტვირთოს.

სიყმანვილის წლები მიზანმიმართულად უნდა გამოვიყენოთ, რადგან ის „მხოლოდ ერთხელ ჩამოივლის ჩვენი ცხოვრების კარგბათან, მხოლოდ ერთხელ გაჩერებდა საიდუმლოებით მოცულ ცხოვრების ბჭესთან და ნავა, გაქრება, ვით მოელვარე ნამი. ბევრჯერ ეძახი მას ცხოვრების უკანასკნელ ცუთებში, მოუხმობ ბევრჯერ, მარამ ამაო იქნება ძახილი და მუდარა, ის აღარ დაპრუნდება შენთან... მალე, მალე გაივლის სიჭაბუე...“ (ნიკოლო მინიშვილი).

ესაუბრა ინიციატივი



ვრცელი მოთხოვა — თუ მცირე რომანი — „ბაბუანვერას ლვინო“ ამერიკელმა მწერალმა რეი ბრედბერიმ 1957 წელს გამოაქვეყნა. ეს ავტორი, უპირველეს ყოვლისა, სამეცნიერო ფანტასტიკის ბრწყინვალე ნიმუშებითა ცნობილი, თუმცა ვინც კარგად იცნობს ბრძებერის შემოქმედებას, დამეთანებებას, რომ ფანტასტიკის უანრული ელემენტები მისთვის მხოლოდ სათქმელის უკეთ გამოხატვის საშუალებაა — ერთ-ერთი საშუალება.

ამის საუკეთესო საბუთი ამ ავტორის არაერთი, ეგრეთნოდებული, „რეალისტური“ მოთხოვა და, პირველ რიგში, სწორედ „ბაბუანვერას ლვინო“ გახლავთ: ის არც კოსმიურ მოგზაურობებზე გვამბობს, როგორც დაუვიწყარი „მარსის ქრონიკა“ (თუნცა ეს ნანარმოებიც, ჩემი აზრით, უფრო ფილოსოფიურია, ვიდრე ფანტასტიკური), არც ანტიუტოვას ნარმოადგენს, როგორც შემზარვავი „451 გრადუსი ფარენჰიტი“. ეს წიგნი 12 წლის ილინისელი ბიჭის, დაგლას სპოლდინგის, ზაფხულია, თავიდან ბოლომდე, დღითიდან მოთხოვა დაინიცა. და მაინც, ბრძებერის შემთხვევაში, ფანტასტიკური დეფინიციისათვის სრულიად „უკმარია იმის თქმა, „ბაბუანვერას ლვინო“ მხოლოდ იმიტომაა რეალისტური პრიზაული ნანარმოები, რომ მასში, ერთი შეხედვით, არ ხდება არაფერი ფანტასტიკურზღაპრული. შესაძლოა, ეს ნანარმოები სწორედაც რეალურსა და ფანტასტიკურს შორის ზღვარის ნასასლელადაც იყოს დაწერილი, ყოველ შემთხვევაში, მისი კითხვისას ჩვეულებრივი, ყოველდღიური მოვლენებიც კი ჯადოსნურ ხიბლას და იდუმალებას იქნება.

„ბაბუანვერას ლვინოში“ არ არის ერთი გამოკვეთილი სიუჟეტური ხაზი, ამბავი, თავგადასვალი. შეიძლება კიდევ გაგიჭირდეს ამ წიგნის შინაარსის გადმოცემა. ეს ჩვეულებრივი — ან ჯადოსნური — ეპიზოდების წყებაა. გთავაზობთ ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდს, რომელიც ავტორის ზოგიერთ კრებულში დამოუკიდებლი მოთხოვა სახითაც დაპეჭილა.

### რეი ბრედბერი

## სპორტული ვესაცმელი

მათ მოსვლასა და წასვლას ძნელად თუ შენიშნავდით. მთიდან ჩამოსული ღრუბლების ჩრდილებივით უხმოდ ჩაიქროლებდნენ და მათი ფეხით გათელილი ბალახი წამსვე ისევ წამოიმართებოდა... ზაფხულის ბიჭები, ფეხმარდად მრბოლელნი.

დაგლასი სხვებს ჩამორჩია. აქმშინებული ხევის პირას შეჩერდა, იმ იდუმალი უფსკრულის თავზე, საიდანაც ოდნავ შესამჩნევი გრალი ნიავი უბერავდა. შველივით ყურებდაცემილმა ბიჭმა ქვევიდან მონაქროლი ისეთი საფრთხე იყონასა, მილიარდი წლის წინათ უკვე ბებერი რომ იყო.

აქ, ამ ადგილას, ქალაქი შუაზე იყო გაპობილი. აქ მთავრდებოდა და ქრებოდა ცივილიზაცია. აქ მხოლოდ მინა იყო, რომელიც ცოცხლობდა და იზრდებოდა, და ყოველ საათში მილიონ სიკვდილსა და დაბადებას ზეიმობდა.

სწორედ აქ გადიოდა ურიცხვი ბილიკი, დატკეპნილი თუ ჯერაც გაუკვალავი, და ყოველი მათგანი ბიჭების მოგზაურობისაკენ სწრაფვაზე მეტყველებდა, — მარადი ხეტიალის წყურვილზე, რომელიც საბოლოოდ მამაკაცებად აქვევდათ.

დაგლასმა მიმოიხედა. აი, ეს ბილიკი გველივით დაკლანილ მტკრიან ქუჩაზე, ზედ სანაყინესთან ამოდიოდა, სადაც ამ ყვითელ დღეებში ზამთარს შეეფარებინა თავი. ეს კი ტბის სანაპიროზე ბრძმების ქურასავით გაგარებული ქვიშისაკენ მიქროდა. კიდევ ერთი ბილიკი — იმ ხეებისაკენ, რომელთა ფოთლებშიც საიმედოდ დამალული ბიჭები ტოტებზე ვაშლებივით კონწიალობდნენ. ხოლო ეს კი ატმის ბალში მიგიყვანდათ, ვაზის ტალვერში და იქ, სადაც საზამთროები გაზულუქებული ზოლიანი

\* ფრაგმენტი წიგნიდან „ბაბუანვერას ლვინო“

კატებივით ნებიერად თვლებდნენ მზეზე. ეს — დროებით მიტოვებული, საშინალად მიხვეულ-მოხვეული — სკოლისაკენ მიმავალი ბილიკია. ეს კი — ისარივით სწორი — თეატრალური დარბაზისაკენ, სადაც შაბათობით კოვბოების წარმოდგენები იმართება. ხოლო ეს, ნაკადულს რომ მიჰყება, ქალაქის იქით უდაბური ადგილებისაკენ ეშურება...

დაგლასმა თვალები დახუჭა.

ვინ იტყოდა დანამდვილებით, თუ სად მთავრდებოდა ქალაქი და სად ინყებოდა უდაბური მიდამო? რომელი უფრო ძლიერი იყო? მუდამ რჩებოდა რაღაც იდუმალი შუალედური ალაგი, სადაც ეს ორნი ერთურის ერკინებოდნენ და ხან ერთი, ხანაც მეორე თითო წლით დაეპატრონებოდა ხოლმე ამა თუ იმ ქუჩას, დაბლობს, ღელეს, ხესა თუ ბუქეს. ბალაბისა და ყვავილების თვალუწვდენი ზღვის ლიეტილივა ზედაპირი წელინადის დროთა ცვალებადობასთან ერთად შორი მინდვრებიდან აგორებულ ტალღებად ანკუდებოდა ქალაქს. ლამლამობით ვერანი მიდამო და ხასხასა მდელო ჩაიღვრებოდა ხოლმე ხევში, როგორც მდინარის კალაპოტში, მოუყვებოდა მას, თან მიჰკინდა ბალაბისა და წყლის სუნი და საბოლოოდ ტბორავდა ქუჩებს. ქალაქს ყველანაირი სიცოცხლის ნიშანწყალს ართმევდა და მინასთან ასწორებდა. და ყოველ დილით აღმოჩნდებოდა, რომ ხევი კიდევ ერთი სოლისებრი გამონაზარდით შეჭრილა ქალაქის სხეულში, გარაჟებს ზვირთებზე მოტივტივე ნავებივით ჩაყლაპვით ემუქრებოდა, ნთქავდა მიტოვებულ, წვიმისა და, მაშასადამე, უანგისათვის მსხვერპლად შენირულ ძველ აეტომანქანებს.

— ჰეი-ჰეი! — ჯონ ჰაფტმა და ჩარლი ვუდმენმა გაიქროლეს და გაუჩინარდნენ ხევის, ქალაქის, დროის იდუმალებაში, — ეჰე-ჰეი!



დაგლასი ნელა გაუყვა ბილიკს. ხევი მართლაც ის ადგილი იყო, სადაც ადამიანთა და ბუნების სამყაროები გვერდივერდ თანაარსებობდნენ. ბოლოს და ბოლოს, რა იყო ქალაქი, თუ არა სტიქიას თავსდაღწეული ხომალდი, მოფუსფუსე მგზავრებით, გამუდმებით ბალახის ამოძირკვითა და უანგის ფხევით რომ არიან დაკავებულნი. დროდადრო რომელიმე ქოხმახი, ნელინადის დროთა ქარიშხალში გზააბნეული, დედა-გემს მონცვეტილი უსუსური ნავივით იძირებოდა ტერმიტებისა და ჭიანჭველების მდუმარე ზვირთებით, ხევის ვება განხმულ ხახაში, და მხოლოდ კალიების ზუზუნი ათრთოლებდა მზით გაცხელებულ ბალახ-ბულახებს, გეგონებოდა, მუყაოს ორი ფურცელი ეხახუნება ერთი მეორეს; საბოლოოდ, ის, აბლაბუდებით საიმედო შეფუთული, ფიცრისა და ქვითკირის ზგავად ქეცეული, საკურთხეველზე დანთებული კოცონივით ჩაიქცეოდა, ხოლო ჭექა-ქუხილი ქაოსის ამ მორიგ გამარჯვებას ლურჯი ელვის ბლიც-ფოტოთი გააუკავებდა.

დაგლასს სწორედ ეს იზიდავდა: ადამიანისა და მიწის მარადი ჭიდილის საიდუმლო. იცოდა, ქალაქები საბოლოოდ მუდამ მარცხდებოდნენ, ამიტომაც უბრალოდ მშვიდად განაგრძობდნენ მთვლემარე არსებობას დალუპვის ზღვარზე; აღჭურვილი გაზონის საკრეჭი მანქანებით, მწერების შესანამლი სითხით სავსე ბოთლებითა და ბუჩქის მაკრატლით, ცივილიზაციის ზედაპირზე მანამ ტივიზებდნენ, ვიდრე აღსასრულის უამი მოუწევდათ; თითოეული სახლი მზადაა ყოველ წუთს სამუდამოდ ჩაინთქას მწვანე მორევში, ჩაიძიროს და დასამარდეს, როგორც კი უკანასნელი ადამიანი გაქრება მიწის პირიდან, მისი პარ-ნიჩაბი და მაკრატელი კი უანგის ნაფლეთებად იქცევა.

ქალაქი. უდაბნო. სახლები. ხევი. დაგლასმა ჯერ ზურგს უკან მიიხედა, მერე წინ ისროლა მზერა. როგორ უნდა დაუკავშირო ერთულთა ეს ორი, როგორ ჩასწვდე მათ მარად წინასწორობას, როცა...

ბიჭმა მიწისაკენ დახარა მზერა.

ზაფხულის პირველი რიტუალი, ბაბუანვერების კრეფა და ღვინის წურვა, დასრულდა. ახლა მას მეორე რიტუალი ელოდა: მოძრაობა. მაგრამ ბიჭი სრულიად უძრავად იდგა.

— დაგ... წამო... დაგ..! გაქცეული ბიჭების ხმები სადღაც შორს მიწყდა.

— მე ცოცხალი ვარ, — ხმამალა წარმოთქვა დაგლასმა, — მაგრამ რა აზრი აქვს ამას? ისინი ჩემზე ცოცხლები არიან. როგორ? რანაირად?

იდგა მარტო და საკუთარი უძრავი ფეხების ცქერისას უეცრად ჩასწვდა ამ კითხვაზე პასუხს...

\* \* \*

იმ საღამოს, გვიან, დაგლასი და ტომი დედ-მამასთან ერთად კინოთეატრიდან ბრუნდებოდნენ. დაგლასმა განათებულ ვიტრინაში ტენისის ფეხსაცმელები შენიშვნა. სწრაფად აარიდა თვალი, მაგრამ იგრძნო, თითქოს კოჭებში ვიღაც ჩასჭიდებოდა, ფეხები წუთით გაუშეშდა. ისევ დაიძრა ადგილიდან, მაგრამ მიწა უხილავ მახეს უგებდა. მაღაზიის თავზე გაჭიმული ფანჩატური მისი

მოძრაობით შეირხა. დედ-მამა და ქმა მშვიდად განაგრძობდნენ სვლას დაგლასის გვერდით. დაგლასი შეტრიალდა, უკან-უკან განაგრძო სიარული, თან თვალს არ აცილებდა უკან დარჩენილ შუალამის ვიტრინასა და იქ გამოფენილ ფეხსაცმელებს.

— კარგი ფილმი იყო, — თქვა დედამ.

— ჰო, კარგი იყო... — ჩაილუდლულა დაგლასმა.

ივნისში უკვე დაგვიანებული იყო საგანგებო ფეხსაცმლის ყიდვა, — იმ ფეხსაცმლისა, ზაფხულის შხაპუნა წიგიასავით რბილად და უხმაუროდ რომ ეხებოდა ბილიკებს. ივნისი იდგა და მიწა ნედლი ენერგიით ბრდვინავდა, ყველავაც ღვარად მოედინებოდა მინდვრებიდან, გზებსი და ტროტუარებს ეხლებოდა, სახლებს იტაცებდა და ნაპირზე რიყავდა. ქალაქი ყოველწლიუთს შეიძლებოდა გემივით გადაბრუნებულიყო, ჩაიძირულიყო ისე, რომ სამყურასა და კორდებში მისი კვალიც არ დარჩებოდა. დაგლასი კი მონუსხული იდგა მკვდარი ცემენტითა და წითელი აგურით ნაგებ ქუჩაზე და ნაბიჯსაც კი ვერ დგამდა წესი-ერად.

— მამა! — დაგმა ველარ გაუძლო ცდუნებას, — იქ, ვიტრინაში, „ზლვის ღრუბლის ძირიანი სუპერ-მარდი სპორტული ფეხსაცმელი“...

მამა არც კი მიბრუნებულა.

— იქნებ მითხო, რატომ დაგჭირდა ახალი წყვილი ბოტასი. შეგიძლია ეს ამისხნა?

— ჰმ-მ...

იმიტომ, რომ ამ ბოტასით თავს ისე გრძნობ, თითქოს ზაფხულის დასაწყისში პირველად გაირბინე ფეხშველამ ბალახზე; თითქოს ზამთარში ფეხები თბილი ლოგინიდან გარეთ გაყავი და ფანჯარაში შემოქროლილ ცივ ნიავს შეუშვირე, კარგა ხანს გააჩერე ასე, შემდეგ ისევ შემოყავი საპნის ქვეშ და ახლა ტერფები დაპრესილ თოვლივით გაგთოშვია. სპორტული ფეხსაცმლის ჩაცმისას მუდაშე ერთი და იგივე გრძნობა გეუფლება, როგორც მაშინ, ნლევანდელ ზაფხულს პირველად რომ გადახვედი ნაკადულის მდორე წყალზე და საკუთარი ტერფები ქვევით, წყლისა და სინათლის პრიზმულ გადატეხაში დაინახე, წყლის ზედაპირზე მდებარე რეალური სხეულისაგან ნახევარი დიუმით აცდენილი.

— მამა, — თქვა დაგლასმა, — ეს ძალიან ძნელი ასახსნელია.

მათ, ვინც სპორტულ ფეხსაცმელს ამზადებს, საიდან-დაც ზუსტად იცოდნენ, თუ რა სჭირდებათ და რა სურთ ბიჭებს: ლანჩებში „ზეფირის“ ნამცხვარსა და წვრილად ჩახეულ ზაბარებს აფენდნენ, დანარჩენ ნაწილს კი მინდვრის მზეზე გამოხუნებულ-გამხმარი ბალახებისგან ქსოვდნენ. სადღაც ფეხსაცმლის რბილ სიღრმეში ხარიმის თხელი, მკავივი ძარღვები ჩაემალათ. ამ ფეხსაცმლის დამამზადებლებს უეჭველად ძალიან ბევრჯერ უნახავთ, თუ როგორ არხევს ქარი ხეებს და როგორ ჩაედინება მდინარეები ტბათა სილურჯეში. შეუძლებელია ამის ახსნა და განსაზღვრა, მაგრამ ერთი კი ცხადზე ცხადია: ამ ფეხსაცმელში თვითი ზაფხულია.

დაგლასი ამ ყოველივეს შეეცადა სიტყვებით გადმოცმას.

— მესმის, — თქვა მამამ, — მაგრამ შარშანდელ ბოტა-  
სებს რაღა დაემართა? რატომ არ შეგიძლია, უბრალოდ  
გამოილო კარადიდან და ჩაიცვა?

პმ, ნამდვილად სიბრალულის ღირსნი იყვნენ კალი-  
ფორნიაში მცხოვრები ბიჭები, ვინც მთელ წელიწადს ტე-  
ნისის ფეხსაცმლით ატარებდა და ვისთვისაც უცნობი იყო  
ეს განცდა: ფეხებიდან ზამთარს რომ ჩამოახსნი, თოვლი-  
თა და წვიმით დამძიმებული რკინისძირებიანი ტყავის  
ფეხსაცმლისგან გათავისუფლდები და მთელი დღე ფეხშ-  
ველა ირბენ, მერე კი ახალთახალ ბოტასებში ჩაყოფ ფეხს,  
რაც თვით ფეხშველა სირბილზე უკეთესიცა! ამ მაგის  
მხოლოდ ახალი ფეხსაცმელი შეიცავდა. ზუსტად პირვე-  
ლი სექტემბრის წინა  
დამით ეს მაგის კვდე-  
ბოდა, მაგრამ ახლა,  
ივნისის მიწურულს,  
მისი ჯერ კიდევ უხვი  
მარაგი რჩებოდა დაუ-  
ხარჯავი და ასეთი ფე-  
ხსაცმელი ხეებზე, მდი-  
ნარებებსა და სახლებ-  
ზე გადაგახტუნებდა.  
თუ მოგინდებოდა,  
ღობებსაც გადაახ-  
ტებოდი, ტროტუა-  
რებსაც და ძალებ-  
საც.

— როგორ არ გე-  
მის? — შეჰყირა დაგ-  
ლასმა, — შარშანდელ  
ფეხსაცმელს ვერ ჩა-  
ვიცვამ!

შარშანდელი ფეხ-  
საცმელი შიგნიდან  
მკვდარი გახლდათ. ის  
არჩევულებრივი იყო  
შარშან, როდესაც ბიჭ-  
მა პირველად ჩაიცვა, მაგრამ ყოველი ზაფხულის მიწუ-  
რულს საიდანლაც მოდიოდა გარდუვალი ცოდნა იმისა, რომ  
ამ ფეხსაცმლით მდინარებს, ხეებსა და სახლებს ვეღარ გა-  
დაახტებოდი, რომ ის გამოიფიტა და მოკვდა. ახლა კი  
ზაფხული მხოლოდ იწყებოდა და ბიჭიც უტყუარად  
გრძნობდა, რომ ახალი ფეხსაცმლით ყველაფერს შეძლებ-  
და, სულ ყველაფერს.

სახლის კიბეს აუყვინენ.

— დაზოგვე ფული, — უთხრა დაგს მამამ, — და ხუთ-  
ექს კვირაში...

— ...ზაფხულიც დამთავრდება!

როცა სინათლე ჩააქრეს და ტომს ჩაეძინა, დაგლასი იწ-  
ვა და შორს, სანოლის ბოლოში მთვარის შუქით განათე-  
ბულ საკუთარ ტერფებს აკვირდებოდა. ისინი ახლა რკი-  
ნისძირებიანი ზამთრის ფეხსაცმლისგან კარგა ხნით გათა-  
ვისუფლდნენ, თითქოს უმძიმესი ლოდები მოსწყდათო.

„გამართლება. უნდა მოვიფიქრო გამართლება ახალი  
ფეხსაცმლისათვის“.

მაშ ასე: როგორც ცნობილია, ქალაქის მიმდებარე

ბორცვები აკლებული ჰქონდათ მეგობრებს, რომლებიც  
აფრთხობდნენ ძროხებს, ბარომეტრის სიზუსტით განიც-  
დიდნენ ატმოსფერულ ცვლილებებს, იხრუკებოდნენ მზე-  
ზე. მათი კალებდრის ფურცლებივით აქერცლილი კანი  
მზის სულ ახალ-ახალ სხივებს ისრუტავდა. ასეთ მეგობ-  
რებს ფეხი რომ აუწყო, მელიებსა და ციყვებზე სწრაფი  
უნდა იყო. ხოლო რაც შეეხება ქალაქს, სიცხისაგან  
ბრდლვინავდა ჩვეულებრივზე მეტად გაღიზიანებული  
მტრების რისხვით, ახლა განსაკუთრებით კარგად რომ  
მოაგონდათ ზამთრის ყველა წაკინელავება და შეურაცხ-  
ყოფა. დაურიე მეგობრებს, უკან მოიტოვე მტრები! — აი,  
„კრემისფერი სუპერ-მარდი ფეხსაცმლის“ დევიზი,

— სამყარო მეტისმეტად  
სწრაფად მიქრის?  
გსურს დაეწიო? გსურს  
მუდამ ფხიზელ მზადყ-  
ფნაში იყო? მაშ, იყავი  
სუპერ-სწრაფი!

ბიჭმა თავისი ყუ-  
ლაბა შეანჯლირია. იქი-  
დან სუსტი ჩერიალი  
მოისმა, ხელში ფულის  
მსუბუქი წონა იგრძ-  
ნობოდა.

საკუთარ თავს უთხ-  
რა: თუკი რაღაც გსურს,  
შენით უნდა მიაღწიო.  
ამაღამვე უნდა შევიმუ-  
შავოთ გეზი ამ ჯუნგ-  
ლების გასაკვალად...

ქალაქის ცენტრში  
ერთიმეორის მიყოლე-  
ბით ჩაქრა მაღაზიის  
განათებები. ფანჯარა-  
ში ღამის სიომ შემოუ-  
ბერა. ბიჭს თითქოს  
მდინარის ტალღა გა-

დაევლო. მისი ტერფები სიამოვნებით გაჰყვებოდნენ მის  
დინებას.

სიზმარში ესმოდა, ბოცვერი როგორ მირბოდა, მირბო-  
და, მირბოდა რბილ ბალახში.

მოხუცი მისტერ სენდერსონი ისე მიმოდიოდა თავის  
ფეხსაცმლის მაღაზიაში, როგორც ზომაღაზიის მეპატ-  
რონე უნდა მიმოდიოდეს მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩა-  
მოყვანილ ცხოველთა გალიებს შორის. გზადაგზა ხელის  
ოდნავი შეხებით ეფერებოდა თითოეულ წყვილს. ვიტრი-  
ნაში გამოფენილ ფეხსაცმელებსაც გადაუსვა ხელი, სა-  
თუთად გაუსწორა თასმები, ამოუწია ენები. შემდეგ ზუს-  
ტად ხალიჩის შუაგულში გაჩერდა, მიმოიხედა და კმაყო-  
ფილების ნიშნად თავი დახარა.

შორიდან ქუხილი მოისმა.

ერთი წამის წინათ სენდერსონის ფეხსაცმლის მაღაზიი  
ის კარში არავინ ჩანდა, ახლა კი მის ზღურბლზე დაგლას  
სპოლდინგი აყუდებულიყო. უხერხულად იშმუშნებოდა  
თავის ტყავის ფეხსაცმელებს მიშტერებული, თითქოს



მხატვარი ინა ჭელიძე

## ახალი თარგმანები

უჭირდა ამ მძიმე ლოდების ადგილიდან დაძრა. როგორც კი ზღურბლზე შეჩერდა, ქუხილის ხმაც მინელდა. როგორც იქნა, მტკიცნეულად ნელა შემობიჯა შუადლის მზიანი ქუჩიდან. თვალს ვერ სწყვეტდა ხურდა ფულს, ხელისგულზე რომ დაეხვავებინა. დახლზე ისე ჩაამწკრივა ათ, ოცდახუთ და ორმოცაათცენტრიანი მონეტების სვეტები, გეგონებოდა, ჭაღრას თამაშობს და ნებისმიერმა გაუფრთხილებელმა სველა შეიძლება თამაშს ბოლო მოუღოსო.

— სჯობს ხმა არ ამოიღო! — უთხრა მისტერ სენდერ-სონმა.

დაგლასი შეკრთა და ადგილზე გაიყინა.

— ჯერ ერთი, მშვენივად ვიცი, რისი ყიდვაც გინდა, — გააგრძელ მისტერ სენდერსონმა, — მეორეც, ყოველ ნაშუადლევს ჩემი ვიტრინის წინ დგახარ; თუ გრონია, ვერ გამწნევ, ძალიან ცდები. მესამეც, თუკი სრულად დაგასახელებო, შენ გსურს „საუკეთესო კრემისფერი სუპერ-მსუბუქი და სუპერ-მარდი ტენისის ფეხსაცმელი“: ის, „ფეხზე მენთოლის სიგრილის განცდას რომ მოგანიჭებთ!“ მეოთხეც, გინდა, ნისიად გაგატანო.

— არა, ნისიად არა, — დაგლასი ისე აქოშინებულიყო, თითქოს მთელი ლამე სიზმარში შეუსვენებლივ ერბინოს, — ნისიაზე უკეთეს რამეს გთავაზობთ! — პირით შეისუნთქა ჰაერი, — გთხოვთ, ვიდრე გეტყოდეთ, მისტერ სენდერსონ, ერთი პატარა თხოვნა შემისრულეთ. შეგიძლიათ გაიხსნოთ, სერ, თქვენ თვითონ უკანასკნელად როდის გეცვათ სუპერ-მარდი სპორტული ფეხსაცმელი?

მისტერ სენდერსონს სახე მოეღუშა.

— ოო, ათი, ოცი თუ სულაც ოცდაათი წლის წინათ. რატომ მეკითხები?

— მისტერ სენდერსონ, არ გერვენებათ, რომ თქვენი კლიენტების წინაშე ვალდებული ბრძანდებით, წუთით მაინც მოისიჯოთ ფეხსაცმელი, რომელსაც ყიდით, რათა იცოდეთ, როგორ გრძნობს მასში კაცი თავს? დიდი ხნის წინათ განცდილი შეგრძნება თანდათან ნელდება და ბოლოს გავიწყდება, რა და როგორ იყო. სიგარეტის გამყიდველი ხომ ეწევა? ტკბილულის დახლის მეპატრონეც უეჭველად წუნწის იმ კანფეტებს, რომელსაც ყიდის. ასე რომ...

— როგორც ჩანს, ვერ შენიშნე, — ჩაურთო მოხუცმა, — მე ფეხსაცმელი მაცვია.

— მავრამ არა სპორტული, სერ! სპორტულ ფეხსაცმელს ისე ვერ გაყიდი, თუ მასზე არ გიყდები, და როგორ-და უნდა გაგიყდე, თუკი არ გცმია?

მისტერ სენდერსონმა ოდნავ უკან დაიხია ვნებათა ამ კორიანტების წინაშე, მერე ხელი წიკაპზე მოისვა.

— პორ...

— მოდით, ასე მოვიკეთ, — არ ცხრებოდა დაგლასი, — თქვენი საქონელი მომყიდვეთ და სანაცვლოდ მეც არა-ნაკლებ ფასეულ საქონელს შემოგთავაზებთ.

— შვილო, ამ ვარიგბისთვის აუცილებელია, რომ სპორტული ფეხსაცმელი ჩავიცვა? — იკითხა მოხუცმა.

— მთელი გულით ვისურვებდი, სერ!

მოხუცმა ამოიხრა. ერთი წუთის შემდეგ უკვე დაკუზული იჯდა, მძიმედ სუნთქავდა და ვინწრი ხმელ ტერფებზე მორგებული ტენისის ფეხსაცმლის თასმებს იკრავდა. მოხუცის მკაცრი ოფიციალური კოსტუმის გაგრძელებად ქცეულმა ფეხსაცმელებმა იმწამსვე უცხო და გზაბრნეუ-

ლი იერი მიიღო. მისტერ სენდერსონი ფეხზე წამოდგა.

— აბა, რას გრძნობთ? — პკითხა ბიჭმა.

— რას ვგრძნობ? გადასარევად ვგრძნობ თავს, — უპასუხა კაცმა და ისევ დასაჯდომად მოემზად.

— მოიცადეთ, გთხოვთ! — მუდარის ნიშნად ხელი გაიშვირა დაგლასმა, — ერთი წუთით, მისტერ სენდერსონ! ახლა, თუ შეიძლება, ოდნავ წინ გადმოიზნიქეთ, მერე — უკან, ცოტათი ახტი-დახტით, ერთიორჯერ ჩაიბუქნეთ, მე კი ამასობაში დარჩენილ სათქმელს მოგახსენებთ. აი, რისი თქმა მინდოდა: მე მოგცემთ მთელ ჩემს ფულს, თქვენ მომცემთ ფეხსაცმელს, ერთი დოლარი თქვენი ვალი დამრჩება. მაგრამ, მისტერ სენდერსონ, მაგრამ — იცით, რა მოხდება, როგორც კი ამ ფეხსაცმელს ჩავიცვამ?

— რა?

— რა და: ბრა! ელვის სისწრაფით მივარბენინებ თქვენს შეკრულებს დანიშნულების ადგილას, მოგიტან ყავას, დავწვათ თქვენს ნაგავს, გავიქცევი ფოსტაში, ტელეგრაფის სადგურზე, ბიძლიოთეაში! წამში თორმეტჯერ მაინც მნახავთ გაქცეულს და მობრუნებულს. შეიგრძნობთ თუ არა ამ ფეხსაცმელს, მისტერ სენდესონ? ატყობთ, რა სისწრაფით შეუძლია გამაქროლოს? გრძნობთ, რა ხტუნგისა და რბოლის ენერგიითაა დამუხტული? როგორ გეუფლება ჩატვისთანავე, აღარასოდეს გტოვებს მარტოს და როგორ არ მოსწონს, როცა უძრავად დგახარ?! გჯერათ, რომ წამში მოგიგვარებთ ყველა იმ საქმეს, რითაც არ გსურთ თავის გატელება? თქვენ მშვიდად იჯდებით სიგრილეში, მე კი თქვენთვის მთელ ქალაქს შემოვირბენ! მაგრამ სინამდვილეში ამ ყველაფერს მე კი არა, ეს ფეხსაცმელები გააკეთებენ: შეშლილივით გადაკეთენ ქუჩას, გზას მოკლედ მოჭრიან, მეორე წუთში კი, სად იყენენ და სად არა, უკვე აქ გაჩიდებიან!

მისტერ სენდერსონი გაოცებული იდგა სიტყვათა ნიაღრუს ქვეშ. როცა სიტყვებმა სიჩქარეს მოუმატეს, ისიც გაპყვა მათ დინებას; სულ უფრო ღრმად ჩაეფლო ფეხსაცმელში, ადგილზე როკვა დაიწყო, ქუსლები და თითოი წვერები თავისთავად აუცეკვდა. უბმოდ და თითქმის შეუმჩევლად დაიწყო ადგილზე როკვა, თითქოს ღრმა კარში შემოქროლილი წიავენი ურხევს სხეულს. ფეხსაცმელები ჩუმჩუმად ჩაეფლონ ხალიჩაში, მოკალათდნენ და ჩაბუდდნენ მასში, როგორც სარეველა ბალახსა და რბილ მინაში. მოხუცი უეცრად, საზეიმო გამომტყველებით, შეხტა და კვლავ ჩაეშვა მთრთოლავ აფუუბულ ცომში, ურბილეს და დამყოლ თიხაში. განცდებმა ისე გადაურბინა სახეზე, თითქოს უამრავი ფერადი ნათურა მიანათეს და კვლავ ჩააქრესო. პირი იდნავ ღრმა და მოახერხა ატყოცებული სხეულის დაშორებინება. ბიჭიც და-დუმდა და ახლა ორივე ერთორთის პირისპირ იდგა, ერთურთს მიშტერებოდნენ, ვეება დუმილით მონუსხული.

გარეთ, მზით გავარვარეულ ტროტუარზე ვიღაცებმა ჩამოიარეს.

მოხუცი და ბიჭი ისევ ისე იდგნენ, ბიჭი შინაგანი მხურვალებისაგან თრთოდა, მოხუცი სახე ზეციური გამოცხა-დების შუქით გაცისკროვნებოდა.

— შვილო, — როგორც იქნა ხმა ამოიღო, დლივ სახე ზეციური გამოცხადა, იკითხა ბიჭიც და კითხვანო?

— იმ დღის ვარიგბისთვის აუცილებელია, რას იტყვი, ასე, ხუთი წლის შემდეგ მაღაზიაში შეგირდად.

— რაც უნდა გადაწყვიტო, შვილო, — უთხა მოხუცმა, — ყველაფერი გამოგიყა. შენ ვერავინ შეგაჩერებს.

მოხუცმა მსუბუქი ნაბიჯით გადაკვეთა მაღაზია ათა-სობით ყუთით დაფარული კედლის მიმართულებით, მა-ლევე დაბრუნდა ბიჭისთვის განკუთვნილი ფეხსაცმლით და, ვიდრე დაგლასი თასმებს იკრავდა, შემდეგ კი იდგა და ელოდა, ბარათზე სია ჩამოუწერა.

ბარათი ბიჭს გაუწოდა:

— ამ საქმეებს დღესვე მომიგვარებ. რომ დაასრულებ, ბა-რიბარში ვიქენებით და სამასახურიდანაც გაგათავისუფლებ.

— გმადლობთ, მისტერ სენდერსონ! — ბიჭი ხტუნვა-ხტუნვით გაემართა გასასვლელისაკენ.

— მოიცადე! — დაიყვირა მოხუცმა.

დაგლასი შეჩერდა და მიუბრუნდა.

შიტერ სენდერსონი წინ გადაიხარა:

— რას გრძნობ?

ბიჭმა დაიხედა უკვე მდინარეთა სილრმეში და მწვანე ტევრებში ჩაფლულ ტერფებზე, ქალაქისაგან შორს რომ მიჰყებოდნენ უხილავ ქარს, მერე გაბრწყინებული თვა-ლებით ახედა მოხუცს, ბაგე ამოძრავა, მაგრამ ერთი ბგე-რაც ვერ ამოთქვა.

— ანტილოპები? — იყითხა მოხუცმა, თან მზერა ბი-ჭის სახიდან ფეხსაცმლებზე გადაიტანა, — ქურციკები?

ბიჭი ჩაფიქრდა, ნამით შეყოვნდა, შემდეგ გაცხარე-ბით დაუკრა თავი. თითქმის იმნამსვე გაუჩინარდა. სისი-ნით გაიქროლა და გაქრა. ლია კარის ჭრილი ისევ დაცარი-ელდა. ტენისის ფეხსაცმლების ხმა ტროპიკული მზით გახურებულ ჰაერში მინელდა.

მისტერ სენდერსონი ერთხანს კიდევ იდგა ზღურბლ-ზე მზეს მიფიცხებული და აყურადებდა. გაიხსენა, დიდი ხნის წინათ, ბიჭობაში, როგორ ესაზმრებოდა ეს ხმა. უნა-ტიფესი არსებანი მსუბუქად მიხტოდნენ ლურჯი ცის ფონზე, სერავდნენ ჯაგნარს, ხეების ჩრდილებს და სიმო-რეში მხოლოდ ოდნავ გასაგონ ექოს ტოვებდნენ.

— ანტილოპები, — გაიმეორა მისტერ სენდერსონმა, — ქურციკები.

დაიხარა ბიჭის მიერ მიტოვებული ზამთრის ფეხსაცმ-ლის ასაკრებად, მივიწყებულ თექშებს და კარგა ხნის დამ-დნარ თოვლს რომ დაემძიმებინათ. შემდეგ რბილად და აუჩქარებლად შებრუნდა მათთან ერთად შიგნით, ცივი-ლიზაციისაკენ...

## ეპისტოლე

### ცუთისოვალი

აკვნის ენა — დედის რძესავით შეწოვილი და სისხლში გამჯდარი, პირველი ტიტინიდან ბოლო ამოქშენამდე გულ-სა და ტვინის შრეებს ჩაკირული, ლვინის გზასა ჰეგავს, გაზის ყვავილობიდან დაღვინებამდე განვლილ გზას, და როგორც ზერებს მოსხეპილი მზის სხივი და ჭურჭელს მიჯაჭვული თავისუფლება ამ კედლებიდან ამოხეთევის მუდმივ ცდასა და მოლოდინშია. ასევე ენაც, ბუნტისთავი და უქვლო, ყო-ველდღიური და გაბატონებული რუტინის რღვევებია, თუმც არც ყველას და არც ერთეულთ ხელენიფება მარგალიტთა ამზიდვა, უმრავლესობას მაინც გააწილებს ჩევულებრივი სიყალებები და ბიუტერია, და ოდენ რჩეულთა ხევდრია ბა-ჯაღლოთა მოძიებაც და მოზაიკურ ფერთლივლივით ალფრ-თოვანებაც, მაგრამ ძნელია ეს გზა, სიზიფეს ტანჯვასავით ძნელი, და ბევრი ისეც ნასულა, ვერც უგემისა ჭეშმარიტებას-თან შეხებისა თუ მიახლოვების ლვთიური ხიბლი...

და რაც მეტად ძეველია ენა — ლვინოსავით, მით ძლიე-რია და მდიდარი, ფესვებგამდგარი და გაბორჯლილი, მათობელია და საამო...

ოთარ ჩეგიძე სიტყვის ოსტატიცაა და არტისტიც. არ-ტისტი ჭეშმარიტი — ძირისძირობამდე ჩაღრმავებული, მძლავრ მუხასავით ბუმბერაზი და ხშირფოთოლვანი. მე მახსოვს მისი დუდუნა, მხოლოდ მისეული, ხორხიდან ამოთლილი მუდერი ქართული, სურნელოვანი და მანევრ-ი, როგორც ქართლის ლვინო.

მას, როგორც ალბათ მხოლოდ იშვიათთა და რჩეულთ, შეეძლო „ნებაყოფლობითი იძულებით“ გულში ჩამნედო-მი, დამამუნათებელი სიმების შერხევით გაეღვიძებინა და დაერღვია შენში ისეთი ეთიკური და მორალური ცვანძები,

სხვა რომ ვერავითარი ქირურგიული ჩარევითა თუ ფსი-ქოლოგიური ზემოქმედებით ვერ შეძლებდა.

მას ჰერნდა არაჩვეულებრივი უნარი — ძალზედ ახლოს მისულიყო სტუდენტთან, მაგრამ ამასთან დარჩენილიყო ისე შორს, თავად განეცვიფრებინე ამ დისტანციას.

„ჰომეროსიდან ტარიელამდე — გემოძლვრავდა არასა-კურსო ლიტერატურულ წრეში გაერთიანებულ სტუდენ-ტებს ცოცხალი კლასიკოსი — იყო და არის სიყვარული“... და ღიმილით ვიღებდით რა ამ უეკლი ირონიას, იმასაც ვხვდებოდით, რომ ყურებამდე შეყვარებული ჩვენი ალალ-გულა დოესელი ბიჭი (გვყავდა ასეთი კურსზე — ტარიელ ბეგლაროშვილი) თუ რამით ჩამოგვავდა „ილიადასა“ და „ოდისეას“ ავტორს, უფრო განზრახვით — როგორმე სა-ლექსო ფორმითა და რითებით მოეხიბლა თავისი უძილ ღამეების ფეხმოუცვლელი მუზის თვალციმციმა ფერია — მომავალი მეუღლე და კარგი ოჯახის დიასახლისი.

და თავისი განუმეორებელი, ირონიაგარეული, მაგრამ უნარკოზო და უტკივნეულო მუდერი დუდუნით გვაკვა-ლიანებდა — ნერეთ, ნერას მაინც ისნავლითო, მაგრამ ჯერ კი იყითხეთო, იყითხეთ უანგარიშოდაო...

და თუ ჩვენთაგანს „რობინზონ კრუზოსთან“ ნაცნობო-ბაში „გამოიჭრდა“, მორჩა — სამანს როგორ აკადრებდა, ოთხიანი, სულ ცოტა, გარანტირებული ჰერნდა, ხოლო თუ ვინმეს ბავშვობაში „გულივერის მოგზაურობაზეც“ ნასკ-დენიდა თვალი ან ისე რომ გადაეშალა მაინც... მაგრამ მი-ნახავს ბრწყინვალე ლექტორი და ორატორი მბრდღვინავი და ლომივით ფაფარაშლილიც, როცა მოელ კურსს დამნა-შავესავით თავდახრილთ გვთათხავდა (უკვე მე-5, დამამ-თავრებელ და თანაც, ფილოლოგიის (!) ფაკულტეტის სტუ-დენტებს) ილიას უცოდინარობის, მისი ჭეშმარიტი სახის შეუცნობლობის გამო... მაშინ „გაგვყარა“ ყველა ბიბლიო-

თეკაში და გვალოცა „ქვათა ღალადი“... და მას მერე იყო, ილიას გზით მავალ ოთარ ჩხეიძის საგაზეთო ესეებს თუ ლიტერატურულ ჟურნალებში გამოქვეყნებულ რომენებს რომ დავუწყეთ ძებნა... იგი ხომ არა მხოლოდ ბრწყინვალე ეტიუდისტი, ნოველისტი, ესეისტი – უდიდესი რომანისტიც იყო... ხოლო „ბორიაბში“, ჩემი შეხედულებით, და აქაური, დღევანდელი გადმოსახედიდანაც, დალაშქრულია ექსპრესიულობისა და დინამიურობის მწვერვალები, რომ აღარაფერი ვთქვა სტილისტურ სრულყოფილებასა და ენობრივ ფოლიანტებზე.

\* \* \*


მწერალმა ზაურ ნაქაძემ გააცოცხლა ოთარ ჩხეიძის ეპოქა, თბილისში, გორისა და ყელქვეულში მფეთქავი დიდი შემოქმედის ჯერაც გაუციებელი გული, გული, რომელიც მთლიანად ეკუთვნოდა მშობელ ქვეყანასა და ხალხს, და რომელიც იფეთქებს და იარსებებს მანამ, სანამ კვერნაქის სიო ვერხვებს ეჩურჩულება, ვიდრე ყელქცეულის „ოთარის კოშკი“ ჯერაც წინაპართა სუნთქვას ინახავს.

ზაურ ნაქაძემ მამაც გამიცოცხლა და ჩემთვის უცნობი სურათებიც გამიმუშლავნა... ამისთვისაც გმადლობ, მწერალო... ქართლის ცხოვრების მატიანეში ერთი აგური შენც დაგიდვია და აკაკის „ქართლის მეთაურად“ დასახული ქალაქის უკანასკნელი მოპირანიც შარავანდმოსილი გაგიცილებია... ახლა კი მართლაც დროა ყვირილისა: „ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან“...

\* \* \*

ვკითხულობ ამ ორიგინალურ, უანრობრივადაც არატ-რადიცულ წიგნს „შორია ოთარწმინდამდე, ოთარ“ და აკვნის ენასა და ჩემს საქართველოსთან კიდევ ერთი მიახლება მიძინებული და განუკურნებელი ნოსტალგით მავსებს... და იქვე, დაუკმაყოფილებლობის ერთგვარი უინითაც.

მწერალო!



რაკი დაიწყე, მიდი და გაიტანე ხნული ბოლომდე, წამოაყენე და გამიცოცხლე „კეისრის“ დროინდელი გორი... და წაგნის გაგრძელებასა თუ ახალ გამოცემაში სრულყოფილად დამიხატე მაშინდელი ჩემი ქალაქი თავისი კოლორიტული ადამიანებით, იმ ხილით, მტკვრისა და ლიახვის შესართავი ალაგი რომ განირჩეოდა საქართველოს სხვა კუთხე-კუნძულებიდან... ოთარზე და თეატრზეც მეტი მითიანი, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოხიერ მისი გორის პედინსტიტუტიდან „გარიცხვის“ სამარცხვინო იარლიყიც, ეგებ „ქართლის“ „ბირჟუდანაც“ დამანახო ჩემი გორი, ანეკდოტებად ქცეული ფრთიანი სიტყვა-გამოთქმებით, ეგებ ცალკე თავებად ამომიბეჭდო გორელი რაჭველები, გორელი იმერლები თუ გორელი ებრაელები...

შენი ვალია, მგონია... მაგ სათქმელს ხვალ აღარავინ მიუბრუნდება, ან თუ მიუბრუნდება, ტენდენციურად და დამახინჯებულად, შენზე უპრიანია, შენ ყველაფერს ინახავდი გულშიც და არქევშიც, მისიაც ეგებ ლვთისგანაა... შედი მაშ ეკლესიაში, დაანთე სანთელი და შესთხოვე გამჩენ-ლმერთს, მოგცეს ძალა და შეძლება – აღასრულო ეგ მისია: დიდ ტილოზე დაუხატო შთამომავლობას ოთარ ჩხეიძის დროინდელი გორი და ამით კიდეც შექმნა თაობის წიგნი!

თანახი ამბობს: დღე სიკვდილისა სჯობსო დღეს დაბადების... უამრავი ახსნა აქვს ამ პოსტულატს, ერთი ალბათ ისიცას, რომ სიკვდილის მერე უკეთ მოჩანს კაცის განვლილი გზა და დატოვილი კვალი, და სურათიც სრულყოფილია სავსე მთვარესავითი... ტევადია თანაც ეგ სიტყვა, შენს მიერ ნათქვამი და დანერილი ხომ – ორმაგად, გიხდება კიდეც, მითქვამს მე შენთვის მრავალგზის, ახლა უფრო დაუინძით გეტყვი – დაჯდე უნდა ფხვენისს, ბულბულები მანდაც გალობები, და გაგვიცოცხლო ის ჩავლილი „წუთი-სოფელი“.

**ნუგარ ჯანაშვილი**  
ისრაელი, ხოლონი, რაბი აკივას ქუჩა

## კულტურები

### ყველაზე უჩვეულო სათაურები

ჟურნალმა „ბუქსელერი“ გამოაქვეყნა თავის ყოველწლიური პრემიის — „დიაგრამა“ — წომინანტთა გრძელი სია. პრემია ყველაზე უჩვეულო დასახელების წიგნისათვის გაიცემა. 2010 წლის ლონგ-ლისტი კონკურსის ოცდაათწლიანი არსებობის მანძილზე ყველაზე ვრცელია. მასში 48 დასახელება შევიდა. აი, ზოგიერთი მათგანი:

- „100 გოგონა იავფასიან ქალადზე“;
- „სადომაზოზიმი დამწეულებათვის“;
- „ჭიაყელებზე მონადირის დაგვანებული ფიქრები“;
- „ბეკონი: სიყვარულის ამბავი“;
- „კანიბალიზმის ინტელექტუალური ისტორია“;
- „მესამე რეიხის კოზმები (კოლექციონერთათვის)“;

„თოვლის პაპას ფისი უნდა“;

„ცერა თითის წოგას თავი დავანებე... რატომ არ უნდა დანებოთ თავი სმას?“

„არის თუ არა სწორი ნაწლავი საფლავი?“;

„მიკი-მაუსი, ჰიტლერი და ნაცისტური გერმანია“;

„ობამა დამნაშავეა, რომ შავი პრეზიდენტი გახდა“;

„გაზიანი სასმელებისა და წვენების პრობლემა მოგვარებულია“;

„ათი სისულელე, რომლებიც ხელს უშლიან ეკლესიის ზრდას“;

„ნაწლავის ანთების ცვალებადი სამყარო“;

„ჩაის ჭუშმარიტი ისტორია“;

„ქალაჩუნა კაცებისა და კაცურ ქალთა ველური სამყარო და რატომ იტანჯებიან ამერიკელები სხვა მრავალი იდიოტური სინდრომისაგან“.

\* \* \*

– ფოტოხელოვანელი ვარო, – დროდადრო იტყოდა ხოლმე მურმან ჩაჩუა და: ფოტოხელოვნელი კი არა, ფოტოხელოვანიო, – ვიღაც შეუსწორებდა, ან შენიშვნას თუ მოერიდებოდა, გულში მაინც გაივლებდა: ასეთი შეცდომა როგორ მოსდისა.

მითუფრო გასაკვირი იყო, რომ ყოველთვის გამართულად მეტყველებდა, ცოცხლად და საინტერესოდ.

და მითუფრო გაიოცებდნენ, რომ შეეტყოთ, ფილოლოგიური განათლება აქვს მიღებული.

ფოტოგადალება ჯერ მხოლოდ თავისთვის იტაცებდა, სახალისოდ, თანაც გრძნობდა, აუცილებელი იყო ამ რაგის პიროვნებათა სურათების შემონახვა. იმხანად პეიზაჟებზე არც ფიქრობდა, ამ მხრივ არ მიემართა თავისი უნარი. პორტრეტებს უტრიალებდა – გარდა ცნობილი ადამიანებისა, ტიპაქსაც გულდასმით აკვირდებოდა და კოლორიტული იერი არ გამორჩებოდა – მაშინვე ალბეჭდავდა.

და უცრად იგრძნობდა, რომ ეს სახალისო საქმიანობა შესაძლოა სულაც პროფესიად გადაქცეოდა.

ფილოლოგი უამრავი იყო და თვითონაც მათ რიგებში უნდა გარეულიყო უმნიშვნელო წევრად, ნაცრისფერი მასის შემავსებად, ერთი-ორი კარგი საქმეც რომ დარჩებოდა, განა არა, მაგრამ ეს ის არ იყო, რაც ეოცნებოდა.

ამიტომაც მთელ ძალ-ღონეს ფოტოგრაფიისაკენ მიმართავდა, იქ უფრო იგუმანებდა სა-თავისო ასპარეზს, რაღაც გამორჩეულის შექმნას იქ უფრო დაიგულებდა და კიდეც შეძლებდა თითო-ოროლა კოლეგასთან ერთად ფოტოგრაფიის საბოლოო ჩამოყალიბებას ფოტოხელოვნებად, გზის გაკაფეს ახალგაზრდობისათვის, რომელიც ამ დარგს ისე მიაწყდებოდნენ, ერთ ყველაზე პოპულარულ და საბატიო ხელობად ჩაბეჭდავდნენ საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

მურმან ჩაჩუა ძალიან შეეშველებოდა უურნალ „ომე-გას“ დაარსება – პირველი ფერადი უურნალისა, რომელიც მიზანმიმართულად შეუდგებოდა ფოტოხელოვნების სრულყოფას და იმ მდიდარი საგანძუროს დაგროვებას, რასაც ჰქვია მხატვრული ტიპაჟიც და პეიზაჟიც, მთელ საქართველოს რომ მოიცავდა.

მურმან ჩაჩუა ამ რედაქციის წყალობით საუკეთესო ფოტოაპარატიც გაუჩნდებოდა.

საქართველოს მთა-ბარის შემოვლის ყოველგვარი პირობებიც.

ყველაფერი მხოლოდ მის თვალსა, ალღოსა და ოსტატობაზე ეკიდა, მის დაუღალავ ენერგიაზე.

და დაიარებოდა ქვეყნის ყოველ კუთხე-კუნჭულში

ივანე ამირხანაშვილთან ერთად, რათა მათი ერთობლივი მონაპოვარი წარმატებით გადასახლებულიყო უურნალის ფურცლებზე.

ივანეს – რეპორტაჟები და დოკუმენტური ნოველები, ამ ფანრთა საუკეთესო ნიმუშები.

მურმანს – ფოტოერონიკა, ყოველმხრივ წუნდაუდებელი, მაგრამ დროდადრო სულაც ისეთი მხატვრული კადრე-

ბი გაიღვებდა, ისეთი უჩვეულობა შემოგანათებდა, აღტაცებისაგან სუნთქვა შეგვევროდა.

თბილისში დამკვიდრებულიყო, ელიტარულ წრეებში შინაურ კაცად ღებულობდნენ, უსმენდნენ, ანგარიშს უწევდნენ – და არა მარტო ფოტოგრაფის ირგვლივ... მაგრამ არამცუ არ მონყდებოდა მშობლიურ სოფელს, სულ იქით მიუწევდა გული და შემთხვევას არ უშებდა, იქ არ გაჩქარებულიყო – ვანის რაიონის ამ ერთ-ერთ კოლორიტულ მიდამოში.

ძველი ბზვანი აყრილიყო, ბარში ჩამოსახლებულიყო და მურმანსაც აქ ედგა სახლი, მაგრამ მამა-პაპური სამკიდრო მაინც იმ ძველ ბზვანში ეგულებოდა და იქაურობას აუცილებლად აკითხავდა ხოლმე და ე ლია ცის ქვეშ გაეთია ლამე, ოლონდაც ის მინა შეეგრძნო მთელი არსებით გორაკზე შეფენილი სასაფლაოდან და თვალი ხარბად მიმოეტარებინ ფეხევეშ გაშლილი სივრცისათვის.

– აქ უნდა დავიმარხონ, – დასცდებოდა.

და მერე, განუკუნებელი სენი რომ დარევდა ხელს, უფრო ხშირი გახდებოდა მამა-პაპის სამარეთა ხესნება: იქ და მხოლოდ იქ...

ბზვანს თუ ვერ ახსენებდა წამდაუწუმ, ის ხომ მაინც შეეძლო, ვანს გაეელვა ხოლმე მისი საუბრისას, ვითომც არა-ფერი, ისე შერეოდა ფრაზასა თუ სიტყვას, და ფოტოხელოვნელად რომ იხსენიებდა თავს, სწორედ იმიტომ, ამ სიტყვაში ჩაექსოვა მონატრებისა და გაუნელებელი სიყვარულის განცდა იმ სავრცით, მი მინით, იმ ჰაერით, იმ ზეცით...

ამიტომაც ელმებოდა, როდესაც შეუსწორებდნენ. რაიმე განმარტებას ზედმეტად მიიჩნევდა... და ე ვისაც როგორ ენება, ისე ეფიქრა. მისთვის ეს ნეოლოგიზმი გახლდათ – ასეთი ზოსტი და ასეთი მოხდენილი, პირადად მისთვის კი ასეთი შემძვრელი და ასეთი ანდამატური...

ფოტოხელოვანელად რჩებოდა.

და ფოტოხელოვანურ მიღწევად ტოვებდა იმ მხატვრულ მემკვიდრეობას, რომელიც აღფრთოვანებას იწვევს თავისი სუუზებითაც, მეტიც, გრანდიოზულობითაც – ას ათასი ჯერ მრტო რჩეული მხატვრული ფოტო რომ დალგადება: ფოტოხელოვანელის ძეგლად.

...როგორ დამასწარი, მე უნდა მომეფიქრებინაო, – ეხუმრებოდა ხოლმე ივანე ამირხანაშვილი, და მურმანი, პასუხად: იმდენი კალამბური და მახვილი სიტყვა გაქვს, ეს ერთი მე დამიტოვეო.

ძველი ბზვანის სასაფლაოდან თუ არასოდეს მოგივ-

\* \* \*

ამირან არაბული სადოქტორო დისერტაციას იცავს. თემის სახელნობებაა „ქართული ხალხური სამღლოვიარო პოეზია“ და იმდენი მასალა მოძიებული და დალაგებული, ისეთი სილრმითა და ხელოვნებითაა ეს ურთულესი პრობლემა დამზადებული, ამ მკვლევარის ლირსებას რომ შეპირის.

ოფიციალური ოპონენტები, რა გასაკვირია, დიდ მოწონებას გამოთქვამენ და ერთ-ორ უმნიშვნელო შენიშვნას კმარობენ. თელავიდან ჩამოსული არჩილ სპარსიაშვილი კი აღფრთოვანებას ვერ ფარავს და, რეცენზიას რომ კითხულობს, ისედაც სავსეს აღმატებული ეპითეტებით, ზეპირადაც უმატებს და უმატებს.

– ეს რა წავიკითხეო, ეს რა ბრძყინვალე საბყარო გადამეშალა თვალნინო, ეს სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისია არამარტო ქართულ ფოლკლორისტიკში, არამედ მსოფლიოსაც გადაწვდება, და ე ცველა დარწმუნდეს, ეს რა განძი გვქონია და როგორი უნდა იყოს მისი ანალიტიკური შესწავლაო, ეს ერთი დისერტაცია ათ მონოგრაფიას მაინც უდრის, თუმცა არა, ცოტას ვამბობ, ოცა და ოცდაათსაც გაუტოლდება და ბედნიერი ვარ, პირადად რომ ვიცნობ ბატონ ამირანს, და კიდევ უფრო ბედნიერი, ამ ისტორიული ნაშრომის ფიციალური ოპონენტობა მეტ რომ მერგო პატივადო.

რეცენზიას რომ ჩაამთავრებს ზეპირი კომენტარებითურთ, სხდომის თავმჯდომარე გურამ ბარნოვი ყოველი შემთხვევისათვის მაინც ჰყითხავს: შენიშვნა სულ არაფერი გაქვთო?

და გაოგნდება არჩილ სპარსიაშვილი:

– რა შენიშვნაზე ბრძანებთ, ბატონმა ამირანმა სამგლოვიარო პოეზიის ტოლფასი განძი შეგვიქმნა ამ ნაშრომნალვანითო.

და კვლავ დითირამბებად დაიღვრება.

დისერტაციის დაცვის ეტიკეტის მიხედვით დისერტანტი მოვალეა ტრიბუნასთან გამოვიდეს ოპონენტის შემდეგ, თუნდაც შენიშვნა არც გამოითქმოდეს მის მიმართ. ეს ის ფორმალობაა, რომელსაც ამჯერად ამირან არაბულიც ასრულებს და, ვიდრე ტრიბუნას მოუახლოვდებოდეს, სხდომის თავმჯდომარე გაეხუმრება: ყველა შენიშვნას მკაფრ პასუხს ნუ გასცემ, ზოგიერთი მაინც გაიზიარეო.

დარბაზი გახალისდება.

ლიათ თვალი არემარისათვის, აუცილებლად მიაკითხეთ იქარიბობასაც. ისეთ ელფერს, ნიუანსს იგრძნობთ, რასაც სხვაგან ვერ იპოვნით. მითუმეტეს, თვალსაჩინო ხელოვანის სამარეც იქ დაგხვდებათ... თუმცა რას ვამბობ – ხელოვანელის!..

ამირანი აწითლებული დგას, უხერხულობისაგან აღარ იცის, როგორ მოიქცეს, ძალიან ერიდება იმ ქება-დიდებისა, სხვა თუ შეიფერებდა, ამას უძნელდება. ერთხანს დუმს, მერე კი:

– მადლობას მოვახსენებ ოფიციალურ ოპონენტს, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ არჩილ სპარსიაშვილს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ აშკარად გადააჭარბა და მის მიერ აქ წარმოდგენილი მსჯელობა მაინც დამანც ვერ ესადაგება ჩემს სადისერტაციო ნაშრომს.

გაოგნებულები მივაჩერდებით. ის კი:

– ყველა თავი არ არის თანაბარი სიძლიერით დაწერილი და შეიმჩნევა საკმარ ხარვეზები, რიგ შემთხვევაში ბოლომდე არ არის მიყვანილი ანალიზი, მასალაც ყოველთვის მარჯვედ ვერ არის მოხმბილი, ამიტომაც ასეთ დროს დასკვნები ვერა ბოლომდე სარწმუნო და დამატებით ძიებას მოითხოვს.

უკვე ეშხმა შესული და გაჩერებას აღარ აპირებს. თუ რამე დააკლდა გულს, ყველაფერი საჯაროდ გამოაქვს, და სურათს სულ უფრო და უფრო ამუქებს, რათა როგორმე დააღწიოს თავი ხოტბის აღმურს.

მაგრამ რაც უნდა იყოს, ეს მაინც ფიციალური თავკრილობაა და არა ლიტერატურული სადამო, ჩამოვა აუცილებელია და ისევ მე მოვეგები გონხს:

– რას სჩადი, ამირან, არ ჩააგდო დისერტაცია!.. ამირანი გამოერკვევა.

– ახლა, კაცმა რომ თქვას, მთლად გადასაგდებიც კი არ არის, თავისი ლირსებანიც აქვს, თავისი მნიშვნელობაც, რაღაც მანც გაკეთდა. წიგნად გამოცემის წინ ერთხელ კიდევ ჩავუჯდები.

სამეცნიერო საბჭოს წევრები შევებით ამოისუნთქავენ. დარბაზსაც ერთბაშად მოეხსნება დაძაბულობა.

– ხომ არაფერი გაქვთ სათქმელი? – მიმართავს გურამ ბარნოვი არჩილ სპარსიაშვილს, მაგრამ დარბაზიდან ხმები გაისმის: აღარ არის საჭირო, აღარ, კიდევ რამე არ აირიოს.

…კენჭისყრის შემდეგ ამირანს ერთხმად მიენიჭებოდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის წიოდება. და ყველა, ვინც ულოცავდა, მოვალედ მიიჩნევდა თავს ჩემთანაც მოსულიყო და ხელი მაგრად ჩამოერთმია: შენ გადაგვარჩინე, თორემ ვინ იცის, რა მომხდარიყო!



მეგობრული შარულები ბატონი განვითარებისა

„და არა იყო მათ უამთა შინა თესვა და მკა; მოოხორდა ქვეყანა და ტყედ გარდაიქცა; ნაცვლად კაცთა მშეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა“, – ასე გადმოგვცემს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თურქ-სელჩუკთა შემოსევების შედეგად შექმნილ ვითარებას.

გავერანებული სამშობლო და ხალხის დამცრობილ-შერყვნილი სული ერგო მემკვიდრეობად საქართველოს სამეფო ტახტზე ასულ დავითს.

თექქაშეტი წლის ჭაბუკი მძიმე გამოცდის წინაშე იდგა. როგორ უნდა მოენოდებინა ქართველი ხალხისათვის დამპყრობელთა წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლა, როდესაც ირგვლივ უსამართლობა და განუეკითხაობა მეფობდა? როდესაც უბრალო მოკვდაგს მხოლოდ მაშინ შეეძლო ეპოვა სამართალი, თუკი გზაში სადმე დაუდარაჯდებოდა მეფეს და თავის გასაჭირო შესჩივლებდა; როგორ უნდა აღედგინა ხალხის მხნეობა და რჩმენა, როდესაც სულიერი მოძღვარი ქვეყნისა, საღვთო რჯულის ერთგულების ნაცვლად, სანინააღმდეგო მაგალითებს აძლევდნენ თავიანთ სამწყსოს ანუ, როგორც მემატიანე გვაუწყებს: „წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქვაძ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს...“ ადამიანთა სულის მეურნალი თავად გამძღარიყო განსაკურნი. საეკლესიო თანამდებობანი იყიდებოდა, მღვდელმთავრებად ისხდნენ ულირსნ. პირად ლირსებას ჩალის ფასი ჰქონდა. დაწინაურების საწინააღმდეგო გახლდათ მაღალი ჩამომავლობა და მფარველის კეთილგანწყობა. ნიჭა და პატიოსნებს, ცოდნას და განათლებას არაფრად აგდებდნენ. ზნეობისა და სიწმინდის ტაძრიდან უზნეობის სენი იოდად ვრცელდებოდა აოხრებული ქვეყნის მკვიდრთა შედრეკილ-შეშინებულ ბუნებაში.

ქართული ეკლესია დიდგვაროვან აზნაურთა ხელში იყო და იქ წოდებრობა იყო გაბატონებული.

ეკლესიას უნდა დაპატრონებოდნენ „ჭეშმარიტი მწყემსნი და სათხონი ღმრთისანი“. ამგვარი გარდატეხა გადაუდებელ ამოცანად ესახებოდა დავით აღმაშენებელს და არც დაუყოვნება მისი შესრულება.

1103 წელს ურბანურბანის საეკლესიო კრებაზე მეფემ, ერთგულ თანამზრახელთა მხარდაჭერით, მიაღწია იმას, რომ დაეგმოთ არსებული უკანონობა, გადაეყენებინათ ულირს მღვდელმთავანობა და ლირსებით შეტყულ პირთათვის, სამორნო ხელისუფლებას რომ უჭერდნენ მხარს, მიენიჭებინათ შესაფერი პატივი.

ეს იყო დავით აღმაშენებლის პირველი დიდი გამარჯვება იმ ბრძოლში, რომელიც საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობდა მეფესა და დიდგვაროვანთა შორის. ამიერიდან პირადი ლირსების უზირატესობამ შთამომავლობით კუთვნილებაზე გზა გაიკვლია ქართული ეკლესიის წიაღმი და დემოკრატიულ რეფორმათა პირველ მერცხლიდ მოევლინა ქვეყნას.

რუსი-ურბანის საეკლესიო კრებამ ნიადაგი შეამზადა საიმისოდ, რომ ანალოგიური რეფორმები გატარებულიყო სახელმწიფო და სამოხელეო წეს-წყობილებაში, აგრეთვე მართლმსაჯულების სფეროში.

დავით აღმაშენებელმა ტახტზე ასვლისთანვე აგრძნობინა ქართველ ფეოდალებს, რომ წინანდელი უილაჯო მეფის მაგივრად ქვეყანას სათავეში ჩაუდგა ძლიერი პიროვნება და წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც მეფე უარმით ფეოდალთა გულის მოგებას დამობდა.

დავით აღმაშენებელმა ზურგი შეაქცია თავის მამის ფრთხილსა და გაუბედავ პოლიტიკურ კურსს, რომელიც გული

## 33 მარცვალი

ლისხმობდა ერთგულთა და ორგულთა თანაბრად შეწყნარებას, დაუმორჩილებელ დიდგვაროვანთა მოთვინიერების მცდელობას წყალობითა და ტკბილი სიტყვით. მეფემ, წინაპართა გამოცდილების საფუძველზე, მშვენიერად იცოდა, რომ გადამთიელ მტერზე უფრო საშიში და ვნების მომტანი იყო შინაური მტერი, რომელიც ქვეყნის გაძლიერებას აფერხებდა და მის სასიცოცხლო ენერგიას ახშობდა, ოღონდაც საკუთარი ინტერესები გაეძლო. ცხადი იყო, რომ ქვეყნის მუდმივ სატკივარს მხოლოდ მკაცრი ზომებით თუ განკურნავდნენ.

აღიარებული შეხედულებით, შეა საუკუნეთა სახელმწიფოები მეფე წარმოადგენს მთელი ფეოდალური იერარქიის მნვერვალს, ურმოლისონდაც ვასალებს არ ძალურთ და რომლის წინააღმდეგაც, იმავდროულად, გაუთავებდივ ამბოხებას ანყობენ. ამ არეულ-დარეულ ვითარებაში სამეფო ხელისუფლება, უდავოდ, წარმოგვესახება პროგრესულ ელემენტად. საყოველთაო ქაოსის ფონზე მარტოოდენ მეფეა წესრიგის წარმომადგენელი და გარანტი, სიმბოლო ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერისა, რომლის სულისკეთება უპიროსპირდება ქვეყნის დაუკუმაცების ტენდენციას.

თავისი მეფობის დასაწყისში დავით აღმაშენებელი, ხედავდა რა მეომართა სიმცირესა და მათი საბრძოლო თვისებების უკარისობას („თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარებანი და ფრიად მოშინი“), გულმოდგინედ წვრთნიდა, მხნეობას უნერგავდა, წვრილ-წვრილ შეტაკებებში აჩვევდა ბრძოლას, უამრავი მარცხის შედეგად დაკარგულ ვაჟკაცობას უზრუნებდა, გულადგებს აქებდა და აჯილდოგებდა, მხდალებს ხან სიტყვიერად კიცხავდა, ხანაც დედაკაცის სამოსელში გამოაწყობდა ხოლმე, რათა გაელვიდებინა მათი თავმოყვარებობა. ამყარებდა სასტიკ სამხედრო დისციპლინას („საემარიზო სიმღერანი სახიობნი და განცხრიმანი, და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა“).

დავით აღმაშენებელი, ბრძოლის დროს, ზურგიდან როდი სარდლობდა მერძებს, შორიდან როდი ესმოდათ მისა მოწიდებან. ჯარს წინ მიუძღვიდა და „ვითა ლომი შეუზახებდა ხმითა მაღლითა“.

დავით აღმაშენებლის რეფორმათა შორის განსაკუთრებულ ყავრადღებას იმსახურებს ჩრდილო კავკასიოდან საქართველოში ყივჩალთა ჩამოსახლება და მათგან მუდმივი ჯარის შექმნა, რომელიც უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდა. ეს არაფრად ეჭამინებოდა დიდგვაროვან აზნაურებს, რომელიც საყვედულობდნენ დავით აღმაშენებელს: ამდენი უცხოელი (ორმოცი ათასი ოჯახი!) რისოვის ჩამოგვითესლე, ჩვენი მტრის ნაცვლებად ჩვენებ გადაგველავენ.

დანაშაულად უთვლიოდნენ მეფეს, როდესაც ვინდეს შეიყვარებდა და განადიდებდა, ანდა – სსვას მოძულებდა და დაამცირებდა. ქართველ მემატიის გულნრუჟელად უკვირს ასეთი ბრალება. როგორ უნდა ჩავთვალოთ უსამართლობად, რომ მეფემ ორგულთა უგუნურთა და ჯაბანთა ნაცვლად ერთგულნი, გონიერი და გულადნი დაანინაურა? კაცი ამგვარი ქმედებით ღმერთს ემსგავსება და მისი დაძრახვა როგორ იქნება?

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, აღფრთვობანებული თავისი მეფის სასახლო საქმეებით, ფსალმუნის ერთი ლექსის („გოვე დავით, მონა ჩემი...“) პერიფრაზს ქმნის და ამაყად გვაუწყებას: „თვით მამამან ზეცათამან პოვა დავით, მონა თვისი, და საცხებელი მისი წმიდანი სცხო; რამეთუ ხელი მისი შეენია, და მკლავმან მისმან განაძლიერა იგი“.

ალექსანდრე სოლუენიცი-ნი თავის რომანში „გარსი პირველი“ ომისშემდგომ მცი-რე წვეულებაზე შეახვედრებს ერთმანეთს – ღატაც სტუდენ-ტად გადაქცეულ ყოფილ მწყობრის ოფიცერს და გალადებულ მნერალ გალახოვს, რომლის პროტოპიად თვალნათლივ ამოიცნობა მეორე მსოფლიო ომის ნლებში უაღრესად პოპულარული სამხედრო კორესპონდენტი და სა-ხლეგანთქმული პოეტი კონსტანტინე სიმონოვი.

ომის ქარცეცხლში გამოვლილი მწყობრის ოფიცერი უნდილად უსმენს „სამხედრო კო-რესპონდენტთა სიმღერას“, გალახოვმა რომ წამოიწყო და სხვებიც ხალისიანად აჟყვრენ. უსმენს და ამრეზილად ფიქ-რობს, რომ ეს კორესპონდენტები ცუ-დად იცნობდნენ ფრონტს, რომ ყველა-ზე გულადი კორესპონდენტიც კი გან-სხვავდებოდა ფრონტელისაგან ისევე, როგორც მინის მუშა მუშიკი – იმ გრა-ფისაგან, თავის შესაქცევად ხენა-თესას რომ მოჰკიდებდა ხელს (კენჭი ლევ ტოლსტოის ბისტანში?). საველე წესდება და საბრძოლო ბრძანება არ ბოჭავდა კორესპონდენტს. არავინ უკ-რისავდა შიშის, სამშობლოს ღალატად არ ჩაუთვლიდნენ გაქცევას ბლაცდარმი-დან. ხოლო ფრონტელი მიჯაჭვული იყო ერთ ადგილს და იქურობას ვერაფრით და-აღწევდა თავს, თუნდაც გარდუვალი სიკვდი-ლი დამუქრებოდა. კორესპონდენტიც კი გამოისამდა და მეორე დღესვე თავს ამოჰკოდა მოსკოვში, თავს თბილ და უსაფრთხო ბინაში.

ილია ერებურგიც კვერს უკრავს სოლუენიცინს, ოღონდ უფრო თავაზიანდ და კორექტულად, კონტრეტულ პიროვნე-ბაზე თავდაუსხმელად. ანლოგიურ მოსაზრებს გამორთ-ვაშის, როდესაც მოგვითხრობს, თუ როგორ გაიცნო ფრონტე-ლი პოეტი სემიონ გუდენკო და იმონმებს სტრიქონებს მისი ლექსებიდან.

თავად უპირველეს სამხედრო კორესპონდენტად მიჩნეუ-ლი ილია ერებურგიც გულწრფელად აღიარებს ნაომარი პოე-ტის უპირატესობას. ჩვენმა პოეტებმა არაერთი კარგი ლექსი დაწერესო, ისინი ომს შორიდან როდი უკურებდნენ, კორეს-პონდენტებად თუ სტუმრებად ფრონტზე მყოფნი სიკვდილის სუნთქვასაც გრძნობდნენ, მაგრამ ფრჩხილებქვეშ შემხმარი

## როგორ კაცოა მინას თითები



მინას გელოვანი

სისხლი მტრისა დანით არავის ამოუჩინებისათვის (გუდენკოს ლექსიდან სესხულობს). ხიშტი

რჩებოდა ხიშტად და ჩანგი – ჩანგადო. სამხედრო კორესპონდენტს წარმოსახვა სჭირდებოდა, რათა ზუსტად გამოეცნი მეომრის წადილი, იცნება, ნაღვე-ლი. საკუთარ გამოცდილებას ძნელად მიუსადაგებდა, ვინაიდან ხევდრი მათი გაყოფილი იყო უფსკრუ-ლით. ავად თუ კარგად, ცხადია, ყველაფერსაც გამოიცნობდა, ტყუილად ხომ არ ერქვა პოე-ტი? მაგრამ განა არაბუნებრივი არ იქნებოდა, რომ სისხლისმღვრელი მოის წინაში მყოფი მირზა გელოვანის დარად ეთქვა: „გახსოვს ლამე? – დაგუძერით ნაღმებს ორნი და მტრის ბლინდაჟს შევუკეთეთ ყუმბარები?“ ანდა: „გახსოვს დნეპრი? – მღვრიე, როგორც გათენება, დნეპრზე მღვრიე – შემოდგომის მღვრიე ქარი“. და იმის თქმაც გაუჭირდებოდა, მირზა გელოვანმა რომ დაწერა თავის თანა-მებრძოლზე: „როგორ დაეცა იგი დაჭ-რილი, როგორ კანკავდნენ მინას თითე-ბი?“

ეს გახლავთ თვითმხილველისა და უშუალო მონაბილის ცნობიერებაში აღ-ბეჭდალი დეტალი. ყველას შეეძლო ეთქვა, დღეს ჩემი იყო საღამოს მწუხრი, ხვალ იქ-ნებ ჩემთვის არც ირიურაჟებსო, მაგრამ მხო-ლოდ ფრონტელისთვის იქნებოდა ეს წინათგ-რძნობა რეალური და დამაჯერებელი.

როგორ კანკავდნენ მინას თითები – ეს ვერ ამეტებელდებოდა თუნდაც ისეთ შედევრებში, მარად-ჟამს რომ იცოცხლებს ქართველი მკითხველის შეხსიერებაში და არასოდეს ამოშლება ქართული პოეზიის საუნჯიდან (ვთქვათ, „არ დაიდარდო, დედა“ თუ „კაპიტანი ბუხაიძე“). ისინი დაინერა სრულიდ სხვა გარემოში, სხვა შთაბეჭდილე-ბათა საფუძველზე, თუმცა არც გოდებასა და არც სიკვდი-ლის ხილვას არ გაქცევიან.

იყო სასტიკი მომ, რომლის მსგავსი არ ახსოვს კაცობრიო-ბას და ამ ომში განვეულ ახალგაზრდა ქართველ პოეტს ბედ-მა წინად არგუნა უფროსა უეიტენანტის მოკრძალებული როლი, მაგრამ რომ არ დაღუპულიყო ბრძოლის ველზე, ალ-ბათ, გაცილებით დიდი როლის შესრულება მოუწევდა ქარ-თული პოეზიის ასპარეზზე.

## ეროვნი

18 მარტს საპატიოარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სუ-ლიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში ისტორი-კოს გურამ ყოვანაშვილის წიგნის – „დამიტრი ყიფიანი“ – წარდ-გინება გაიმართა.

ღონისძიებას ლევან ფრუიძე უძღვებოდა. მან ისაუბრა მონგრაფიის ავტორის წვლილზე, გულმოდგინედ რომ იკვლევს თვალსაჩინო ქართველი მამულიშვილების ცხოვრებასა და შე-მოქმედებას. მაღლიერება გამოიატა მასპინძლებისადმი – ახალ-გაზრდული ცენტრის მესვეურთადმი, რომლებიც ბევრი საინტე-რესო შეხვედრის ორგანიზატორები არაან.

წიგნის ავტორმა ვრცლად მიმოიხილა საკუთარი მონოგრა-ფია. განმარტა წიგნზე მუშაობის რამდენიმე საინტერესო მხარე

და შეახსნა საზოგადოებას ნაშრომები, რომლებიც წინ უძლოდა დიმიტრი ყიფიანზე მონოგრაფიის შექმნას. გურამ ყორანაშვილ-მა ისიც დასძინა, რომ დღეს უმეტესად ნიპილისტური დამოკიდებულება ერის ისტორიის მიმართ, ამიტომ აუცილებელია პიპუ-ლარული ენით დანერილი წიგნები წარსული ეპოქის მოღვაწებ-ზე დაუნაებლად გამოიცეს და მიენოდოს მკითხველს.

დამიტრი ყიფიანის დიდ ღვაწლზე, ახალ წიგნზე და მის ავ-ტორზე საინტერესოდ ისაუბრეს წმინდა დემეტრე მონაშის სახე-ლობის ტაძრის წინამდებარება მამა მალხაზმა, ისტორიკოსმა თა-მაზ ლაცაბიძემ, დამიტრი ყიფიანის სახელობის მუზეუმის დი-რექტორმა დავით სამსონაძემ და ბორჯომის მხარეთმცოდნეო-ბის მუზეუმის დირექტორმა ვიოლეტა ასპარეზზე.